

ა მ ს გ ბ ი

## ତ୍ରୈକୁଣ୍ଡି ଶୁଣନ୍ତଳି

ଶ୍ରୀଲଙ୍କିତ୍ୟଂକ ମେଳାଜ୍

• IX

6 9 5 6 9 8 3 0 6 0, 1901

卷之三

୭୪୦ ଲେଖନ

NUMBER TWO-DOOR-1980-2012536MURKIN LTD.,CPYR.USA;T-BAG

1901

Дозволено цензурою. Тифлисъ, 3-го Октября 1901 г.

## မ ဗ ု ဒ ် သ န ပ ါ

85.

I — ဝါဆေး ဒဂ္ဂနိုင်ရှင်၏ — (ဝါဆေးကြော်မှတ်စွာတော်) ရ. နာရီ- နေ့ရတော် . . . . .	1
II — အေမဲ့များ . — လျှော့ခိုက် နာရီနာရီ . . . . .	67
III — ဧဒေဝါဆေး ရွှေများ . — ရှိုးပြော်များ၊ ပြော်များ၊ ပြော်များ၊ လျှော့ခိုက် အမိန္ဒရိုက် မ. အစားပေါ်နှင့် အမြတ်များ . . . . .	69
IV — ဓမ္မရှေး-အမိန္ဒရိုက် . — ဓမ္မရှေးရွှေများ ၂၃၃၂ . — နေ့ရ- တော် နေ့ရတော်, စ. စာအကျွားစဝ် . . . . .	1
V — အကျော်များ အကျော်များ အကျော်များ အကျော်များ အကျော်များ . . . . .	24
VI — ရွှေများ တော်များ . — ရွှေများ အကျော်များ အကျော်များ အကျော်များ . . . . .	55
VII — ဖွံ့ဖြိုးများ အကျော်များ . — အမြတ်များ အမြတ်များ အမြတ်များ (မြတ်များ အကျော်များ) . — မြတ်များ အကျော်များ အကျော်များ . . . . .	71



# 0 ს ნ ი ს ც ი ს პ ა რ ი

(ისტორიული მოთხრობა)

## I

1795 წელს თუმცა ნესტიანი და გრილი გაზაფხული იყო, მაგრამ მაისის გასულს ჩამოცხა და სწრაფად ააშრო დედამიწა. ეს სიცხეები იყო იმის მიზეზი, რომ სამ გოსტაშაბიშვილი განთიადზევე დაადგა ტფილისის გზას. მზეს ჯერ არ მოევლო, როდესაც აირა თელეთის აღმართი და ქვაყრილთან ავიდა. აქ არა ცხელოდა, კოჯრის სიო სწვდებოდა, სასიამოვნო სიგრილესა ჭიერნდა. მგზავრი შესდგა შესასვენებლაკ და გადაჭედა გამოელილ გზას.

წინ ტაშირი გადაეშალა, რომელსაც ჩრდილოეთით და დასავლეთით კრწანის—კოჯრის კლდეები მოსჯროდნენ, სამხრეთით ალგეთი ჩამოუდიოდა, აღმოსავლეთით მტკვარი. ტაშირის გარშემო მოჩანდნენ კუმისი, ვაშლოვანი, ერტისი, ღოუბანი, ბორბალი; მარაბდა და ძირს, ქვაყრილ დასწერივ, თელეთი; ზედ ვაკეზე—წალახური, კოდა, ჭაობი და მუხათი. თელეთის თავქვე რომ თავდებოდა, ტაშირი უეცრათ ძირს ეშვებოდა და ეს დაბლობი თითქმის სოფელ კოდამდინ უწევდა; კოდის ვაკეს და აშ დაბლობს ჰყოფდა ასიოდე აღლის სიმაღლე დაღმართი — „გადასახედავი“; დაბლობის დასავლეთი ნაწილი ეჭირა სოფელ კუმისს, რომელიც ჯაგნარი ტყით დაფარულ კლდეებს მიჰყრიდნობოდა; აღმოსავლეთისკენ მოკამედებდა კუმისის ტბა. ოდესმე მთელი ეს ტაფობი ტბის საგუბარი უნდა ყოფილიყო.

ტბის გადასწვრივ იწყობოდნენ იაღლუჯის ბორცვები და ჩას-  
ლევლენენ მტკეარს მარჯვნივ.

ამ ტაშირს სამი გზა სჭრიდა: ერთი შემოსდევდა იაღლუ-  
ჯისა და მტკეარის შუა; მეორე შუაზე სჭრიდა ვაკეს, გადმო-  
დიოდა კოდაზე და უერთდებოდა პირველ გზას სოლანლუხ-  
თან, შავნაბადას დასწვრივ, სადაც კრწანისის კლდეები აწყდება;  
სესამე, საცალფეხო გზა, გაუელიდა ძირს ბორბალო - ერტის-  
ვაშლოვანს, გადადიოდა კუმისის თავს, შემოსდევდა კოჯრის  
ხევს და ტაბახმელაზე დაეშვებოდა ძირს. კოდის გზას კუმისის  
ბოლოს ასცდებოდა ბილიკი, აუვლიდა თელეთს, ავიდოდა ქვა-  
ყრილთან, ჩაუვლიდა ორსულ კლდეს და წინანაურის წყაროს-  
თან გადიოდა. მტკერის პირის გზა და კოდისა უმთავრესი  
გზები იყვნენ სპარსეთილან ტფილისში; მარტო ესენი ვარგოდ-  
ნენ ჯარისა და ურმებისთვის.

თითქმის მთელი ეს სოფლებით სავსე ტაშირი შემუშავე-  
ბული იყო, ვენახ-ბალებით და ყანებით მოფენილი. მეტადრე  
შშვენიერი ბალნარ-წალკოტები იყო გაშენებული ბორბალოს-  
დასწვრივ, კოდისკენ; ამ ადგილს „ნარგიზები“ ერქვა. გადა-  
სახედავის ფერდობი მაღალი ჯაგნარით იყო დაფარული. კუმი-  
სის ხევს ჩასდევდა ტბამდინ ჭალა. აღმოსავლეთიდანაც ჩამოს-  
დევდა ტბისკენ ბუწნარიანი ხევი რამ.

კარგა ხანი უყურა საამშა ამ ოფლით მორწყულ ტურფა  
არეს და ამოიოხრა.

— ცოდვა არ არის ეს მშვენიერი მხარე მტერმა გაანალ-  
გუროს! — ფიქრობდა საამ. — ლამის დავრწმუნდე, რომ ბატონი  
ერეკლე დაბაძუნდა, გამჭრიახობა დაჰკარგა. წამოვიტყუებ მტერს  
და თბილისამდინ არ შევებმიო. მემრე რომ ეს სურვილი ჩვენი  
დამლუპელია! საბარათიანო, მართალია, ყოველთვის პირში  
მისცემია მტერს, მაგრამ უბრძოლველათ კი არასოდეს! ეხლა

ესეთია მეფის სურვილი, უნდა აოხრდეს ეს საქართველოს  
ბჭე.....

## III

სასტიკ სიცხეებს სწრაფად გაეხმო და გაეტრუსნა თბილი-  
სის მიღამო. ქალაქი დაცალიერებულიყო: ბატონიშვილები, თა-  
ვალობა და მოქალაქობა სულ სოფლათ გაკრეფილიყვნენ. ქუჩა-  
მეიდნები დაობლებულ-დალონებული იდგნენ: ზურნა-დუდუკის  
ხმა ათასში ერთხელ-ლა ისმოდა დუქან-ბაღებში, ქუჩებში ტრახ-  
ტრევანდით აღარავინ დაბძანდებოდა, აღარცვინ მოკაზმულ-  
შეიარაღებული მოაღელებდა ბედაურს; ყაბახი ცალიერი იდგა,  
აღარვინ გროვდებოდა იქ გასართობ-სავარჯიშოდ; ხალხით სავ-  
სე სალაყბოც კი გულჩათხრობილი გამოიყურებოდა, რადგან  
მეფის ოჯახობა გაესტურებინათ და სასახლე ჩაეკეტნათ. სი-  
ცხით დათენთილ ვაკრებს პირდალრენილი ეძინათ ფიშტალ-  
დაზგახე; ათასში ერთი მუშტარი-ლა მიიზლაზნებოდა იმათ  
დუქნებისაკენ მტვრიან ქუჩებზე. მხოლოდ საღამოობით აეი-  
გინდებოდა ხოლმე ქალაქი, როცა დიდ-პატარა გამოიშლე-  
ბოდა გარედ ჰაერის ჩასაყლაპათ, მაგრამ მაშინაც თბილელები  
თავისებურად კი არ ატარებდნენ დროს დაირ-ნაღლარით, თამა-  
შით, სიმღერით, ან ზღაპარ-ისტორიების სცენით და შარ-  
ლექსებში გაჯიბრებით. არა! ხალხი უფრო ჯგუფ-ჯგუფად  
იკრიფებოდა, აღელვებული ბასობდა. საღაპარაკო ისა ჰქონ-  
დათ, რომ შეძლებული ოჯახები მთლად გაიკრიფნენ ქალაქი-  
დან და ქონებაც თან გაიტანეს; გაიხიზნენ.

— რა დაემართათ წლეულ, რომ ყველა სოფლად გასვ-  
ლას ეშურება? სიცხე-პაპანაქება როდის არა ყოფილა, მაგრამ  
ესე კი არ დაცალიერებულა ქალაქი! — გაკვირვებული კითხუ-  
ლობდა ერთი.

— ეტყობა, აქ სხვა რამ ამბავია, თორემ ქონების გაზი-  
დეა და სახლების ამოფიცვრა რაღა არის! — ამბობდა სხვა.

— ეაჭრები არიან შემკრთალნი და ხიზნავენ ყველაფერს, თორემ სასახლიდან ჯერ არაფერიც არ წაულიათ; ხაზინაც კი ისევ სავსეა.

— ბატონი მეფის სახლობაც თურმე ისევ ჩამობრუნდება, როცა ცოტა აგრილდება. რომ საშიში იყოს რამე, გამოგვიცხადებდნენ აიყარენითო.

— მანამ ერეკლე ცოცხალია, არაფრის შიში არ არის: არ დამარცხებულა ის, არც დამარცხდება.

— ზარაფ მიღუაც რომ დაფაცურდა! აბა თუ იმის ყუთში ერთი მუჭა გროშების მეტი-ლა ეყაროს. სადღა არის პარკებით რომ ეწყო ოქრო-ვერცხლი?! ძველები ჩაუცვამს, მითომ-და საწყალი ვინმე ვარო.

— დადის მოვალეებში და ყველას აწუხებს, ფული დამიბრუნეთ, გავკოტრდიო. რა შვილია! ეტყობა, რამე იცის და თადარიგს იჭრს, თორემ იმისთანა ურიას რა გაკოტრებდა?

— ამბობენ, ყეინმა ერეკლეს კაცი გამოუგზავნა, ან რუსზე ხელი იიღე და მე დამიყონალდი, ან შენ ქვეყანას წავახდენ. ერეკლეს თურმე გაეცინა, ძალად მეგობრობა ვის გაუგონია, მობძანდიო!

— სწორედ მტრის შემოსევას ელიან, თორემ ეს ამოდენა იარაღის მზადება რაღა არის, ან ციხე-გალავნებზე აჩქარებული მუშაობა!

მართლა-და ქალაქი რომ დაცალიერებული და მიყუჩებული იყო, ციხე-სიმაგრეებზე დიდ-ძალი ხალხი მუშაობდა. მეტადრე ბევრი მუშა ედგა შაიტახტს, სადაც ზარბაზნები ელაგა, სეიდაბადის კარს, განჯის კარს, ციხის კარს და კოჯრის კარს, სადაც ეხლა აწყობდნენ ზარბაზნებს. მთელი დღე მუშების სიმღერა და ძახილი გაისმოდა. ურემი ურემზე მოღიოდა მასალით დატვირთული. ნაბძანები იყო, სწრაფათ გაემაგრებინათ ეს ადგილები.

დიდი სამუშაო ჰქონდათ აგრეთვე მეხანჯლეებს, აუარებელი იარაღი შეეკვეთიათ იმათთვის. სიონის ქუჩაზე ისხდნენ მაშინ ეს ხელოსნები და ამ დღე ჩარხების ბზრიალი და ჩახი-

ჩუხი-ლა გაისმოდა. საქმე რომ აუარებელი ჰქონდათ, ისე გა-  
ყვინიშებულიყვნენ, რომ მუშტარს აბუჩად იგლებლნენ, ყურად-  
ლებას არ აქცევლნენ.

## III

საღამოს ლოცვები ჯერ არ დარეკილიყო, როდესაც საამი  
მეხანჯლე ბურჯელის დუქანში შევიდა და ოსტატი იოთამე  
იკითხა. ქარგლებმა ახედ-დახედეს მოსულს, მაგრამ ხმაც არ  
გასცეს, ისევ განაგრძეს თავიანთ საქმე. მუშტარს ეუცხოვა ხე-  
ლოსნების ესეთი ქუფვა და რიხიანათ შეეკითხა:

— სად არის მეთქი ოსტატი იოთამე?

ეხლა კი დაუშვა უფროსმა ქარგალმა კვერი და გამოე-  
ხმაურა:

— რათა გნებავთ უსტაბაში? თუ იარაღის შეკვეთა გსურთ,  
ვერ ავიღებთ, ისეც ბევრი საქმე გვაქვს.

— შენ იმას გიბძანებ, სად არის მეთქი იოთამე! — შეუტია  
მოსულმა და უნებლიერ წინ წადგა ფეხი.

ეს კი ალარ მოეწონა ქარგალს, შეიკუმშა და მოკრძალე-  
ბით შოახსენა, ოსტატი შეუძლოთ იყო, დღეს შინ დარჩაო.  
მუშტარი გამოტრიალდა და დახურულ ბაზრისაკენ გასწია.

— თითონვე უჭირს და თითონვე ბრაზდება, — ჩაილაპარაკა.  
ქარგალმა და ლონივრათ მოიქნია კვერი.

— იცი, ოსტატო, ეგ საამ გოსტაშაბიშვილი იყო, მუხა-  
თის მებარონე; შარშან რომ დიდმა ოსტატმა სოფელში წამი-  
ყვანა, მაგათ ბალში ბევრი ხილი ვჭამე, უთხრა შეგირდმა, რო-  
მელიც ფუქსს უბერავდა.

— ბატონი საამ გოსტაშაბიშვილი! — რატომ მაშინეე არა  
სთქვი, შე . . . . — შაუკურთხა ქარგალმა და ჭუკა ასწავლა,  
წაუთაქა.

საამი დიღი ისტატის ნაბატონარი იყო და უსტაბაში  
ბევრჯერ ჩამოეგდო იმაზე ლაპარაკი, როგორც მის ხელში  
აზრდილ და ეხლა განთქმულ ვაჟკაცზე.

საამშა გაიარა დახურულ ბაზარი, ჩაიარა მეიდანზე, გაეიდა ძველ ხიდს; ხიდის ყურთან წ. აბოს ნიშვე პირჯვარი გადისახა, ხატს ემთხვია და შეუდგა აღმართს. მეტების ციხესიც ამაგრებდნენ, თუმცა აქ ბევრი მუშა არ იდგა, რაღანაც ციხე თითონაც მოუდგომელი იყო, თანაც მტკვარ გაღმა და მაშინდელი იარაღით სწორეთ შეუვალი. გზა გარს უვლიდა ციხეს. საამი ძილიოდა და თან თვალს არ აშორებდა სიმაგრეს; სიმოვნებასა გრძნობდა, რომ ესეთი დარაჯა ედგა თავს დედაქალაქს. ავიდა მაღლა და მტკვრის ხეობას გადახედა.

მტკვარს აქ ძალიან მაღალი კიდე აქვს. საამს აქედან ხელის გულივით გადაეშალა მიღამო შურის ციხიდან დაწყობილი სოლანლუხამდინ. ამ მტკვრისა და კრწანისის შუა მომწყველეულ ადგილს განიერი ბოლო მდინარისა და წინანაურის ხევის შუა აქვს, წვერი სოლანლუხისაკენ. აღმოსავლეთისკენ მტკვარი თანდათან უახლოვდება კლდეს. ადგილი თანდათან ვიწროვდება და იქ, საღაც კლდე დაწყვდება, საურმე გზა დარჩება მთისა და მდინარის შუა. ეს ვიწროები კარებია, საიდანაც შემოდის თბილისში სპარსეთიდან მომავალი გზა, რომელიც ერთად-ერთი ფარსაგი გზაა ჯარის გამოსატარებლად მტკვრის მარჯვნივ, რადგან კლდე თუმცა ძალიან მაღალი არ არის, მაგრამ სალია, საშინლად დაღრამული და შეუძლებელია იმაზე ლაშერის გადაუვანა, თუ გზა მცირეოდნათ მაინც არის გამაგრებული. კარგა ხანი იდგა აქ საამი და გულდასმით ათვალიერებდა ადგილ-მდებარეობას. ეტყობოდა, ამ თვალიერებამ კარგ გუნებაზე დააყენა ვაჟკაცი, რადგან მოღუშული სახე ნელ-ნელა გაუბრწყინდა და თვალებში სიხარული დატყო.

— სწორეთ ბრძნულად მოსაზრებული გემთა ჭვეების დაცუისა! — გაიფიქრა იმან, — არწივის თვალი აქვს კურთხეულს. ჩვენ კი ვერ შეგვიგნია მისი განზრახვა და გვიკვირს, გვწყინს მისი ბძანება. მართალია, მინამ მტერი მოვა აქ, ჩვენი სამოურაო კიდეც აოხრდება, მაგრამ განა არ სჯობს მიმულის ერთი ნაწილი დაზიანდეს, მტერს კი ბოლო მოეღოს, მინამ მთელი სამეფო გაოხრდეს და მტერმა იბატონოს. სწორეთ რომ სხვა-

გან არსად არის ესეთი მარჯვე ადგილი ურიცხვი მტრის შესა-  
გუბებლათ, მის ამოსალრჩებ-აპოსაშრობლათ. ან რა ძალიანი  
ვწუხხართ! ხალხს გავხიზნავთ და ნადაელსაც ამ ვიწროებში  
დავაყრევინ ებთ.

საამმა გახედა კლდის წვერებს, რომლებიც მოსჯროდნენ  
და ზედ დაჰყურებლნენ ქალაქს. დახრილი მზის სხივები ეაღერ-  
სებოდნენ იმათ და აბრწყინებლნენ.

— დავით ბატონიშვილისათვის უბძანებია ქვაყრილის გა-  
მაგრება, ზარბაზნების დადგმა. თუ არ აქვარდა თავისებურათ  
და მარჯვეთ დახვდა მტერს, არავის გადმოაწაწანებს ზევიდან;:  
იქ ას ათასი შეუძლიან შეიმაგროს და გადასხეოს. მთლათ კი  
უნდა შემოვიტყუოთ მტერი ამ ვიწროებში. აქ იმათ ჯარს  
საძრაობა არ ექნება, ვერ გაიშლება და ისათი მხრიდანაც  
იმაზე მეტი ვერ მიიღებს ბძოლაში მონაწილეობას, რამდენიც  
ჩვენი მხრივ; მაშინ გამარჯვება ჩვენია. ბატონიშვილიც შეიძ-  
ლებს კლდის ბილიკებით ჩამოუშვას მეომრები და გვერდილან  
შეუტიოს მებრძოლს. ვხედავ ბრწყინვალე ჰაზრს ცხებულისას!  
ვგონებ მოამბეც ალარ გაეუშეათ. ჩვენ ჯარს ზურგი ციხეზე  
ექნება მიყრდნობილი; თუ გარისხდა ლმერთი და ვიძლიერით,  
სიმაგრეს შევეფარებით; მტერი მაინც ბევრს ვერას გაიტანს  
ჩვენგან.

ესეთ დასკვნამდინ მივიდა საამი ადგილ-მდებარეობის და-  
თვალიერების დროს და იმედებით აივსო.

## I V

ეხლა ხომ მთლათ დასახლებულია მტკვრის ნაპირი მეტე-  
ხიდან დაწყობილი გოგილოს აბანომდინ ისე, რომ თუ ხევზე  
გადახედეა გინდათ, უნდა ვისიმე ეზოში შეხვიდეთ, ან ერთ-  
ერთ წუმპიან ბილიკს ჩაჰუვეთ მტკვრის პირამდინ. მაშინ მდი-  
ნარის ნაპირი ბევრგან იყო თავისუფალი, თუმცა მეტესის  
ახლო მაშინაც მჭიდროთ ცხოვრობდნენ. მეხანჯლევების უსტა-  
ბაშს იოთამ ბურჯელს აქა ჰქონდა სახლის კედელი

ზედ კლდის პირზე იყო მოკიდებული და ისე მკვიდრათ, რომ სალის დანგრევა უფრო საფიქრებელი იყო, მინამ ამ კედლისა. ოთხ დაბალ სვეტზე ებჯინა ფართო საჩეხი, რომელიც ზაფხულობით მშვენიერ საგრილობელს წარმოადგენდა: სიო არა-სოდეს არ აკლდა, მტკერის გუგუნი ნანათ მოისმოდა, თვალთ დასატკბობლათ დიდებული სურათი იხატებოდა წინ \*). სახლის მარჯვნივ ბაღჩა იყო გაშენებული. ფიცრულით შემოზღუდული ეზო წინა ჰქონდა მოქცეული, მტკერისკენ კი არა, კუჩის ხარეს.

საამი რომ მივიდა, იოთამე ბაღჩაში ჩუბუნებდა. ქაშებზე იდგა, თავზე ლურჯი ხელუახლუ ეკრა, ახალუხი ეცვა ლილებ ჩასხნილი. ხელოსანი მიეგება სტუმარს, პატივცემით მოიკითხა; სახლში შეიწვია. საამმა ბაღჩაში ამჯობინა ყოფნა და სტუმარ-მასპინძელმა უნაბ ქვეშ მოიკეცეს ხალიჩაზე. ცოტა ხნის მუსა-იფის შემდეგ საამმა უთხრა მისვლის მიზეზი.

— ჯარი უნდა შეიკრიბოს, ბატონ მეფეს უბძანებია, საუკეთესო ვაუკაცები დაარჩიეთ და იარაღს ჰიაქციეთ ყურადღებაო. სამოუამდინ მეომარ გამოვიყენ ჩემ საყმოდან. ოცდა ხუთი მხედრის მოწყობილობაა. საჭირო. დანარჩენს ზოგს თითონა აქვს იარაღი, ზოგს ჩემი ჯაბახანიდან დავურიგებ. საჭიროა თოფი, დამზახა, ხმალი და ხანჯალი. ეს უსათუოდ უნდა მომიმზადო

— როდისთვის გვიბძანებ, ბატონო?

— მარიამობის თვის პირველებში უნდა იყოს მზათ.

— შევიძლებ თქვენთვის მაგ სამსახურს, თუმცა ბევრი საქმე კი გვაქვს მოყრილი. მხოლოთ ნება გვიბოძეთ ზოგი რამ ვიყიდო, სხვა რომ მე გავაკეთო.

\* ) ის სახლი ეხლაც შევიძლიანთ იაზროთ, თუ მირზოევის ქარხანასთან გახვალთ და იქმდან შემოხედავთ ამ მხარეს; სვეტები ისევ დამზადა, თუმცა საჩეხი კი აღარ არის ზედ წამომდგარი, რადგან სახლი უკან დაუწევიათ და აზალ გეგმაზე აუგიათ.

— როგორც მოახერხებ, ოლონდ სანუო იარაღი კი იყოს და თავის დროზე, — მიუვო საამშა და ჩაბარა ბეი.

ამის შემდეგ სტუმარმა წასვლა დაპირუ, მაგრამ იოთამებ არ გაუშვა, ხილი შეაპატიქა. შებრუნდა შინ მასპინძელი. სტუმარი მუთაქას დაეყრდნო და ოცნებას მიეცა. ხილი მოართეა სინით მასპინძლის ქალმა თინანომ. საამშა რომ ფეხის ხმა გაიგო, წამოჯდა, მაგრამ როცა შეხედა ქალს, ზეზე წამოდგა და ზრდოლობიანათ მიესალმა; მის ქცევის მოკრთალება დაეტყო, თან ქალს თვალი ველარ მოსწყვიტა. ქალი კიდეც მოტრიალდა, საამი კი ჯერ ვერ გაშორკვეულიყო, განცვითრებული შეცყურებდა მიმავალს. არც საკვირველი იყო ესა: მის წინ გაიგრა ისნის ცისკარმა, მოსაჩვენებელმა სიმშვენიერებ.

ბუნება სცდილობს განახორციელოს ქალში უმთავრესად სიმშვენიერე, ის ისწრაფის ზედმიწევნით გამოსახოს მასში ეს უცვალებელი დარგი ღვთაებრივის არსებისა. ამისთვის არის, რომ ისე ვეთაყვანებით ქალთა მშვენებას: ღვთაებათა ვსახავთ მშვენიერს, რადგან თვით ღმერთია მასში ერთმხრივ განხორციელებულ-გამოთქმული. მაგრამ ბუნების ესეთი ლტოლოვილება აღვილათ ვერ ახწევს თავის მიზანს, ბუნება ყოველთვის ვერა ჰქმნის ქვეყნიური მძიმე და ბნელი ნითაერებისაგან ზეციური ნათლის შესაბამ სახეს. შემოქმედებითი ძალა მხოლოდ ხანდისხან ეწევა სავსებით თავის სურვილს და მაშინ ღირსგვეოს ვიხილოთ ქვეყნად ღვთაებრივი ელვარება. ისტორიაში აღნიშნულია ამისთანა მაგალითები, ცხოვრებაშიაც შეხვდება კაცი ამისთანა ნიმუშებს. ამ ათიოდე წლის წინად ცხოვრებდა ამისთანა ქალი თბილისში, წყაროს უბანში. უბრალო ხალხის შეიღლი იყო. ის რომ საზოგადოებაში გამოსული ყოფილიყო, ხალხი ფარვანასავით შემოვლებოდა თავს. მაინც ბევრნი მიღიოდნენ ქალის სანახავათ, თუმცა ადეილი არ იყო მისი თვალის მოკვრა, რადგან ერთობ მოკრთალებული ხასიათი ჰქონდა და ათასში ერთხელ გამოდგებოდა ქუჩის კარებზე. ამისთანა იშეიათი მოვლენათაგანი იყო თინანოც. თუმცა ჯერ არ გავსილ-გაბატრულიყო თხუთმეტი წლისა, მაგრამ არამც

თუ მხოლოდ ისნურ, მთელ ქალაქში იყო მოვლენილი მისი სიმშვერივრის ხმა. საათნავა პოეტიბლა იმის სიტურფეს და თინანაზე გამოლებულ მის ლექსებს უბანულან დამღეროდნენ; იმან დარქვა ქალს ისნის ცისკარი.<sup>1)</sup> თინოანს განსაცვიფრებელი სილამაზე იმაში მდგომარეობდა, რომ გამჭვირვალე სხეული შეკმოსოდა, სხიოსანი. ქალი მაშინვე მიხვდა, რა ძლიერი შთაბეჭდილება იქონია ახალგაზდა მებატონეზედ და შერცხვა, მის ბროლის სახეს სისხლი მოადგა და ააგზნო.

— ჩემი ქალი გახლდათ თინანო, მოახსენა იოთამებ.

— მშვენიერებაა! — გულწრფელად წამოთქვა საამშა. — რა-  
არ მინახავს აქამდინ?

— ვერა ნახავდით, ბატონო, რადგან სოფლათ არ მომ-  
უვანდა და შინაც იშვიათად მყვანდა: იასე დეკანოზი ზრდიდა  
ცხრა წლიდან, ნათესავათ მოხვდება დედის მხრივ.

— მაშ ნასწავლიც იქმნება.

— მოძღვარი ძალიან უქებს სწავლას; ჩემ შვილს ეფრემს  
არ ჩამოუვარდებაო.<sup>2)</sup>

ყმაწვილკაცს ისევ თინანოზე უნდოდა სიტყვის განგრძო-  
ბა, მაგრამ თაეი შეიმაგრა. ხილი იხილეს. უბრალო მსხალი  
საამს შაქარ-ლამაზე უტკბესი ეჩვენა.

## V

საამი მეორე დღესვე უნდა დაბრუნებულიყო სოფელში,  
რადგან საქმე გაარიგა და სიცხე-პაპანაქებაში ქალაქში დარჩე-  
ნა ვერაფერი სასიამოენო იყო, პაგრამ არამც თუ მეორე დღეს  
ვერ წავიდა, ერთი კუირაც მეტი მოუნდა თბილისში ყოფნა.

1) ბალდობისას გამიგონია ეს ლექსი. არ ვიცი აქვს ვისმე ჩაწერი-  
ლი, თუ ისიც დაიკარგა საათნავას ბევრ სხვა ლექსებთან ერთად.

ვ. ბ.

2) ეს ის ეფრემი იყო ალექსიევი, რომელმაც მღვდლობაში, გიორგი  
მეფის დროს, ლვინისათვის სახმარ ჭურჭლის ქება დაწერა ლექსად. ვ. ბ.

მხლებელი დარწმუნებული იყო, რომ მეორე დღეს გაუდგებოდნენ გზას და დილა აღრიანვე შეკაზმა ცხენები. ბატონს რომ მოახსენა — ცხენები მზათ გახლავსთო, იმან გაკვირვებით შეხედა მსახურს.

— ვინ გიბრძანა შეკაზმეო? ჯერ სავაჭრო არ მიყიდნია, არსაით მიემდგარ-მოვმდგარვარ და წავიდე? მოხსენ ცხენებს!

მსახური ერთხანს პირდაღებული შესკეროდა ბატონს, მერე გაბუნდა ბრძანების ასასრულებლათ.

— ნეტა იკოდეს კაცმა, რა აქვს სავაჭრო! ან თითქო ამ ქალაქ დღეში ბაზარში გასვლის ველარ მოვასწრობდით და გზადაგზა ვერ ვიყიდდით, თუ რამე გვინდა. ან რა უნდა გვინდოდეს! სახლი ისეც სავსეა ყოველივე ლვთის მოწყალებით, ფიქრობდა მსახური.

საამი დარჩა იმ დღეს ქალაქში, მაგრამ სავაჭრო არც-კი მოჰკონებია. მთელი დღე ალელუებული იყო: შად-გადიოდა, ერთ ალაგის ვერ ისვენებდა, წესიერათ ვერ ისადილა, სალიო-უკან არ დაიძინა; უმიზეზოთ ჯავრობდა, ხან მეტის-მეტათ ტკბებოდა და მხლებელს ელაქლანდარებოდა. მსახური გააკვირვა ბატონის ამნაირმა ქცევაში და დაუდგრომლობამ, მაგრამ რას შებედავდა, მზე ჯერ არც კი იყო გადახრილი, როცა ბატონი გამოეწყო და ულვაშის გრეხით გავიდა შინიდან. მხლებელი შებრუნდა და დაეგდო იატაკზე გალელილი, მაგრამ სიგრილეს ნაჩვევი მაინც ოფლში ცურავდა, შამფურივით ბრუნავდა.

— ნეტა რაღას აკეთებს ამ ჯოჯოხეთ ქალაქში ი დალოც ცვილის შეილი. ხომ მორჩი საქმეს და წადი რაღა! ცხენიან-კაციანათ რაზე გვხარშამ და სულს გვიხუთამ. მაგრამ ბატონი ბატონია, თუნდ ჭკვიანი იყოს, თუნდა სულელი: იმის ფიქრებს და უინიანობას კაცი აღვილათ ვერ მოუვლის თავს. მემრე როგორ უცნაურათ იქცევა! თითქო უკბინა რამემ, ზედ გულზე უკბინაო.

— კარგა ხანია ქალაქში არ ვყოფილვარ, — ფიქრობდა საამი — დავათვალიერო მაინც აქაურობა, თვალს წეალი დავა-

ლევინო, მინდა კიდეც დანამდვილებით ვიცოდე აქაური ქუჩა-  
მეიდნები და ადგილ-მდებიარობა, რადგან ბრძოლა აქ უნდა  
მოხდეს და საჭიროა ზელმიწევნით ახსოვდეს ადამიანს ყველა-  
ფერი.

— საამშა აღმა ჰქნა პირი; გაიარა მტკვრის კარი და წყალს  
გადაადგა, აქ დაუწყო თვალიერება არაგვის ხიდის ბურჯებს,  
რომლების გარშამო წყალი დუღდა და ქაფდებოდა.

— მკვიდრათ ჩაყრილი ქვა,—გაიფიქრა იმან,— კიდევ უმა-  
გრდება ზვირთების დენას, იმათი ჩამყრელის მარჯვენა კი, მძლავ-  
რი ნუგზარ ერისთავის მარჯვენა, დამიწებულია.

გაიარა გარეთუბანი და ივიდა ყაბახზე. ასპარეზი ეხლა  
ცალიერი იდგა, ქეეითა თალარზე მტრედები. შემომსხდარიყვნენ.  
მთაგონდა, რამოდენი ხალხი ზიმზიმებდა აქ იმ დღესასწაულში;  
როდესაც იმან პირველივე შეტყორუნით გადმოაგდო თალა-  
რიდან ვერცხლის თასი. თვით ერეკლემ უქო მაშინ სიმარჯვე.  
ომს რომ გაღიყრის ბატონი მეფე, კიდევ გაჭმართავს აქ დღე-  
სასწაულს. მაშინ საამი თინანოს სახელზე გავა მეიდანს. რო-  
გორი შურით შეხედავენ ბანოეანნი, როდესაც საამი ცალ  
მუხლზე დაყრდნობილი მთართმევს თინანოს ჯილდოთ აღებუ-  
ლს თასს. ახ, როგორ ანგელოზებრ დახრის თინანო თავის  
სამოთხე თვალებს. მე ვიცი სიმშვერიერეს დაუწუნებენ! ავიდა  
ქაშუეთან, შემობრუნდა, გახდა ხევს, ქართლის კარით შევიდა  
ქალაქშივე და სიონისკენ გასწია.

დახურულ ბაზარზე რომ მიდიოდა, არა ჩვეულებრივი  
მოძრაობა შენიშნა. ბაზრის ბიჭები მიეღნისაკენ გარბოდნენ,  
ზოგი-ოსტატიც დაედევნა უკან. საამშაც ააჩქარა ფეხი. მეიდანზე  
ხალხს მოეყარნა თავი. შეუ ხალხში თეთრი ყოჩი ეჭირათ. მაღა-  
ლი ცხვარი იყო, გძელ რქიანი, ქოჩორი ენდროთი ჰქონდა შეღ-  
ბილი. ყველზე ექვანი ება. ქერით დაეთროთ; თვალები აპროდა,  
ხალხს ეტანებოდა. ხიდის ყურიდან სხვა ჯგუფი გამოჩნდა, რო-  
მელსაც წინ თათარი მოუძღვოდა ქურთული ლეგა ყოჩით. ეს  
უფრო დიდი ცხვარი იყო. რქები უკანა ჰქონდა გადატანილი  
და მემრე წინ შემოგრეხილი; რქების წვერები დაეხერხათ. გაა-

կուտայ թիւ. ցալցնեն պահեծո. յշրտովունո սուրո մըր մանձուռս սկզբան դա ոչուքոմքա. ուստի քաելոն մոռում, ցցառնեցուռատ Ծովոն Շեանտեցու յրտմանցուսառ. մըսամյ ճաշեցեծանց ուցուրս յրտուն մալալո յամարա մոռյացու դա մռակուռգաձուրց հյեծո ճածլա մռարուցա. պահո ճածուռուն նյուրուն, նյուրուն սուսելո Ռասկէա. մյուր մերուն պայտուն ճածուրուն, մագրամ ցամիւրցուռունո ուցուրուն մանոնց ցամուցենունուն դա ուստի սուսիւրունուն, ուստի ժլուցուրց ճուտ ցչած մյուրուն, հռմ սոյան ոյեթնց ճածնույա ու ցամուռուն, մարջնու մոխարա. ալարու սուրու: ոյցու աելու ցայսուրուն յամարա, ճածկրա. մելուցուրուն յըմիւրուն, ճածուրուն ժուրուն լուց դա նու շյուցա. տատարո հռմ օյամուն հայոն բուռունուն Շյէպուրցուռուն ծրամուռունուն, ցելու Շամուելու, ուրու ճանա դա սոնուն ճածուռուն հայորա ուցուրունուն, մագրամ եցու քյուրուն, թիւրուն ցամուռուն ցամուռուն:

կամմա ուսց ցանացրուն ցնա. մուցուն լուցուն եցուան դա ածանուցեծուն պյուսա.

— յարցո ոյնեծուն ծարց մյեծանա, մագրամ չյեր ճարհիւս; եցալ թամոցալ ցանուաճուսաւ, ծոյնու թամոցուուռուն, — ուղոյիրա դա սոնուն ցամուռուն սցուռունուն, մագրամ սոնուն ճուրուն նորուն օծուրուն, ուսուս եօննց ցամուռուն, մյերեւս այարա, ցունոն լուց օլունուն ցամուռուն մուրցարս. լասաւցալուուրցուռուն օլարա ամունուն-րա. հաչուց մըմուտ ուստամյս սածլուն պյուսա.

— եռմ սմուցուն դա ծարց թ. ծարծարց քու ցուռունուն; կունց ցացաւցալուուրց, համուն մարջնու ոյնեծո մուրուն Շյույնեծո, ուղ ուսան մուրցարնց ցամունցուն մոռունուն ան կաթուուն եօնուուն, ան սուլան լուսուն ուռնուուն.

տոնանուն սածլուն թուն ոյեծո ճասկնարա դա ծեցրո ատցալուուրա յնուպուրու, մագրամ զյուրուն Շյենուն. մեռլուռուն ճատցուն ույնու ցունոն լուցուռուն սուսիւրուն, կունուն յնեցուն մոցցեծո. սաամիկ սյամա մալլուն նածցա, մուսու մոցուռունուն մոցցեծո դա եցու ճասկնար կոյուն պյուրունուն:

როდესაც საამი დაბრუნდა წმ. ბარბარედან და თინანოანთ  
სახლ წინ ამოიარა, მზე ახალი ჩასული იყო. ეზოს კარი ღია  
დახვდა. იოთამე ალაყაფის კარებთან იჯდა: ბალჩაში პირის-  
ფერმა კაბამ გაუელვა. საამს უცნაურათ აუძგერდა გული:  
ოსტატი წამოხტა, მხიარულათ მიეგება.

— აქათ სადა ბძანებულხართ, ბატონო?

— წ. ბარბარეში ვილოცე და მტკვრის ნაპირიც დავათვა-  
ლიერე იმ მხარეს.

— დაიღლებოდით, ბატონო, შემობძანდით.

— არა, გმადლობ; გვიან-და არის.

— რას მობძანებთ! მობძანდით, ბატონო; საათნავაც უნდა  
მოვიდეს, დამპირდა; მოგეხსენებათ, მეგობარია ჩემი. მცირე  
ვამშამი გავშალოთ ბალჩაში. მობძანდი, შენი ჭირიმე, ნუ იუკად-  
რისებ ჩემ ოჯახს.

— ნუ იტყვი მაგას! სასიამოვნოა პატივცემულ ადამიან-  
თან დროს გატარება. საათნავას სიმღერა ხომ დიდი ხანია არ  
გამიგონია, აღარ დავმტკარვარ მისი ჰანგებით.

ვახშამმა მხიარულათ ჩაიარა. მოსალოდნელ ომზე ჩამო-  
ვარდა ლაპარაკი. ამ ამზადმა ააღელვა მომღერალი, ეშეზე  
მოიყვანა და რამდენიმე საგმირო ლექსი იმღერა. მემრე საა-  
შიკო ხმები თქვა. ლვინო რომ შეუჯდათ, ხუმრობითაც ბევრი  
იხუმრეს. მელექსემ მოხერხებული ხმებით ია-ვარდი გადააყარა  
გაშლილ სუფრას. საამისთვის მხოლოდ ის აჩრდილებდა ვახ-  
შამს, რომ ქალი იმათთან არ იჯდა. დუჭნის ბიჭი რომ ხელზე  
ემსახურებოდა სტუმრებს, თინანო სარისტას აძლევდა, თვალ-  
ყურს ადევნებდა. მხოლოდ როცა საათნავა მღეროდა, ქალი  
აღარ შორდებოდა სუფრას და აღგზნებული თვალებით შეჰყუ-  
რებდა მგოსანს. მთვარის შუქზე სავსებით ისახებოდა მისი  
ჰაეროვანი მშვენება; ხშირი თმის კულულები სხივებივთ მოს-  
ჯროდნენ სპეტაკ სახეს; უმანკოება იხატებოდა მის თითქო

ოდნავ გაკვირვებულ თვალებში. საამი განიმსჭვალა სურვილით, უნდოდა თვალი არ მოეწყვიტნა ქალისთვის, მაგრამ გაბედვით ვერ უმზერდა: ეხათრებოდა, ეკრძალებოდა შეემჩნევინ ებინა გრძნობა.

— აფსუს, რომ კეთილშობილთაგანი არ არის, თორემ ამ ანგელოსს სამეფო ტახტის დამშვენება შეუძლიან, — ფიქრობდა საამი.

მთეარე ჩაესვენა, როცა სტუმრები გამოეთხოენ მას-პინძელს. საამი ოლტაცებაში მოეყვანა თინანოს და ისე ძლიერ უთქვამდა მისთვის გული, რომ თავის შემაგრება უძნელდებოდა. მისი გონება ეხლაც თინანოს უმზერდა, მხოლოდ იმასა ჰედავდა, იმას ეტრფოდ-ეალერსებოდა; სხვა ყველაფერი ბნელს ჩაენთქა მისი ჰერისათვის.

სირაჯხანაზე დაბრუნდა. ქუჩის თავში, მიკიტნის ღუწნის წინ ორი კაცი შეექცეოდა. ერთს მოკლე ახალუხი ეცვა ნაოჭათ ასხმული, განიერ შალვარზე მწვანე ყანაოზის სათავე ეკრა, ტყავის ქამარზე ვერცხლის ბალთები და წოწოლა ღილები ესხა; მაღალ-ყელიანი ჩუსტები ეცვა. ღილებ ჩასხნილ ახალუხიდან წითელი მოვის პერანგი უჩანდა. წევრი მოეშვა. ბდლვრიალა თვალები და ჯიღა წარბები საშიშ იერს აძლევ-დნენ მის სახეს. მეორე უფრო ახალგაზდა იყო, მომცრო ტანისა. თეთრ ჩიხაზე შალის სარტყელი ერტყა ფოჩებიანი; საცვეთ-ქალამნები ემოსა, თეთრი წამწმით მოზღუდული წითელი თვალები აცაბაცა დაურბოდნენ. საამშა რომ ჩამოიარა, მოქეიფებმა ყურები ცქვიტეს.

— ბიჭო, ტიტიბ! ეს ის თავადიშვილი არ არის, წელან რომ მიიღინზე დაგვისხლტა ხელიდან?

— ის არის! სადა ყოფილა?

— ერთი კიდევა ვცადოთ! მაშინეუ მოუჩხრეკდი მაგას ჯიბეებს, თუ ი თათარს უდროვოთ არ ეძრო დანა.

— არა, ყოჩამაც ცუდ ღროს გვიმტყუნა! — თქვა შავ წვერამ და წამოხტა:

ღამის ოსტატები აედევნენ საამს. ჩოხიანი კედელ-კედელ  
მიცურავდა, შეორე შუა ქუჩაზე მიღიოდა. სირაჯხანის თავქვე  
რომ ჩათავეს და ჯვარედინ გზაზე მივიღნენ, შავ წვერა გადუ-  
დგა მგზავრს და სალამი მისცა:

— ბატონ გაუმარჯოს!

გავიმარჯოს! — მიუგო საამთა და გზა განაგრძო. ავაზაკი  
წინ გადაელობა და უბძანა ჯიბები ეჩვენ ებინა.

საამი გამოერკვა ოცნებას. შეეძლო იქვე გაეგმირა კაცი,  
მაგრამ იარაღის ხმარება ჰაზრათაც არ მოსვლია; მხოლოდ  
გაიკვირვა იმ კაცის კადნიერება. ავაზაკმა ხელი სტაცა საყე-  
ლოში. ვაუკაცმა ნახა, რომ ავაზაკი ალარ ხუმრობდა, სარმა  
გამოჰკრა, ანაზდეულათ დასკა ძირს თავხელი და გულზე მუხ-  
ლი დააბჯინა. ამ დროს მეორე ამხანაგი მიეპარა საამს უკნი-  
დან, იძრო საცეცილან ბებუთი და დასკა. საამი წამოხტა,  
ხმალი იშიშვლა, მაგრამ ჯიბგირმა ერთი თავი დალუნა და ისე  
გაქანდა რიყისაკენ, როგორც შურლულის ქვა. წაქცეულმაც  
იღროვა, სიბნელეში მიიმალა.

ეხლა კი გული მიეცა ასასს, რომელიც მიწოლილიყო  
კომბლით ხელში და თავი მოემძინარებინა; მიეშველა დაჭრილს.  
საამს უნდოდა ბინაზე წასულიყო, მაგრამ რაღგან დიდი ბან-  
ძილი იყო იქამდინ, სისხლი კი თქრიალით გასდიოდა, იოთა.  
მეს სახლსვე მიატანა. ძალიან კარგიცა ჰქმნა, რადგან დუქანში  
აბა ვინ მოუვლიდა იმას. ასასმა მიაკილა სახლამდინ.

#### VII

ამ უსიამოვნო შემთხვევამ შეაწუხა იოთამე. დაჭრილი  
თავის დას სიღონიას და ქალს ჩააბარა. თითონ კი ძამნა ბა-  
ჯია შეილთან წავიდა, რომელიც განთქმული ექიმი იყო  
მაშინ. \*) დოსტაქარმა ჭრილობა რომ გასინჯა, მაშინვე ირმის

\*) ამ ბაჯიაშეილებს გვარათ მოუდიოდათ ექიმობა. იმისი ჩამომავ-  
ლები ეხლაც ექიმობენ. შეუდარებლები არინ გატეხილისა და ჭრილობის  
მორჩენაში. თითონ ძამნა ერეკლეს გათქმულ ექიმბაშს ივანე ყარაშვილს  
არ დაუგარდებოდა.

თასმა მოუკირა ზევით, იარას პირი უყო და ვამოწოვა; გა-  
მოავლო წამალი რამ და იქვე მომზადებული მალამოთი შეუ-  
ხვია.

— უროჩე მოვასწარი! თითონ ჭრილობა თქვენისთანა კაუ-  
კაცისთვის არაფერია, მაგრამ ბებუთი მოწამლული ყოფილა,  
უთხრა ექიმი.

საამა მოისურვა თავის ბინაზე წასვლა, მაგრამ არც სახ-  
ლის პატრონმა, არც ექიმმა არ გაუშვეს, რადგან მოვლა ექი-  
რვებოდა და იქ ხელს ვერავინ შეუწყობდა.

— ესეც რომ არ იყოს, უთხრა ექიმმა, ეხლა თქვენი და-  
ძერა შეუძლებელია: იარა დაიჯლება. პავას ააღებს და გაა-  
რჯლდება. ერთი კვირის შემდეგ შეიძლება ცხენზე ჯდომას,  
პირდაპირ შინ წაბძანდებით.

— მანამდინ კი ჩემი სასურველი სტუმარი უნდა პძანდე-  
ბოდეთ! გოხოვთ ისე გულდინჯათ იყოთ ჩემ ოჯახში, როგო-  
რც საკუთარ სახლში, შესთხოვა მასპინძელმა.

მეტი გზა არა ჰქონდა საამს, უნდა დაპირისილებოდა. პირველათ ეხატრებოდა. ეჩოთირებოდა სხვის სახლში წოლა,  
მაგრამ მალე შეეჩია, რადგან გულწრფელი პატივცემით და  
სიყვარულით ეპყრობოდნენ ყელანი. თინანოანი იმიტომ  
კი არ ექცეოდნენ ავათმყოფს ლმობიერათ, რომ .ის ბატონ-  
კაცი იყო და მისგან რამეს გამოელოდნენ, არამედ იმიტომ,  
რომ თითონ ოჯახი იყო გულ-ლია, სტუმართ მოყვარე და მო-  
სიყვარულე. გაჭირვებული მტერიც რომ შეპფარებოდათ, იმა.  
საც არ მოაკლებდნენ ზრუნვას.

საამმა ცნობისმოყვარეობით დაუწყო მასპინძლის ოჯახს  
თვალიერება. ამგვარი მოწყობილი სახლი ახალი რამ იყო მი-  
სთვის და უცნობი. ჯერ იმან მიიქცია საამის ყურადღება,  
რომ .აქ შრომა იყო პატივცემული, გაბატონებული. ოჯახის  
უფროსი ხომ დილიდან საღამომდინ მუშაობდა. სახლშიაც  
მისი და სიღონია და ქილი თინანო დაუდალავად საქმობ-  
დნენ, დაუსვენებლივ ტრიალებდნენ, დღიურ ვარამს ებრძოდ-  
ნენ უჩუმრათ, როგორც რომელსამე აუცილებელ მოძრა-

ობას, აღრიდგანვე შეთვისებულს. მსახური არა ჭყვანდათ, დუქნის ბიჭს მოჰქონდა, რაც საჭირო იყო, სახლი მაინც ყოველთვის დალაგებულ-დასუფთავებული იდგა, სადილ-ვახშა-მი თავის ღროზე მხალდებოდა, ყველა კუთხეში სისუფთავე სუფედა, ყველაფერი დარეცხილ დაქათქათებული იყო. ამას-თანავე მობოშილი არავინ დადიოდა, ჩატრულ-დახურულები ტრიალებდნენ. არამც თუ სახლის საკერავ-საქსოვი არ გაჰქონ-დათ კარზე, თითონვე ასწრობდნენ საბაზრო ხელსაქმის კეთე-ბას. თანაც შრომას მთლათ ვერ ჩაენთქა ისინი, რაღაცა მან-ქანებით კიდევ რჩებოდათ ღრო გონება — გრძნობის სავარჯიშოთ. სახლში ჰქონდათ ვეფხვის-ტყაოსანი, ქალვაჟიანი, ვისრამიანი, ამირან-დარეჯანიანი, ყარამანიანი სურთებით, ზოგიერთი საეკ-კლესიო წიგნები, კარაბალინი. ყველა ეს საუნჯე ხელუხლებლათ არ იდო კუთში. თინანომ მთლათ იკოდა წიგნების შინარსი, ვეფხვის-ტყაოსანს ხომ ზეპირათაც კითხულობდა. გარდა ამისა ოჯახში სასტიკათ დაცულ უფროს-უნცროსობასთან მოთავსე-ბულიყო ერთმანეთის გულითადი სიყვარული. ესეთი ოჯახი ახალი ხილი იყო მეთქი საამისთვის, რაღვან თუმცა იცნობდა მარად მშრომელ გლეხის ოჯახს, მაგრამ იქ შრომა ყოველთვის სამძიმო ტვირთათ რიაჩნდათ, აუცილებელ სატანჯველად: გლეხი არ იყო ნამდევილი მესაკუთრე, არ იყო თავის ნალვაწის პატრონი, მისი ოფლიც და ქონებაც ბატონს ეკუთვნოდა, მისი შრომა იყო ნაძალადევი და ამისთვის სამძიმო; შრომას იქ თანა სდევდა ავო-ბა, ღრიალი, ლანძღვა და ცემა უნცროსისა თუ საქონლისა\*).

თავალ-აზნაურის ოჯახში კიდევ გაბატონებული იყო სიზარმა-ცე და რაც უფრო დიდებული იყო ოჯახი, იმდენად მეტი იყო იქ უსაქმობა, ისე რომ ბატონ-კაცურად ცხოვრება და უქმად ყოფნა ერთი და იგივე იყო; კეთილშობილთ ოჯახსაც არ ედგა საძირკვლად სათნოება, რაღვან უქმობასაც, როგორც ნაძალადევ შრომას, არ შეეძლო სიმშეიდის და კეთილ-ვანწყო-

\*.) გლეხი დღესაც ისე ლანძღავს თავის საქონელს, თითქო სხვისა არისო,

ბილების გაღვიძება. საამი იცნობდა კიდევ სამღვდელოების ოჯახს, მაგრამ იქ საკურთხებლათ გაწევდილ მარჯვენაზე სიხარბის დაღი დაესვა ეშმაქს და წაებილწა.

იოთამექს სახლი რომ მოეწონა საამს, ეს იმ ოჯახის ხა- სიათიდან წარმომდინარებდა, მაგრამ საამი რომ აღტაცებაში მოიყვანა იმ ოჯახმა, ამას კი სხვა სარჩული ჰქონდა: ამის მი- ზეზი თინანო იყო. ქალი ეხლია აღარ უფთხოდა საამს, აღარ ეკრძალებოდა; ისე უყურებდა იმას, როგორც ავადმყოფს, სა- სიამოვნო ავადმყოფს, რომელსაც ხელის შეწყობა და მოვლა ეჭირვებოდა. თინანომ ისე შეიგნო ეს თავის მოვალეობა, ისე შეუწყო ხელი ავადმყოფს, ისე შეუწონა მის ხასიათს, რომ სენი გაუადვილა ვაუკაცს, შეუდარებელი შემწე შეიქმნა დოს- ტაქრისა.

— ეს ლვოისგან დალოცებილი, — იტყოდა ხოლმე ექიმი, — ისე აზრიანად და მარჯველ ირჯება, თითქო თავის დღენი ამ საქმეში გაუტარებიაო.

უფრო სასიამოვნო ის იყო, რომ ქალის სათნოებით სავსე წრფელ გულთან შეთხილი იყო ხასიათის წრთვნილება. ქა- ლის გუნებაში სიმხიარულე სკარბობდა, აღტაცებული მხიარუ- ლება კი არა, რომელიც გირშავობათ გაღიქცევა ხოლმე, არა- მედ დინჯი სიმხიარულე, რომელსაც თანა სდევს ფიქრ-ნაღვ- ლის ანგელოზი და ფრთას არ აშორებს. ზნე-ქცევის სიმარტივე- სიფაქიზეს ჩაუმა-დახურვის სიმარტივე სიფაქიზეც შექხამებოდა. დაცქრიალებდა ქალი, როგორც ნათლის ქულა რამ, ოჯახის ყოველ კუთხეს ასინათებდა, ყველას გულს ათბობაშუქებდა.

ამ ქართველი ხელოსნის ოჯახმა და მისმა შრომა-ხიყვა- რულზე დამყარებულმა წყობილებამ ხომ ასიამოვნა ვაუკაცი, თითონ საამმაც კარგი შთაბეჭდილება მოახდინა ოჯახზე. ბა- ტონი ამ ხალხს წარმოდგენილი ჰყვანდა, როგორც ნებიერი რამ სულდგმული, მბრძანებელი, უინიანი, თვითწება, რომელი- საც ყველაფერში და ყოველგან მხოლოდ თავის თავი ახსოვს, რომელიც სხვისაგან მხოლოდ სამსახურსა და მონობას თხოუ- ლობს. საამი კი არ აზიზობდა და სიმტკიცით იტანდა ტკივი-

ლებს, მისი გმინვა არავის გაუგონია; მემრე სულ ფთხილობდა, არვინ შეეწუხებინა გაუჭირებლივ, ხოლო მცირეოდენ სამსახურსაც კი მაღლობით იღებდა; ესე ექცეოდა ის არამც თუ მასპინძლის სახლობას, თავის მსახურსაც, რომელიც ბრიყულად მედიდურობდა, ყვინტყვინტებდა, თუმცა პატრონის ჩუმალ კი, რადგან ჰიდა. მიში და ხათრი ჰქონდა ამ ლმობიერი ბატონისა.

— ამისთანა კეთილშობილ მებატონის ხელში ყმა უბედული არ არის, გაიფიქრებდა ხოლმე იოთამე.

— სწორედ ბეღნიერ გარსკვლავზე იქნება დაბადებული ის ქალი, რომელიც ამ ვაჟაცს შეხვდება, — ფიქრობდნენ ქალები.

თინანოს მით უფრო მოსწონდა თავის ზრდილი ავადმყოფი, რომ კრილობამ უფრო დაამშვენა ის: შავი წვერ-ულვაში მეტად ეშხიანად ეხვეოდა გარს მის აწ მკრალ სახეს, შავთვალებს თითქო უფრო უდიდრონებდნენ თვალ ქვეშ ჩამუქებული უბეები; ეს თვალები გულს სასიამოვნოთ უტოკებდნენ თინანოს, რადგან ალტაცება იხატებოდა იმათში, თუ ქალი მიუახლოვდებოდა ვაჟაცს.

## viii

იმოდენად მორჩა საამი, რომ შესძლო ცხენზე ჯლომა. ეხლა თუმცა შეეძლო წასულიყო სოფელში, მაგრამ კიდევ დარჩა ცოტა ხანი; თითქო აღარ მიუხაროდა შინ, გული დაპიროდა იქ. მაგრამ როდემდის? წასვლა საჭირო იყო, ხანის დაყოვნება აღარ შეიძლებოდა. უკანასკნელმა ვახშამმა მეტი ხანი გასტანა. საამი შესთვისებოდა სახლს, ოჯახის წევრებიც შესჩვევოდნენ იმას და გაყრა ებნელებოდათ. ვახშამზე ისევ მოსალოდნელი ბრძოლის შესახებ ჩამოვარდა. ლაპარაკი.

— ამოდენა ხალხი რომ იხიზნება, თქვენ როგორა ფიქ-რობთ ამაზე? — შეეკითხა იოთამე.

— კარგია, რომ ფიხილობენ, თავდარიგს იჭერენ, მაგრამ ქალაქი თუ აოხრდა, განა სოფლები კი ხელუხლებლები დარჩებიან? მტერი თარეშს დაიწყობს, უპატრონო სოფლებს გაანადგურებს.

— მაშ მე არ გაეხიზნო სახლობა?

— უნდა გახიზნო, თუ სადმე მიუვალი აღგილი გეგულება, ესეთი აღგილები კი მხოლოდ მოებია.

— ბატონ ერეკლეს რომ უბძანებია, ქალაქამდინ უნდა მოვიტყუო მტერი და აქ შევებძოლოვთ, უწუნებენ ამ განკარგულებას.

— ეგრე ფიქრობს, ვისაც საქმე არ ესმის. მეც არ მომწონდა მისი ბძანება, მანამ საქმეს ჩავაკვირდებოდი; ეხლა კი სხვა არის. როგორა გვინია, ანაზღათ მომზადებული ჩვენი ჯარი გაუძლებს გაშლილ ადგილზე ალა-მაჰმად-ხანის უთვალავს და გაწვრთნილ ლაშქარს? ვერა! მაგრამ თუ ჩვენი ჯარი ესეთ სიმაგრეს მიჰყუდებს ზურგს, როგორც თფილისია, მაშინ ერთი ასა სძლევს.

— მართალსა ბძანებთ! ცოდვა არის ერეკლეს ომის შესახებ აზრი დაუწენონ, მაგრამ ათას ხმას ავრცელებენ.

— ბევრი მტერი ჰყავს ბატონს. შამოხიზნულ უცხო ტომებისას არას გეტყვით; იმათოვის საქართველო არ არის სამშობლო ტკბილი, ისინი პირად სარგებლობას მისდევენ და განსაკლეულში სანდონი არცა ყოფილან, არც იქნებიან, მაგრამ მათი მტრობა და ვერაგობა ანგარიშში მოსატანი არ იქნებოდა, თუ იმათ ხელს არ უწყობდეს შინაური არეულობა: ბატონიშვილის ერთმანეთში მტრობა და მძლავრთა თავე-დობა.

— სწორეთ ეგვევე ბძანა იმდღეს ჩემმა ოსტატმა და ღმერთს შესთხოვა განსაკლეული აეცილებინა მეფისთვის, თქვა მოტცხობით თინანომ.

— იასე დეკანოზი ჭკვიანი კაცია და იცის, როგორ სწარმოებს საქმე. დაისხნას უფალმა მეფე და ქვეყანა განსაკლეული-საგან!

— მე ესე მოვიფიქრე: თუ რამე საფასური გვაქვს, დავ-  
ფლავ მიწაში, შევემზადები გასახიზნათ და მოვიცდი, რადგან  
მეფე აქ იქნება და, მაშასადამე, ეს ადგილი ყველაზე ძლიერი  
ადგილია ეხლა. თუ გაჭირდება, თითონ ბატონი ერეკლე გვიბ-  
ძანებს გაიხიზნენითო. მანამდის კი ვიმუშავებ; სარგებლობაც  
რომ იქით იყოს, სწორეთ ეხლა სჭირია ქვეყანას ჩემი ხელობა,  
თქვა იოთამებ.

— თუ გაჭირდა, მაშინ მე გაგხიზნავთ თქვენცა და ისე  
დეკანოზის სახლობასაც; ბირთვისის ციხეში ჩვიყვანთ.

— შენი იმედი ნუ მოგვიშალოს ღმერთმა, ჩემო ბატონო!

— თუ თავი ხელთ მექნება, ხომ თითონ მე ვიცი, რო-  
გორც მოვიქცევი, თუ არა, ნიშანს მოგცემთ და ჩემი ყმები  
აასრულებენ ჩემ სურვილს; ეს რომ სთქვა, ამოილო ბეჭედი  
და თინანოს მიაწოდა.

— დედი ჩემის სახსოვარია ეს ბეჭედი, ჩემთვის მთელ  
ქვეყანაზე უძეირფასესი; გთხოვთ ჩემ სახსოვრათ გქონდესთ  
ეს! ეს ნივთივე იქნება ის ნიშანი, რომელსაც მოგახსენებთ.  
გადააბრუნეთ. ამენდე, ამოჭრილია „თ“ და „გ“: დედაჩემსაც  
თინანთინი ერქვა.

ქალმა თითქმის უნებლიერ გაიწოდა ხელი ძვირფასი ბე-  
ჭდისაკენ და თან მამას შეხედა. იოთამე ერთ წამს შეფიქრდა  
და ნება დართო ქალს.

— მე ვილოცამ განსვენებული დედა თქვენისთვის! თქვა  
აღტაცებით ქალმა და ნივთს მიუჟალერსა.

იოთამე შევიდა ოთახში და ცოტა ხნის უკან თან ხმალი  
გამოიტანა. მახეილი უბრალოთ იყო შემოსილი, ერთი ვერც-  
ხლის ბალთა არ ება. მიართო ნივთი საამს და მოახსენა:

— ეს მცირედი სახსოვარიც ჩემგან ინგბეთ!

საამმა ჩამოართო ხმალი და რომ ამოილო, თვალები გაუ-  
ბრწყინდა, აეგზნო.

— ერთ ციხეთა ლირს!

— იცანით! — სთქვა იოთამემ სიამოვნებით. მემრე ჩამო-  
ართო საამს ხმალი და, რომ ეჩვენებინა მისი სიკეთე, თითქმის

დაკეცა, ისევ გადასცა ნივთი ახალ პატრონს და ნაღვლიანათა სოქვა:

— ოსტატი ვარ, დღეს ხელობაში წინ ვერვინ წამიდგება, მაგრამ მაგის მზგავი მახვილის გაკეთება ვერ მოვახერხე. ჩაკვირდით! ფოლადის წმინდა ძაფებისაგან არის შეთხილი მთელი ხმალი, არ-კი ლაპლაპებს, ბუნდათ ბრწყინავს, როგორც გველის კანი.

— ნეტა ვისი ნაქონია ეს პატიოსანი იარაღი?!

— შემთხვევით ჩამიგარდა ხელში. ზარაფ მიღუასთვის მიეყიდნა ერთ მეტივეს ვერცხლის ყაწიმები და ეგ ხმალი. ტყეში ვმუშაობდი და ხეებს რომ ვათვალიერებდი, მორჩე დაყრდნობილი შეიარაღებული ოსმალი დავინახეო; შემეშინდა, გავიქეცა სხვა მხრიდან მოუარე, კაცი ისევ იქ იყო, არ ინძრეოდა; მოვიმარჯვე ცული, ფეხ აკრეფით მივებარე, — მკვდარი ყოფილიყო; ეს ხმალი და ყაწიმები იმას ავყარეო, ეამბნა. მაშინვე ეიცანი ნივთი და ვიყიდე.

## IX

აბანოებიდან მეჩუსტეებისკენ მიზდევდა აღმართ-დაღმართი ქუჩა, რომელსაც მოკლე გზით გადმოჰყეანდა მეიდნის თავში. ამ ვიწრო ქუჩაზე მლებრები ისხდნენ. ზარაფ მიღუას აქა ჰქონდა სახლი. სამ სართულიანი შენობა იყო; სარდაფს ორი ოთახი ედგა ერთმანეთზე, ისე რომ მთელი სახლი სამი ოთახი იყო ზედიზედ აშენებული. სახლის კედელში ისეთი ვიწრო კიბე ასდევდა, რომ კაცი კაცს გზას ვერ აუქცევდა. მთელი შენობა პაწაწინა კოშკს წარმოადგენდა. სახლს თარო-თახები და განჯინები ჰქონდა დატანებული. უბანი მჭიდროთ იყო დასახლებული, დილიდან საღამომდინ ირეოდა ხალხი.

მაშინდელ დროში ზარაფხანა ბანქს წარმოადგენდა. ფულის დანურდავება და ამაში გროშების აღება სახელდახელო რამ იყო ზარაფისათვის. უმთავრესი მისი საჭმე ის იყო, რომ ზარაფხანაში ფული შეჰქონდათ. შესანახათაც და გასასესხება-

ლათაც; ზარაფი ამ შეტანილ ფულს ათამაშებდა; ალექ-მიცე-მნაბდა. ზარაფსვე აბარებდნენ შესანახად ძვირფას ნივთებს, თუ საჭიროება მოითხოვდა. თუ ზარაფი ნდობას დაიმსახურებდა, მის ხელში დიდი ფული ტრიალებდა.

დუქანი მიღუას ბაზაზხანის ქიმში ჰქონდა, სიონისკენ. დიდი მდიდარი კაცი იყო, თუმცა არ იჩენდა. სიმღიდრეს და ძუნწათა ცხოვრობდა. როცა ომიანობის ამბავი გავრცელდა, იმან მაშინც სარისტა დაიჭირა.

— ომიანობა გაჩნდება, დავიდარაბა. ეინ იცის, რა მოხ-დება! — ფიქრობდა ის. — ქალაქი ჯარით აიგსება, ხმალი და-ტრიალდება. ათასი მოკვდება, ბევრი დაიკარგება. მემრე ვინდა უნდა გამინალდოს ჩემი ფული? სჯობია სარჩო შევაგროვო, უველაფერი ანგარიშში მოვიყენო და ისე დავხედე არეულობას. რამდენიც უფრო მეტი ნალდი გაქვს ხელში, იმდენი უფრო ძლიერი ხარ და უშიშარი ამისთანა გაჭირების დროს. ესეც იქით იყოს, კკვიანი კაცი, თუ ნალდი აქვს ხელში, ბევრ სა-ხეირო საქმეს გააკეთებს ამისთანა დროს. რამდენი ძვირფასი ნივთი ან მამული გაიყიდება მაშინ ჩალის ფასათ! როცა ჩხუბო-ბენ, ტვინი აღარა რჩებათ თავში და ოქროს ბზის ფასათ აბნე-ვენ. მეომარი რომ ხმალს. ატრიალებს, მოქალაქე ვერცხლს. უნდა აპრიალებდეს.

მაშინ იყო, რომ მიღუამ უბრალო ტანისამოსი ჩაიცვა, საზარაფო ყუთში ნალდი შეამცირა; სესხათ აღარავის არ ა-ლევდა, თუ არ დიდი გირაოთი და მოვალეებში დაიწყო სიარუ-ლი ფულის მოსაგროვებლათ.

ამავე დროს სხვა დარღიც გაუცხოვლდა მიღუას და-ლრონიდა. საქმე ის არის, რომ ზარაფს ერთი პირი ცოლშეიღო ამოეჭამნა, — ამბობდნენ სიძუნწით ამოალრჩოვო, — და წუხდა, რომ მის აუარებელ ქონებას მემკვიდრე არა ჰყეანდა. გადაწყვიტა მეორე ცოლი შეერთო.

— რა მიჭირს? ჯერ ისევ ჭარმაგათა ვარ. რითი მჯგბიან თავსუბუქი ჯეელები? თვალ მარგალიტში ჩავსვამ ცოლშვილს.... განა ცხონებულ თალალას კი არ შეეძლო ოქროს ღილებია-

նո յատօնի հայոց, զերպելու յշուսլցածուն յոշեցից Մեմքառո  
յու և սյուլ պածլութեազո յշամեն, մագրամ կյանու ոյս, յառա-  
տօննո. հոգուն սեարուն եռլմից, հուրա մոցեաս Մեմունիւն-  
ուն! առ օսկալու սամպալս օրացլատու շայեարնա. յէ, լուսու  
նցիա պայլագոյրո. ցանա հիմ տալուալոս կո առ յնանցիա յելու,  
հոմ ամուցենա Մեմլցեաս პարունու ալուրա հիյեա. հոմ Մեյմլուս  
պեռնցեալուս, համոմմաեցից:

„մոլոչան, աելու հաս նուսան յցրու և լուս առ որ-  
տամ! ցոնդա Մեյ մմա և ուսուս ավալ-ծովալուց ցամարու! յրու  
մյմկանուց ցաշինց հայք յոնց յոնցիւն!“.

— մագրամ աելու սարու յուշոյու տալուալոս սածալուն յալու? ահա, ցոն  
ջամիկիր յալս, հոմելու մոյալայը ցամուցեալուս, յալու  
առ մոմցուս, մագրամ ցան ույ յարու ցոնմե Մեմումուցարուց սաելմնու.

մոլոչոս ցասագորու յելու յս ոյս և տցուս մոցալուց յուն հոմ  
լուսուն, ան ճաշունց յուն, յս կանու հրուսութեատ տանա սլցաւա,  
ամ լուց տացու լուսարուսուց յուն, հասիյրիսուլուց յուն, մուսցենցիաս առ  
ածլուց յուն. ու յելու ուստամեստան հոմ մուսուն ցալուս ցասան-  
լուց յուն, տան առ կանու մուսուն հրուսութեատ.

— մուսուն մյուս մյուս համար հարցատ ցայցու հիմու լուսուց յուն!  
մուտերա, սածեամա ոյ ունցու, սալապ առ յելուս; տղմու սոնելու  
ցեցուց յուն, մագրամ Մեյ մարչացնուն հալապ մալու  
լունարցիս լու մուտու լուսուց յուն, ծուլուս Մեյ ցոյնուց յուն առ  
ու ունցու համ նունցու, ույ սեցա յուլուս սուսիսուլու. հիմ յուս-  
մատնյ ամեսնուց, հալա. նյուրա ցոն ոյնցիա? հիմ մարչացնաս ույլու  
ույունացու լու ալուս ու մալու լուսուն ելուս ցուլնյ, — յոյնիու-  
թարացու.

ուստամե ցանմու Մեյ. մոլոչու ոյնց ստեռցա ույլու. Ցոն-  
յալս կյոնդա նալու, լաձուրու ցամպարցիաս; წաուցանա, յան-  
ցարունա, հաածարա, տամասույի լաանցունա. մյուրու ուստամե յամնու.  
սամմու սբումրուն լու հունց յոնդա մոմեթարուու լութմալու.  
մբրուս լուսեմա. ամանյ հոմ լութարայութնյ, յեռու յարու ցայցու  
և յալուց յունունիւն. մոյսալունիւն սբումարս; հուցըսապ մո-  
լուսամ տոնանու ճանա, մալուսան մոյթունա.

— ეს თინანო აო არის, შენი ქალი?

— ის არის!

— რას წარმოვიდგენდი, პატარა თინანო ამოდენა გაიზდებოდა და ესე გაიფურჩქნებოდა!... თეალში ჩინი ჰქონია საათნავის, რომ ლექში უთქვამს ამაზე. მართლა რომ ცისკარია მნათობლათ აღმომხდარი! თქვა მიღუამ და ისეთმა. პაზრიმა დაჰკრა თავში ელვასავით, რომ თითონვე შექრთა.

— რა ქალია! — ფიქრობდა ზარაფი გზადაგზა, — სწორეთ ბაჯალლოა, ბედი გაქვს რალა, მიღუ! შენ ოქროს ტახტზე სწორეთ მაგისთანა ვარსკვლავი უნდა. დაბრწყინდეს. მემრე ეგ ქალი იოთამეს მემკვიდრეა და იმისი ქონებაც მე დამრჩება. მაგრამ ძალიან ნორჩია ჩემი თინანო, მე კი თმაც გამითეთრდა. ეჭ, თმას რა ჭკუა აქვს. ჩემი ოქროების სხივზე ჩემი თმაც ყორნის ბოლოხავით იპჭყერიალებს. რა უშნოთ ვიყავ ჩაცმული! ერთი კიდევ ენახამ და...

## x

ჯერ წირვები არ დარეკილიყო, როცა მიღუა ბრთვებოდა, საუკეთესო ტანისამოსს იცვამდა: ბურნუთის ფერი განიერი შალვარი, ყოშებიანი ახალუხი, შავ მაუდის კაბაზე ფოჩებიანი სარტყელი, ხარაზის წალები ყელზე სოსან ტყავ წაკრული. ჩამოიცვა თავზე ბუხრის წოწოლა ქუდი და ჩაიხედა სარკეში. თითქმის მოეწონა თვისი თავი. მხოლოდ ის არ ესიამოვნა, რომ ახლათ მოპარსული პირის კანი გაფხეკილ საქალამნეს დაჰკვანებოდა.

— მაშ ვერა ვარ პატივსადები მოქალაქე? შნოთიც. რა მიჰირს! მაგრამ ნეტა ეთვალები რათ მეწირპლება, — სთქვა და ლურჯი ხელცახოცი გამოისვა კილოებში. — ამბობენ, კილო დაბმული თეალი სიძუნწის ნიშანია. სიძუნწისა კი არა, ჭკუის ნიშანია; თუ არა, მე, უპოვარ-უშოვარმა კაცმა, როგორ შევიძინე ამოდენა სიმდიდრე. აკი გეუბნები, ჩემი სიმშეენივრე ჩემი ჭკვა და ჟუნარია მეთქი:

გასწია ზარაფშა ისნისაკენ. იოთახეს გაუკვირდა მიღუას მისვლა; ყურები ცქვიტა, ვნახოთ რა უნდა ამ კაცს, რადგან ეს უსაქ- მოთ არსად წავა და მემრე ესე მორთულიო; არაფერი კი არ შეამჩნევინა, გულ-ლია დაუხვდა. ლაპარაკში სადილობამაც მოა- ტანა და რაღას გაუშვებდნენ სტუმარს. ქალებიც იქვე დატრია- ლებდნენ, ჰაზრათაც არ მოსვლიათ მოჭრილებოდენ ნაცნობ ბერიკაცს. ყარყარა თინანო რომ დაცქრიალებდა, მიღუას ჰარში ნერწყვი მოსდიოდა და თან გაბეჭულობა ეკარგებოდა, იმედი ერყეოდა.

— ახ, ნეტა შეიძლებოდეს ჯეელობის ყილეა! ჩემ ნახევარ ქონებას მივცემდი, ვინც ახალგაზლობას დამიბრუნებდა, ფიქ- რობდა ზარაფი.

სადილზე ბერიკაცმა ლაპარაკს უმატი, გამნიარულდა, ალ- ტაცებაში მოვიდა; ათასი რამ ამბავი თქვა, ბევრი იოხუჯა, იკლიკან ტური სადლეგძელოები დალია. აცინა ქალები. გამო- თხოვებისას ითათამეს გადაეხვია, ქალებს ხუმრობით ხელზე აკოცა.

— ვინა თქვა, მიღუა გატყდაო. ნახეთ, რამდენი შეო გამოვიჩინე. რა უხდება სიცილი ჩემ თინანოს! ოხაი! ის რომ ბაგეს გახლეჩდა ხოლმე, ისე მინათდებოდა გული, თითქო ზინეთით სამსე ზანდუკი ავხადე მეთქი. ბედი ჩემკენ არის. ჯიბე ცალიერმა ჯეელებმა რა იციან მაგისთანა საუნჯის ყადრი! ფიქრობდა შეზარხოშებული ზარაფი და თავისთავად იღმებო- და.

მიღუამ მეორე დღესვე დაუძახა განთქმულ მაჭანკალ ფეფე- ნას.

— იცი, ფეფენჯან, ისეთი საქმე მომიგონია შენთვის, რომ აავისდლეში ისეთი რამ არ გაგეკეთებინოს. სტარათაც არ მოგჩვენებოდეს.

— რა იქნება იმისთანა, რომ გამაკვირვოს. ბატონიშვი- ლები მსაქმებენ და ისიც არ მიკვირს. ძვირფას ნივთს შეაგუ- ლებდი საღმე.

— მემრე რა ძვირფასია! მაგლი ქალაქის ფასია. მინდა მთელი ჩემი დოვლათი ფიანდაზათ გაუშალო იმას.

— ჰო? ეგ სხვა არის! მემრე ვინ არის ის ბეღნიერ ეტ-ლზე დაბადებული მნათობი?..

— სწორეთ რომ მნათობია. აღმოსაელეთის ვარსკვლავი, ისნის ცისკარი.

— იოთამიანთ თინანო?! უი, დამიღება თვალი!

— თვალი დაგიღება! რა თითს იფარებ ტუჩებზე? სწორეთ ჩვენი იოთამეს ქალი.

— ერთი მითხარ, თუ ღმერთი გწამს, რა შენი ფანდია ისეთი ნორჩი ვინმე, გამოუცდელი?

— ხნიანი და გამოცდილიცა შენა ხარ, პოდი შეგირთამ! ის თუ ნორჩია და სილამაზით განთქმული, მე დარბაისელი ვარ და სიმდიდრით განთქმული. გეუბნები, ჩემ ოქროს ტახტზე მარტო იმისთანა მთეარეს შეშვენის ჯდომა.

— ძნელი საქმეა.

— არა მეთქი! გუშინ იქ ვიყავ სადილათ; ძალიან გაეხარდათ ჩემი მისვლა; ბევრი ვიმხიარულეთ. ფულს, იცოდე, ჰატიუცემა და სიყვარული სდევს თანა.

— ახლა მამა და მამიდაც რომ დაგთანხმდნენ, იასე დეკანოზი არ დაგთანხმდება, იმის გაზრდილია თინანო. არც ქალი გაგიუღება, ვგონება, შენთვის.

— ყბას ნუ მადგამ, ნავსო! ისევ სჯობია ხამფერა დავ-საქმო.

— დასაქმე—სთქვა ფეფენამ და ჩადრს წამოავლო ხელი.

— დაიცა, ადამიანო! რა ფხუյიანი რამ გახდი ამ ბოლოს დროს. შენისთანა ენა მოქარგულმა რომ ეს საქმე ვერ მოაგვაროს, დასაჯერებელი არ არის. ახლა იმისთვის ინაზები, მეტი მომცესო. ჰა, ხუთი თუმანიც შენი გასამრჯელო იყოს.

— რა ბძანებაა! ხუთ თუმნად იმისთანა მზეთ უნახავი ჩაგიგდო ხელში! ათ ნაკლებ არ შეიძლება. ორი თუმანი ეხლავ და რვაც, როცა საქმე საქმეზე მოვა.

Տասոմ հինգի ճակար, մաշրամ մայան կալո շաբարձր և դա տաքու Տուրպանց գաճառա ուն. Իռլու մոլում յետ գամութուղ աթամանն հայութո եղլու Տայեց, ճամփուղը դա. Շուլու գալութե ծովուն պայլո Սյուրուղութե ծով և աթաւ ճարվմանց ծովուն ուղ, Իռմ գամահայե ծով, ոյնու գամահայե ծով Շյեմլութե ծովուն յարու գալութե.

— Աթալո Սյուլո Շյեմոցա Տաելուն, գամութուղը լու, Տալենու առուցա, յս նայնուն, յս մոպարեցնու; աթա ռմունուն, յրտմանց բարուն յարուն մոլու և Շուլութե ծովուն.

Քյուոտ ռուսի գալաքյութունո պատու յղա, յզուու ռուսի սկովու Քյունթա տաեհանու Շյելութունու; ամ Ցանլուկյուն Ցելաւ առ Ցյեցա. Ըալու կլութու ճակարութու գաճանց ծով և Տարյալ ճագարյանց ծովուն յարուն գալունալոցա; Ցուցու Կըրպաւ յարա Ցյուունան, Ցուցու լունուն, Տեցանու ծումնուն և Յոն ուրու յուն առ Հա. Իռմ Բամուանի յացա Քյուրքյունո, Տյուլ ռյուրու-վըրպելու Շամուննա, Ցյուլու և Բոյտեցնուց յամունացա Տեցա-Հա-Տեցա Կյու-Քյուլութենան և Քյուրունան. յս Տանուն Տյուլ յրտ Ցարյանու մու- այսուն և Տարդացնու հայրանա. Տարդացնու յզուու ռուսինան Քյուն- և հասացալու. Ցնցունու, Իռալցան յրտաւ յրտու գաճանչառա Իրու- նեցու ուղու գամաշրանց ծովուն և Ցուպրուն ամովյութունու. Տարա-Եյրա յարա. Ցուալուց յրտու յուտեւ և Եթրա ճակար, տուտյմուն առ- նին Ցյու ամուսինա Տամուհայունու և Ցմրու յզուուն յամունացեա ճակար. Իրունու յուտու յամուննա. Իրունու յուտու յամուննա. Տարա-Եյրա յարա.

— Մարդու Կեռնեց ծովուն տալունամ ուրաւ յս Տալունա. Իռացու Մարդու Եթրա Եթրա, Իռլու յահայենց ծով! Ի՞նչ Տյուլուսաւ Կո յանցունց ունա. Տոնանոշան! Իռլու Շյենց տալունասացու ու Ցուց- լու յաջր-յամատու, յոհայենց ամ Ցոնցու և Ցանցու Եյրու Տամուն յածա յալունա, Տանու Կուլուսաւ առ Ճակարաւ տաքս.

Իսպանա համունանունու Տայնչա, Ճակարաւ յուտու, Ամուսի- նա, Յուսպանա մոխա, Ճարկայնա և Ցմրունան Իրացուն Ճակարա մոխա Քյուլ.

— იყავ აქ უშიშრად! როცა დამშვიდლება ქვეყანა, ისევ ნახამ მზეს, მზესამით დაიწყებ ბრწყინვას და ჩემ ახალ ცოლ-შეილს გაახარებ.\*)

ამოციდა ზევით, ახადა სკივრი. ქალის ტანისამოსით იყო სავსე. ამოალაგა ვასამზეურებლად და თან ზუზუნებდა, იწირპ-ლებოდა.

— როგორ უფრთხილდებოდა, კურთხეული! ყაირათი იცოდა. ეხლა ისევ გამოდგება ყველაფერი, ახლის ყიდვა აღარ დამჭირდება; ვერ კი დაადგება კარგათ, ჩემი თინანო წერწეტია, ის კი დაბალი იყო და სრული. მაგრამ რა უშავს, გადაკე-თებს, სიგანიდან ამოილებს, სიგდეს მისცემს.

გაალო გადაჭედილი ყუთიც. შიგ დავთრები ეწყო და ხელის ყუთით ცოტაოდენი ფული.

— თუ აკულეს სახლი, ამ ყუთს გასტეხენ. ვეტყვი, ეს არის მეტქი ჩემი ავლა-დიდება.

მიღუამ დიდი ხანია სახლი დაალაგ-დააწყნარა. აგერ მესამე დღე იყო, რაც მაჭანკალი გაზავნა იმან, ამბავი კი არაფერი ისმოდა. მოუსვენრათ იყო სასიძო, ჯავრობდა. ბოლოს მოვიდა ფეფენა, მაგრამ ცუდი ამბავი მოუტანა:

— ყველას გამოუკადე სახლში შენი სურვილი. ითამე ერთი გაშტერდა და მემრე თქვა, მოძლევარმა იცის, მე უიმისოთ საქმის დამჭერი არა ვარო; ქალი ჯერ გაპკირდა, ვერ გაეგო, რას ვეუბნებოდი, მემრე ტირილი დაიწყო და თან ი თავადი-შვილის ბეჭედი რომ აქვს, იმას იხუტებდა გულში.

— ყურუმსალო! რატომ არ უთხარ, თუ მაგისთანა ბეჭედებს თუნდ ერთ ყუთს მოგარიმევსთქო.

— უთხარ, მაშ. მაგისთანები უთხარ! ახლა სიღონიამ რომ გაიგო, მომყო პირი და ისე დამცოფა, შენი ორი თუმნის წყალი ვეღარ გამრეცხს.

\*) თურმე სულ ორმოცი წელიწადი არ იქნება მას აქეთ, რაც ეს ხაზინა იპოვნეს. მიღუასეული სახლი დაენგრიათ და მაშინ ამოხენილიყო. დიდი განგაში გამოეწვია, ამ ზინეთის პოვნას.

— თინანოს ამზღველმა რაღა თქვა? იყავ ისე დეკანოზ-თან?

— სწორეთ იმისთვის დავიგეიანე, რომ ისიცა ვნახე. ეს თქვა, თინანო უოქროვოთაც საკმაოდ ბრწყინავსო.

ამ ამბავზე ჯერ გაშრა მიღუა, მემრე აღელლა, გაცეცხლ-და და ლანძლეა-მუქარა დაიწყო.

— ისე გაუხდი საჭმეს, თავიაანთ ხორცი ვაგლეჯინო კბილით! სულ ვიხვეწიებ: ჯერ ვერ მიუნობენ! — ყვიროდა ბერი-კაცი და გამწარებული დარბოდა ოთახში.

ფეფუნამ კრინტი ალარ დასძრა; ნელ-ნელა მიიწია კარეჭის-ჭენ და გაჰქირდა.

## x1

მოიწია ქართველებზე უსაზომო რისხეა ღვთისა: გატყდა სატახტო ქალაქი; აიკლეს, დაანგრიეს, დაწვეს, ააოხრეს, შეა-გინეს საქართველოს დედა ქალაქი და ცრემლი ადინეს ივე-რის მეოხ-მფარველ დედასა ღვთისა\*). ხალხი გაშტერდა, დაიბნა, განადგურდა. დამარცხებამ კი არ მოსწყვიტა ხალხს წელი, — დამარცხება და გამარჯვება ძმები არიან, ბრძოლაში გამოწვრთნილმა ქართველებმა კარგად იკოდნენ ეს და ერთი იმის წაგებით გულს არ გაიტეხდნენ, — ერს გული მოუკლა იმან, რომ დალატი შეამჩნია. მემრე რა დროს? როცა უძლიერესი მტერი ედგა კარს. მემრე ვის? თითონ ამაგდარ მეფის შვილებს, იმ ოჯახს, რომელიც დადგენილი იყო მამულის ჰირისუფლათ, რომლისათვისაც ქართველობას ჩაებარებინა თავისი ბედ-ილბალი, რომელიც პირეელათ თითონ უნდა შეს-წირვიყო სამშობლოს..... დალატმა აიმაღლა თავისი ბილწი ქედი ერეკლეს ოჯახიდან, იმ ერეკლესი, რომელმაც უზომო

\* ) ალა-მაჰმად-ხანი რომ დაეცა ტფილის, სიონთა ღვთისმშობელს. თურმე ცრემლი სდიოდა და თუმცა მოძღვარი ითანხე ისეშვილი დაფარ-ნია ამშრალებდა ხატს, ზეციური ნაში პაჩიც ეპურებოდა მის ლმობიერ თვალებს, ფ: ბ.

ლვაწლი დასდო საქართველოს, რომელმაც უზომო სისხლი დასთხია მამულის ალსადგენ-ასალორძინებლათ, იმ ერეკლესი, რომელიც სიცოცხლითე გმირათ დასახა ქართველობამ, რომელსაც თაყვანსა სცემდა ქართველობა .... თუ უცხოებმა, მძღვანი მტრისაგან წაქეზებულ-მოსყიდულმა უცხოებმა, ხელი შეუწყეს თვით მეფის შეილების და წარჩინებულების ღალატს, აქ რა იყო გასაკვირველი ან მოულოდნელი? აკი თითონ მეფესაც ამ ამბავშა დასწყვიტა გული, თორემ ჯერ სად იყო ის ძლეული, როდესაც საქართველოს საუკუთხესო შვილნი ისევ ფეხზე იღვნენ შეიარაღებულნი, შებოჭილ ლომებივათ კბილთა ღრუჟნით გასცემროდნენ ხოჯა-ხანის ბანაკს თბილისის ნანგრევებზე, საითაც არ უშევებდნენ მათ მუხანათი მეთაურნი... ამ შემთხვევაში ხალხის გული და ერეკლესი ერთნაირათ გრძნობდა, ერთი და იგივე ვარამი სწამლავდა იმათ გულს, რადგან ერეკლე განხორციელება იყო ქართველთა გულისა და განუწყვეტელი კავშირი არსებობდა მათ შორის.

ბევრ ოჯახს მიეღო მაშინ საცხოვრებელი, მრავალს მოაგლია ნამუსის საბურველი, ბევრი სიცოცხლით საესე არ სება მოსხლეს; ბევრი აატირეს. იასე დეკანოზი არ გავიდა ქალაქიდან და როცა ყიზილბაშები დაეცნენ ზის სახლს, უშაშრათ დახვდა წინ. მისმა საპატიო შეხედულებამ და სპარსულის ცოდნამ მიიქცია იმ უფროსის ყურადღება, რომელიც მოუძლოდა ძლევა მოსილი ჯარის ბრძოს და იმის დახმარებით თითონაც გადარჩა სიკვდილს, ფაფის სახლობაც გადაარჩინა. ამის ოჯახთან ერთათ გადარჩა მისი აზრილი თინანოც. მიღუამ რომ გაიგო მტერი შემოვიდაო ქალაქში, გააღო სახლის კარები და პურმარილით ხელში მიეგება ყიზილბაშებს, ზაგრამ დაუპატიუებელმა სტუმრებმა ხარხარით გადაქელეს გულლია მასპინძელი და რამდენიმე წამის შედეგ ნაბუარალა გამოდიადა მის სახლის კარ-ფანჯრიდან. მიღუა მაინც პმადლობდა ღმერთს, რომ ცოცხალი გადარჩა.

ყიზილბაშებმა გატეხეს თბილისი ენკენისთვის თერთმეტს. სამი დღე არბევდნენ ქალაქს და თავიანთ სიმძლავრე იმითი

დათავეს, რომ ბევრი სამღვდელოთაგანი მტკვარში გადაჩეხეს. ამის შემდეგ დაწყნარდა მტერი. ყეინმა ბძანება გამოსცა, ქალაქის მცხოვრებლებს ნულარ შეაწუხებთო, და ამ ბძანებამ მოქმედება იქონია აღვირ წაყრილ მეომრებზე, რადგან კველამ იციოდა, რა ახლო სდევდა მის ბძანებას ხმალი, გაიარა პირველმა თავზარდამცემმა შიშმა; ქალაქი ნელ-ნელა დაშოშმინდა, რამდენადაც კი შეიძლება დაწყნარდეს განადგურებული, მტრის ბანაკათ გადაჭცეული ქალაქი. გადარჩენილებს ცხოვრება უნდოდათ და ქალაქის ძარღვმა ისევ დაიწყო ფეთქა, თუმცა სუსტათ და უსწორ-მასწოროთ. დუქნები დაიღო აქა-იქ. (კლოლობდნენ სოფლებიდანაც დატყუო ისევ დენა სანოვაგის მომტან ხალხს, რადგან ძალიან უჭირებდათ საქმეს საჭმელ-სასმელის უპოვნელობა.

გამოყო თავი მიღუამაც. მიიხედ-მოიხედა, ტანტალი დაიწყო; მიპყო ხელი თავის საქმეს. აუარებელი სამკალი დახვდა: ნალავლი საქონელი ბზის ფასათ გადიოდა. სახლში კიდევ იპოვა ცოტაოდენი ნაღდი და იმის ჯადოქარმა თითებმა სწრაფათ დაუწყეს ზრდა ამ თანხას. უფრო მეტ შნოს გამოიჩენდა ზარაფი და დიდ სიმღიდრეს შეიძენდა, მაგრამ თრთოდა, ყოველწამ თავდასხმას ელოდდა ავაზაკებისაგან, რომლებიც მაინც დათარეშობდნენ ქალაქის ქუჩებში. ეს შიში იყო იმის მიზეზი, რომ მიღუამ ძლიერ მფარველ ეიტმე დაუწყო ძებნა; კიდევ ამოირჩია მფარველათ სელიმ-ხანი და მოახერხა იმასთან გაცნობა.

ფეფუნაც გამოძვრა სოროდამ. მიავლომოაელო თვალი, სუნი  
იკრა, ალლო აართო ამ დომხალივიზ არეულ ხალხს და მიჰყო  
ხელი წყალში ამღვრეულ თევზის კერძს. მაჭან კალი იყო, თავის  
ხელობით უნდა ეცხოვორნა, ჩავრამა თათრებს ჯვარს ხომ ვერ  
დასწერდა. ცოლების შოვნას ხომ ვერ შეუდგებოდა იმათვის და  
ცდილობდა დროებით მეუღლეები მოეძებნა ამ მოსხეპილ ვაჟ:  
კაცებისთვის. ფეფუნა მიშინოსავით ათვალიერებდა ხელ-საყრელ  
მასალას გადარჩენილ ხალხში და მარჯვეთა ჰყილდა ნებითა  
თუ უნებლივთ. ამ ნადირობაში მლებრების კუჩამდინაც მიალ-

წია და აქ მიღუას დანახვაზე ბრწყინვალე ჰაზრი მოუვიდა თავში.

— მიღუჯან, რა მიამა შენი ნახვა! მადლობა ლმერთს, მშვიდობით გადარჩენილხარ.

— გმადლობ! შენ ხომ ეშმაკებსაც დაუძვრები ხელი-დან....

— კიდევ ხომ არ მიწყრები? მაშინ შენგანაც გავილანძლე, იმათთაგანაც გათასსირებული დავრჩი. ეხლა გიჩვენებ, რომ ფეფენა ბიაბროთ გახდას არავის შეარჩენს.

— მაშ გასალანძლი არ იყავ, ფეფენ! ოცი თეთრი მინალ-თუნი ჩაგითვალე ხელში, შენ კი ერთი ბისტისაც არა ვა-კეთე რა.

— შენზე არ ვამბობ! შენი მოვალე ვარ, თუმცა ათი თუმ-ნისაცა მლანძლეს მაშინ, ეჭ, რაც იყო იყო! მე იოთამიაანთხე ვლაპარაკობ. ეხლა ჩემკენ არის ბედი, იმათი სული ჩემ ხელ-შია.

— როგორ, ფეფენჯან? ქალაქშია თინანო? თანახმა გახ-და?

— შენ კიდევ შენსას გაიძახი! თანახმა კი არა, ისე უნდა გაუხადოთ საქმე, თავის ხორცს იგლეჯდეს კბილით, მუხლის თავით გვეხვეწებოდეს. ხომ გახსოვს, როგორ ემუქრებოდი.

— მახსოეს მაშ! მაგრამ ეხლა როგორ უნდა ჩავიგდოთ ხელში?

— იშტა გაქვს? როგორ უნდა ჩავიგდოთ ხელში! ჩემი დაპირებული რეა თუმანი?

— ყურუმსალო! ჯერ ორი თუმნისა რა გაგიკეთებია, რომ ახლა კიდევ რეა მოგცე.

— რას ჯავრობ? მე ჩემი ვეცადე მაშინ და თუ ეერ გავა-სალე დახავსებული საქონელი, რა ჩემი ბრალია. ეხლა სულ სხვაა მეთქი.

— მემრე ეინ მომცა ხელათ ფული, ხომ ხედამ, ამიკლეს.

— მშვიდობით! სხვა ვინმე თინანოს ერთ ნახევაში მომცემს სამ მაგოდენას.

— კარგი, მამა გიცხონდა, იმის ჯავრს ნუ ჩამაყოლებ და თუნდა ყმათ დაგისახლდები.

— შენ ჩემი რვა თუმანი მომე! რა ჭირათ მინდა შენი ყმობა?

ფეფენამ ჩაიდო ფული ჯიბეში. მემრე მიუბრუნდა მიღუას:

— კარგათ დაიხსომე! შენი თინანო ქალაქშია, იასე დეკანოზისას. ხელზე საამისეული ბეჭედი უკეთია. გესმის?

— მესმის!

— გახსოვდეს, მიღუაჯან, ბეჭედი რომ გადმოატრიალო, თვალზე ორი ასოა ამოჭრილი „თ“ და „გ“, თინანო გოსტა-შაბიშეილისა რალა. ყური დამივდე! წაამი ეხლა იმ ჯარების უფროსთაგანია, რმლებსაც ნეფე ერეკლე თავს უყრის ერთათ, რომ ყეინს გზა შეუკრას და ქალაქში მოიმწყვდიოს. თინანოს კაშირი აქვს ყეინის მოღალატეებთან. ის ბეჭედი ნიშანია იმათ შორის. მიხვდი?

— მივხვდი!

— ეხლა ეს საიდუმლო ხომ იცი, ან თინანო შენ უნდა წამოგყვეს ცოლად, ან შენი მოვალეობა უნდა ასრულო და აცნობო ლალატის ამბავი ყეინს.

— ტარტაროზი ხარ!

## xx

ფეფენა გატუსტუსდა ჩადრ აკაპიშებული, თან ბოროტათ იღიმებოდა:

— არა, თქვე კაი ადამიანებო, გალანძლვას რალას მემართ-ლებოდით? არ მიეცით ქალი,—ძალიან კარგი ქენით, მაგრამ ვერ იტყოდით, თუ, ფეფენაჯან, თითონ შენ იცი, რა შეუ-ფერებელია მიღუა ჩვენი თინანოსთვის; მოღა ერთი ყინულ-ზე გააცურე ი ქოფაკი, რომ არც მწვალი დასწო, არც შამ-ფური; ის ესეც შენი ფეხის ქირა. ააჰა! მორჩა და გაავდა, თორემ ძალლთან რომ მაბამდით პატიოსან მანდილოსანს, რა გეგონაია.

— მავნეა, ნამდვილი შეითანი. მთლათ ხელში მომცა თინანოანი. თავებ დააყრევინებენ, თუ გაუგეს. მაინც ისე არ ევარგება საქმის მოხერხება, როგორც ფეფენა ამბობს: დაშინებით ის მე არ წამომყვება და ტყუილათ ავაზაკათ გამოვალ. ან რა შნო ექნება ძალის ძალათ წამოყვანილ ცოლს?! ამბობდა მიღუა და ფიქრობდა, სხვა გზას ედებდა.

— ესე სჯობია, შოთიქრა ბოლოს: ამ ამბავს მე სელიმ ხანთან მივიტან საიდუმლოთ; ის ყველას დაატუსალებს; მე ჩავალ შეუში, ვიპატიებ ქალს ან გამოვისყიდი, თუ გაჭირდა, დამხსნელათ გამოვალ. იქიდან პირდაპირ ჩემ სახლში წამოეყენა. მაგრამ თინანოს სილამაზემ რომ თვალი მოსტაცოს სელიმს და ქალი თავისთვის მოინდომოს. . . . . ახი იქნება! შე კაი ქალო, გეუბნებიან თუ მობძანდი, ოქროს ტახტი გამიშზადებია შენთვის, დაბძანდი! რალას ჯიუტობი? ამბობდა მიღუა და თან ემზადებოდა.

ზარაფთა აარჩია საუკეთესოთ შემკული ხანჯალი და წავიდა. სელიმ-ხანი მაშინ გიორგი ბატონიშვილის სასახლეში ცხოვრობდა, წ. გიორგის ეკკლესიის გვერდზედ, დიდ სასახლის გადასწვრივ. თბილისი რომ ააოხრეს, ბატონიშვილის მეგობარმა განჯის ხანმა არც დაანგრევინა, არც ააკლებინა ეს სასახლე. სელიმი აქ დაბინავდა. მოგეხსენებათ, რომ უმთავრესი ბანაკი ყიზილბაშებმა სოლანლულში დაპკრეს, თითონ თბილისში კი რამდენიმე აღგილი დაიჭირეს ჯარებით. ხანი შინაურულათ დახვდა, პერანგის ამარა, მიღუამ მიწამდინ დაუკრა თავი და ზღვენი მიართო.

— ეინ იცის, რომელ ვაუკაცს აჰყარე ბრძოლის ველზე დაცემულს.

— რა ბძანებაა! გირაოში დამრჩა. ზარაფი-გახლავარ, ისევ ჩემ ხელობას მიედევ; ცოტა რამ ხურდა ჩამრჩა ჯიბეში, იმას ვატრიალებ.

— სხვა რა ახალი ამბავი იცი? ხალხი რასა ფიქრობს?

— ყეინის მზესა ფიცულობს, მისგან ქვეყნის დამშეიღებას ელის.

— შენ რომ დაგიჯეროს კაცმა, ქართველებს გაჰხარებიათ ჩვენი შემოსვლა და დაპირიშებიათ ერეკლე.

— ერეკლეც უყვარდათ, მანამ შეეძლო ქვეყნის დაფარვა, ეხლა კი სხვა არის.

— თუ სხვაა, მაშ რატომ არ მოჰყავთ შეპყრობილი მეფე ყეინთან?

— ეგეც მალე იქნება ღვთის მადლით.

— ოლონდაც, თუ ერეკლე მეფეს ბევრი ჰყავს შენისთანა ერთგულები, თქვა ფაშამ და შუბლი შეიკრა.

მიღუას არ უამა ხანის ესეთი საუბარი და დაეჩქარა გაეცხადებინა მისელის მიზეზი, რომ მოეგო სარდლის გული და თავის სურვილიც გაეხორციელებინა.

— ერეკლეს ერთგულები ვიყავით, სინამ მეფე იყო. ეხლა განგებამ მოჰყლიჯა იმას გვირგვინი და ბრწყინვალე ყეინს მისცა ის. ჩვენი ვალია ამას იქით ყეინს ვემსახუროთ.

— მარტო სიტყვით! თორემ რატომ აქამდინ არ ვიცით, სად არიან ან ერეკლე მეფე, ან ის ჯარები, რომლებიც ჯერ არ ამოგვიწყვეტია.

— საქმითაც, ბატონო! სწორეთ შაგისთვის გხლებივართ, თქვა ზარაფშა და მონას შეხედა.

— ახალი იყი რამე? ჰკიოთხა ხანმა ცნობის მოყვარეობით. და ანიშნა მონას გასულ იყო.

— ღალატს აპირებენ ქალაქში. იასე ღვდლის სახლი დაუდვიათ ბინათ. მეხანჯლების უსტაბაშის ქალი ცხოვრებს იასესას და იმ ქალს კავშირი აქვს საამ გოსტაშაბიშვილთან, რომელიც საბარათიანო ლაშქრის სარდალი გახლავსთ. ქალის მამას დიდძალი იარალი გაუგზავნია იმ ლაშქარში. მოგეხსენებათ, ის ჯარი უვნებელათ გადარჩა.

— მართალია იმ ჯარშაც ვერ მიიღო ბრძოლაში. მონაწილეობა და გადარჩა ამოჟლეტას. მოღალატეებმა ისე მოუხერხეს ერეკლეს, რომ უჯაროთ დასტოვეს ბრძოლის დროს. ეს სწორეთ ჩვენი ყისმათი იქმნებოდა, თუ მეფეს თავი არ დაეხწია; ეხლა კი, როცა ერეკლე თავისუფალია, სწორეთ აქ

არის ჩვენი საფრთხე: იმას შეუძლიან ისარგებლოს იმ ხელ-უხლებელ ჯარებით, თქვა ხანმა და მიუბრუნდა მთხრობელს:

— რითი ამტკიცებ შენ ნათქვამს?

— იმითი ვამტკიცებ, რომ ქალს ხელზე უკეთია საამის ბეჭედი, რომლის ქვაზე ამოჭრილია ასოები „თ“ და „გ“ და რომელიც ნიშნათ არის შეთქმულებისაგან მიცემული; კიდევ იმით, რომ თითონ საამს ზენკალის სახლში არჩენდა ჭრილობისაგან ექიმი ბაჯიაშვილი; კიდევ იმით, რომ დიდ ძალი იარაღი გაგზავნეს საამის ჯარში.

— ჰმ! ჩაიხმაურა ხანმა და დაფიქრდა.

— მე ჩემი მოვალეობა ამისრულებია, ყველაფერი მომისენებია და ღმერთმა ქმნას მაცურს არ დაებრმავებინოს საწყლები და გამართლდნენ. მაინც და მაინც წინათევე გთხოვთ ის ქალი მე მაპატიოთ, რადგან იმას შეოქმულობისა არა გაეგება რა და მოტყუებით ჩაითრევდნენ საქმეში. იმის წონა ვერცხლს მოგართმევთ ზღვნათ, — ეუბნებოდა მიღუა და თან თავს უკრავდა

მაგრამ ხანი ეხლა ყურს აღარ უგდებდა ჯაშუშს, სხვაზე ფიქრობდა. შემოჰკირა ტაში. მონები შემოვიდნენ. ხანმა უბდანა, ტანისამოსი მიერთმიათ მისთვის.

### XIII

როგორც ყერის ჭარჩინებული სარდალი და მასთან დაახლოვებული, სელიმ — ხანი ყოველდღე ეხლებოდა შაჰ-ინ-შაჰს ბძანების მისალებათ. ეხლაც იქით გაემგზავრა. თან იმას ფაქტ რობდა, მოეხსენებინა ყველაფერი, რაც უამბო მთხოობელმა, თუ ჯერ გამოეკვლია საქმე და მემრე ეცნობებინა. იმ ჰაზარ დააღვა, ყველაფერი ეხლავე ეამბნა, რადგან ეშინოდა, იქნება შაჰმა კიდევ იცის ეს საქმე და თაგხეტობა იქნება დაუმალოვო. იმისთვის ეშინოდა, რომ აღა-მაჰმად ხანს ძნელათ გამოეპარებოდა რამე და კარის კაცები ბევრჯელ გაკვირვებულნი

რჩებოდნენ, ნეტა ისეთი რა თილისმა აქვს, რომ ყველაფერს იგებსო.

— უაშბობ, გავიგებ რა გუნებაზეა ყეინი, რა ჰაზრზე დგა და ისე მოეაგვარებ საქვეს, იფიქრა ხანმა.

ყეინი აიგანში ბძანდებოდა. ხალიჩაზე იჯდა, ბალიშზე დაყრდნობილი გაპყურებდა მთებს. ვერც კი შეამჩნია სელიმ-ხანის შესვლა და მისი სალამი. სხვა რამ ფიქრს გაეტაცნა ირანის მფლობელი, სხვა რამ ჭმუნვა ესახებოდა ჭკვიან თვალებში. ბოლოს მოეგო თავს, მიაქცია ყურადღება კარის კაცებს. სელიმ-ხანმა იდროვა და მოახსენა, რაც შეთქმულობაზე გაეგო. ყეინი არ ააღელვა აშბავმა.

— გამოიძიე. თუ ტყუილი გამოდგეს, დამსმენს თავი გადებინე! — ბძანა შაპმა და ისევ ჩაფიქრდა.

შეკვედეს, ჰეითხეს ჭმუნვის მიზეზი.

— ხომ ჰედავთ იმ ბუმბერაზ მთებს, კავკასიის მწვერვალებს? ეხლა იქ იმყოფება ის არწივი, რომელიც მე დავაფრთხო ბუდიდან; იმ მთების ბატონია ის.

— გვიბძანე, მძლეთა მძლეო!

— მიუწდომელია! ძალა არ გამოდგება იქ... იმ მთების იქით საშინელი ვეშაპი ბუდობს. საზარლად იზრდება, ძლიერდება. ირანის ლომს მხოლოდ ამ მთების არწივთან ერთად შეუძლიან იმ ვეშაპთან. ბრძოლა; თუ არა, სპარსეთსაც დაამცირებს, დასხავრავს, ჩანთქავს. მაკრამ აქ ყველა მოუჯადოებია იმ გრძნეულს, — ამბობდა წინაოფრნობით გატაცებული ხელ. მწიფე და რაღაც ჩვენებიდან ვერ გამორჩეულიყო.

მეორე დღეს სელიმ-ხანს მიპგვარეს დასმენილები და თოთონ გამოჰკითხა საქმე. დაპატიმრებულებმა ყველაფერი გულახნდით უამბეს, რადგან დასაფარიც არა ჰქონდათ-რა. რაცა ფეფენამ მარილიანად მოუთხრო თავის მაჭანკლობის ამბავი, ხანმა ლიმილი ეელარ შეიკავა.

— მეფეთ-მეფე მოწყალე თეალით უყურებს დამონავებულ ქართველებს, თორემ ყველას თავებს. დაგაყრევინებდით. მიპატიებია! განგათავისუფლებთ ყველას, მხოლოდ ჯერჯერო-

ბით ვერ გამოუშვებ ვერც ამბის მომტანს, ვერც იმ ქალს, რო-  
მელსაც სარდლის ბეჭედი ამოაჩნდა.

ამ სიტყვებზე ქალს ფერი ეცვალა, იოთამემ ტირილი  
დაიწყო, იასე მღვდელი ერთ წუთს შეყოყმანდა, მერმე წადგა  
და მტკიცედ მოახსენა:

— არა მსურს თავისუფლება, მანამ საქმეს არ გამოიკვ-  
ლევთ. გაუშვით ქალი, მე დაერჩები აქ!

— გეშინიან, რომ ეგ ყელაფერს გაამულავნებს და გინდა  
განსაცდელი აიცდინო? ვერვინ დაგიფარავთ, თუ დამნაშავეები  
აღმოჩნდებით, თუ არა—ხელს ვერავინ შეგახებთ: ესეთია ყეე-  
ნის ნება.

— გაიყვანეთ! — მიუბრუნდა მსახურებს.

ამ ბრძანებაზე მამამ გულში ჩაიკრა ქალი; მოძლვარმა გა-  
დასახა ჯვარი და თავზე აკოცა ცრემლ-მორეულმა.

— გუარვიდეს ანველოზი უცლისა და გამცნოს სულმა  
წმინდამა, ვითარ ანუ რასა იტყოდე. გახსოვდეს, შვილო ტკბი-  
ლო, წმ. მოწამე ქეთევანი!

ქალს გული ამოუჯდა; უკვდავების წყარო მარგალიტის  
ნამებად გადმოდულდა გიშრის ლარებზე და ეპკურ-ესხურა  
ბროლ-ლალის არე-მარეს.

მიღუამ ნახა, რომ საქმე სახიფათოდ დატრიალდა და ფეხ-  
ქვეშ ჩაუვარდა ხანს; თრთოდა, ცოცავდა, კალთებს უკოცნიდა,  
თავს ახეთქებდა; განთავისუფლებას ევედრებოდა. ხანს ზიზლი  
მოჰვევარა კაცის ამ გვარ სულმდაბლობაშ და ქოშის წვერი  
წაჰკრო სახეში. გაათრიეს.

თინანო მარტო დაიხელა სელიშა. დიდ ხანს უჭირდა  
გაკვირვებული. ამ გვარი სიმშვენიერე ჯერ არ ენახა. უკვირდა  
ქალის ნათლით შემოსილი სხეული. მისმა ნაწნავებმა, რომლე-  
ბიც კულულებათ მოფუშულიყვნენ და სხივებათ ეხვერდნენ  
ნაზ სახეს, მოაჯაღოვეს ვაუკაცი, მიიზიდეს; უნებლიერ ხელი  
შეახო ქალის თმას. თინანო გადახტა უკან, კედელს აეკრა.

— მშვენიერებავ! არ გენანება შენი თავი?

յալու ՇիՇուտ տրտուլա, եմաս առ ողբքճա. յապս ՇԵԿԱՌՈՒԾ  
նահօ արևեծա, տազո ՄԵՌԱՋՐԱ, ՍԿԱՆ ԸԱԾԳԱ.

— Ո՞նցի առ ուրիշ, և սա սաշշելու մոցը լուս եղալու մէջութիւնը լա-  
լուարուսատցուն? — ՄԵՎԿՈՒՆՆԱ, ԵԱՆՈ ԸԱ ԵՄԱՌՈ ԼՈՄՈՅԵՐԵՅՅԱ. ԸԱԵՐԿՈ.

յալու ագչնու սահունարմա ՍԱՐԿԱՅԱ; ցա՛Շո՛ՌՈ ՖՐԵԼՌՈ, ցա-  
բելութ ՄԵԽԵԸՆ ԹՐԱՐՎԱԼՈՒ:

— առ մուռալարնու թյունուսատցուն, տորիյի լուսկմա-լուսկմա  
լասացլեչու յովնեծուն!

— Ըստու պատու տիշենու թյույյու ԸԱ ՕՄՈՒ ՖՐԻՆԱԱԼՄԸՆ  
ցունութիւնուտ ՄԵԴՅՄԵԼՈՒՆԸՆ:

— ԱՐԱՎՈՒԹԱՐՈ ՄԵԴՅՄԵԼՈՒՆԸՆ ԱՐ ՑՈՒԿՈՒՐԵՅՅՈՒՆ! ԱՐԿ ՍԱՎՈ-  
ՐՈՒ ԲԵՄՈՒՏԱՆԵՅՅՈՒՆ ԸԱԿՄԱՐԵՅՅԱ: ՍԱՎԱՐՈՎԵԼՈՒՆ ԿՈՎԵՅ ՑԿԱՆԱՆ  
ՏԱՎԸՆ ԸՆԵՐԵՅՅՈՒՆ:

— ԵՌՈՒ ՕՄԱՏԳԱՆՈ ՍԱԱՄ ԳՈՆՔԱՇԱԾՈՒՎՈՒՆ ԱՐՈՒ, ՀՈՎԵԼ-  
ՆԱԿ ՏԱՎՈՒ ՍԱՎՅԱՐԵԼՈՒՆ ԿՈ ՎԵ՛Լ ԸԱՄԵԽՆՈՆ ԸԿՎԵՐՈՒՆԸՆ:

— ԸԿՎՈՒ, ՍԽԱՎՈՒՆ ՍԱԱՄԸ ԵՌՈՒ ՏԵՐՈՒ ՍԱՐԴՐՈ ՑԿԱՆ  
ԸԿՎԵՐԵՅՅԱՇՈՒ—ՏԱՎՈՒ ՍԱՄՌՈՅԵԼՈՒ; ՅԵ ՅԵՎՈԼՈԸ ԲԱՎԵԼԵՐԵՅԵԼՈՒ ԿԱՐ,  
ՑՈՒՆՈՒԿՈՍ ՄԱՍ ԳԱԲԱՐՃՎԵՅՅԱ.

ույ ԸՆԵՐԵՅՅՈՒՆ յալու ալելուց եւ հոմ ԹՐԱՐՎԱԼՈՍ ՍՈՒԵԼՈ  
ԱՇԽՈՒԵԽՈՒՆ; ՎԱՄԵԽԵՐԱ, ՑՈՒԱԵԼՈՎԵՅՅԱ.

— ՏԱԼՈՒՆ ԳՈԿՎԱՐՈՍ ՄԵՐՈ ՀՎԵԿԱՆԱ? ԳԱԳԱՏԱՎՈՍՄՈՒԺԼԵՅ, ԿՎԵԼԱ  
ՄԵՐՎՈԼԵՅԸՆ ԱԳՈՆՌՈՎԼԵՅ, ՑԵՄՈՆ? ԿՎԵԼԱ ՄԵՐՎՈԼԵՅԸՆ! — ԻԱՏԻՌԻ-  
ԻՒԼԱ ՑՆԵՅՅՈՒ ԳԱՄՍԿՎԱԼՄՈՒՆՄԱ ՎԱՐԿԱՎՄԱ ԸԱ ԹԵԼԱՎՐԱԿ ԹՈՎԵՎՈԱ  
ՄԿԼԱԵՅՅՈՒ.

— ՏԱՎԵ ՄԵՎՈԿԱՎ! — ՄԵԿՎՈՐԵԼԱ յալմա ԸԱ ԻԱԿԵՎԱ.

ՏԱՎԸՆ ՄԵՎՈԿԱՎ ՄԵՎՈԿԱՎ ՎԱՐԿԱՎՈ ՄԵՎԸՆ ԵՌՈՒ ՎԵՐ ԱՄ ՍԱՍՈՎԱՐ-  
ԿՎԵՐՈՎ ԿՎՈՎՈԼՆԵ. ԱՄԱՎԵ ԸՆՐՈՒ ԳԱՍՈՄԱ ԿԱՐԵՅՈՒՆ ՀԱԿՄՈՆ. ԵԱՆԸՆ  
ՕՆՐՈՒ ԳԱՆՃԱԼՈ ԸԱ ՎԵՐԵՎՈՎՈՒ ԳԱԾՈՒՐԱ, ՀՈՄ ԳԱԵՐՅՈՒՆ ՏԱՎ-  
ԵՅԸՆ, ՄԱԳՐԱՄ ՇՈՒԲԱԸ ԸԱՄԵՎՈԼՈՒ: ԿՎԵՆՈՆ ՑՈՆԵՅՅԱ ԳԱԾՄՈՆ-  
ՄԵՅ, ԸԱՄԵՎՈՎԵՅՅՈՒՆ ՑԵԼԵՅՅՈՒՆ.

ԿՎԵՆՈ ԱԼԵԼՎԵՅՅՈՒՆ ԸԱ ՎԵՎԸՆ ՍԵԼՈՒՄՆ.

— ԵՌՈՎԵ ՄԵԿՎՐՈՒՅԵ ՀԱՑՄՈ ԸԱ ԳԱԾՈ ՍԱՏԱՐԵՄՈՒ. ՍԱՄՈ  
ԸՆՐԵ ԹՈՄՈՎՈՒ ՎԱԾՈ. ՍԱՎՃԱԼՈ ՄԵԱԳՐՈՎԵՅ: ՄԵՄՈՒՆ ԸԱՄՎՈՎԵՅԸՆ

დავბრუნდე სპარსეთს. თუ ქართველების ჯარი ნახო, თუნდაც მცირე, არ შეებრძოლო, გაშოტრიალდი! — უბძანა შაჰმა,

სელიმ-ხანი ძალიან გააკვირვა ყეინის ბრძანებამ. მაშინვე ფეხზე დააყენა რაზმი. მთლად შეჭურვილი და გზად გამზადებული შებრუნდა თინანოსთან.

— ნუ გეშინიან, თვალთა ნათელო! გამოგცადე; მეგონა იმდენათ გიყვარს მამული, რომ თავს შესწირავდი იმას.

— სანატრელია ვემსხვერპლო ქვეყანას, მაგრამ, იცოდე, საქართველო მხოლოთ პატიოსან მსხვერპლს შეიწირავს.... თავს მოვიკლავ! ხელთა მაქვს ავისრულო სურვილი.

სელიმი ერთხანს აღტაცებით უყურებდა თავის ტყვეს, მერე უთხრა:

— არ გაბედო! აჰა ჩემი ეაუკაცური სიტყვა: ნუ გეშინიან ნურაფრისა!

სარდალმა ჩააბარა ქალი საჭურისს და უბძანა თვალის-ჩინივით გაფახილებიყო იმას.

#### xiv.

საამ გოსტაშაბიშვილი დაბრუნდა სოფელში. მოართვეს შეკვეთილი იარალიც. ეხლა იმას შეეძლო თავის რაზმი საუკეთესოთ შეიარაღებული გამოეყვანა. დროც იყო: შინ სარდლის ბძანება დახვდა, დაუყოვნებლათ მისულიყო მთელი თავისი რაზმით მარაბდას. როცა საამი მივიდა დანიშნულ ალგილის, თითქმის მთელი სადროშო დახვდა შეკრებილი. ჯარი ალვეთის პირას იყო დაბანაკებული, ქოთიშში, რადგან თუმცა ჯერ ისევ ძალიან ცხელოდა დაბლა, მაგრამ მდინარე ერთობ საჭირო იყო ამოდენა ხალხისათვის. რაზმების წინამდლვრები კი ზევით დაბინავებულიყვნენ, მარაბდაში, ზაალ ბარათაშვილისას\*) და სისხლის ლვრის მოლოდინში წითელი ალგეთის - პირულით

\*) გორგი მეფის სუფრაჯი, მაშინ მთლათ ახალგაზდა, მემკვიდრე. ვ. ბ.

იკლავუნენ ფინს. საამია თავის რაზმისთვის ალაწოყები დიდ ჭან-დართან \*) გააკეთებინა, ალგეთის პირას, და თითონაც ამ ხის ქვეშ დაიდგა კარავი.

სადროშოს ლაშქარი თითქმის მთლად იყო მეთქი შეკრე-ბილი, აკლდა მხოლოთ თრიალეთის რაზმი, რომელიც აქამ-დინაც უნდა მოსულიყო, მაგრამ ჯერ ამბავიც არ ისმოდა. მეტი ლოდინი აღარ შეიძლებოდა; სარდალმა გადაწყვიტა მე-ორეთ გაეგზავნათ კაცი და აეშურებინათ ხალხის შეკრა. ბრძა-ნების ამასრულებლათ საამი ამოირჩია.

— შენისთანა სანდო და მოხერხებული არავინა მყაფს, შენ უნდა წახვიდე თრიალეთში. რაზმის ასაჩქარებლათ; რაც უფრო სწრაფათ იმგზავრებ, ისა სჯობია: უეცრათ რომ ბძანება მოვიდეს, პირშავათ შევრჩები ბატონ მეფეს, ნაკლები კაცი მეყოლება.

სარდლის მოსაზრებით ამ ბრძანების ასრულებას მოასწოდ-და საამი, რადგან ხოჯა-ხანისა ჯერ სწორეთ არა ისმოდა-რ..

„ალბათ, ჯერ არებს არ გამოსულა მტერი, თორებ გავიგებდით და ბძანებაც მოგვივილოდა ჯარის მოძრაობის შესა-ხებ“, ფიქრობდა სარდალი და თითებზე ითვლიდა, რამდენი ხანი მოუნდებოდა საამი წასვლა-მოსვლას.

დათანხმდა საამი. სხოლოთ პირობა დასდეს, მოუვიდოდათ თუ არა მეფის ბძანება, მაშინვე კაცები უნდა ეფრინა საამის-კენ, რომ ის დროზე მოჰშველებოდა თავის რაზმს.

კარგა ხანი მოუნდა საამი დაელებული საჭმის გამოწყო-ბას, რადგან დიდი მანძილი და სახიფათო ადგილები ჰქონდა მოსავლელი, მაგრამ ისეთ მოწყობილ და ახოვან რაზმს წამო-უძლვა წინ, სწორეთ სასიამოენო სანახავი იყო.

დაბრუნებული საამი იმან გააკეირვა, რომ ლაშქარი ფირც-ხისში ნახა დაბანაკებული; თანაც ბანაკი აბნეული იყო, ჯარი

\*) ეს უშველებელი ჭანდარი დღესაცა დგა მარაბდაში. კვირაძლო-ბით სანთელს უნთებენ. რამდენიმე თხრობაა ზალბში დარჩენილი ამ ჭან-დარზე. ზოგი ამბავი ხოჯა-ხანის დასაც შეეხება.

განახევრებულიყო, დაქსაქსულიყო. ამასთანავე ისეთი ამბები გაიკონა, რომ იმის მწერალებას საზღვარი არა ჰქონდა.

— ჯარი დავწიეთ აქეთ, არ გვინდოდა შევხეჩებიყავით ყეინის ურიცხვ ლაშქარს, რომელიც მოაბნელებდა არე-მარეს. ალგეთს რომ გამოვიდნენ, ორ ნაწილათ გაიყვნენ, ერთი მტკვრის პირ-პირ წავიდა, მეორემ კოდის გზაზე გადმოქველა სოფლები.

— მაშ მტერმა ისე გადმოიარა ჩვენი მხარე, რომ ვერა-ფერი ვერ ავნეთ?

— რას ეავნებდით, როცა ბძანება არა მიგვიღია-რა. საომ-რათ მომზადებულ ჯარს განსაკლელში ხომ ვერ ჩავაგდებდით ჩვენი ნებით. მხოლოთ კოდაზე დაეცით ღამე ყიზილბაშებს ერთი სამოციოდე კაცით, ზოგი რამ ბარგი წავართვით და ათიოდე ტყვე მოვსხლიტეთ.

— მაინც ვერაფერი გამიგია ამ საქმისა.

— რა ლილი გაგება უნდა! რეგაზ ანდრონიკაშვილის კაცია ხომ გიორგი ბატონიშვილის განკარგულება მოიტანა, ჯარი არ დასძრათ, ეს ჩემი ნებაა პატივსადები მიზეზების გამო და როცა დრო მოვა, მე თითონ გიბძანებთო. ჩვენც ველოდით. ესეთივე ბძანება მისვლიყოთ საგარეჯოს მოურავს გიორგი ჩოლაყაშვილს და ქიზიყის მოურავს ზაქარია ანდრონიკაშვილს; იმათი ჯარებიც არ ახლდა მეფეს.

— მერე?

— მერე და ჩვენი უბედურება! ყეინი თბილის მოადგა. ერეკლე შეებძოლა ხუთიათასიოდე კაცით და, ხომ აცით იმის ამბავი, ხმალ და ხმალ გაეპო იმოდენა სპა, ყეინის კარავს დაპირდაპირებოდა. თურმე შეკრთა ყიზილბაში და ჟეინიც შეფიქრიანდა.

— ვახ, სად ვიყავ!

— ახლა შიგ ქალაქში ამოჩენოდა ბატონს მოლალატეები და მტრის ჯარს კოჯრის გზით შესძლოლოდნენ.

— ბატონი? ბატონი ერეკლე?

— ძალით გაეყვანათ ომიდგან, არაგვისკენ გაეტაცნათ.

— მადლობა ლმერთს, მთლათ არ დავლუპილვართ! მაშა  
გაოხრდა, გაოხრდა ქალაქი?

— მთლათ დაუწვავთ და დაუნგრევიათ.

— ჩვენი მხრიდან არავინ ედგა რაღა ერეკლეს მხარში?

— როგორ არა! ზაალ ორბელიანი იყო იქ თავის რაზმით:  
ყიზილბაშები რომ დაინახა, აღარავის გაუგონა და პირდაპირ  
ეახლა ერეკლეს. ათიოდე კაცი-ლა გადაჩენილა იმის ხალხი-  
დან. თურმე თითონაც დაჭრილია და მეფეს ახლავს თან. ნერა  
ჩვენც ურჩობაზე ტაგველო თავი.

ჩამოვარდა სიჩუმე. ისხდნენ დალონებულნი, თითქო ცხე-  
დარი უდევთ წინაო. მაინც ძვირფას მკვდარსა მგლოვობლნენ:  
გული მოჰკდომოდა საქართველოს. ისევ სააშმა დაარღვია სი-  
ჩუმე:

— დიდი უბედურება დაგვტეხია თავს, რისხვით მოტრია-  
ლებულა ჩვენზე ცის ბორბალი, მე კი არაფერი ვიცოდი. მე  
რომ ვყოფილიყავ.....

— ყოველ წუთს მოველოდდით ბძანებას, რომ კაცი გამო-  
გვეგზავნა და ნამდევილი შეგვეტყობინებინა შენთვის. ამიტომ.....

— მაგაზე არ მოგახსენებთ. მე რომ ვყოფილიყავ შეთქი  
თქენ ადგილას, კაცს გავგზავნიდი ბატონიშვილთან და თითონ  
მეფესთანაც: იქნება გამოგზავნეს ბძანება, მაგრამ რამე მიზეზით  
ვერ მოაღწია ჩვენამდის.

— რა ბძანება! განჯას რომ მოვიდა ყიზილბაში, კაცი  
ვაახელით ბატონიშვილს და შემოეთვალნა, მზათ იყავით, ბძანე-  
ბას ელოდდეთო, გვინდოდა ახლა თითონ ბატონისთვის შე-  
გვეტყობინებინა, მაგრამ ისე გრიგალივით წამოყიდა მტერი,  
რომ ვეღარა მოვახერხეთ-რა.

— იცით, რას გავბედავ? ან მთლათ დაბნეულან ჩვენი  
წინამძღვრები, ან ღალატია აქ, საზიქლარი ღალატი თვით  
ბატონიშვილისა და იმის მახლობელთაგან! ხომ ისეც სისხლს  
უშრობდნენ მოხუც გმირს.

— ყველას. გულში გვქონდა ეგ.

— მტერს რომ უკან დავდევნებოდით, დიდ სამსახურ გაუწევდით ბატონ მეფეს: სოლანლულიდან შეუტევდით, ჩვენ ები გაიგებდნენ საბარათიანო ლაშქარი მოაწვაო, შავარდნის ფრთებს შეისხამდნენ, ჩვენამდინ გამოაპობდნენ ლაშქარს.

შემდეგ იმაზე დაიწყეს ბჭობა, რა უნდა ექნათ ეხლა, რა გზას უნდა დასდგომოდნენ. დაასკვნეს მეფისათვის ეცნობებინათ. როგორმე თავიანთ მდგომარეობა და პირდაპირ იმისგან მიეღლოთ განკარგულება. რადგან სწორეთ არ იცოდნენ, სადა ბძანდებოდა ეხლა მეფე, ამისთვის უმჯობესათ სცნეს ტფილისში შეეპარებინათ კაცი, გაეგოთ ქალაქის მდგომარეობა და იქიდან ელონათ ღონე რამ. თითონ საამმა იყისრა ამ საქმის შესრულება. მეო,—თქვა იმან, —აქ დამდგომი მაინც არა ვარ, ქვეყნის საქეც და ჩემი პირადი მოვალეობაც მიწვევს თბილისშით და უთუოთ უნდა წავიდეო.

## xxv

საამს გათვალისწინებული ჰქონდა, რა ძნელ საქმეს შეუდგა, იცოდა, თუ ჩაუვარდებოდა ხელში ყიზილბაშებს, სიკვდილს ვერ გადარჩებოდა, და ამისთვის ყოველივე გულდასმით მოიფიქრა.

— ქალაქში უნდა წავიდე, —უბძანა თავის მოურავს, — დიდი სიფრთხილე მმართებს და ვამჯობინე სანოვაგის გამყიდველ გლეხათ მოვირთო. თან ლექსოსა და ვანოს წავიყვან. ხვალე გავუდგები გზას. ყველაფერი მოამზადე. აი ეს წიგნიც; თუ რამე უბედურება შემემთხვა, აბრამ მოძღვარს მიართვი და იმან გახსნას: ჩემი ანდერძია შიგ მოხსენებული.

— ბატონი ბძანდებით! მაგრამ არა სჯობია თითონ მე გიახლოოთ? იქნება გამოიყენოთ ჩემი გამოცდილება.

— არა, გიორგი, შენ აქ იქნები საჭირო, რომ მაშინვე აასრულო ბძანება, თუ რამე შემოვთვალე.

შინ რომ სარისტა დაიკირა საამმა, მემრე კოდაზე გადავიდა მკითხავთან. მაშინ აქ ალბუთაანთ მარეხა მკითხავობდა,

հռմելմապ մտյլ սայահուզելո՞ն շո ցառեցա սաելո տացու ցյլութ-  
միսնոնձու. \*) Կո՞նունդա՞մեծու ցացլու լրու մարյե տացու կը հաս  
առ մուսուլյեծու; մտյլ սովորո՞ն յէ յրու աճամոնու լաեցա  
տատահու.

— Իսան վայսապէս լուսայի գայլեցուրաց և ոմս ցայլ-  
ծուան, մա՛ զուլա պնդա լաեցաց մրցու վոն, ու առ գեղայապէ-  
ծու, ամծոնձու ծցեցու.

մյուտեաց յարեծ վոն ոչցա մասու մուսուլու. առպ ցցէնց  
վամուցա սամս, առպ. մոյսալմա.

— Իս լաշմանուա, մարյե, ցըլառ մուսան ևամու?

— Վըլառ; Մեն ծարոնու սամու առ պնդա ոյուս: Աս մրցու  
առ լայմալյեծուն, սուսելու լուրու լրու սանտլուտ սամցնց-  
լու առ ցաեցածուն.

— Տամ հալատ մյուտուսու, ցանա մուցուլյու զոնթյ ո պս-  
չուլուցէմա?

— մոմոյլյու! սայահուզելու ցյլու մոմոյլյու և օմաֆյ  
շնօցառ մցլուցուարյու. ալմալ, չյու առ ցացուցա յէ, հռմ վայրու  
մոցուարսաց, սալուցսամշայլուտ մոյաժմուլսառ.

— յարցո, ծցեցու, զայնարու. վկանոնու աճամոնու եառ և  
վըր մոմեցուարսառ, Իս սպանու ըրուսլյու հյօմ ցյլո՞ն, պտերա  
սամմա վայնուտ.

— աելու Իս զոնդա հյօմցան?

— Մյումունեցու և ցաոցյ! Եռմ ցյլութմուսան եառ.

զեղայակմա ուցալու ուցալո՞ն ցայլպարա սամս. ուցալյուծու  
ազնարո ցամոմերուցուլուն մուրնձունձու. սաելո՞ն մյունցու. ամո-  
ռուն մովունան զըրկելու տասու, ացեսու վայլուտ և մոց ալմասու  
ծցեցու հաացլու,

1) յուգանց ալմանախտ ոչչանուն ուսցա ցամուցուլուց ցամուսու-  
նց մյուտեացէն, հռցուրպ ծարնամյուլյուծու սաելութմ լցուլյուծու. առ առու  
լունու եանո, Իսպ ալմանախտ ոչչանունց չէյոնդա ցատմուլու սաելու մյու-  
տեաց նոնու. առ ցուրպ. յուգանց նոնու վեմուց մուսուն ոմ ոչչանուն մուս-  
նու, ու յուգանց առուն.

— იჯექ ეგრე გაუნძრევლათ, ბეჭედს თვალი არ მოაშორო, შენი საგონებელი იფიქრე!

დედაკაცმ- დაიწყო სახლში სიარული, ყველა კუთხე ტაა- თვალიერა, ყველა კედელს ხელი ახლო; შემდეგ მიუახლოვდა საამს, რამდენჯერმე ჩამოუტარა ხელი ჰაერში თეალებ წინ და უბძანა თვალი თვალში გაეყარნა იმისათვის. საამმა ჩახედა ბე- ზერს შავ თვალებში, რომლებიც ეხლა გველის თვალებივით ბრწყინვდნენ, ისარს უყრიდნენ, გონებას უტანჯავდნენ — და შეზარა.

— თბი..... ილ.... ისი უპა... პატრონო... ნოთ აო... ოხ... აოხრ.... და... გაი... ელი.... იქლატნ,... ენ.... თი.... ნა.... ანო.... საყვა.... რელი.... ტყვე.... ეობ.... ბაში.... ტყვე- ობაშია.... ბეჭ.... ედ...., ამბობდა ნაწყვეტ ნაწყვეტათ მკით- ხაეთ და თან ისე ებძოდა გონებას, რომ ჭირის ოფლი დასხა; ბოლოს მთლათ გაუჭირდა, ჩახუმდა, გარინდდა, თითქო ჩაეძი- ნა.

საამი იჯდა განცვიფრებული და ვერ გამორკვეულიყო, ან როგორ არ გაოცებულიყო, როცა მარჩიელმა მისი გულის პასუხი გაიგო, ის საიდუმლო, რომელიც სტანჯავდა საამს; სა- ხელიც კი ამოიკითხა, მის გულზე უაწერილი სატრფოს სა- ხელი. მკითხავი მოვიდა ცნობას, გამოერკვა.

— ესე არ გამჭირებია გულის პასუხის გაგება, — თქვა იმან. მფარველი ანგელოსი ახლო აღარა მყავს, განშორდა უსჯუ- ლოთავან შელახულ აღვილებს და ისე მკაფიოთ აღარ მესვის მისი ხმა. წადი, შვილო, აასრულე შენი განზრახვა, მოსწმინდე შენი წილი ცრემლი ატირებულ სამშობლოს; წმიდა გიორგი მუხათისა გიძლოდეს წინ!

დაადგენენ ქალაქის გზას, დაგლეჯილ ჩოხებში იყვნენ. გამოხვეულნი, ჩახები ეხურათ; დატვირთულ ხცენებს მიერე- კებოდნენ. ასცდნენ ნარგიზებს, გაუარეს ბორბალა-ერტის-ვაშ- ლოვანს, თავს გადუარეს კუმისს, აჰყვნენ მარჯვნივ კოჯრის ხევს და ტაბახმელ-ოქროყანის გზით დაეშვნენ ძირს. ჩუმათ მიღიოდნენ, ათასში ერთხელ თუ გადუგდებდნენ ერთმანეთს

სიტყვას. საამი დარღიანათ იყო, რაღგან მძიმე საქვეყნო საქმე ეტვირთნა და საკუთარი ჯავრიც ტვინს უღრღნიდა: თინანოს ამბავი არ იცოდა, გული ეტანჯებოდა.

— არ მეგონა, თუ ესე ძეირფასი შეიქმნებოდა ჩემთვის თინანო, — ფიქრობდა საამი. — ყოველუამს თანა შდევს მისი ნათელი სახე, განუშორებელი გახდა ჩემი გონებიდან. ვინ იცის, რა გაჭირვებაშია! იქნება ფიქრობს, სიტყვას უღალატა, აღთქმა დარვიწყაო; იქნება იმასაცა ფიქრობს, მოღალატეებში ურევია, მეფის ბძანების ეურჩია, ჯარი არ მოაშველაო. . . .

ამ ჰაზრმა გული ატკინა ვაგუაცს და თავი ვეღარ შეიმაგრა, მხლებლებს გაუზიარა ფიქრი.

— ასე მგონია, რომ ქალაქში მარტო თათრებისგან არ მოგველის შიში, ჩვენებსაც უნდა უფთხილდეთ.

— ეგ როგორლა იქნება, ბატონო?

— ეცოდინებათ, რომ ჯარი არ მიაშველეს ბატონს და გამწარცბულები იქმნებიან; შეიძლება მოღალატეები ვეგონოთ.

— მართალსა ბძანებ, ბატონო, მიუგო ერთმა.

— მტრის სისხლით უნდა მოვიბანოთ ეგეთი ეჭვი, თქვა მეორემ.

როცა ტაბახმელის თავქვეებიდან თბილისი დაინახა საამმა, გული მძლავრათ აუტოკ-აუჩქროლდა. ეხლა მიხედა, რა საუნავებელი იყო მარტო თვალიერება, უნდოდა მოეგაზრნა თინანოანთ სახლი.

— ვაი თუ ტყვედ წაიყვანეს უმწეო ქალი, ან მოკლეს, ან. . . . აქ ისეთმა ფიქრმა გაუელვა თავში, რომ სიმწვავით გველივით დაიხლაკნა.

ჩასუდნენ ოქროყანას. ციხეს რომ გადახედა საამმა და ზედ ყეინის დროშა დაინიხა, ბოლმით ცრემლები წამოსცვიდა.

ტყუილათ ათვალიერებდა საამი ოთამეს სახლს, ამაოდ ეძებდა! თუნდაც ეპოვნა ის ნანგრევებში და გონების თვალით განეჭვრიტა, მაინც ვეღარ დაინახამდა იქ თავის ბედის ვარსკვლავს, რადგან იმ მნათობის ბრწყინვალებას მოეხიბლა და მიეზიდნა შირვან დევი, რომელიც თავს ევლებოდა მას, ეშვით თვრებოდა, ჩანთქმას ჰლამოდა; ვეღარ დაინახავდა იქ თავის თანანოს, რადგან ის დატყვევებული ჰყვანდა შაქ-შირვანის ხანს სელიმს, რომელიც თითონაც დატყვევებულიყო მზე-ქალას ეშვით.

ქუდებელი დაჰყოლოდა სელიმ-ხანს, ყოველთვის და ყველგან გამარჯვებული რჩებოდა, ყისმათისაგან დაჯილდოვებული. თბილისის აღების დროსაც იმას გაუღიმა იღბალმა: იმის ბარალი აფრიალდა პირველათ ქალაქის გალავანზე. დიდებულმა ყეინმა შენიშნა ეს და პირს აკოცა, ლაშქრის წინ აკოცა პირს! ეხლაც იმავე იღბალმა სელიმს მიშვერა კარს თბილისის უმშვენიერესი ასული, აღებულ ქალაქში იმასა ჰხვდა წილათ უძვირფასესი საუჯე. რა შურს ასძრავს დიდებულებში, როდესაც გურჯისტანიდან ამისთანა სხივოსან არსებას ჩაიყენს სპარსეთში! თინანო დედოფალი იქმნება ჰარამ-ხანისა, იქმნება მთელი სპარსეთისაც, ვინ იცის; სხვა ხათუმები მხოლოდ მოხელეები იქმნებიან კავკაციისა. ისნის ცისკარს შეჰშვენის ირანის ცისკრობა, როგორც თვით სელიმს ბრწყინვალე. . . . . , მაგრამ ჯერ არ მოშენებილა უამი. მგოსნები იქაც ააკვნესებენ თინანოსთვის სიმებს. . . . თითონ მშე-ქალა? ის დაჰმორჩილდება თავის ხვედრს, როცა ჰნახავს, რა სიმდიდრეში, რა პატივში, რა დიდებაში ჩავარდება; მთლიანაც დაივიწყებს საქართველოს და ვიღაც საამს, როდესაც იგი, სელიმი, სიკვარულით გაათბ-გაანათებს მშენიერის გაციებულ-ჩაბენლებულ გულს. და რომ ეხლავე ეგება მის თინანოს რა მოსიყვარულე გძირის ტყვე შეიქმნა ის და რა ფუფუნებაში ყოფნა მოელო.

და მას, სელიმი წასვლის ღროს ზრდილობიანათ, ნამდვილ სპარსულ ზრდილობიანათ, დაემშეიღობა ქალს; არც კი მიუახლოვდა, რომ უდროეოთ არ შეემლვრია მისი ნაზი ვრძნობები, თუმცა, —ღმერთო! —რა ძლიერა ჰსურდა ჩაჰეონოდა იმ შემკრთალ - განცვიფრებულ ანგელოზს!

ამზად! ჩემ სიცოცხლეს გაბარებ; გაუფთხილდი! შენ იცი ჩემი გულის ამბავი, უბძანა საჭურისს.

თინანომ მაღლობა იგრძნო თავის მპყრობელისადმი და ვაჟკაცი წინანდებულებათ შესაზარი აღარ ეჩვენა. ასეთია ვაცის გული: თვით ბოროტებაშაც რომ გცეს პატივი, იმაშიაც იპოვი კეთილ მხარეს.

ერთგულმა საჭურისმა უნაკლულოთ შეასრულა პატრონის ბძანება. ქალი ბატონიშვილის ოთახში მოათავსა. მეორე სართულში იყო ეს ოთახი, შალალი და ვრცელი. აღმოსავლეთით დიდ თახჩაში ძვირფასი შემკული ხატები ესვენა. ამ მხარესვე იყო მოთავსებული კოხტათ ნაგები პატარა ბუხარი, რომლის თავს იდგა ზარიის სათი. ზრდილოეთით იდგა საწოლი ტახტი, მღიდრათ მორთული და წითელი ხავერდით მოდებული; კედელზედაც წითელი ხავერდი იყო შეფენილი. ამ ტახტის წინ იდგა ხავერდ ფენილი მაგიდა, რომელზედაც ეწყო. საწერ-კალამი და ქალალდი; შუაზე იდგა ხელის ყუთი, რომელიც ეხლა უძვირფასესი სამკაულით აეცხოთ. დასავლეთით იდგა გრძელი ტახტი ქეჩა ხალიჩით მოფენილი, გარ-მოწყობილი მუთა-ქებით, რომლებსაც ნაქსოვი ფარჩა ჰქონდათ ვადაკრული. იარაყი იყო დაგებული ერთი მთელი ოთახის ზომის ორხოთი, კუთხეებში იყო მიღვმული სპილენძის რგვალი მაგიდები, რომლებზედაც ათასი თვალთ-წარმტაცირამ ელაგა. რაც რამ უძვირფასესი აეღოთ დავლათ, ყველაფერი მოიხმარა საჭურისმა ქალის სადგომის დასამშვენებლათ, მაგრამ თანაც ისე გაამარტოვა, ისე გააცალკევა ქალი, როგორც ზღაპრული მზეთუნა-ხავი.

თუმცა ღრმა ჭმუნვით იყო მოცული თინანოს გული, მარნც ქალი იყო ის, ახალგაზდა ქალი, და როცა ნახა, რა დე-

დოფლურათ მრაწყეს ის ამ მეფეების სადგომში, გაერთო, თითქო ჩრდილს მიეფარა მისი მწარე ხვედრი და მით უფრო ადვილათ, რომ ეს სიმღიდო ან სულ არ ენახა ქალს, ან სხვის ტანზე და სხვის ოჯახში მოეკრა გაკვრით თვალი.

ღირსიც იყო თინანო დიდებულ ცხოვრებისა, ცოდვა იყო მისი შვენება შესაფერათ არ ყოფილიყო მემკული; ჩამომავლობითაც შეშვენოდა ბრწყინვალე ყოფა. თინანო უბრალო ზეინკალის ქალი კი არა, თავადის ქალია, მღიდარი და სახელგანთქმული წირჩინებულისა. ეს ოთახი მისი საკუთარია, მოყვარული მამისაგან მისთვის მიჩემებული. რა მშვენიერია ეს ვერცხლში ჩასმული თვალ-მარგალიტით მოჭედილი პატარა სარკე; ბიძამ აჩუქა თინანოს ეს ნივთი, ომიდან რომ დაბრუნდა, მაშინ. განა ირ იცოდით ესა! ხომ ხედავთ სარკეში თინანოს ანგელოსებრივ სახეს, გარს რომ კულულები შემოეხვევიან სხივებსავით? ფერთმკრთალი იმისთვის არის, რომ მთელი ღამე ძილი არ მოსვლია. პირველ ღამეს რომ ჩაიძინა და სიზმარი ნახა, სიხარულით გული აუტოკდა, იმ გულის ცემამ გამოალეიდა ის. აღარ დაეძინა და აღარ! მემრე იცით ვინ ეჩვენა თინანოს? საამი! რა შვენოდა სიგმირო მორთულობა! როგორ თრთოდა და ღელავდა მისი თეთრი რაში.

— ი, ჩემო სიცოცხლე, ხომ გაჩვენე საქმენი საგმირონი, ხომ მოვსპე მამულის მტერი, ჩემი ხელით მოვკეთე თვი იმ უსჯულოს და ეხლა რაღა გვიშლის შეუღლებას? ღირს მყავ მოგეახლოო, სიცოცხლე!

განა აქამდინ კი ედგა რამე წინ ჩვენ კავშირს, გმირო თავდადებულო,— რა აღუდგებოდა წინ სიყვარულის უძლეველ ძალის, მაგრამ სამშობლო რომ მტრის ხმალ ქვეშ ჰკვნესოდა, იმისთვის არ მოგეცი პასუხი.

— ეხლა, სასურეელო?

— ეხლა, როდესაც ვნახე მტერი ძლეული, შენის მარჯვენით დათრგუნებილი, ეხლა.....

ნახად დახარა ქალმა წამწამთა ჯარი. მიხვდა გმირი, ჩაეკონა.

— ჩემო ყველავ! — ჩასჩურჩულებდა ვაჟკაცი და ოვალებს უკოცნიდა.

— რა ტკბილია ეს კოცნა! უკვეჭავების შეხედვა!

ნეტარების ნაპერწკალმა დაჲკრა ქალს თხემით ტერფამდინ და დაბუგა.

— რად გამშორდი ეგრე ცივალ, ჩემო იმედო?..... ნუ! ნუ მამეკარები! შენ, დიდებული გძირი ქვეყნისა, ბრწყინვალე თავადი, მე კი — ხელოსნის ქილი, მხევალი შენი, ასული შენის ნაყმევისა..... გულმა დაზღლია და გავკალნიერდი, გავბედე გამესწორებინა თვალი შენი შარავანდელისათვის და დავისაჯე..... მომხედე, მხოლოთ მომხედე, კიდევ დამანახე ვაჟკაცური შენი სახე! ერთხელ, მხოლოდ ეხლა და..... გაგშორდები, გავალ ქვეყნით, განდევილთა სავანეში ვილოცავ შენთვის სიკვდილამდინ.

— ნუ მეტყვი მაგას! მშევენიერება თვით უფალია უფლებათა, ხოლო შენ განხორციელება ხარ მშევენიერებისა და უმაღლესი ქვეყნიურ დიდებულთა, მაგრამ..... — თქვა საამშა და ძვირფას ნივთებს გადაავლო თვალი.

— უი, დამიდგა თვალი! ხომ არა გგონია შენი თინანო ამეებით შეისყიდოს ვინმეჩ? სამოთხეზე ვერ გავცვლი ჩემ სიყვარულს; ქვეყნის სიმდიდრე ჩალათ მიმაჩნია უშენოთ..... ძალა? ძალას ვერეინ იხმარებს ჩემზე, რაღან სიკვდილი ხელთა შაქვს, — ამბობს თინანო და გულზე გაკეთებულ შანას უჩვენებს. — სიკვდილი მყავს აქ დატყვევებული, წუთზე გადამაფრენს ამ ქვეყნით და იქ მოგეგებები სპერაკ-უმანკო, როგორც სხივი რამ.

— უიმე! — შესძანა ქალმა და ოცნებიდან გამოსულმა თრთოლა დაიწყო, როცა გაიღო კარი და მის წინ მოწიწებით წარსდგა სიკურისი.

— მე ვარ, მჩეთა მშე, მონა და ფეხთა მტვერი შენი. რის თვისა კრთები? გმირთა-გმირი სელიმი დაბრუნდება ხვალ და მალე წავალთ გამარჯვებულნი სპარსეთში. იქა ჰნახავ, რა ბრწყინვალე თქვენი მეუღლე.

— მიშველე, საამ! — შესძახა სასოწარკვეთილებით ქალმა და გადესვენა.

— შორს არის შენი საამი, ვერ დაგიხსნის! ვეღარავინ გიხსნის შენ ჩვენი ხელიდან! — სთქვა გესლიანათ მონამ და ვარდის წყალი აპკურა გულ-შემოყრილს.

## xvii

სცლებოდა კაცთ-არამგზავსი! საამი ახლო იყო, ძალიან ახლო.

მგზავრები ჩავიდნენ სოლოლაკის თავქვეზე. ქალაქის გზებით თათრებს ჰქონდათ დაჭერილი და გარს შემოეხვივნენ. სამმა ანიშნა მხლებლებს, იმისკენ მიეწივნათ, რომ ერთათ ემოქმედათ, თუ საჭიროება მოითხოვდა. ყარაულმა გასინჯა შიტანილი სანოვაგე და ყერის კარს გაგზავნა. აიღეს, ფასი უთქმელათ ჩააბარეს. ამ პირველმა ნაბიჯში გაამნენვა საამი.

— მეგონა დაგვატყვევებდნენ და დახე როგორ პატიოსნათ მოგვეკყრნენ, — ამბობდნენ მგზავრები. საამმა დააბინავა ცხენები, უბძანა კაცებს არსალ წასულიყვნენ და გასწია აელაბრისაკენ. გზა-გზა შენიშნა, რომ თათარი დამშვიდებით არ იდგა ქალაქში: ქუჩები სავსე იყო ურჩებით, ჯორ-აქლებით, ცხენებით; მეტების ციხესთან ბარეს აბარგებდნენ.

— სათარეშოთ თუ აპირობენ გასვლას, — იფიქრა საამმა.

გული ძლიერ აუძგერდა, როცა თინანოანთ სახლს მიუახლოვდა. გაოხრებული დახვდა სახლი: გალავანი შემოერღვიათ, საჩეხი მოეგლიჯნათ, ბაღზა გადაეკაფნათ, კარ-ფანჯარა მიელეწნათ. დალონდა. შეიხედა ფანჯრებიდან — არავინა ჩანდა. ძალლი დათვიაც კი არ მიეგება. გულდაწყვეტილი საამი გამობრუნებას აპირობდა, როდესაც მეზობლის სახლიდან ძონძებში გაჭვეული დელაბერი გამოძერა.

— რა გინდა, კაცო, ვის ეძებ?

— იოთამე მინდა, უსტაბაში იოთამე. აქ აღარა ცხოვ-რობს?

— შე კაი კაცო და განა აღამიანის საცხოვრებელი და არის ე ნანგრევები?

— მაშ სად ვიპოვო? საჭირო საქმე მაქვს.

— რა ვიცი სად იქმნება. ვინ იცის არის კიდევ საღმე ცოცხალი, თუ არა.

ამ ლაპარაკში დედაკაცი თანდათან უახლოვდებოდა საამს და აკვირდებოდა.

— კაცო, ვინ ხარ შენ? თითქო მეცნობიო.

— რაში გევითხება ჩემი ვინაობა? მიუგო საამშა და გამობრუნდა, რაღვან ეშინოდა, არ მიცნას დედაკაცმა და არ გამცესო. აეათმყოფობის დროს მეზობლები ხშირათ ხედავდნენ საამს და შეიძლებოდა ეცნო.

— იმ თავადიშვილსა ჰეგავს, იოთამიანთა რომ მოარჩინეს, ფიქრობდა დედაკაცი. დიდ იმედებს აძლევდა მაშინ საწყლებს, გაჭირვების დროს კი გადიკარგა. დახე, როგორ ქურდულათ დაძვრება!

საამი იასე ღვდლისას წამოეიდა. თუ გავიგებ რასმე ან ქვეყნის საქმისას, ან ჩემი დარღისას, სწორეთ იქ გავიგებო, ფიქრობდა ის. იასეს სახლი არ იყო ისე გაოხრებული, როგორც იოთამესი. თითონ მოძღვარმა გამოხედა. შეხედა საამს და ელდა ეცა, მაშანვე შეიწვია, კარები ჩაკეტა.

— რისთვის გასჯილხარ, ბატონო, და განსაკუდელში ჩაგრი-გდია თავი?

— დავალებული მაქვს გავიგო, სადა ბძანდება ბატონი ერეკლე, ან რასა ფიქრობს და რას აპირობს.

— აქ სწორეთ არვინ იცის ეგ. ის კი ნამდეილია, რომ ღროზე მოასწრო და გაეცალა მტერს; არაგვის ხეობისკენ წაბძანდა.

— ნეტა როგორ აპირობს ქვეყნის შველას? ომ-გარდაუ-ხდელი ჯარები მზათა გვყვანან.

— ქიზიყის ჯარიც მზათა ყოფილა, საგარეჯოსიც, მაგრა რამ შველის მაგივრათ რევაზ ანდრონიკაშვილს იმ ჯარებით ჩვენი ხალხივე დაურბევია.

— ჩვენც გავიგეთ შაგ ავაზაკობის ამბავი. ვერ გაგვიგია, როგორ მოხდა, რომ შეკრებილი ჯარები თავის დროზე ვერ ეახლნენ მეფეს; არც ჩვენ მიგვიღია ბრძოლაში მონაწილეობა. ბძანებას ველოდით.

— მემრე არ მოგხელიათ ბაჟონის ბძანება? მეფე ხომ კაცი კაცზე ჰეზავნიდა ყოველ შხარეს.

— არ მოგხესვლია! მაინც ახლა რა უნდა ეშეელოს ქვეყანას?

— თათრის წასვლის შემდეგ გამოირკვევა ჟველაფერი და შესაფერი მსჯავრი დაედება.

— განა გადის თათარი ქალაქიდან?

— ხოჯა-ხანი მთლათ იყრება ამ დღეებში, სპარსეთში მიემართება.

— ჩვენი ნაცნობებიდან ბევრი დაიღუპა?

— მთელი ქალაქი სისხლით მორწყეს და გადაბუგეს.

— იოთამე?

— დაიღუპა! სახლის აკლების დროს სიღონია ხანჯალზეც ააგეს. შემდეგში თინანო წაიყვანეს ოყველ და იოთამე შეშლილივით შეიქმნა; გავარდა, ერეკლეს უნდა მოვახსენო, შვილი დამიხსნასო.

— თინანო ოყველ წაიყვანეს?! სად არას ეხლა? ცოცხალია?

— ცოცხალია, სელიმ-ხანსა ჰყავს ოყველ უთხრა, მოძღვარმა და უამბო ქალის დაპატიმრების ამბავი.

— მაშ უსჯულოს სათამაშო გამხდარა ქალი...

— არასოდეს! თინანო ჩემი გაზღიულია და თავს მოიკლავს, შეურაცხებას კი არ მოითმენს. ჸიდეც ჸოახერხებს, თუ თავის განწირვა დასჭირდა: შხამით შემზადებული აბი აქვს თან.

— უნდა დავიხსნა თინანო, ან არ მინდა თავი ცოცხალი! — თქვა საამშა და ზეზე წამოხტა.

იასემ შეხედა საამს და თვალები აეხილა. შეატყო, რა ძვირფასი გამხდარიყო მისი აღზრდილი ამ ვაუკაცისათვის და გული უფრო ეტკინა, რომ ეს ბედი ველარ ელირსებოდა ქალს.

— უთუოდ უნდა დავიხსნა! — განაგრძო საამბა. დავიცემი სელიმ ხანის სადგომს და მოვიტაცებ ქალს. ორი კაცი სხვა მყავს. აქ. იარალი უნდა გვიშოვოთ, უიარაღონი შემოვედით ქალაქში.

— დაბძანდი, ბატონო, მოვიფიქროთ. იარალის შოგნა შეასძლოა, მაგრამ თქვენი განზრახვის ასრულება შეუძლებელია: სელიმი გიორგი ბატონიშვილის სასახლეშია დაპინავებული, რომელიც დანგრევის და აკლებას ჯავათ ხანმა გადაარჩინა. გარს ყარაული არტყია, ეზოში ათასი ხალხი ირევა. მართალია, თითონ სელიმი სათარეშოთ არის გასული, მაგრამ მაინც ბევრი მეომარი ახვევია სასახლეს და ძალიანაც ფთხილობენ. ორი კაცით აზა რას გახდებით.

— მაშ გამოეისყიდოთ! მთელ ჩემ ქონებას მივცემ.

— შეუძლებელია! სელიმი ისეც მდიდარია და ეხლა ხომ ყელამდინ არის სავსე ნადავლით; ქალი ძალიან მოსწონს და არ გასცვლის ოქროში, არ დასმობს.

მაინც დაასკვნეს ყოველ შემთხვევისთვის საამს დაეთვალიერებინა სასახლე, თუ შესაძლო იქნებოდა ეზოშიც შესულიყო, რომ ის მაინც გაეგო, რომელ ოთახში ჰყვანდათ ქალი ჩაკეტილი:

სხამი მიუჟახლოვდა სასახლეს და დაუწყო თვალიერება. ორ სართულიან სახლის ბანზე თეთრი დროშა იყო ამართული, რომელზედაც ოქროს ფერათ იყო სურათები გამოყვანილი. ფართო ეზოს მაღალი გალავანი ერტყა, ზეფით სართულის ფანჯრები ჩაკეტილები იყო, ფარდა ჩამოფარებულები. იგრძნო საამბა, რომ თინანო აქა ჰყვანდათ, მაგრამ რომელ ოთახში? საამი ცდილობდა განეჭვრიტა გონების თვალით მთელი სასახლე, დაენახა თავის საუჯვე, მაგრამ ამაოდ! მაინც თვალი ველარ მოეწყვიტნა ფანჯრებისთვის, რომლებზედაც ეხლა. ჭრთებოდნენ ჩამავალი მზის სხივები და იქნება თინანოს ეალერსებოდნენ. ვინ იცის, რამდენი ხანი იქნებოდა ესე ჭრეტა გადაქცეული, თუ კუჩაში ხმაურობა არ ატეხილიყო. გამოჩნდა თეთრ ტაიჭოსანი მხედარი, რომელიც ჯარს მოუძ-

ლოდა წინ. წოწოლა ქუდი ეხურა; პინით შეღებილი წვერი მტვერს დაეფქვილა. ახოვანი რამ ვაუკაცი ჩანდა. გამოევებნენ სასახლიდან, მოწიწებით ჩამოართვეს ცხენი. ქუჩა ანჩხატამდინ ხალხით იცხო.

## XVIII

საამბა რომ სელიმ ხანის დაბრუნება ნახა, მოტყდა, მოი-ილვარსლა. ქაჯნი მოესწრენ და ძნელად შესამართი საქმე შე-უძლებელი შეიქმნა. გამობრუნდა მჭმუნვარე, აზრ შეხუთვი-ლი. შეიარა იასესთან. ეანგის ფერი ედვა, ბოლმას ტვინი შეერ-ყია, თვალები ამღვრევოდა. იასე მაშინვე მიხედა, რომ ბორო-ტი რამ წაჰკიდებიყო ვაუკაცს.

— დაბრუნდა სულიმ-ხანი. თინანო იმისია, თუ არ მოვს-ვე ის ჯალარი.

— შეუძლებელია! იმოდენა მხლებლებში ვერ მიატანთ სელიმამდინ. თუნდაც მოჰკლათ, რა გამოვა? თინანო ისევ ტყვეო დარჩება და იქნება უარეს დღეშიც ჩაერდეს.

— მაშ ეწიოს მტარეალი გულის წადილს?

— ვერ ეწევა მეოქი! აკი მოგახსენე, თინანოს აქეს საშუა-ლება აიცილოს შეურაცხყოფა. სელიმიც არა ჩქარობს, ცდი-ლობს შეიჩიოს ქალი, არ გაამწაროს, რადგან ეშინიან თავი არ მოიკლასო.

— რაზმი რომ თან მახლდეს, პირდაპირ დავეცემოდი სა-სახლეს, ეხლა კი მირჩევნია მკვდარი ვიყო! — თქვა საამბა და თავი ჩაჰკიდა.

ამ დროს მოისმა ძალლის ყეფა და კარის რახუნი.

— მიხსენ მე, უფალო, მდევართა ჩემთაგან! — სთქვა ხუცეს-მა და გავიდა.

რომ შემობრუნდა, თან შეიარაღებული თათარი შემო-ზუანა. საამბა ხანჯალს ხელი გაიკრა, მაგრამ უეკრათ შესდგა.

— შტრაფილ-ვევ!

— მე გახლავარ, ბატონო საამ!

— Ի՞նչ գոնդա՞ւ?

— Եվ այս միջուկունք! Մեցոնքը մոցելունցահ.

— Կը տունու!

— Ինձ առաջելութ, հռմ Սամսածուրո ցացուցուած և ցալացուած տէպէնո սուզուց, — Տեղյա Շրիրաբունք և մուշելունց և օսես:

— Ճարոնմա Սամմա սուզունուն ցալացմահինա յրաւել.

— Սա ունան ցացց հիմո ոչ պատճա՞ն?

— Սա Սածլոյս հռմ ըստ Ռուսալունք մուն, մանուն Ըստոնահ. Տեղուն-ինուն համար ցար; Ճուրիսալունք և Տեղունքուն յրաւած մեր ցամո- մուրացուն. մանունց Ցուրանո, մացհամ եմա ար ցացըւո, հռմ Տեղուն- սաւ ար մոցյունած Շենուցուն պարագանեցա; Ովունան ացպարուն: Սակայն մերու համ Սայմե ցայցա և ցանուած մենածուն մեցոնքահուն.

Սամու Կուրա պատճանուն Շեմջաց մունդուն յալս, — մերու ցիս ար ուսու, — և ուժին տացուն ցանչուն առաջանահուն. Շրիրաբունք մուսմունա պայլացյուրու և աստիքա գաեմարեցա. աելու օմանց գանցունք ծիսնա, հռցուր պահա մոցցարեցինած Սայմե և գայեթենած յալու Ռուզուն- ծունան. ցամունիկյա, հռմ յալուն մուրացեցա, ան ցամունարեցա, ան ցամունցունք Շեշմանց մունքուն. Ճուրուն Սամսաց մունցուն սակայն գոյնուն համ:

— յալու եռու տան պահա Քայուցանուն Տեղուն-ինուն և ցիս ցիս ցանցաւունքունք! Ով Կուտ-ցալուցանո մանուն ար յուրիցմեցա ցարս և Յուրագան մուշելունքուն.

— Հռցուր, ցանա Շեսածլուա պատճանուն մուզամունուն լավ- յահուն մուշմարտուն?! — Կայուցուրա Շրիրաբունքան.

— Տեսա ցիս առաջ և օմեցուն զերա զերալազ. ուս Քանունուն զեր Շեցունրունք, սուզունուն մանուն Տասլուցուն մուշելունքուն: ցացցեցա, հռմ Տուրուա այսրունք, և ամուրունքեց.

— Բեռլուն տացգան Քուրուն յալս Շեշմանուն մունցունք մացունտան Քանուր, — Տեղյա մուշելունքան.

— Ար ու ցար Շեշմանց յալուն հիմո ցանէրաեցուն Շեսրունք, մունուն մունքունք! լամիյա լամեցունք Ցաւուն ցանէրա ցիս, ցմուն Քայա, ցանձանցա; Ռուզունք պատճան աելու ար Օբարեցեն և ման-

საუკეთესო ჯარიც მოშორებით იქნება. საქმე ეხლა ის არის, მარჯვე ადგილს დახვდეს კაცი და სწრაფათ იმოქმედოს. რაზმე გაწვრთნილი მყავს, იმედი მაქს.

ეხლა ეს რჩევა ჭკუაზე ახლო ეჩვენათ. გონების თვალით აათვალიერ-ჩათვალიერეს გზა და უფრო ხერხიანათა სცნეს მოეტაცნათ ქალი საღმე სოლანლუბიდან დაწყებული ვიდრე იალლუჯამდინ. თუ კუმისის კლდეებამდინ უვნებლათ მიახწევ-დნენ, მაშინ დევნა საშიში აღარ იქნებოდა, რადგან საამშა კარგათ იცოდა ამ კლდეების ყოველივე ბილიკი და ღრანტე— ღარანი, იქ ადგილათ აიცდენდა მდევარს. ისიც მოიფიქრეს, როგორ უნდა გაეგო საამს, რა ადგილის მოჰყებოდნენ გზაზე სელიმის ტყვეები. ესე დაასკვნეს: შტრაფილ-ბეგს უნდა ედევ-ნებინა თვალი და ქალაქიდამ რომ ჯარი დაიძრებოდა, ენახა რა ადგილს მოჰყებოდა ტყვე, ეს ამბავი უნდა ეცნობებინა იასესათვის და ისიც კაცს აფრენდა მოკლე გზით. გაგზავ-ნილს ქვა ყრილზე დახვდებოდა საამის კაცი და ბინამდინ შიო-უვანდა.

— ვეცდებიარ მოვშორდე იმ ეტლს, რომელშიაც ქალი იჯდება. გახსოვდეს, რომ წითელ ცხენზე ვზივარ და წითლე-ბი მაცვია. ვეცდები შემნიშნო და მაშინ მომყევი, ზედ მოგი-ყვან, დაპირდა საამი.

— თუ საწადელი ამისრულდა, ძმათ დაგსახავ.

— მე სიცოცხლე მომნიჭებია თქვენგან! ესეც არ იყოს, ყეინი მიღის, ჩვენ კი ისევ მეტობლათა ვრჩებით.

საჭიროთ დაინახეს ეცნობებინათ როგორმე ეს ამბავი ქალისათვისაც. მამა იასემ დასწერა ბარათი: სთხოვა გული შეენახნა, არა აეტენა რა თავის თავისთვის. პქონოდა სასოება იესოზე, რომელმა შემუსრა თვით ბჭენი ჯოჯეხეთსანი და განათავისულა სულნე მართალნი. სხვა ვერაფერი დაწერა, ეშინოდა წიგნი არავის ჩაპვარდნოდა ხელში. შტრაფილმა აღუ-თქვა ეცნობებინა როგორმე ქალისთვის, რომ საამს თავი გადაუდევია მისთვის.

საამი იმ დღესვე გამოეიდა ქალაქიდან, შტრაფილ ბეგმა თითონ მიაცილა სოლოლაკის კარებამდინ, რომ დაბრკოლება რამ არ შემთხვევოდა. იმავე ლამეს ავიდა საამი ფარცხის. როდესაც აცნობა მეტის ამბავი, ქალაქის მდგომარეობა, ყეინის მზადება წასასვლელათ ძალიან გაუკვირდათ. ვერ გაეგოთ, რატომ თავისებურათ არ მოქმედობდა ბატონი ერეკლე, რახან მშვიდობით გადარჩენილიყო, რატომ გრიგალივათ გარს არ უვლიდა ქვეყანას, რატომ არწიეივით თავს არ დასტრიალებდა მის ბუდეში ჩასახლებულ მტაცებელს. მით უფრო საკვირველი იყო მარად მხნე მეფისაგან ისეთი უზრუნველობა, რადგან იცოდა, რომ ქართველების უმთავრესი ძალა ფეხზევე იდგა, რომ მის საშველათ გამზადებული იმერეთის ჯარი ჯერ ისევ თითქმის ხელუხლებელი იყო, რომ ლექ-ჩერქეზთა ჯარიც მხოლოთ იმის მოწოდებას ელოდდა.

— ამოდენა ლაშქარი ფეხზეა თითქმის ხელ შეუხებელი და ხოჯა-ხანის მომწყვდევა ოხრებულ თბილისში როგორ უძნელდება ბატონ ერეკლე?! ჰკვირობდნენ სარდლები.

ის აღარ იცოდნენ იმათ, რომ კრწანისის ცელზე ბატონი სასკვდინოთ დაიჭრა, რომ მას მკერდში მოხვდა დალატის გესლით მოწამლული ისარი და გული გაუგმირა, მოუკლა, ხოლო უგულოთ თითონ ერეკლეც ვეღარ გმირობდა.

ვერც ის გაეგოთ, აღა-მაჭად-ხანს რაღა დაჭმართოდა, რომ იყრებოდა მთელი თავისი ჯარით. იმან მარჯვეთ ჩაიგდო ხელში დედაქალაქი და უმთავრესი სიმაგრე, მკერდზე მუხლი დაადგა მის ფეხქვეშ განრთხმულ საქართველოს და იმის მაგივრათ, რომ ძლევამოსილი ლაშქარით გაევლო ქვეყანა კიდით-კიდე და დაემონებინა, ის ერთ წუთს შედგა თავისივე გამარჯვებით დამთვრალ-გაბრუებული და ეხლა ირანისკენვე მიისწრაფებოდა; ვერ გაეგოთ, რამ მოაჯადოვა ეს გამოცდილი სირდალი, რომ ვერ მოეხერხებინა ესარგებლნა გამარჯვებით.

ის აღარ იცოდნენ იმათ, რომ კრწანისის ველზე გამარჯვებული კეისარი ჰკეიიანი და გამოცდილი მფფე იყო, ჰხედავდა, რა შემთხვევითი იყო მისი გამარჯვება და რახან თითონ ერეკლე გაუშვა ხელოდან, დარწმუნებული იყო, რომ ეს მოხერხებული ფალაეანი შეინძრეოდა, რასმე უნცაურს მოაგვარებდა, გამარჯვებულ ყეინს საარაკოთ გახდიდა.

საამმაც არ იცოდა, როგორ უნდა ახსნილიყო ყველა ეს ამბები, არც ეცალა ეფიქრა ამაზედ, მისი გონება სხეა დარღით იყო გამსჭვალული: მისი მზეთუნახავი შეეპყრა დევს, გატაცებას უპირებდა და უნდა ეზრუნვა რამე; თუ ეხლავე ვერ უშველიდა, თუ ეხლავე ვერ გამოსტაცებდა ხელიდან ტყვეს, ქალი მისთვის საუკუნოთ იქმნებოდა დაკარგული.

საამმა მაშინვე წამოიყვანა თავისი რაზმი, გადმოვიდა მუხათს, ამოირჩია ოცი საიმედო მხედარი. და საუკეთესოდ შეაიარალა ისინი. გაიგეს, საამმა მცირე რაზმი გამოაწყო, რაღასაც აპირობსო და მივიღნენ იმასთან ერტელი იაია გაბაშვილი, ბორბალელი ზაზა სოლალაშვილი, ენაგეთელი თენგიზ ბარათაშვილი, წალახურიდან ელიზბარ ჯორაშვილი და კოლიდან ბიძინა ყაფლანიშვილი. ესენი სულ თავიდან ხელალებული ახალგაზღობა იყო, სიმამაცეთ გადაქცეული; სულ ხმალზე იყურებოდნენ, ყოველეამს ბოლო სწყუროდათ. საუკხოვოთ იყვნენ შეიარაღებულნი და ისეთ რაშებზე ისხდნენ, კაც თვალი ზედ დარჩებოდა.

მოვიდა ქალაქიდან კაცი და იასე მღვდლის წერილი მოართვა საამს. მოეწერნა, ყეინი ხეალ გამოვა ქალაქიდან, მზათ იყავიო. საამი დაადგა გზას. თხუთმეტი რჩეული ცხენი წაიყვანეს მარქაფათ სულ დაკაზმულები. ჩაიარეს გადასახედავი, ტბისკენ შეუხეიეს, ჩაჰყვნენ კუმისის ხევს, და ხევშივე დაიდეს ბინა ტბის ახლო. დაღამდა. ბძანება გასცა საამმა ცეცხლი არ დაენთოთ, ხმაურობა რამ არ აეტეხნათ. მოუარეს ცხენებს: დახსდნენ ვახშმათ. აქ საამმა დაწვრილებით უამბო ყველას,

რახაც აპირობდა; ჩააგონა, რამოლენა სიფრთხილეს, სიმარჯვეს და მამაცობას მოითხოვდა ეს მისი ცდა. მეტრე გადაარჩია კაცები და უბძანა თავის მოურავს:

— ეს ათი კუი და თხუმეტი ცალიერი ცხენი აქ უნდა დარჩეს ხვალაც; შენთვის ჩამიბარებია ესენი. ცხენიან-კაციანათ მზათ უნდა იდგეთ. როცა გამობრუნებული თქვენამდინ მოვახწევთ; დალლილ ცხენებიდან ამ დამზადებულ ცხენებზე გადასხდებით. მაშინ ყველანი შევერთდებით, ყველანი დასვენებულ ცხენებზე ეისხდებით და მრერი ჩამოგვრჩება. თუ კუმისს მივახწიეთ, კლდეებში გავიფანტებით და მდეევარი ხელცალიერი დაგერჩება.

— არა სჯობია, ბატონო, ყველანი მივიდეთ მტერზე? ჰკითხა მოურავმა.

— არა! მოსატაცებლათ თხუთმეტიც ვეყოფით, საბძოლველათ კი ოცდა ხუთიც წვეთია ზღვაში, მიუგო გაბაშვილმა.

— ცოტანი რომ ვიქნებით, უფრო არ მოგვაჭცევნ უურადღებას, ახლო მოგვიშვებენ, დასძინა ჯორაშეილმა.

ირეგულა. წამოიშალა საამის რაზმი. თხუთმეტი კაცი იდგა დამზადებული. საამს ჭმუნვა ეტყობოდა, რადგან ქალაქიდან კაცი ჯერ არ მოსვლიყო და დაწერილებითი ცნობები არა ჰქონდა მიღებული; არ იკოდა, რომელ ადგილს იქმნებოდა სელიმ-ხანის ჯარი ან ბარგი, რომ პირდაპირ იქით შიემართა. მაგრამ ამ ხანში სწორეთ საამისკენ იყო ბედი: მოვიდა მოამბეც.

— მე თითონა ვნახე, — მოახსენა იმან, — როგორ დაეწყო და გამოემართა ჯარი. ქალი ტრახტრევანდით მოჰყაეთ. იმედი: გაქვს პირდაპირ მიგიყვანოთ. მოვკალ ბილიკებზე ცხენი.

გაემართნენ. გასცდნენ ტბას, გაჰყვნენ იქითა ხევს, მიუახლოვდნენ გზას და ჩამოხდნენ. ხევზე მოდებული ბუწკნარი ჰფარავდა ჩასაფრებულებს. დაუწყეს თვალიერება. ისე ჩანდა

გზა, როგორც ხელის გულზე. მალე იჩინა თავი ლაშქარმა. მზის სხივებზე იარაღს ლაპლაპი გაჰქონდა. პირველი დასტები წყობისათ მიღიოდნენ. გუგუნი იდგა ჰაერში. გული აუტოკადათ გმირებს: ცხადათ დაინახეს მთელი სიძნელე, თითქმის შეუძლებლობა განზრახული საქმისა და თითქო შეკრონენ.

— ამ ლაშქარში თითონ ყეინი ბძანდება. ხედავთ, როგორ ლაპლაპებენ რახტები და იარაღი, — თქვა მოსულმა.

ცხენოსან ლაშქარს ქვეითი ჯარი მისდევდა გუნდ-გუნდათ დაყოფილი. შიგა და შიგ ცხენები და აქლემები ირეოდნენ. აგრ გამოჩნდა თეთრი ბაირალიც, რომლის ოქროს ბუშტზე მზის სხივები სხლტებოდ-კრთებოდნენ.

— სელიმ-ხანის ბაირალი! — იცნა საამშა.

— დიალ, იმის რაზმი გახლავსთ; ამ გუნდშია ქალი, — თქვა მოსულმა.

საამს ისე აუძგერდა გული, რომ უნებლიერ მკერდზე იტაცა ხელი.

— დროა, ძმებო! — მიუბრუნდა საამი ამხანაგებს. მემრე დასწვდა, აიღო სამი თითით მიწა და შექამა. — ეს იყოს ჩვენთვის წმიდა საიდუმლო!

ყველამ აიღო მიწა და ღვთის სახელობაზე შეჭამა, გადაჰკოცნეს ერთმანეთი, შესხდნენ.

— მომბაძეთ! — შესძახა მხნეთ საამშა და გაემართა.

## \*\*

ჯგუფათ და წყნარათ მიღიოდნენ გმირები, რომ უფრო ნაკლებ მიექციათ ჯარის ყურადღება. ძალიან დაუახლოვდნენ მიმავალ ლაშქარს. საამი ქვრეტათ გადაიქცა. მოსულმა ანიშნა საამს და ერთ ჯგუფს დაუპირდაპირდნენ. ბრიოდან გამოათა-

მაშა ტაიჭი წითლათ შემოსილმა მხედარმა და მალე უკანვე შეაბრუნა. მოსხლიტა საამმა ცხენი, მიჰყვა წითლიან მხედარს და ზედ მიაწყდა ტრახტრევანდს, რომელშიაც თინანო იჯდა. შეიქმნა ჩინჩელი. საამმა ჰერა ტყვია წინ გადმოგებებულ თა-თარს და ომოგლიჯა ქალი ჩარდახიდან.

— დამიხსენ, საამ! — ამოიკვნესა თინანომ და მოეჭდო მხე-დარს.

საამმა იშიშველა ხმალი და გამოატრიალა ბედაური. და-ცალეს სხვებმაც თოფები და უკან მოექცნენ წინამძღვარს. გრიგალიეთ წამოვიდა მხედართა ჯგუფი. გონს მოსულმა ყიზილ-ბაშმა დასცა ყიუინა, წამოაყარა ტყვია ამ ერთ მუქა ხალხს, მაგრამ მხოლოთ სამი ჩამოაგდეს \*). ძალიან დაიფარა ისინი შერჩეულმა ჯავშანში. შეიქმნა დევნა. დიდალი ცხენოსანი გამოეკიდა გმირებს, მაგრამ ესენი დარჩეულ ცხენებზე ისხდნენ და დაწინაურდნენ. თაორის მხედრიდან ზოგიერთი მხედარი დაწინაურდებოდა ხოლმე, უახლოვდებოდა ქართველებს, მაგ-რამ ესენი მარჯვეთ იბრუნებდნენ პირს და ტყვიით ჩამოაგდებ-დნენ მდევარს. გამოსკდნენ ტბას, მიატანეს ჩასაფრებულებს. ამათ ადრევე შენიშნეს ამხანაგების მოქმედება და მზათ დახვდ-ნენ. სწრაფათ დაიცვალეს ცხენები. ეხლა საქმე თითქმის მოგებული იყო: ძალიან დაწინაურდა რაზმი. მიახწიეს ვაჟ-კაცებმა კუმისის კლდეებს და სწრაფათ დაიფანტნენ, გაუჩინა-რდნენ.

თოფის სროლამ და ყიუინამ ყეინის ყურამდინაც მიახწია. მოახსენეს, რა ამბავიც მოხდა. ბძანა, ცოცხლები მომზეარეთ

\*) ამ თავდასხმის დროს სამი იქვე მოეკლათ, ერთიც გზაზე ჩამო-ეგდოთ. ამ ოთხივეს მოსახსენებლათ წელიწადში ათი კოდი პური ჰქონ-და მიცემული გოსტაზაბიშვილებისგან მუხათის წ. გიორგის ეკკლესიას. აქაზე სიგელი იდო ხსენებულ ეკკლესიაში.

თავხედები, რომ დაბალების დღე შევანანოვო. მდევარი რომ  
ხელცალიერი დაბრუნდა, ყეინს მიწის ფერი დაედო, გესლია-  
ნათ გადახედა სელიმ-ხანს და ბძანა:

— წაგებულ ბრძოლას უდრის ეს მარცხი!

გ. ბაზნოვი


## სიმღერა

საწუთოდ სახედავადა,  
 ბუნებაგ, ჩექნო ლალა!—  
 ცაგ, წმინდაგ, მაზედ შზე, მთვარევ,  
 გარსკვლაგო დაუთვალაო,  
 ლაღო ტუმბ; ციგლ წუართა,  
 საუკარლად მოუბარათ,  
 და თოხსაგ ქუთხეს, ნიაჭო,  
 ნისლ-ლაჟუბელთ გაღმლალა!  
 გაცქერთ და თვალი გერ ძღვა  
 თქვენისა სიუგარულითა!  
 არც თქვენი ბგერა, ბბბინი,  
 მომეწუინება უურითა.  
 აქა გარ, მატებბით და, მოკვედე,  
 იქაც გამუფებით გულითა!  
 და მერე, ჩემო ფშავეთა,  
 თავის მთა-გორებითათ,  
 თავის ხატით და ჯვარითა,  
 არაგვის ჭალებითა;  
 თავის ვაჟით და ჭალითა,  
 ცხვარ ძრობის ფარებითათ,—  
 მიუფარხარ, აწიწებულით\*)  
 გენაცვლე თვალებითა!  
 მიუგარს ბილიკუ; არაგვის  
 პირ-პირ რომ მიიმართება;

\*) აწიწებული, აწებული, შეყვარებული.

ხან გაიშლება ჭალაზედ,  
 ხან კლდეზედ წევეგმაკება;  
 წამს გამოჰქინდება ერთზედა,  
 სხვაზედ კი დაიგარგება.  
 თავს ომი ადგია ერთთავად  
 ხეები ჩერთანი;  
 გაუნდავს ზედა წინწკლებსა  
 კლდეები წყართანი;  
 იქვე ჭშხეპს, გვერდზედ მუჯები,  
 შუშეუნა გემთანი. \*)  
 მიუვარს და მიუვარს მიწური  
 ფშავლის შშვარტლიან სახლათ;  
 იქითათ საძნოვარ, კლდი,  
 წინ საბძლიანა თავდათ;  
 გარს ეზო, შემღებ სახნავი,  
 ბაკი, შიგ ძროხის ფრაი,  
 საღილ-ვაჭშაშზედ ფშავლის წინ.  
 სონხაზედ ხმელა პურაი,  
 შესაცახებლად ან ხაჭო,  
 ან კაღე უგელის ეუაი;  
 საჭერისთავდ ხინკალი, \*\*)  
 მარხვაში შვინდის წყაო.. \*\*\*)

პიჩინა.



\*) მუჯა—მუჯე, რკინის წყალი.

\*\*) საჯერისთავოდ—სახანდახანოდ, საუკეთესო საჭმლად.

\*\*\*) წყა—კრიანტელი, მუვენი.

## ღვინის ქურდი

(ქიზიყელებზედ ქართლში გაგონილი პატარა ამბავი)

ლილი ხანია სოჭ. ა—მ მიიძინა. მთვარესაც მოეწყინა ცის  
სიერცეზედ ხეტიალი და დასავლეთისკენ სადღაც ტყიან მთებ-  
ში ჩაიბნა. მხოლოდ ვარსკვლავთ მთვარის შემდეგ იწყეს მეჯ-  
ლიში და თვალებ - გაბრწყინვებულნი გადმოჰქაროდნენ მიძი-  
ნებულ სოფელს. გაუხარდათ ვარსკვლავთ მთვარის, იმ ეულის,  
გულ-ცივის ჩასვლა. მისი ცივი სხივები ვარსკვლავთაც გულს  
უცივებდა და ოდნავ-ლა ბეჭუტავდნენ. ეხლა კი, როდესაც ხგი  
ჩაეშვა მთებ შუა, გული გაუთბათ და მხიარულება და კაშკა-  
შიც მოემატათ...

— ბიჭო, აბრი, აქეთ მოდი, შე გამჩენ ...., ე. ლელვს  
მოერიდე, თორე...

— უუუ, აუ, აუ! — სიტყვა აღარ დაათავებინა: ულიბოს  
სახლის ახლო ხუთიოდ ტალიკ მოსაუბრე ბიჭს ლელვის ძირი-  
დან გამოეარდნილმა ძალლმა, რომელიც აბრიას მაშინვე წვივ-  
ში სწვდა და ლრენით ლრდნა დაუწყო. ყველას, გარდა ძალ-  
ლისგან დატყვევებულ აბრიასი, ჩუმი სიცილი აუტყდა. აბრია  
კი დასწვდა ძალლს ქეჩოში და უკანა ფეხებზე შეაყენა. ძალლ-  
მა შეაკვესა თვალები და გამწარებულმა ქვედა ყბა ააკაპუნა და  
თან ჩახრეწილი ხმა ააყოლა. აბრიამ მაშინვე ფოლადი თითე-  
ბი მოუჭირა პირზე და ძალლს წკმუტუნი დააწყებინა....

— თქვე ვერნებო, რა გაცინებთ? მაიტათ, ვისა გაქვთ  
დეკეულას თეძო, თორე ე ბეხრევი ჭვეყანას შეგვიყრის! — გულ-

მოსულმა დაბალის ხმით, მაგრამ მკვახეთ მიჰმართა მოცინავე ამხანავებს.

აბრიას სიტყვებმა ყველანი გამოარკვია. საჩქაროდ იმის გვერდით გაჩნდნენ და ლელვის ძირამდის ძალლის მითრევაში მიღველნენ.

ლელვის ძირას წყნარად დაუშვეს ძალლი, მაშინვე პირში უშობელის თეძო მისცეს და თითონ კი ელიბოს მარნისკენ ფეხ-აკრეფით წავიდნენ.

ხორცის სუნი მიედინა თუ არა ბეხრეკს, ნერწყვი წამოუეიდა, რადგანაც მისთვის იშვიათი ხილი იყო და, თუმცა იმ საღამოს სალაფავით, რაც მარინემ გეჯით თავის ხელით მიართო, გამოძღა, მაინც ხაზბად დაუწყო ღრღნა.

პატრონის ერთგული იყო ბეხრეკი სიყმაწვილეშიაც. კი დეც ამისთვის შეინახა და დააბერა; მაგრამ ერთი სუსტი შხარე ჰქონდა. ხორცის დანახვაზედ ყველაფერი ავიწყდებოდა: პატრონიც და თავის თავიც.

ეხლაც ისევე დაემართა. ჩაუწვი უშობელას თეძოს და თავდავიწყებით წუწვნა დაუწყო, რადგანაც ღრძილებამდის მოცვეთილ კბილებით გლეჯა აღარ შეეძლო...

ტალიკმა ბიჭებმა ელიბოს დაკეტილი მარნის კარი შეაღეს და ქვევრს კიდევაც მოჰსნდეს...

— აჲ, მირონსავით არის, ღმერთმანი, მირონსავით! — წამოიძახა მიხუამ, როდესაც ლვინით გუდები და ერთი კაი ტიკორა გაავსეს, და თან საესე ჩაფუუკა წვრილად უკანვე ქვევრში ჩაქრია.

სქელი წითელი ლვინო წმიდა სანთლის მკრთალ შუქზე მაცდურ ნაკადულად ჩადიოდა ქვევრში და ხუთ მოღიმარ შელერებულ ბიჭების გაბრწყინვებულ თვალებს უღიზინებდა; თან წინწკლებს გარს უხვად ისროდა, რის დანახვაზედაც მაყურებელთ პირს ნერწყი მოსდიოდათ,

— რატო მაგრე წვნიკად ასხამ, შე ვერანავ, ბარემ ერთ-გაშათ ჩაასხა! — წაუბუზლუნა გიომ და შხარში ხელი წაჰკრა.

— მზათ არის, წავიდეთ, თორე ჩვენ ლოდინში სული ამოჰძვრებათ ი ხალხს, — სთქვა აბრიამ, როდესაც ტიკურას პირი მოჰკრა და იღლიაში ამოიჩარა.

— წაეიდეთ!... სთქვა მიხუამდც და ქვევრს სარქელი დაფარა.

— იი, რა სულელები ვართ; — თითქმის კარებში დაიწყო ივანემ და უკანვე დაბრუნდა.

— რა მოგივიდა, კაცო, წამოდი! — თითქმის ქველანი მიბრუნდნენ ვანუას სიტყვებზედ და ერთად დაეკითხნენ.

ეგონათ, თუ დაავიწყდათ რამე, რომ ივანე უკანვე მიბრუნდაო.

— რაღა რა მომივიდა, თქვე ოხრებო, — ჩუმის ხმით დაიწყო ივანემ და სანთელი ისევ აანთო. ქვევრის პირას ვიყავთ და ლვინო კი გემოით არა ვნახეთ. რას გვეტყვის ი ხალხი? მასხარად აგვიგდებს..

— აა ამოგაგდოს ქრისტემ ყე!.. ლრეჭით უთხრეს და ქვევრს ისევ მიეხვივნენ.

— მართლა და რას გვეტყოდნენ ი ვერნები! ვიღა გადურნებოდა იმათ!.. — ლრეჭით წამოიძახა აბრიამ და სავსე ჩაფუქა ქვერიდგან ამოწუნწყლა.

— აბა, ჩეარა დალიგ!.. — ყევლამ ერთად უთხრა და თვალებს ბზინვა დაუწყო.

— ივანე, შენ გაცოცხლოს ლმერთმა. შენ რომ არ ჟოგეგონებინა, ჩვენ სირცხვილით ხვალ ტოლ-ამხანაგებში ველარ გავერევოდით! დალოცა ივანე აბრიამ და ჩაფუქა მოიყუდა.

ივანემ კმაყოფილებით წვერზე ხელი ჩამოისეა და ულვაშებში ჩაიკინა..

ყევლამ ჩამოირიგა ჩაფუქა და ივანე ადლეგრძელა. ყველაზე ბოლოს ჩაფუქა ივანეს ერთო. ივანემ დიდის სიამოვნებით მაღლობა გადაუხადა ამხანაგებს და, როცა ჩაფუქა გამოცალა, დაიწყო დვინით. დასველებული ულვაშების წუწნით ლაპარაკი:

— იიიი. რა ძაან ღვინოა!. ნაწლავები სულ არ ჩამ-შვაა!.. თუ ლუკმა არ დავაყოლეთ, ბინებამდის ვერ მივალთ. აბა ერთი მოუთაროვოთ, ელიბო შენახული კაცია, შესასუსნი ექმნება რამ.

— ე ღმერთ გამწყრალი, ჭკუის კოლოფად არ გადი-ქცა!.—სიცილით დაიძახა მიხუამ და სანთლით კუთხეში მიი-რბინამოირბინა.

ივანემ კი ჩატუკა ისევ იმოავსო; ისე ესიამოვნა წითელი ღვინო, რომ კიდევ მოუნდა. სხეებიც სული-მწარედ მოელო-დნენ გამეორებას.

— ბიჭებო, ხახვი და პური რამდენიც გინდათ!..—ალტა-ცებით წამოიძახა მიხუამ და სწრაფად წინ დაუყარა რამდენი-მე შოთი და შემჭკნარ ფოჩებიანი ხახვის კონა.

დამშეულ მგლებსავით ეძეერნენ და საჩქაროდ ხახესა და პურს სვავებივით ყლაპვა დაუწყეს...

მართლადაც დამშეულები იყენენ. ბინებიდან სოფ. ა—მდის შვიდი-რვა ვერსი იყო. სწორედ შედამებისას, როდესაც მეძრო ხეები ვახშამს სჭამენ ხოლმე, გადასწყვიტეს ა—ში წამოსვლა, რადგანაც მაშინ დაკლეს აბრიას დეკეულა, რომელმაც უეპ-რივ კდომა დაიწყო. „მიწის მგელი“ გამოუვარდა, თუ რა ღმერ-თი გაუწყრა, აბრიას „სალ-სალამათმა“ გათქვირებულმა დეკეუ-ლამ ფეხები ფშიკა და კდომა დაიწყო! აბა, როგორ მოჰკლავ-დნენ ისე უსულადოს!? მაშინვე ყელში ხანჯალი გაუყარა და სისხლი გამოადინა.

მეძროხეებისთვის ეს შემთხვევა დიდ მოვლენად ჩაითვლე-ბოდა.

აბრია თუმცა მოწყენით დაპყურებდა ყელ-გამოლადრულ დეკეულას, მაინც გულში ჩუმჩუმად სიამოვნებდა; უხაროდა, რომ რე და მაწონით მობეზრებულს ხორცის ჭამა შეპხვ-დება... .

ხორცის ჭამა უღვინოდ მეძროხეებისთვის წარმოუდგენ-ლი იყო. ამისთვის ამოირჩიეს ოთხი მარჯვე ბიჭი, აბრიაც

თან გააყოლეს და თან, რადგანაც ერთი ორ ჩაფიანი ტიკის  
მეტი არ ჰქონდათ, გუდები გაატანეს.

თითონ კი აკაფეს უშობელი და ქვაბებით ცეცხლზე შე-  
მოდგეს. ლუკმა პურითაც არ გაინძრიეს ყბები, რომ შენაყრე-  
ბულიყვნენ, რადგანაც ყველა მათგანი ცდილობდა მოემშია,  
რომ ხორცი ბევრი შეეჭამა.

ერთი-ორი ლუკმა გადაყლაპა თუ არა, ივანემ ჩაფუკა  
აიღო და დაიწყო:

— ეს ღმერთმა აცოცხლოს ამ ლვინის დამყენებელი და  
ცოლ-შვილი უცოკნლოს!

— ქრისტეს მადლმა ყე, ელიბო ძალიან კარგი კაცია!  
მაგას ამ სოფელში ტოლი არა ჰყავს, ღმერთმა ღიღ ხანს აცო-  
ცხლოს! — წარმოსთქვა მიხუამ, როდესაც სავსე ჩაფუკა მიაწო-  
დეს, და უსვენებლივ გამოცალა.

— ელიბოს მამა-პაპისა სულ არა დაპრჩენია რა, — დაიწყო  
გიომ, როდესაც სავსე ჩაფუკა ხელთა ჰქვდა: — სუ თავის მარჯვე-  
ნით შეუძენია, რასაცა ჰქვდავთ.

— ამ ბნელაში რასა ეზედავთ, ე. სანთელიც გვიქრება!..  
იოხუნჯა ივანემ.

— ეე, ივანე, ეგყე ველარ მოგივიდა შე გამჩენ...! ღრეჭით  
შეუკურთხა გიომ და თან ღვინისაგან დასველებული. ხელები  
გასაწმედათ გაპოხილ საცვეთებს გაუსვ-გამოუსვა.

— რო გვიქრება ყე, შე აჯამო, უნდა მივაშველოთ რამე  
თუ!.. — განაგრძო ისევ გიომ და ახლა ღვინით დასველებულ  
ულვაშებს მარცხენა ხელით წმენდა დაუწყო.

— ივანე მოგიკვდეთ, თუ ეხლავე არ გაგაჩირალდნოთ!  
ამ სიტყვებით წამოხტა ივანე, სანთლის ნამწვს ხელი დაავლო  
და თახჩასთან მიირბინა.

წამს თთქმას კიდევაც სულ დაბნელდა. სხვებმა პირიც  
კი დააღეს, რომ გაელანდლათ ივანე, რადგანაც გაჩირალდნების  
მაგივრად სულ დააბნელა; მაგრამ ყანყრატოში მობჯენილი  
ჭანძლვა უკანვე დაუბრუნდათ, რადგანაც სინათლემ ერთი  
სამად იმატა.

ივანე თუნუქის მხრჩოლავ ლამპარით უკან დაბრუნდა...

— აპათ, ესაც სინათლე!.. — მთლად გაბრწყინვებულმა ივანემ დადგა ქეევრის პირას ლამპარი და იქავე ჩაიკეცა...

აქნობამდის თუ დაბალის ხმით ლაპარაკობდენ და ფრთხი-ლობდენ, ეხლა კი, სამაგიეროდ, როდესაც მეოთხ-მეოთხე ჩაფუქა წითელი ღვინო ჩამოირიგეს, ცოტა არ იყოს; შებლი შეუწურდათ და სრულებით თავის-უფალ ხმით დაიწყეს ლაპა-რაკი. ცოტა ჩვეულებრივზედაც მაღლა...

— ივანე, ჰაი, ივანე, რა კარგი იქმნებოდა, არა, ბიჭო, რო ცოტა სამწვადე წამოგველო?!. — სინანულით ელრიჭებოდა გიო ივანეს და თან შოთს პლრლნიდა...

— კარგი იქმნებოდა, მა რა?.. ეი, რა შავაშახინებდით ამ ქვევრა პირას!.. — ივანეს მაგიერად მიხუამ უპასუხა, და მწვა-დების ხსენებაზედ პირში ნერწყვი მოუვიდა..

ივანემ კი გიოს სიტყვებზედ თავი ჩაღუნა და, ეტყობოდა, რილასიც მოგონებას ცდილობდა...

— რა მოგივიდა, ბიჭო, მეფე, სოლომონობა ხომ არ მო გენიჭა, რო მაგრე ლრმად ჩაფიქრდი?! — მუჯლუგუნის წაკვრით მიჰმართა აბრიამ და ჩაფუქა ამოავსო..

— ეს ღმერთმა შაიწყილოს ელიბოს ოჯახში გარდაცვლი-ლები — განაგრძო აბრიამ და წუნწყლიანი ჩაფუქა მოიყუდა.

— ამინ, ამ.ნ!.. — თითქმის ყველაზ დაიძახ. ივანე კი ისევ ფიქრობდა. აბრიამ ჩაფუქა ისევ ამოავსო და მუჯლუგუნით ივანეს მიჰმართა:

— დალიე, ელვინო, რაც უნდა ბევრი იფიქრო, ქვეყნიე-რობისას შენ ვერას გაიგებ!

— ხა, ხა, ხა ხა!.. მართალს ამბობს, ქრისტეს მაღლმა, მართალს!.. — ხარხარი დაიწყეს აბრიას სიტყვაზედ სხვებმა. თი-თონ აბრიაც აჲყვა იმათ ხარხარს...

— ბიჭებო, გინდამ ამ წამშივე სამწვადე გავაჩინოთ?!. — სიხარულით წამოიძახა ივანემ, თითქმის დანარჩენების ხარხა-რის საპასუხოდ. უფრო ხარხარი აუტყუდათ ივანეს სიტყვებ-ზედ.

— რა გაცინებთ, თქვე აჯმებო, მართლა ვეუბნებით!.. — წყრომით უთხრა ივანემ.

— დაითერა, აი, ხა, ხა, ხა!.. — ისევ ხარხარი დააყარეს ივანეს.

— თქვე აჯმებო, ი დეკეულას ბარკალი დაგვავიწყდათ, ძალლს რო მიუგდეთ?!.

— ეე, მართლა, კაცო, ი როგორ დაგვავიწყდა!.. — ერთ ხმად წამოიძახეს და ივანეს გაკვირვებით მზერა დაუწყეს.

— მაგანაც ჰთქვა, რალა?.. — წარმოსთქვა ცოტა სიჩუმის შემდეგ მიხუამ: აქნობამდის ძველებსაც დაპკვნეტლა ი გამჩენ...

— ძვლებს კი არა, რეინას დაპკვნეტლა!.. — დაცინვით სიტყვა გააწყვეტინა აბრიამ: წელან ე წვიეს სისხლიც ვერ გამოაღინა.

— მაშ, აბა, ენახოთ!.. — დაიძახა ივანემ: ღმერთმანი ერთი ციცქაც არ ექმნება დაკლებული.

თქმა და ასრულება ერთი იყო. ხუთი ბიჭი ბარბაცით გამოვიდა მარნიდან და ბნელაში მღრჩოლავ ლამპრის შუქწედ ლელვის ძირის ძალლის წინ მწკრივად გემოიქანდაკა; შორის ახლოდგან ლრეჭით ძალლს მზერა დაუწყო. ძალლმა კი ამათ დანახეაზედ, მართლაც, ჯერ ისევ მთელ, მხოლოდ მტკრით მოგანგლულ დეკეულას ბარკალს წინა ტოტები გაადაწყო და თვალის კვესებით კბილების აღილას შავ ხაზ გასმული ჩალვიძლებული ლრძილები გამოაჩინა.

— უუუ!.. — ლრინავდა ძალლი.

— უუუ!.. — აჯავრებდა ხუთიევ ლრეჭით ძალლის ლრენას და ვერც ერთი მათგანი ვერ ჰდედავდა დეკეულას ბარკლის გამოცლას.

— აბა, აბრი, ისევ შენ!.. — მიხუამ ჰკრა წელი აბრიას და ზედ ძალლზედ კი წაპირქვავა:

— აუ, აუ!.. — ძალლმა ერთი ალიაქოთი ასტეხა და ზედ წაწოლლილ აბრიას ლრლნა დაუწყო.

აბრია ძალა უნებრუათ შეებრძოლა ძალლს. როგორც იყო, ყელში მარჯვენა ხელი წაავლიო და მაგრად მოუჭირა:

აბრია რო ძალლს ებრძოდა, სხვები გულიანად კისკასო-  
ბლნენ...

თქვე მამა ოხრისანო ყე, რა გაცინებთ?! დროით აიღეთ  
ე ბარკალი და გამომწვადეთ, — შეუტია აბრიამ და ძალლს ყა-  
ნყრატოში უფრო მოუჭირა.

ხარხარით დაითრიეს ბარკალი მარნისკენ გამოსამწვადა-  
ვად.

აბრია კი ძალლს ებრძოდა. ილლის ქვეშ ამოიღო ძალ-  
ლი და რაც ძალი და ღონე ჰქონდა, აწვებოდა; თან მაგრად  
უჭერდა ყელში. ძალლი გამალებით წინა და უკანა ფეხებით  
ფხაჭნიდა მიწას, თვალებში მტვერს აყრიდა აბრიას, ცდი-  
ლობდა განთავისუფლებას, მაგრამ ამაოდ.

თითქმის ხრიალიც შესწყვიტა ძალლმა, მიწასაც ისე ლო-  
ნივრად აღარა ფხაჭნიდა და თან-და-თან ყუჩდებოდა. მხოლოდ  
გვერდები და მუცელი ებერებოდა.

— შე ვერანავ, ე მაგრე კეკიანად იყო, ის არ ვიზტევ-  
ნია! — დამშვიდებით წამოიძახა აბრიამ, როდესაც ძალლმა მოძ-  
რაობა შესწყვიტა, და თავისუფლად ამოისუნთქა, თუმცა ძალ-  
ლის ყელში წაჭერილი ხელისთვის არ უფონია.

— ე ძეალი აქვე მომიტანეთ, თორემ ძალლს თავს გაეა-  
ნებებ და ქვეყანას შეგვიყრის! — დაუძახა ამხანაგებს, როდესაც  
მოეწყინა ძალლთან ერთად მხარ თეძოზე წოლა.

— ეხლავე, ეხლავე! — გამოსძახეს მარნიდან და მიხუამ გა-  
მომწვადული ბარკალი მოურბენინა.

აბრიას არსებობა კიდევაც დაავიწყდა ამხანაგებს. იმათ  
გამომწვადეს და ძეალი იქ დააგდეს. თითონ კი სახრეებისგან  
შამფურები გააკეთეს და წვრილად დაჭრილ ხორცის ჩედ ავე-  
ბა დაიწყეს.

როცა აბრიამ დაუძახა, მაშინ-ლა მოაგონდათ, რომ აბრია  
ძალლს ებრძეის და თრიკინი აუტყდათ.

— აქ მამე, პირში მივცე, თორე მომვარდება! — ჩამოარ-  
თვა ძეალი და ძალლს დალებულ პირში ჩაუდო.

მხოლოდ ეხლა-ლა გაანთავისუფლა ძალლის ყანყრატო:  
— ვერანას როგორ ესიამოვნა! არც კი ინძრევა!..

II

— ბიჭო, ბიჭო, დაჰკათ ტაში!  
— გოგონა, გოგონა!..  
— გოგონა და გოგონა, გოგონა, ბიჭებო!..

„გოგომ სთქვა — ჩემმა ნალავმა:  
ბიჭმა ვერ გადმიგორაო,  
ვერცა გამიხსნა სარტყელი,  
ვერცა-რა მომიგონაო!“

— დედაკაცო; ჴა, შე ვერანო, დაჰკრუედი თუ?!.. არ გეყუ-  
რება?! — პერანგა ელიბო კარებიდან უტევდა თავის ცოლს, რო-  
დესაც მარანში სარკმლიდან შეიხედა და უკანვე დაბრუნდა.

— რა დაგემართა, კაცო, რა იყო?! — შმუშნით დაეკითხა  
ირინე.

— ღმერთმა რო არ იცის შენი თავი და რანი, ის დამე-  
მართა!. აბა, მარანში შაიხედე, რა ამბავია!..

„გადაგიხტი, გადმოგიხტი,  
გაგიკეთე ფანჩატური;  
შენი ფეხი, ჩემი ფეხი  
ერთმანეთში ჩახლართული!“

— არალე და არალე!  
— იჴ, ე სადა მღერიან?!.. გაკვირვებით დაეკითხა ირინე  
და ლოგინში წამოჯდა.

— გამოდი მეთქი, არ გეყურება?..  
ხმის ამოულებლივ ირინე ამოუგა ქმარს მხარში.  
მწვადის ოშეივრით გაულენთილი ბოლი უხვად გამოდი-  
ოდა სარკმლიდან და იქ მდგომთ — ირინეს და ელიბოს — პბურავ-  
და..

— დედაკაცო, ჩვენიც ე მარანი თუ?!

— აბა რა ვიცი, ჩვენი რო იყოს, ხომ ეგენი აღარ იტ-ლიკებდენ!..

— აბა, მიხო, ე შამფურიც გაიტანე და გავათავოთ!... უთხრა აბრიამ, როდესაც თამაშობის შემდეგ მიხუა დასაჯდო-მათ დაიხარა.

ყველამ ითაშაშა. ყველანი თავ-დავიწყებით თამაშობდა გოგონაზე. ყველამ კარგად იცოდა სიმღერა და ამისთვის ერთი ერთმანეთს სცვლიდნენ.

მიხუამ უკანსკნელი ხის შამფური მწვადით მოიტანა, და საჩქაროდ მწვადი... .

— ეს ღმერთმა აცხონოს და შეიწყალოს ჩვენი მიცვა-ლებულები!... წაუძირა თავი პურზე ჩაფუკას აბრიამ და მოიყუ-დი.

— ამინ!-ყველამ ერთხმად დაიძახა.

— დედა-კაცო, რაღასაც ჩერჩეტობ, ჩვენია, მა ვისია ე მარანი?!

— თუ ჩვენია, მა ისენი რას აკეთებენ აქ?!

ქვევრის პირას მსხდომთ ყურები ცქვიტეს. მკაფიოდ შეესმათ ელიბოს და ირინეს ლაპარაკი...

ყვებსაც კა აღარ ან ძრევდნენ, სულ სმენად გარდიჭუნენ...

— დედა-კაცო, ერთი ი ჩიხა გამამიტანე!..

ირინე მაშინვე გატრიალდა.

აბრია-კი მაშინვე გარედ გამოვარდა და სარკმელთან მგლომს კისერში სწედა.

— ბიჭებო, ე ვიღაც ოხერია, ლვინის მოსაპარავად თუ მოვიდა?!

ელიბო შეეჭიდა და ყვირილი მორთო. დანარჩენი ბიჭე-ბიც გამოცვივდნენ; საჩქაროდ ასწიეს ელიბო და მარანში შეიტანეს.

— კარგია კიდევ ჩვენ აქ ვიყავით, თორე ხომ ლვინოს მაიპარავდა!.. — ძლივას-ლა აგნებდა ენას მიხუა.

— არა, ბუზის ტოლას ველარ გვამჩნევდი, ჟე ქრისტე..., რო მოჰდიოდი ლვინის მოსაპარავად?!. -ჩაეკითხა ელიბოს აბ-რია, როდესაც ხელ-ფეხ შეკრული ელიბო კუთხეში მიაგდეს..

— ածրո, յ՛հոտո ჩափսպա լցօնօն մասն ւ դառլցզոնց, զոն օլուս, լցօնօնտցով հանգումաց սյուլո մոշմուն! — լրջելու մոշմարտա ոչանցմ, հոռցուսաց ածրոամ ჩափսպա օլցը ամոցցու..

յլուծու կո ցոնես զեր մուսլուկու, ու յս Ի՞ դա դայմարտա. ցիկումբուլու առալույրեցնա մարանս, տոտքո ըրնոնեցնա կուց- ցաւ մարանո ւ արու ըրնոնեցնա. մացրամ յս կո քարցաւ օլու- լա, լցօնօն մուսաձարացն ա՛ մոցունա.

„մա՛ հաճա միշամեցն լցօնօն կյուրդոնիս՞! — Շեյքունեա տացու տացը յլուծու լա քասլես կո զեր մուսւա..

— լցօնօն կո առա, զորս դացալցզոնցնե! — Մամունսա ածրո- ամ լա Շեմքյց եղլ-ցյէ ցայրուլ յլուծու մոշմարտա:

— առա, ազո յալուս մամուսա լա ցընու սյուլույա, յ լցօնօն մուսաձարացնա հոմանութար, յինունք առարա ցիշմես՞!..

որոնցն յածա ցալացպա. ցամոցունա յմրուս հոռեսու ցարցւ լա մոատցալույր-մոատցալույրա յմարու լա րայու ու զելուր լաու- նասա սարկմելուն, սաելլմուզ Շեծրունդա.

— ոչ, սագլաւ Շասլուլա!.. — յածա օլցը ցամունու լա լուցոն- Շո հացուրդա: „հուսա ու յնդա, տոտոնցու ցամունուսու“ — լաս- մարտա, լուցուս յաց մարկեցնա եղլուս ցուլո ամունու, մարչցուն եղլու կուցյց մարկեցնա ոլլուսա՛ հապուրա լա դասեսնունցնա լուցու- ուցալցնե մուսւկս...»

— ծովեծու, Շազուլու, տորոյ ծոնակո ալար մոցունցնեցն!.. — դասեսնա ցուու լա ծարինաւու լցօնունու սացը ցուլո նշուցնե մուց- լու.

— պայլա Շմունա ոյուս Շամիյ... յարցա լավլույտ, առ!.. Շեն կո, յո, զուլաւ լցօնօն կյուրդու եար, եցալ քարունու տոտոն ցացլումն քասլես!.. — տան ծարինաւու ոյանց լա մուցուս լուսարա- յութնա.

— ածա, աելու կո Շազուլու, Շոյ եռ ա՛ հացուլրիցնեցնու!..

— Շազուլու! — յրութմաւ լասեսեց պայլամ լա տացուանու ցուլցնե լա ტոյցնե ալլոյս:

— լցօնօն կյուրդու յարցու առուս, եցալ տացը լուցու ցացուսեմին! — տոտքմուս պայլամ մոցալցւ հատցալց տացուանու

თავი, რომ ელიბოსთვის ეს სიტყვები ეთქვა, როდესაც ბარბაცით გარედ გადიოდა.

ელიბო კი ამ სიტყვებზედ მწარედ იტანჯებოდა.

„დახე, ჩემ სიცოცხლეში ქურდობა არ ჩამიდენია და ამ სიბერის დროს რა თავი მეჭრებაო!“.—თითქმის ტირილით უსიტყვოდ გაიძახოდა და სირცხვილით თვალებს-ღა მაგრად ჰეუჭავდა.

ს. ქვემო-ჭალა.

# გურია-აჭარა

მზადებელის წერილები

—XXX—

## სხვადას ხეობა.

სოფ. ქოჩანი და ბევების საზაფხულო სასახლე.—შერიფუ-ბევების უმ-  
ცროსი ქალი ვერა—ბატი და მისი მასწავლებელი მოლა.—ტყე.—  
ნასოფლარი.—რას 5იშნავს სახელი „ქოჩანი“?—სოფ. ხიხაძირი.—  
ოლქობის (აჯანყების) ამბავი და „მოსკოფები“.—აქაური ხევები.—  
მეწყერი.—სოფ. ვერნები.—დაავადებული სული.—ვერნების ეკლე-  
სიის წარწერა.—გზა სხალთისაკენ.—ფაჩხის კლდე.—სხალთის ტა-  
ძარი და მისი არე-მარე.—ლეგენდები სხალთის ტაძრის შესახებ.—  
ხიმშიაშვილთა სასახლე სოფ. სხალთაში.— სულოსკენ.—აქაური  
ურმები.—ჩაოს დაღმართი.

სხალთის ხეობის სოფ. ქოჩანი, სადაც ხიმშიაშვილთ სა-  
სახლე აქვსთ, ერთ მოზრდილ ველზე გაშელილი. ჩრდილოე-  
გთით ჯერ ისევ პატარა და მოკრძალებული სხალთის წყა-  
ლის სათავე ჩაუდის შეუილით, აღმოსავლეთით ხირხათის მთა  
და მისი ციხე ამაყად თავს დასკურის, ხოლო დასავლეთით  
და სამხრეთით ცის კიდური ფერდოვებზე შავად შეფენილ ნა-  
ძნეარს უკან მოსჩანს. ამ ველზე შემოკავებულია ათიოდ დღი-  
ურის სივრცე ადგილი და ერთს მის კუთხეში ორი ორ-სართუ-  
ლიანი სახლი დგას ხისა: ერთი დიდი—მასპინძელთათვის, ხო-  
ლო მეორე მომცრო—ლონალი, სტუმართათვის. ეს უკანასკნე-  
ლი ევროპიულს ვემოვნებაზე აშენებული და ევროპიულისავე

ავეჯით მორთული. ეს სასახლე დროებით საცხოვრებლადაა აშენებული: შერიფ-ბეგის შვილები და მათი ოჯახობა შემო-დგომა-გაზაფხულზე (საზაფხულო საძოვრებზე საქონლის ამო-რეკის და დაბრუნების დროს) რამდენსამე კვირას ატარებენ შიგ.

ეზოს შუაგულ ადგილს დასაფლავებულია თვით შერიფ-ბეგი ხიმშიაშვილი, რომლის შესახებ არა ერთხელ გვქონდა ლაპარაკი ჩვენს წინა წერილებში. როგორც ვიცით, ეს ბეგი გარდაიკვალა პეტერბურგში 1892 წ. და მისის სურეილის თა-ნახმად, მისი გვამი შვილებმა აჭარაში მოასვენეს და სამშობ-ლოს მიწის პოეტური ადგილი ამოურჩიეს. საუკუნო განსასვე-ნებლად.

აქ გამოვლის დროს სასახლეში რამდენიმე ცოლი-და და-გვხვდა ბეგებისა და აგრეთვე მათი უმცროსი და—ვერა-ბატი (ვერა ნათლობის სახელია, ხოლო ბატი შემოკლებული „ბა-ტონია“). ეს ქალი შერიფ-ბეგს მიეცა პეტერბურგიდან ცო-ლად ჩამოყვანილ გერმანელ ქალის, ხელში და ქრისტეანულად არის მონათლული. 17 წლისაა, ტან-მაღალი, თეთრგვერემანი და მეტად ლამაზი. რადგან თავისს რძლებთან იზრდება, თუმცა ქრისტეანები, ისიც მაჰმადიანურს წესს მისდევს და გა-რეშე კაცის ცნობის-მოყვარე თვალებს ემალება. ჩვენ ერთხელ სრულებათ შემთხვევით მოვკარით თვალი, თორემ, შეიძლებო-და, აქედან ისე წავსულიყავით, არც კი გვენახა ეს პირველი ქრისტიანე გამაჰმადიანებულ აჭარელთა შორის. ვერა-ბატის დედის გადაცვალების შემდეგ ზრდიდა მისი დედიდა და, სხვათა შორის, რუსულსაც ასწავლიდათ. მაგრამ მის შემდეგ თავის რძლებთანა და ისეთს აღზრდას ლებულობს, როგორიც შექ-ფერის მაჰმადის მორწმუნე ქალს. ქართული ლაპარაკი კარგად იცის. იცის აგრეთვე ქართული (ნაბეჭდის) და ოსმალური კი-თხვა. მისი მასწავლებლობა დაკისრებული აქვს ბეგებთან მყოფ ახალგაზლა მოლა ბერიძეს. დიდი არ არის ამ პედაგოგის გო-ნებრივი ავლა დიდება: როგორც თვითონ მითხრა, ოთხის წლის კაპანწყვეტის შემდეგ არაბულად ყორანის წაკითხვა-უსწავლია,

თუმცა წაკითხულის შინაარსი არ ესმის, იცის აგრეთვე რუსულისა და ქართულ ბეჭდურის წაკითხვა. ეს არის და ეს! ასეთს პედაგოგის აქვს მომავალ დედის აღზრდა ჩაბარებული! აქ მისი ცოდნა და განსწავლულობა საკმარისად არის ცნობილი, ზეტე არავინა სთხოვს. საინტერესო ის არის, რომ ეს მოლა პედაგოგობის გარდა მოსამსახურის თანამდებობასაც ასრულებს ბეგების სასახლეში. უკნაური შეთანხმებაა თანამდებობათა, განა, მკითხველო! მაგრამ აქითკენ არც ეს გარემოება აკვირვებს ვისმე. როცა მოლასა ვკითხე, რამ გაიძულა მოსამსახურობაც გეკისრა-მეთქი, მიპასუხა, პაწა ფარა მინდა. მოვაგროვო, რომ მერე სტამბოლში წევიდე, ერთი რეა წელიწადი ვისწავლო იქ და ხოჯობა ვიშოვნოვო. თანაცა მთხოვა, წიგნის (ქართულის) კითხვა კი ვიცი, მაგრამ წერა ვერავინ მასწავლა და ძალიან კარგს ინტებო მასწავლიდეთო. მეც სიამოვნებით მოვუჯექი და რამდენისამე საათის განმავლობაში ქართული ხელნაწერი ასოების ხასიათი გავაცანი. სიხარულით ცას ეწია: ახლა ვერაბატისაც ვასწავლი გურჯულ წერასაო. გამომშვიდობებისას მთხოვა აგრეთვე, ქალაქიდან მის მშვენიერ შეგირდისათვის გურჯული ქითაბი (წიგნი) გამეგზავნა. მეც დიდიც სიამოვნებით გავუგზავნე „დედა-ენა“ იმ იმედით; რომ, იქნება, ამ წიგნის საშუალებით მაინც გაიცნოს მისმა შაგირდმა, ცოტათიც არი, ჩვენი ცხოვრება, იქნება, სახელმძღვანელო წიგნის გავლენით ოდნავადაც არის ატოკდეს, მისი ნორჩი და მიძინებული ქართველი გული...

ბეგების სასახლეს სამხრეთ-აღმოსავლეთით მშვენიერი ნაშენი ტყე აკრავს ნაძვისა. გზები რომ იყოს და მასალის გამოტანა და გაყიდვა შეიძლებოდეს, ამ ტყის პატრონთა მეტის მეტად სახარბიელო იქნებოდა. მაგრამ უგზოობა, როგორც სხვაგან აქარაში, აქაც ყოველ გვარ ეკონომიურ კეთილდღეობას შავბედით ყორანსავით თავს დასჩხავის და. ჩასახვის ნებასაც კი არ აძლევს. მარტო შინაურ, აღაგობრივის საჭირო გბისათვის თუ შედიან შიგ საჭირო მასალის გამოსატანად, თორემ ეს ამდენი ბუნებრივი სიმდიდრე თითქმის გამოუყენე-

ბელია. ათასში კრთხელ არტაანიდან და ფოცხოვიდან თუ გა-  
დმოვლენ გლეხები აქაურ ხე-ტყის სასყიდლად. მაგრამ იმათი  
წალებული აქაურს ტყეს არც-კი ეტყობა. ძალიან კარგი  
ხარები უნდა, რომ ერთის ურმით 5 მხარის სიგძე და 6—7  
გოჯის სიმსხო ხე წაიღონ! ფასსაც ახდევინებენ: ერთ ურემ  
ნედლ ხეზე ხუთ შაურს, ხოლო ძირნაყარზე ორი შაურიდან  
ერთ აბაზამდე, მასალის ღირსების და კვალად. ამ ფასად ხე-  
ტყის გაყიდეა თითქმის უსასყიდლოდ გადაყრაა, მაგრამ რას  
იზამენ, როცა მყიდველთ სხვა მოცილე და მეტის შემძლევი  
არავინა ჰყავსთ! ისიც, წელიწადში ასიოდ ურემი თუ გაიყიდა,  
ღიდ ღვთისწყალობად ითვლება — აქეთკენვე მზადდება ხის  
ჯამ-ჭურჭელი არტაანისაკენ გასასაღებლად, მაგრამ ამ შინანა-  
ხელსაქმარს საპატიო ადგილი არ უჭირავს ბაზარზე და ამიტომ  
ცოტანი მისდევენ ამ ხელობას.

ბეგების ტყეშივე ყოველს ნაბიჯზე შეგხვდებათ ძველ  
ნასოფლარების კვალი: სახლების ქვის საძირკვლები. ერთ  
ნასოფლარის გვერდით ძველებური სასაფლაო ვნახეთ: მიწა-  
ში ფართე ქვის ფიცრებია, იქეთ-აქეთ გვერდებზე, ზემოდანაც  
ფართევე მთლიანი ქვის ფიცრარი აქვს სახურავად. გვინდოდა  
რამდენიმე საფლავი მოგვეთხარა და შეგვესწავლა როგორც  
მაშინდულ დროის ადამიანის დასაფლავების წესი, აგრეთვე  
გვენახა, თუ რამ ნივთი იქნებოდა ჩატანებული მიცვალებულთან  
ერთად სიფლავში., მაგრამ ჩვენი სურვილი სურვილად დარჩა.  
თუ ვისმე მიეცა შემთხვევა აქეთკენ მოგზაურობისა, ვურჩევთ  
რამდენიმე საფლავი მოახხევინოს. იმედი გვაქვს, შრომა  
ფუჭად არ ჩაუვლის. მითხრეს, ერთი ქვის ჯვარიც იყო აქავო,  
მაგრამ ახლა არ ვიცით, სად არისო. ეს გარემოება ნებას  
გვაძლევს ვიფიქროთ, რომ ეს სასაფლაო ქრისტეანობის დრო-  
ისა უნდა იყოს. სასაფლაოზე ამოსული სოჭის ხეგბიც  
ორას წლისაზე მეტის ხნისანი არ არიან. ეტყობა, ერთ  
დროს დიდი სოფელი ყოფილა. დღეს კი სოფ. ქოჩახ-  
ში ბეგების მეტი არავინ სახლობას. როგორც ხალხში  
დარჩენილ თქმულებიდან სჩინს, მცხოვრებნი ამოწყვეტილან

(ომისა თუ ჭირისაგან). მთელს სოფელში ორი და-ღა-დარჩენილა. ერთი მეორესთვის უთქვამთ: ჩვენ რაღას გავუჩერ-დეთ ამ უბედურ ალაგასაო, აქაურობას გავშორდეთო (ოსმა-ლურად „ქოჩახ“) და ხირხათის ციხეზე ასულიან. თუმცა, ხალ-ხის თქმით, ამ სოფლის სახელი ოსმალური სიტყვა უნდა იყოს, მაგრამ შეიძლება ეს სახელწოდება ქართულიც იყოს. ქართულად „ქოჩახი“ პატარა ქოთანსა — ჰკვიან. აღვილად შე-საძლებელია, ეს სახელი ამ სოფელს თავის მდებარეობის გამო დარქმეოდეს: აქაურობას ყოველის მხრივ მთები აკრავს და ქო-თანთან დღიდი მსგავსება აქვს.

ნახევარ დღის დასვენების შემდეგ სალამი მივეცით ჩვენს სტუმართ-მოყვარე მასპინძელს ზაქარია ბეგს და დავეშვით სხალ-თის-წყლის დაყოლებაზე. პირველი პუნქტი, სადაც უნდა გა-ეჩერებულებიყავით იმ დამეს, სოფ. ხიხაძირი ცყო: ამ სოფელში ისევ დღის სინათლით ჩავედით, ასე რომ მანდაურობის დათვა-ლიერება იმავე დღეს შეგვეძლო. წარმოიდგინეთ ოთხივ-კუთხივ ამართული და ტყით დაბურული მთები, რომელნიც ერთი-მეორეს ძალზე ახლო მიჰკვრიან და რომელი იქით არა-ფერი სჩანს. ამ მთების ძირას ერთ მტკაველ მიწაზე ერთმა-ნეთზე მიკრულია თუთხმეტიოდ მოსახლე ხიხაძირელების ხის სახლები: ცის ერთ ნაკერილან, რომელიც ქვაბის სარქველსავით აქაურობას დასკერის, მთელის დღის განმავლობაში მზე საათ ან საათ ნახევარს გზავნის სოფელში თავის სხივებს. ეს ზაფ-ხულობით. ზამთრობით კი, როგა მზე უფრო სამხრეთისაკენ არის ხოლმე გადახრილი, მთელის თოვეობით აქაურებმა არ იციან, მზე და მისი ცხოველმყოფელი სითბო და სინათლე რა არის!.. ამ სოფელში კაცს სული უგუბდება, თავის თავს დამ-წყვდეულად, თავისუფლებას მოკლებულად, ქვეყანაში გამო-წყვეტილადა გრძნობს; სულ იმის ცდაშია, როგორმე თავი დაალწიოს ამ ბუნებრივს საპყრობილებს, ქვეყნის ხილებით თვალს წყალი ასვას, თავისუფლად და შვებით ამოისუნთქოს. ამ სო-ფელს მარჯვნივ სხალთის წყალი რომ არ ჩამოუდიოდეს და მისი ხმაურობა რომ არ არღვევდეს ბუნების დუმილს, აქაურობა

სამარეს დაემსგავსებოდა. ჰკეირობთ, როგორა სძლებს აქ ხალხიო! და პასუხად ერთი და იგივე საბედისწერო სიტყვები გესმისთ: გაჭირვება, მიწის ნაკლებობა! და ყოველს გაჭირვებას, ყოველს ნაკლებობას აქაურმა გლეხმა ავად თუ კარგად თვითონწვე უნდა გასცეს პასუხი, თვითონწვე გაუძლვეს, თვინიერ სხვის დახმარებისა!...

სოფ. ხიხაძირში შესელისთანავე გხვდებათ მიწასთან გასწორებული საძირკველი ძველის ღროის ეკკლესიისა, რომლის ნანგრევებზედ ჯამე გაუშენებიათ,—ნიშანი ქრისტიანობისა და მაჰმადიანობის უსწორო ბრძოლისა და ამ უკანასკნელ სარწმუნოების გამარჯვებისა. ეკკლესიის თლილი ქვები აქავე წყაროს წყლის ამოკირებისათვის მოუხმარებიათ. ამ ქვათა შორის ერთი ქვაა დატანებული (1 მტკაველი და 3 გოჯი განი აქს და 2 მტკ. და 3 გოჯი—სიმაღლე), რომელზედაც ჯვარია გამოსახული და ონკანს ზევითაც ოსმალურად აწერია: „ჩემის სულის საოხად გავაკეთე ეს წყარო სელიმ-აღამ (შემდეგში სელიმ-ფაშად წოდებული სელიმ ხიშშიაშვილი) 1202 წელს (ჩვენებურად 1785 წელს)“.

სალამოხანზე ამ წყაროს მახლობლად თავი მოიყარეს აქაურთა მხცოვანთა. მეტად პოლიტიკურად გამომკითხეს ვინაობა. დიდის ეჭვით უყურებდნენ ჩემს მოგზაურობას ამ ღვთისა და კაცისაგან მივიწყებულ მხარეში. გადასახადით ისე არიან დაშინებულნი, რომ ყოველს უცხო კაცს, აქეთკენ გადმოტყორუნილს, ეჭვის თვალით უყურებენ: ყველა მთავრობის მოხელე ჰგონიათ, და მათის სიმდიდრის შესაზყობად გამოგზავნილი, რომ მერე ახალი რამ გადასახადი გააწერონ. ვერ წარმოუდგენიათ, ქვეყანაზე არსებობდეს ვინმე დე ხორციელი მათი გულშემატკივარი, მათი კეთილის მდომი. ყოველს კითხვაზე სცდილობდენ პირდაპირ არ გიპასუხონ, ან ორჭოფი და სინამდვილეს დაშორებული პასუხი მოგცენ, თავიანთი გაჭირვება ერთიათაუ გააზვიადონ და მეტად უმწეოდ და უსასოოდ მოგაჩენილ თავი. დიდი „ფიცი მტკიცი“ დამჭირდა დამერწმუნებია, რომ არავითარი ბოროტი განზრახვა და ფა-

რული აზრი არა მქონდა და რომ მათთან მხოლოდ სამოყვა-  
როდ ვიყავ მისული. ეკონომიკური მოსაზრების გარდა მათის  
შიშის სავანია სარწმუნოებრივი კითხვა, განსაკუთრებით რო-  
ცა იკინ, რომ კაცი მათთან საქრისტიანოდან არის მოსული.  
ასე ჰერიტაჟ, რომ ყოველს ქრისტეანეს, მათს გასაცნობად  
მოსულს, სხვა დარღი არა აქვს, თუ არ მათი გაქრისტიანება.  
ამიტომ, ვისაცა სურს აქაურობა ნახოს, აქაურთა ცხოვრებისა  
რამე გაიგოს და თან მეგობრად გაშორდეს მათ, მიუცილებლად  
საჭიროა სარწმუნოების შესახებ ხმა კრინტი არ დასძრას, ამ მხრივ  
სრული ინდიფერენციზმი გამოიჩინოს. წინააღმდევ შემთხვევა-  
ში, მხოლოდ თავის ვაუფრთხილებლობას და წინდაუხედაო-  
ბას უნდა დააბრალოს, თუ ბევრგვარი უსიამოენება გადახდა  
თავსა.

ჩემ თანამოსაუბრეთა შორის ერთი ხნიერი სოფლელი  
ერია, გვარად ბერიძე. აქარაში უკანასკნელიად (ოთხმოციან  
წლებში) მომხდარ ოლქობის (აჯანყების) დროს მთავარ მომ-  
ქმედ პირად ეს ბერიძე ყოფილა. სხვათა შორის, ეს სოფელი  
ხიხაძირი გამხდარა ბრძოლის ასპარეზად და აჯანყებულნი რუ-  
სის ჯარს აქ უმკლავდებოდნენ. თავზარი დაგვეცა, — მიაშბო  
ძველშა მეომარმა ბერიძე,— როცა გავივეთ, რომ ჩვენი ხეან-  
თქარი დამარცხდა და „მოსქოფებმა“ (ვითომ მოსკოველებმა  
ანუ რუსებმა; ოსმალები რუსებს „მოსკოფებს“ ეძახიან) დაი-  
პირეს ჩვენი მხარეო. მთელი ქვემო და ზემო აქარა ფეხზე ჭა-  
დება, ვისაც თოფის აღება შეეძლო, სულ ოლქად გავედით და  
გადავწყვიტეთ „მოსქოფი“ აქეთკენ არ შემოგვეშვა. ჩვენი ჯარი  
ხიხაძირში დაბანაკდა. რუსის ჯარი ქოჩაში იდგა, თან ახლდა  
შერიც-ბეგი (ხიმშიაშვილი). ხალხი ხაყვედურს უთვლიდა შე-  
რიც-ბეგს: — შენაა, რომ გვიღალატე და გაგუყიდე, თორემ რუსს  
აქ რა უნდოდათ. გაბოროტებულმა ხალხმა შერიც-ბეგს  
სხალთაში სასახლე დაუნგრია. ხულოში უფროსის კანცე-  
ლირია და ყველა ქალალდები გადასწვა, თეითონ მეფი-  
სოვს (ხულოს უფროსს) მოუკვლელს არ გაუშვებდნენ, რომ  
დროულ არ გაქცეულიყო. დიდხანს ვეწინააღმდეგებოდით რუსს,

მაგრამ ბოლოს მაინც გვაჯობა. ამ ოლქობის დროს მეც შემიპყრეს და უნდა დავეხერიტეთ, ერთს კაცს ჩომ არ გადავერჩინეო. ნაომედეს მთავრობას თხოვნა მივეცით,—პენსია დამინიშნეთ-მეთქი. აუცი წელიწადია მას ძეეთ და პასუხი არაფერი ისმისო. იქნება მომიხერხოთ და ჩემი თავი მოაგონოთო. რომელ მთავრობას მიეცი თხოვნა-მეთქი? ვკითხე. —რუსისას, — გულუბრყვილოდ მიპასუხა. —ძალიან, ვეჭვობ, რუსის მთავრობამ რუსის სალდათების მკვლელს წყალობის თვალით მოგხედოს მეთქი!... მერე ვკითხე: რატომ ისმალეთის მთავრობას არა სთხოვე-მეთქი. —ასე მითხრებს, ახლა ჩვენი არა ხართ, რუსებს ეკუთნით და ისინი გააჩევენ შენს თხოვნასაო.

საზოგადოდ უნდა ითქვას, რომ რუსის შიში მეტის-მეტი ჰქონიათ იმ დროს აჭარლებს. რუსის ხალხი წარმოდგენილი ჰყოლიათ როგორც ყველაფრის შემმუსრავი და ამნაცარტუტე ბელი ხალხი. მათვეის არ არსებობს არც ნამუსი, არც სარწმუნოება, არც ნაცესაობა, არც აღამიანის სიბრალულით. ერთის სიტყვით, ყოველსავე აღამიანურსა და კეთილშობილურს გრძნობას შოკლებულნი არიანთ, წმიდა მათვეის არაფერი არსებობს ქვეყანაზედაო. ასეთს აზრებს ავრცელებდნენ სულიერნი წინამდლვარნი აჭარლებისა. ასეთის ქადაგების გავლენით აჭარლებმა, რაკი ბრძოლით ვერა გააწყვეს რუსის ჯართან ოლქობის დროს, გადასწყვიტეს საშობლო მიწა-წყალი დაეტოვებინათ და თავის ერთ-მორწმუნე ისმალთა ქვეყანაში გადასახლებულიყვნენ. მართლაც, თითქმის ნახევარი აჭარა გადასახლდა მაშინ ისმალეთში და რუსის ქვეშევრდომობა არ ინდომა. იმის დასასურათებლად, თუ რაზომ შინებიათ მაშინ რუსებისა, ერთს ამბავს მოგვითხრობენ. ერთს დედაკაცს უთქვაშს, —ლმერთმა ცოცხალს ნუ მაჩვენოს „მოსქოფიო“. ერთხელ ერთს მეზობელს ხუმრობით უთქვაშს, არიქა, თავს უშველე, რუსი მოდისო. ქალს წინადვე მომზადებული საწამლავი საჩქაროზე დაულევია, —იქნება არ წავწყდე და რუსი არ დაინახოს ჩემთა თვალებმათ. მომაკვდავი ქალი ბათომში ჩაუყვანიათ და საავადმყოფოში. რის წვალებით გადაურჩენიათ სიკვდილს.

მეორე დილას, სანამ ხიხაძირს გამოვეთხოვებოდით, ვნახეთ იქვე მახლობლად სერზე აგებული ციხე, „ვარდ-ციხე“-დ წოდებული. ეს ადგილი ყელია მთელის ხეობისა და ზედ აშენებულ ციხესაც დიზი მნიშვნელობა ექნებოდა მტრისაგან ამ ხეობის დაფარვის დროს. ციხე ორია: ერთია იმ ადგილას, საღაც კალოთის-წყალი სხალთის წყალს ერთეის, მეორე მის ზერელეა. ორივე კარგად მოზრდილებია და ნახევრად დანგრეულებია, ციხის კედლებს დატანებული აქვს ჩუქურთმებიანი თლილი ქვები, ყოველ ეჭვს გარეშეა, რომ ეს ქვები ეკალესისაა. ეს გარემოება ნებას ჯვაძლევს ვითიქოთ, რომ ციხე ოსმალების ბატონობრის დროს არის აშენებული, თორემ ქრისტეანები, მეტადრე იმ დროს, ეკალესის ქვებს ციხეს არ მოახმარდნენ. შესაძლებელია, ეს ქვები ხიხაძირის ეკალესისაც იყოს; აღმად, ოსმალებს ტაძარი დაუნგრევიათ. და მისი მასალა ციხისითების მოუხმარნიათ.

ხიხაძირიდან მეტად დახრამული გზა იწყება. ამის შიზეზი. პატარა ხევებია, რომელნიც თითქმის ყოველ ნაბიჯზე ჩამოდიან სხალთის-წყლის მსაზრდოებლად და საშინლად ხრავენ ნიადაგს. უმეტესი ნაწილი ამ ლელეებისა ზაფხულობით თითქმის შშრალია და ქვებ შორის აღარც-კი სჩანს ხეირიანად. პირველის შეხედვით კაცა ჰვინთა, ამაზე უწყინარი არაფერი უნდა იყოს. მაგრამ საკმარისია დაკვირდეთ მათს კალაპოტებში ერთი მეორეზე შემდგარ უზარმაზარ ლოდებს და საზარლად დახრულს და დალლეტილს ნაპირებს, რომ სავსებით წარმოიდგინოთ, თუ რა ძალას იკრებენ ეს ლელენი წყალდიდობის დროს! საშინელია თურმე მათი ყურება ამ დროს: უზარმაზარს ლოდებს პატარა კენჭებსაეით მოათამაშებს, ძირდანად მოგლეჯილ უშველებელ ხეებს ერთი მეორეზე ხორგავს, ნაპირებს ანგრევს და თან შიაქვს ყანები, სოფლელთა წისქეილუბი და სხვა აელა-დიდება. საკუა პატარა ლელენი ამას სჩადიან, სხალთის წყალი, ეს წმინდა მთის მდინარე, ამავე დროს, ჩათქმა უნდა, ლვთის რისხვა უნდა იყოს!...

აქაურობის მტერი გარდა ამ ლელეთა—მეწყერია. შემო-  
დგომა და ავღრები ისე არ გაიკლის, რომ ზემო-აჭარაში ჩა-  
მდენსამე ალაგას არ ჩამოირლევს მთა. ამ ჩამორლევების დროს  
საშინლად მახინჯლება ნიადაგი, იღუპება ხანდის ხან სოფლე-  
ლთა სახლ-კარი, ტყე, ნათესობა. მაგალითად, 1895 წლის  
ავღრების დროს ხულოს მახლობლად, სოფ. ყალი-ოლოების  
ზემოთ ჩამოსულმა მეწყერებმა ქვეშ დაიტანა ოხი მოსახლე,  
მათი საქონელი და სახნავ-სათესი. იმავე ხანებში ხულოს ქვემოთ  
ჩამოირლვა სოფ. ჩაოს ტყე, ოცდა ათ დღიურზე მეტი. ხო-  
ლო სივრცით ყველაზე დიდი ადგილი უჭირავს სოფ. ვერნე-  
ბის (სხალთის ხეობაში) მეწყერს. აქ ჩამოქცეულია 50 დღიუ-  
ზე მეტი მიწა და ჩამოლეტილი ნიადაგი შორს მანძილიდან  
მოსჩანს წითლად. ნიადაგის ამგვარი პერტურბაცია და ლევა  
ჩვენს ქვეყანაში ერთი აქ შეხვდება კაცს და მეორე—რაჭაში,  
რომელსაც გეოლოგიურად საოცარი მსგავსება აქვს აჭარას-  
თან.

დილას ხიხაძირიდან გამოსული საღილობისას უკვე სოფ.  
ვერნებში ვიყავით. სოფელში ექვსი-შვიდი კომლი მოსახლე  
იქნება. მთელი სოფელი ვიწროდ ერთ დაქანებულ ფერდობ-  
ზეა მიკუნჩხული. სოფელში შემოსვლისათანავე თქვენს ყურა-  
დლებას ერთბაშად იპყრობს აქაურების დაავადებული სახე. წა-  
მლად ერთის ადამიანის ფერი არ აქვს! ყველანი ჩაყვითლებუ-  
ლნი, უმეტესად ქოსანი, არიან, თითქოს, ეს არის, სამარიდან  
ამოულიათო. ძლიერად დადიან, მიხვრა-მოხვრასა და ლაპარაკ-  
ში სიცოცხლე აკლიათ, ერთის სიტყვით სააჭაო პირი თითქმის  
არც ერთსა არ აქვს. ათი კაცი ვნახეთ და მათ შორის ოთხს უშ-  
ველებელი ჩიყვი ჩამოკიდებოდა • კისერზე ცხვრის ტუბასავით,  
ორი იდიოტიც ერიათ, პირზე განუწყვეტლად დორბლი ჩამო-  
სდიოდათ. საინტერისოა გამოკვლევა სოფლელთა ასეთის გადა-  
შენების მიხეზისა. ჩვენს მოვალეობად ჩავსთვალეთ, მხოლოდ  
ფაქტი აღვენიშნა და სპეციალისტის- ყურადღება ამ საგნი-  
სათვის მივვექცია. ამ ფაქტის აღნიშვნასთან ისიც უნდა  
ვსთქვათ, რომ ამ სოფელს ხრული ამოწყვეტა ან გადაშე-

ნება მოვლის. ცხადია, ჰავა ან წყალი ხელს არ უშეობს შცხოვრებთა გამრავლებას, რასაც თვით მისი სახელი „ვერნებიც“ მოწმობს. საფიქრებელია, ოდესმე იმაზე მეტი უნდა ყოფილიყვნენ მოსახლენი აქ, ვიღრე დღეს არიან, მაგრამ შემდეგში აქაურობა ამოწყვეტილა, გავრანებულა.

თქვენსავე ყურადღებას იცყრობს აქ ის ჩუქურთმებიანდ ქვები, რომლებიც აქაურ საბზლებს, სახლებს, ყორეებს და კალოებსა აქვთ დატანებული. თქმა არ უნდა, მახლობლად ქვის ეკლესია უნდა ყოფილიყო. და მართლაც, საკმარისია გზიდან რამდენიმე ნაბიჯი გადასდგათ, რომ თავს წაადგეთ დანგრეულ ეკლესის საძირკველებს, მიწის პირად გასწორებულებს, რომელთა შორის კავალია ამოსული. ამ დროს ვერავინა ვნახეთ აქ, რომ რამე ეამბნა ამ ეკლესის შესახებ. ხოლო ერთ კუთხეში წავაწყდით ერთს ჩუქურთმიანს და წარწერიან თლილს ქვას, რომელმაც ჩვენი ცნობის მოყვარეობა ასე თუ ისე დააკმაყოფილა. ამ ქვას განი ათი მტკაველი აქვს, სიმაღლე თთხი და სისქეც—ერთი მტკაველი. ზედ გამოყვანილ ჩუქურთმების თანახმად, ეს ქვა ეკლესის შესავალ კარს ზემოდ უნდა ყოფილიყო ჩატანებული. მისი ხუცური წარწერა მეტად ძველებურია, უმეტესად წაშლილია და ძნიად იკითხების. რამდენად შეგვეძლო, ფრთხილად და გულ მოდგინედ გადმოვიდეთ. მაგრამ მარტო ჩვენს თავს არ უნდეთ და მისი წაკითხვა ესთხოვეთ ჩვენს ისტორიკოსს ბატ. თ. უორდანიას, რომელმაც, მიიღო რა სახეში ის გარემოება, რომ ამ წარწერის ვადმოლების დროს, რომელსამე ხაზს ან ნაწილს ასოდესას უნდებურად გამოვუშვებდით ან უნდებურადვე ოდნავ შევსცვლიდით, ასე იღმოიკითხა: „ქ'ე (ქრისტე) აღნ (აღიდენ) ეენი (ერისთავთ ერისთავნი) გრგოლ (გრიგოლ) და აბსრა (და აბუსერი) და გი (გიორგი) და [ბე] შქენი (და ბეშქენი)... (აქ ერთის სიტყვის გარჩევა ყოვლად შეუძლებელი შეიქმნა) ზ'ქრ (ზაქარია).“

ეს წარწერა სოფ. ეკრნების ნაეკლესიარის ქვისა, ბ-ნის თ. უორდანიას აზრით, მეტად საყურადღებოა, რაღაც მოიხსენიებს ცნობილს ბუსერის ძეთა გრიგოლს და სხ. აბუსერიძეთა

შტო აღნუსხულია ბ-ნ თ. ფორდანიას „ქრონიკებში“ (მეორე ტომი, გვ. გვ. 122—123; 120 და 121) და აქიდანა ნჩანს, ვინ როდის სცხოვრებდა. ამ შტოებში ბეშქენ აბუსერიძე მო ხსენებული არ არის. შეიძლება, ვერნების წარწერაში მოხსენებულნი აბუსერიძენი შემდეგის დროისანი იყენენ (XIV—XVI საუკ.), რომელთაც ჩვენი ისტორია არ იცნობს, და ანუ სულ უძველესის დროისანი (IX—XI საუკ.), რომელნიც ნაკლებ არიან ცნობილნი. ბუსერიძეთ სჭერიათ ოპიზა და მისი არემარე—აქარა-შავშეთი ანუ ეგრედწოდებული, ხიხათა საერისთავო.

გული დაგვწყდა, რომ საინტერესო ისტორიულ ნაშთის ფოტოგრაფიული სურათი მაინც ეერ გადავიღეთ. ამიტომ, ჩვენს შემდეგ თუ ვისმე მოუხდა აქეთკენ გაელა და ფოტოგრაფიული აპარატიც ექნა, ვურჩევთ მისი სურათი უქმევლად გადაიღოს. მისი ჩამოტანა მეტად ძნელია. ცალკე მის სიმძიმისა და ცალკე საურმე გზის უქონლობისა გამო. მერე, შეიძლება, სოფლელთა კიდეც დაამტვრიონ და იმნაირადვე მოახმარონ თავიანთის სახლ-საბაზების საძირკვლებს, როგორც ყოფილ ეკალების სხვა ქვები მოუხმარებიათ.

ამ ნაეკვლესიარის მახლობლიდ, გზის პირას, ერთი უზარ-მაზარი ურთხელი დგას, ერთ საერთო ძირზე ორ ტანად ამო-სული. სიმსხო თოხის კაცის ხელის შემოწლომა აქვს. როგორც ეცილთ, ეს ხე ძალიან ნელა იზრდება, ასე რომ, ჩვენის ანგა-რიშით, სულ უკანასკნელი, ექვსის საუკუნის მაინც უნდა იყოს. უნდა ვიფიქროთ, რომ ეს ხე დარგულია ეკვლესის აშენების სთანავე, რაიცა მოწმობს ვერნების ეკვლესის სიძველეს და მის წარწერას ეთანხმება. ამ ხეს ტოტები ჩამოცლილი აქვს და არც მაღალია, მაგრამ სიცოცხლით დღესაც ცოცხალია თუმცა კაცის სიმაღლეზე ტანი სულ გაჩორკნილი აქვს,—ეტუბა, მოცლილი ხალხი დანით ზედ ვარჯიშობს და მის მკვე-თელობას იჩენს.

სოფ. ვერნების ქვერელე სხალთისწყალზე გავედით, და დავადექით საკმაოდ კარგს გზას, რომელიც სოფ. სხალთიდან სხალთისწყლის მარჯვენა ნაპირით გამოუყენია აწ-გასვენებულს შერიფ-ბეგ ხიმშიაშვილს. ეს გზა სხალთიდან მეტარე თუ შეათვ. ვერსზე სწყდება, შერიფ-ბეგს-კი სდომებია თვით ქოჩახამდე გაეყვანა და ამ რიგად სოფელთაოვის მასვლა-მოსელა გაეადვილებინა ამ ორს პუნკტს. შუა. მაგრამ რაღვან ეს ამბავი ჯერ ისევ ასმალთა დროს ყოფილა, ასმალეთის მთავრობას პოლიტიკურის მოსაზრებით გზის დანარჩენ ნაწილის გაყვანა აუკრძალავს; ქოჩახამდე რომ გზა გაკეთდეს, რუსს ახალციხიდან შემოსვლა გაუადვილდებაო.

მთელი ეს გზა დაფარულია უქსოვრის დროის წითელით. აქა-იქ გამოერევა წაბლი, მუხა და ფიჭვი. ტყე ისე ხშირია, რომ მზე თავის სხივებს შიგ ველარ ატანს. მგზავრი ნეტარებაშია: რაც უნდა სიცხე იყოს, ამ ხეების ტოტების მფარველობის ქვეშ მყოფი უზრუნველ ყოფილია, ნელი სიო საამოდ. ეალერსება სახეზე და სულოქმას უადვილებს. თან სამოთხისებური სიჩუმეა გარშემო გამეფებული. სხალთის წყლის ხმა ქვეშიდან ნელ დუღუნად-ლა ამოდის. ამ უცნაურს ბუნებაში ჩვეულებაც უცნაურია: ბუმბერაზ წითელებზე ადამიანს როვები გაუტანია გარეულ ფუტკრის საბუღრად. და ტოტებზე კაებით ჩამოუკდნია აკვანსავით. გარეული ფუტკარი ამ მზამზარეულ ბინაში სიამოვნებით ბუღდება და აქაურს გლეხს წლითი წლობამდე თაფლს არ აკლებს. როგოს დამკიდებელს სრულიად არ ეფიქრება იმისი, მეზობელი მივა და. როგოდან თაფლს მომპარავსო; ჩეეულების მიერ დაკანონებულია, რომ ვინც ერთხელ დაპირდ როგო ხეზე, და ხეს ცულით ნიშანი დაადო, მერე იმისი საკუთრებაა ნიშანიანი ხეცა, როგოცა და შიგ დებული თაფლიცა,—სხვა, რაც უნდა უკირდეს, პატრონის დაუკითხველად ხელს ვერ ახლებს, თუმცა სრულებით არ ეშინიან, რომ ამ უდაბურს ტყეში ვინმემ მოასწროს სხვის ქონების დასაკუთრების დროს. ადამიანის შემდეგ, როგორც ვუწყით, დათვს აქვს საშინლად გალებული ფაეის გემო. ეს კი\*

როგორც მოგეხსენებათ, სირცხვილ-ნამუსს ბევრს არ დაგი-  
დევსთ, სხვის საკუთრების პატივისცემა მაინც და მაინც არ  
იცის და დიდის სიამოვნებით ჩაიტკბანურებდა პირს ასე აღვი-  
ლად გაკეთებულის თაფლით, მაგრამ საქმე ის არის, რომ  
გლეხს ცოტა იმაზე მეტი ჭიკუა გამოუჩენია: როგო ისეთ  
ტოტზე დაუკიდნია, რომ თაფლის მტერს დათუნას თუ სულმა  
წასძლია და ზედ გაეიდა, დიდს ხანს არ დაავიწყდება თავისი  
გაუფრთხილებლობა: ტოტი მისი სიმძიმეს ვეღარ გაუძლებს  
და ორმოც მხარის სიმაღლიდან წამოსულმა ძირს თქვენ ა  
მოწონებული სასახლე უნდა ააგოს; კიდევ კარგი, თუ გვერდები  
მთელი შერჩა!..- ასე რომ გლეხის ეს „ბუნებრივი“ ქონება  
ყოველ ფათერაკისაგან უზრუნველყოფილია. თაფლის ამოღე-  
ბის დრო რომ მოვა, პატრონი როგოს დასკულის და ისევ  
თავის ადგილზე დაჰკიდებს მეორე მოსვლამდე: აღარც შიში  
მოპარვისა, აღარც მოვლა - წვალება, აღარც რამე ხარჯი და  
ბორჯი!...

დაუკარდაპირდით სოფ. ფაჩხასაც, განთქმულს თავის  
რკინის წყლებით. სოფელი, მსგავსად სხვა აქაურ სოფლებისა,  
გაშენებულია ფაჩხმატელის კლდეზე, რომელიც ერთ დროს,  
როგორც ხალხში დარჩენილი ამბავი მოვეითხოობს, მსხვერპლი  
გამხდარა ნიადაგის რღვევისა. ეს კიდე შუაზე გაპობილა  
და ერთი ნაწილი დღე-დღეზედ ძირს ჩამოსაქცევად ემზადებოდა  
თურმე. მაგრამ ხალხის ფანტაზიამ ეს კლდე აამეტყველა: ხალ-  
ხის გასაფრთხილებლად სულ იძახდა თურმე: „მოვდივარ, მოვ-  
დივარო“. ერთხელ მის ძირას ერთს დედაკაცს სარეცხა ედგა. მოესმა კლდის ძახილი: „მოვდივარ, მოვდივარო“. მთელის  
დღის განმავლობაში იმდენი იძახა, რომ დედაკაცს მოთმინების  
ფიალა აღევსო და შეუტია: „რა თავს ოდებ! ყურთა სმენა  
კი წაიღე! სულ იძახი, „მოვდივარო“ და ამდენს ხანს რითი  
ვერ მოხვედი?“ კლდემ იწყინა დედაკაცის შეუპოვრება, ერთ-  
ბაშათ მოსკდა და დედაკაციც ქვეშ დაიტანა: ეს დედაკაცი  
დღესაც ამ კლდის ქვეშ არისო, — დასძენს ხალხის თქმულება.  
ამ ფაჩხმატის კლდის ამბავი დღეს ანდაზად არის გადაქცეუ-

ლო. კინმე რომ დაუინებით დაიწყებს გახილს ერთისა და იმპვე საგნის შესახებ და თავის ნათქეაშს ბოლოს არ მოულებს, ეტ- ყეიან; „რას იძახი ფაჩხის კლდესავითო?“

ჰა, შეთხელდა ტაქ, გზაც გათვევედაუდა. შეემ უფრო და უფრო წოუმატა კბენას. 2, 601 მეტრის სიმაღლიდან 693 მეტ- რზე დავეშვით: უკვე სხალოის მიდამოში დართ. ბუნებამ ერთბაშად იცვალა ფერი, სიცივის სამეფოდან სითბოში შევედით: გამოჩ- ნდა ტყებალი, ვაზი, ატამი, შვინდი, რაიცა სულ ოთხ-ხუთის საათის წინ გამოვლილ ადგილებზე აღარ ხარობდა. გამოჩნდა შავად მხცოვანი და უტყვი მოწამე ჩვენის დიდებ ულის წარ- სულისა—სხალოის ტაძარი. ტაძრამდე ასიოდ ნაბიჯის მანძი- ლზე, გზის პირას, ძველი შენობა ქვითკირისა, ანუ სხალოის ტაძრის თაბუნის მარანი, სავსე მიწაში ჩამარხულ უზარმაზარ ქვევრებით. საკვირველია, ამდენს აოხრებას და მუსვრას როგორ- და გადარჩა თითქმის ხელუხლებლად ეს ქვევრები, ეს თვალ- საჩინო ნიშანი ძევლის ქრისტენობისა! ეტყობა, სხალოის არე-მარეში ძველად დიდალი ღვინო მოდიოდა, რომ მისს შესა- ნახავად ასეთი ქვევრები სჭირდებოდათ. ახლაই ათასში ერთხელ თუ შეხვდებით სადმე გააბეჭისარებულს და საცოდავად დაკი- ნებულს ვაზს. ამ მარანის მახლობლად კლდეში მრავალი ნა- შაია ბერების სენაკებისა. ყველაფერი ამტკიცებს, რომ თვით მონასტერი და მონაზური ცხოვრება დიდად ყოფილა გაბრ- წყინებული გარშემო ქრისტეს სიტყვისა და მოძღვრების მო- საფენად.

თვით განთქმული სხალოი ტაძარი ფერდზეზაა გაშენე- ბული. უგუმბათოა და ორპირად ჩამომავალი სახურავი აქვს. სიგრძე მისი 25 ნაბიჯს უდრის, განი—12 და სიმაღლეც 12 ნაბიჯი ექნება. შიგნითა და გარედ ეკკლესიის ტანი თლილის ქვით არის ნაგები. სამწუხაროდ, საცა-კი ხელი მისწოდომიათ, ეს ქვები ყველგან ჩამოუდლეტიათ. გადახურული ლორფინით ყოფილა, მაგრამ ისიც სულ აუცლიათ; მრავალ ილაგას თაღი დამსკდარია, ისე რომ შიგნით მზის სხივიც კი შედის. რა თქმა უნდა, ასე გაძარცული სახურავი დიდს ხანს ვერ გაუძლებს

ბუნებას და უეჭველად მალე უნდა ჩამოიშალოს. აღმოსავლეთის მხრით სამი მშვენიერის ხელოვნურის ჩუქურთმით შეძგული სარკმელი აქვს ჯვრის სახისა. შიგნით მთელი ეკლესია მხატვრობით ყოფილა დაფარული, მაგრამ მტარვალურს ხელს არაფერი დარჩენია შეუგინებელი და გაურყვნელი: საცახელი მისწოდომათ, წმიდანების სახენი ჩამოუფხეკიათ. საცახელი მაღლა ყოფილა, ტყვიით დაუცხრილავთ, ბოლოს, შიგ ცეცხლი დაუნთითათ და კვამლით სულ ერთიანად გაუმურავთ ეკკლესიის ზემო ნაწილი. ჭერში ოთხივ კუთხივ ჩაკირულია ტაძარში მწირველთა ხმის გასაჟიდებლად ჭურები, რომელნიც მტრის ხელს ხელ-უხლებლად გადარჩენილან. იატაკი, რა თქმაუნდა, თლილის ქვებით იქნებოდა მოგებული, მაგრამ ახლა წამლად ერთსაც ვერა ნახავთ აქ თლილს ქვას: სულ აუკლიათ. იქაურობა ფეინითა და სკორეთი სავსეა: ეტყობა, ჩვენთა წილაპართა სალოცავი ბოსელად და ფარეხადაც გადაუქცევიათ. უპატრონო ეკლესიას ეშმაკები დაეპატრონენო, —ამა სწორედ ამ ტაძრის შესახებ ითქმის. გარშემო მაღალი გალავანი აქვს შემოვლებელი, სადაც ძველად დარგული ბზა დღესაც დარჩენილა და მიღამოს თავისს სუნსა ჰვენს. საზოგადოდ, უნდა ითქვას, რომ ხუროთ-მოძღვრებებს მხრივ სხალთის ტაძრისთანა ძვირფასი ამ მხარეზე ერთიც არა ყოფილა, ჩვენის ცხოვრების აყვავებულ ხანის დილება ამ ტაძრში საქსებით ჩამოსხმულა. და მართლა რომ სასწაულად უნდა ჩაითვალოს, რომ ქრისტეს მტერთა ხელს ასე თუ ისე გაღურჩა და ჩვენამდე ამ ნახევრად შებდალულის სახით მაინც მოაღწია. სხვა ეკლესიები კი, მაგალითად, ხულოსი გამდვინვარებულს ოსმალებს სულ ნაღმებით დაუქცევიათ და მიწასთან გაუსწორებიათ:

სხალთის ტაძრის გადარჩენის მიზეზად, სხვათა შორის, უნდა ჩაითვალოს, როგორც აქაურებმა გვიამბეს, ის შიში, რომელიც მის დანგრევას და დაუპატიურებას მოწადინებულთათვის ჩაუნერგავს ორს გარემოებას. ერთს აქაურს გლეხს სახლის ბუხრისათვის აქედან ერთი ციგა თლილი ქვები წაეღო. ხარგბს ციგა დაუძრავსთ თუ არა, ქრისტიანეთა სალოცავის

მკრეხელს გლეხს ბნედა დამართნია. ზარებს ციგა უპატრონოდ შინ აუტანიათ. მოუკითხავსთ პატრონი. ბევრის ძებნის შემდეგ ეკელესის გალავნის ახლოს დაზვედრიათ სიკვდილის პირას მისული. უთქვამსთ, ალბად, გურჯების (ქართველთა) ღმერთი გაგვისისხდა ქვის წილებისთვისო და წალებული მასალა უკანვე დაუბრუნებიათ. მათს სასიხარულოდ, მომაკვდავი გლეხი მაშინათვე მობრუნებული.

მეორე ამბავი. შერიფუბეგ ხიმშიაშეილის მწყემსს ამ ტაძარში ავდრის დროს ცხვრები შეურეკნია. რალაც მიზეზით ერთის დღის განმავლობაში მთელი ფარა გაწყვეტილა და თვიდ მწყემსიც ლოგინად ჩავარდნილა. სხვა მწყემსებსაც იგივე დღე დასდგომიათ. უთქვამსთ, ალბად ამ ჯანაბეთში შაითანები (ეშმაკები) ბუდობენო. მთელი ეკელესია ბურდოთი და ნეშოთი აუვსიათ და ცეცხლი წაუკიდებიათ.

თვით ხოჯებსაც მოუნდომებიათ ეს ტაძარი მეჩითად გადაეკეთებინათ, მაგრამ მუშაობას შესდგომიან თუ არა, ყველანი ჰქუაზე შემუდარან და ამ განზრახვაზე ხელი აულიათ.

ამათს გარდა შერიფუბეგის მამასაც უცდია მოესპო ამ ტაძრის ხსენება. განუზრახავს აქაურობა დაენგრია და მის ნანგრევებზე სახლი აეშენებინა. მაგრამ პირველ ლიმებში სიზმრებს საშინლად შეუჭამია და იძულებულ ქმნილა სახლი სხვაგან აეშენებინა.

ამ ხმებს დიდი გავლენა ჰქონია მცხოვრებლებზე და ამ ტაძრისაღმი შიში და კრძალვა ჩაუნერგავსთ. დღეს, მართალია, ნგრევით არავინ ანგრევს, მაგრამ მგზავრები, მეტაზრე მწყემსები, მეტად უპატიურად ეპყრობიან: გამვლელ-გამომვლელთათვის ეს ტაძარი სასტუმროდ გამხდარა; შიგ ანთებენ ცეცხლს, აბამენ თავიანთს საქონელს და მათის ნეხვით მანდაურობას აბინძურებენ იმ ზომამდე, რომ მის მაყურებელს საკოდაობით გული ეწურება.

ზრუნავს-და ეინმე ჩეენთაგანი, რომ ეს ტაძარი დავიცვათ (განახლებაზე აბა ეინ იფიქრებს) იმ სახით მაინც, რა სახითაც, ამდენის უბედურების და განსაკლელის შემდეგ, ჩვენამდე მოალ-

წია? თქვენს ლხენას, აბა საღა გეაქეს იმისი თავი! შორს გადა-  
კარგულ აჭარაში ძველის ღიღების ნაშთის, მრავალ-საუკუნის  
მოწამის განახლება კი არა, ცხეირწინ გვენგრევა ამაზე უხნესნი  
ისტორიულნი ტაძარნი და იმათვის ვერა გვიშველია-რა ჩვენ-  
თაგანი ერთად-ერთი კაცი, რომელმა ამ უკანასკნელს ხანში  
ასე თუ ისე ხელი შეუწყო ამ ტაძრის დაცვას, იყო ხულოს  
უფროსად ნამყოფი კაპიტანი აღ. ბერიძე. ამ პატივულებულმა  
გვამმა, რა დაინახა ესეთი უნუგეშო ყოფა ჩვენის ღიღების ნაშ-  
თისა, ბრძანება გასცა ხელი არავის ეხლო სხალთის ტაძრის  
მასალისათვის და საზოგადოდ პატივით მოპყრობოდნენ. მაგრამ  
ეს ორი წელიწადია, ბ-ნმა ბერიძემ აქაურობას თავი დანება  
და დღეის შემდეგ ისევ ღვთის სინაბარა დარჩება ეს ტაძარი, თუ  
ახალი გულ-შემატკავარი და მზრუნველი არ აღმოუჩნდა.

სხალთის ტაძრის, ქართულ ხუროთმოძღვრობის ამ საუ-  
კეთესო ნიმუშის, აშენება, თანახმად ჩვენის ისტორიკოსის დ.  
ბაკრაძისა, უნდა ეკუთვნოდეს საქართველოს ცხოვრების ოქ-  
როს ხანას, X—XIII საუკუნეს. ამასვე ეთანხმება აქაურებში  
დარჩენილი ხსოვნა თამარ მეფისა, რომელმაც, მათის თქმით,  
ქრისტეს სახელის სადიდებლად ეს ტაძარი აღაშენა და რო-  
მელსაც მეტად უყვარდა მისთა კედელთა შორის ღვთის ლოცვა-  
ვედრებაო.

სხალთის ტაძრის აშენების შესახებ ორი ზეპირთქმულებაა  
ხალხში დარჩენილი. ტაძრის შენების დაწყებამდე თამარ დე-  
დოფლისათვის უკითხავთ, სად გვიბრძანებთ. შენობის დაწყება-  
საო? — მსხალთან, — უპასუხნია დედოფლალს, და მიუთითებია იქვე  
მდგარ დიდ მსხლისათვის. სახელიც „სხალთისა“ ტაძარს აქვ-  
დან დარქმევია. მის შშენებლად გამოჩენილი ოსტატი ყოფილა  
მოწვეული. ოსტატს საჭირო ქვის მასალას შევირდი უმზადებ-  
და ერთ კლდის ძირას, სხალთიდან ნახევარ დღის სავალზე.  
გამოჩენილ ოსტატს შაგირდიც თავის შესაფერი ჰყოლია. ამ  
უკანასკნელს წინდაწინ გამოუანგარიშნია, რამდენი ქვაც დას-  
ჭირდებოდა ტაძრის დამთავრებას და სწორედ იმდენი მოუმზა-  
დებია, არც მეტი და არც ნაკლები. ოსტატს შენება რომ

დაუმთავრებია, გამოსაცდელად შაგირდისათვის შეუთვლია, ქვა დამაკლდა და მომაწოდეო.. შაგირდს თამამად შემოუთვლია: რაც გამოგიგზავნე, ის ეყოფოდა, მეტი საჭირო არ არისო. ოსტატს სწყენია თავის შაგირდის მიხედრილობა: ახლავე რომ ასეთი ნიჭი გამოიჩინა და მაჯობა, მერე რაღა იქნებაო? არა, ჩემი სიცოცხლე არა ღირსო. აუწევია და ეკლესის სახურავიდან გადმოშვებულა და თავი გაუფუჭებია..

სხალთის ტაძრის დასავლეთ მხარეს მაჰმადიანური სასაფლაოა, სწორედ იმ ადგილას, საცა წინად ქრისტენეთა უნდა ჰქონოდათ თავიანთთა მიცვალებულთა სამარხი. აქ ასაფლავია უმეტესად ხიმშიაშვილთა ოჯახის წევრნი. მაჰმადიანურს საფლავზე საზოგადოდ ბრტყელი ლოდები თავთითა ზეზე მიწაში ჩასმული. ამ ლოდებად უხმარნიათ სხალთის ტაძრის თლილი და ჩუქურთმიანი ქვები, რომელთა ერთი ნაწილი ბეგის სასახლის ბუხრებისათვისაც ააძოულიათ. სასაფლაოს გვერდით ჩამოუდის ლელე და ლელეს გაღმა თვით სასახლეა ხიმშიაშვილებისა.

ჯერ გხვდებათ ლელეზე გადმომდგარი წისქვილი, რომლითაც მიდამოს მცხოვრებნი სარგებლობენ; იმას მოსდევს პატარა, ორსართულიანი სახლი—სასტუმრო, ანუ ყონალი, სადაც მასპინძლად დაგვხვდა სახლის დარაჯი, ცივებისაგან საშინლად დატანჯული. აქ უნდა მოვიხსენიოთ, რომ მთელი სოფელი თავის ჩაგარდნილ მდებარეობის წყალობით, მეტად ცივებიანია. მზისაგან სხალთის წყალს ორთქლი ასდის, რომელიც აქვე გუბდება და ზაფხულობით განუწყვეტელ ცივების მიხეზად ხდება. დარაჯმა, ანუ როგორც აქ ეძახიან, ყორულჩიმ, ბოლიში მოიხადა,—ბეგები შინ არა ბრძანდებიან და ნუ გაგვიწყრებით, თუ თქვენი შესაფერი პატივი ვერ გეცითო, და შეგვიძლეა სასახლეში.

სასახლე ხასა, შვიდ-რვა თეალიანი და ეეროპიულს გემოვნებაზე აშენებული თვით შერიფ-ბეგის სიცოცხლეში. შიგ არავინა დგას. მამის სიკვდილის შემდეგ შვილებს აქაურობისათვის თავი. დაუნებებიათ: ზამთრობით სამი ძმა ხულოში სცხოვრობს,

მეოთხე ახალციხეში მსახურობს და მეხუთეც — არტანშია. ზაფხულობით კი, როგორც ვნახეთ, ქოჩახსა და სარიჩაირში ატარებენ დროს თავიანთის ცოლშვილით. სასახლეს ათიოდ ქცევა მიწა აკრავს, რომლის გარეა მოზრდილი ნაწილი სხალთის წყალს მოუგლეჯია. შიგ ერთს დროს მრავალი ხეხილი ყოფილა, მაგრამ ახლა კუველაფერი თავმინებებულია. სასახლის მახლობლად ამ ბალში პატარა სასაფლაოა, ეკლით დაფარული და გარშემო შემოკავებული. შიგ ასაფლავია შერიფ-ბეგის გერმანელი ცოლი და მისი ქალიშვილი, რომლის მოსანათლად მაჟას 1890 წ. აქ მღვდელი მოუწვევია და იმ დროს აქ დამსწრე ბ. ონა შეუნარგისათვის მოუნათვლინებია. საფლავის შარურზე ჯვარია ამართული.

საზოგადოდ თავმინებებულ სასახლის დათვალიერება შეტანილს უკლავს ადამიანს: ერთ დროს დიდებით ცხოვრობდა აქაურების უფროსი და ბატონი, სიცოცხლე სდულდა, ხშირი მისვლა-მოსვლა იყო და დღეს კი... ადამიანისა და საზოგადოდ სიცოცხლის წარმომადგენელად ერთი საცოდავი, ცივებისაგან თხხად მოხრილი დახაშლებული დარაჯი-ლაბ... მოხახლეც ახლო-მახლო არავინაა, თუმცა აქაური ნიადაგი თავის ნაყოფიერებით მთელს ზემო-აქარაში განთქმულია. ჩვენის აზრით, ცივება უნდა იყოს მიზეზი, რომ მიწის ნაყოფიერებასაც არა ხარბდებიან გლეხები და აქ არა სახლდებიან. მთელს ზემო-აქარაში თუთუნი მარტო აქ მოდის. იმის დასამუშავებლად, რა-დგან აქაურებმა მისი ხელი არ იციან, ლაზები მოდიან გაზაფხულზე და მოსავლის ალებამდე აქა რჩებიან. კარგის ღირსების თუთუნიც მოსდით.

სანამ ჩვენ აქაურობას ვათვალიერებდით და ვისვენებდით, დარაჯის ცოლს მჭადი გამოეცხო, ერბო-კვერცხი გაეკეთებინა და სუფრა გაგვიშალეს სასახლეში. ამას ზედ დაერთო ბროლივით წმინდა და ცივი წყაროს წყალი. თითქმის მთელი დღე ნამგზაერთ და უსმელ-უჭმელთ მეტად ტკბილად გვეჩვენა ეს მცირე სასმელ-საჭმელი. ნასაღილევს ცოტა თვალი მოვატუუ-ვეთ, სალამი მივეცით იქაურობას, ისევ ავიარეთ ტაძარის ფერ-

და, ერთი უკანასკნელიად თვალი მიმოვავლეთ მანდაურობას და შეეუდექით მაღლა მთაზე მიკრულ სოფ. ჩავოს აღმართს, რომლის იქიდან გზა ხულოსაკენ გადადის.

სხალთიდან ჩაოში მიმავალი გზა მეტად მოსხლეტილია. ცხენით სიარულის შესახებ ფიქრიც-მეტია იქ, სადაც თვით ცხენსაც რის წვალებით ამოაქვს თაესი ტანი. გზის სიძნელეს აქარწყლებს თვალ-წარმატაცი ბუნება: ცათამდე აზიდულ ფი- პევებით და ნაძვით დაფარული ზურგი მთიხა; შორს, ვიწოდ ხეობაში ხუვილით მიმავალი იქაფებული სხალთი სწყალი, მათს იქით—მწვანე ხავერდის მსგავსნი თხემნი მთისანი, რომელთაც თვალ-წარმტაცად ზედ დაპყურებს ბუმბერაზი დაფირუზი თაღი ცისა.

ორის საათის სიარულის შემდეგ, კარგა შებინდებულზე, ერთ გლეხისას ჩამოვხტით ღამის გასათევად, სოფ. ტაგოში. მისპინძელმა შემოვგვთავაზა ყოველივე ის, რის მოტანაც შეეძ- ლო და რომლითაც თვითონ თითქმის წლითი-წლობამდე იკვებება: ლობიო, მჭადი და ცივი წყალი.

მეორე დილას მზეს ჩვენც ავყევით და გავუდექით ბილიკს, ანუ, როგორც აქ ეძახიან, გზას, რომელსაც პოეტურად ზედ დაპყურებს კაკლის ხეები თავიანთის განიერის ტოტებით. გა- ვიარეთ სოფ, გურძაული, ცნობილი თავის რკინის წყლით. მთელს კალაპოტს წყლისას ეანგის ფერი აქვს. თან ისე უხ- ვად მოდის, რომ ერთთვალიან წისქვიღს. აბრუნებს. სოფლელი ჯმ წყალს არა სვამენ,—ფახიმიანია (ცუდია). აქ უნდა შევ- იშნოთ, რომ რკინისა და საზოგადოდ მაღნეული წყლები აქეთკენ ხშირია, მაგრამ მათი თვისება ჯერ თითქმის არავის გამოუკვლევია. თორემ ადვილად შესაძლებელია, ეს უსასყიდლო ბუნების სიმდიდრე ადგილობრივ მკვიდრთათვის, სხვათა შორის ცხოვრების თვალსაჩინო წყაროდ შეიქმნეს.

ცოტა ხნის უკან ზედ მოვექეცით ქედს, რომელიც აქარ- წყლისა და სხალთისწყლის ხეობებს ერთმანერთისაგან ჰყოფს იმ ადგილამდე, საცა აქარწყალს სხალთისწყალი უერთდება.

აქ იწყება მეტად მყიფი დალმართი, გრძელდება ხუთ-ექვსის კილომეტრის მანძილზე და ექანება პირდაპირ აქარწყალში. ამისთანა გზებზე ცხენი უხმარია. ურემს ხომ თვალით ვერა ნახავს კაცი. ხარებისა და ცხენის დანიშნულებას ადამიანი ას-რულებს თავის ყველაფრის ამტან და უმაშვრალ ზურგითა. ასეთს ადგილებისათვის ტეირთის ჩასატანად, ისიც ზამთრობით, თოვლის დროს მარხილებს, ანუ, როგორც აქ ეძახიან, ციგებ-სა ხმარობენ, მაგალითად, შეშისა ან თივის ჩასატანად. დატვირ-თულ ციგის ბოლოზე კაცი დგას და დაცურებულ ციგს ჯოხით, რაიცა იგივეა აქ, რაც ზღვაში გემისათვის სამართი, სასურველ მიმართულებას აძლევს. ეს არის ერთი ტიპი აქაუ-რის ურმებისა. უფრო მოვაკო ადგილას თვლებიან ურმებსაც შეხვდება კაცი. მაგრამ მათი სახასიათო თვისება უეპველად ის არის, რომ ხელნები მიწაზე მისთრევს და ურემს დალმართში ერთბაშად არ აცურებს და საყენის მაგივრობას უწევს. ასეთს ურემს სეჭი ჰქვიან. სიგრძე სელს ხუთი-ექვსი ადლი აქვს. დედნებს შუა განი 1 ადლსა და სამ გოჯს უდრის; დედნებს ხუთი საყარი აერთებს, რომელთა შუა თითო ციდა ადგილია დატოვებული. ლები დედნებზე სულ ორი წყვილია. სიმა-გრისათვის დედნებს იმ ადგილას, სადაც ლერძი აქვს გაყრილი, ეგრიჯები აქვს. ლერძი თვლებშია დამაგრებული და მათთან ერთად ბრუნავს. თვითონ თვალი ერთის ადლის სიმაღლისა და ფერსონების შესაერთებლად ერთი მტკაველის სიგრძე ჭა-ლები აქვს ხუნდში (მორგვში) ჩამაგრებული. ხელნები დედ-ნებთან კავითაც შეერთებული და მათი ქვედა ნაწილი მიწას თავისდღეში არ ასცილდება. არის ამავე ტიპის სხვა ურმებიც, მხოლოდ აღარც ჭალები აქვთ, აღარც ეგრიჯა, აღარც საყარი. ბოლოს, შეგხვდებათ აგრეთვე ჭინია ანუ გოდორ-მარხილა. ეს იგივე ციგაა უთველებო, მხოლოდ ზედ დამაგრებულია მოწნუ-ლი ჯინი გადასატანად სიმინდისა და საზოგადოდ ისეთის ნივ-თისა, რომელიც ადვილად სცვივა. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ სელით ერთ ულელ ხარს 15-20 ფუთის სიმძიმის ზიდვა შეუძლია. ჯინითა და დანარჩენებით — ამაზე ნაკლების.

ჯოჯოხეთის მსგავს დაღმართის სიმწარეს ცოტა არ იყოს გვი-  
ქარვებს უოველ-ნაბიჯზე სიგრილის მომფენი მთის წყაროების.  
ჩახრიალა, რომელთაც ამაყად ზედ დაჭყურებს კაკლის ხეები.  
თითქმის ცურვით ჩავალწიეთ აკარის-წყლიამდე, სადაც ძველე-  
ბურ ქვითკირის ხილზე გავედით. უკვე ნაცნობ .სოფელს  
ყადი-ოლლების მარჯვნივა ვსტოვებთ და ახალის აღმართით  
ავდივართ ხოჭი, ხულოში, რომელსაც ამ ერთის კვირის წი-  
ნად დავანებეთ თავი.

## თ. სახუკია

(დასასრული იქნება)

## არხეოლოგიური მოგზაურობანი და შენიშვნანი\*)

სხვა წიგთებთა შორის რუისის ეკლესიისა უნდა აღვნიშნოთ:

I. წყვილი სამღვდელ-მთავრო ენ ქერი, მშვენიერის ხელობისა, სულ სირმით ნაკერი. ერთ მათგანს ლამაზის ასომთავრულით აწერია:

„ქ: შეიბ: მახვილი: შ-ნი წე-  
ლთა: შ-ნთა: ძლიერო: შვნიერე-  
ბითა: შენითა: მოიხსენე: რ-:  
დედოფალი: რუსუდან: ა-ნ:“

აქ მოხსენებული რუსუდანი უნდა იყოს ვახტანგ მეექვსის მეუღლე, რომელიც გარდაიცვალა მოსკოვს 1740 წელს.

II. სამღვდელ-მთავრო სარტყელი, რამლის აბზინდებზე მხედრულათ აწერია:

ქ.: მოიხსენე: უფალო: ბატონიშეილი: ლევან: და: თანა: მეცხელრე: ჩუენი: სულ: კურთხეული: გურიელის: ბსული: ბატონიშეილი: თუთა: რომელმან: შემოგწირეთ: სამარხსა: ჩუენსა: სვეტს (ცხოველს\*\*): ვინც: გამოსწიროს: ისიმც: რის-ხავს:

\*) იხ. „მოამბე“ № VI.

\*\*) აქედან სჩანს, რომ სარტყელი წინეთ სვეტიცხოვლის ყოფილი.

აქ მოხსენებული ლევან არის ვახტანგ მეხუთის შვილი და თუთა მისი მეუღლე, ქაიხოსრო გურიელის ასული. თუთა გარდაიცვალა 1670 წელს.

III. დიდი ვერცხლის ფოდნოსი. რომელზედაც მხედრულათ აწერია:

ქ.: საქართველოს: მეფის: ორაკლის: სძლის: მარიამის: მზითვის: არის: მისხალი: რჩგ::.

ეს მარიამ არის გიორგი მეთორმეტის მეუღლე, გიორგი ციციშვილის ასული, რომელიც გადაიცვალა მოსკოვს 1850 წელს.

ამ მარიამის დედა ყოფილა ელენე, რომელიც დამარხულია რუისის ეკლესიაში და რომლის ეპიტაფიის მაგიერ ჩენე ზემოთ (იხილე პირველი ნომერი ეპიტაფიისა) შეცდომით დედოფლის როდამ ყოფილის ეკატერინეს ეპიტაფია მოვიყენეთ. ეს ეკატერინე დამარხულია სვეტი ცხოველის ტაძარში მცხეთას და სევტი ცხოვლივდან გადმოღებული ეპიტაფია შემთხვევით მოჰყვა რუისის ოღწერაში. ამ ეპიტაფიის მაგიერ უნდა იყოს:

„დასაბამ და არსებ ჩემდა იქმნ[ა] ბძანება დაშბადებელისა მიწა ხარ მიწადვე იქეც მომიპოვა მეც მიწადვე მისა ლები მშაბელი (sic) საქართველოს დედოფლის მარიამასა (sic) და თანა მეცხედრე თავადის სარდლისა გიორგისა ციციანოეს ელენე აღმომკითხველთა ამისთა შენდობას ჰყ[ო]ფდეთ. ქრისტეს აქეთ ჩეგზ\*“

IV. რუისის ეკლესია ში 1873 წელს დ. ბაქრაძეს უნახვეს კიდევ სამღვდელ-მთავრო ომფორი, სირმით ნაკერი, შეწირული ცნობილი მარიამ დედოფლის მიერ, როსტომ მეფის მეუღლისა, მაგრამ ეხლა ეს ომფორი ეკლესიაში მთელათ აღარ

\* ) ეს წლის აღრიცხვა ჩემს დღიურში წაშლილა და ამიტომ უკანასკნელი ორი ასო მართალია თუ არა.

მოიპოვება. დაცულია მხოლოდ ერთი ხაჭერი, რომელზედაც წარწერა არ არის. როგორც გადმომცა რუსის ეკლესიის მნათემ, მეორე წარწერიანი ნაწილი ომფორისა. წაულია რუსის ყოფილ დეკანოზს, აწ განსვენებულს რაედენ დეკანოზის შეილს, და აღარ დაუბრუნებია. ეს მით უფრო სამწუხაროა, რომ ქართული ტექსტი ომფორის წარწერისა დ. ბაქრაძეს არ მოჰყავს. კარგი იქნება, ვისგანაც ჯერ არს, მოიკითხონ განსევნებულის რაედენ დეკანოზის შეილის სახლობაში ეს საქართველოს საუკეთესო დედოფლის ნამუშაკევი.

¶ ვ. სალაროში ინახება ყავარჯენი სპილოს ძვალით შემკობილი გველის თავის მსგავსად.

ეხლანდელი ხის ხელოვნური კანკელი რუსის ეკლესიისა, როგორც წინეთ მოყვანილი წარწერა უჩენებს (ეს წარწერა ასომთავრულია და არა მხედრული, როგორც შეცდომით მოვისენიეთ ზემოთ) გაკეთებულია ირაკლი მეორის დროს 1781 წელს. წინეთ ეკლესიას ჰქონია, როგორც ურბნისში, ქვის კანკელი სულ დახატული. ეს მხატვრობა ეხლა სანახევროთ მოშლილია და აგრეთვე დაზიანებულია ქვის კანკელიც. ძველ კანკელს ოთხი რიგი მხატვრობა ჰქონია მხედრულის და ხუცურის წარწერებით. პირველ ქვედა რიგზე დახატული ყოფილა მსოფლიო მამათ-მთავრები, ერთ მათგანს აწერია: „წე ა ოქროპირი“, სხვების წარწერები აღარ მოჩანან. მეორე რიგის მხატვრობაში მოთავსებულია წმიდა იოანე, დავით წინასწარმეტყველი (ამ ადგილზე ჩვეულებრივათ ღვთისმშობელი უნდა ყოფილიყო, რადგან საკურთხეველის შუა კარის მარცხნივ არის), შემდეგ შუა კარის მარჯვნივ წაბლალული სურათი\*), რომლის ჭარტაზე წარწერიდან ასომთავრულით შერჩენილია:

მართლი: იუვ. ცხოვრებდ ხ: დევნულობა: ულვოოსა.

შემდეგ დახატულია იოანე ნათლის მცემელი.

\* ) ამ ადგილას ჩვეულებრივათ ქრისტე უნდა იყოს.

მესამე რიგზე წარმოდგენილნი არიან სული წმიდა შეუადგილას კანკელისა და აქეთ იქით ანგელოზნები საყვირებით, რომლის პირებზე აწერია ასომთავრულებით:

წა არს, წა არს, წა არს ოი ოი.

მეოთხე რიგის მხატვრობა ზემოთ სულ მოშლილია, გარდა კუთხებისა. ამ ზედა რიგის ნახატების ზემოთ უნდა ყოფილიყო წარწერა, ვისგან არის გაკეთებული კანკელი, მაგრამ ეს ნაწილი კანკელისა სულ ჩამონაცვლილია.

კანკელის მხატვრობა იმ დროს უნდა ეკუთვნიდეს, რომელსაც ეკუთვნის მცირეოდნად დაცული მხატვრობა არკებზე მარცხნივ და მარჯვნივ სიგრძეებისა. მარცხნივ დაცულს წელს ზემოთ ნახატს სურათებს აწერია:

წმიდა ბარბარე, წმინდა ეკატერინე, წმინდა ირინე, წმინდა თეკლა, წმინდა მარინე, წმინდა ნანო.

მარჯვნივ ზემოთ ერთი სურათი დაფარულია ფერისცვალების ხატის ფანჯატურით, სხვებზე ამოვიკითხეთ: „წმიდა არსენ, მამი პავლე.“ მარცხნივე კანკელისა მოიპოვება დიდი სურათი წმიდა გიორგისა ცხენით, ვეშაპის გამგმირავი.

წარწერა კედელზე დარჩენილის სურათებისა ისეთივე მხედრულია, როგორც ძველი კანკელისა. ჩვენის აზრით უველა ეს მხატვრობა ვახტანგ მეექვსის დრაის უნდა იყოს. ამ მოსაზრებას ჩვენ ვამყარებთ მხედრული წარწერების მსგავსებაზე რუისის და ურბნისის კანკელებისა. როგორც ხის კანკელები თრთავე ეკლესიებში ისაკლი მეორეს გაუკეთებია, ისე ქვის კანკელები ვახტანგ მეექვსეს ეკუთვნიან. შიგნით დანარჩენი ნაწილი ეკლესიისა კირით არის შეთეთრებული და ძველი მხატვრობა დაფარულია.

ვსარგებლობთ აქ შემთხვევით შევასწოროთ წინეთ მოყვანილი წარწერა სამრეკლოს აღმოსავლეთის ნაწილისა, რომელზედაც ასომთავრულით სწერია:

წ: ლთო:. შე: მეორედ:. აღმა  
შენებლი:. სამრეკლოსა:. ამის:.  
ლარაძე:. დიონოსი:. ამინ:.

ეს წარწერა ცხად ყოფს, რომ სამრეკლო ძველი არის და დიონოსეს ის მეორედ აღუშენებია. ანუ უკეთ ვსთქვათ განუახლებია და არა პირეელად აღუგია, როგორც გრაფინია უვაროვისა შენიშვნავს.

რუსის სამწყსოს წინეთ შეადგენდა მთელი ზემო ქართლი, ანუ უმეტესი ნაწილი ძველის შიდა ქართლისა. ჯერ კიდევ 1800 წელს რუსის ეპარქიაში, დ. ბაქრაძის სიტყვით, ითელებოდა 46 სოფელი (ეპარქია რუსისა გაუქმდა 1811 წელს). მეთვრამეტე საუკუნის დასაწყისში რიცხვი სოფლებისა ორჯელ მეტი ყოფილა. ჩვენ გვაქვს ეხლა ხელში ერთი შესანიშვნავი წიგნი, ა. ციმაკურაძის მიერ ჩამოტანილი ქართლი-დან, რომელიც წარმოგვიდგენს დავთარს ანუ, როგორც შემ-დგენელი უწოდებს, მატიანეს რუსის სამწყსოსას. დავთარი შეუდგენია 1715 წელს ნიკოლაზ მჭავალის დრპელიშვილს ანუ ეაფლანიშვილს. წიგნი 1763 წლამდის შეუკრავი ყოფილა და დაზიანებულა. ხსენებულს წელს მროველს გერმანეს წინამძღვრისშვილს შეუკრევინებია დავთარი და ლამაზი შავ ტყავ გადაკრული ყდა გაუკეთებია. ყდის წინ დატანებულ ქალალდხე გერმანე სწერს:

მე. წინამძღვრის. შვილმა. მროველ. მიტრაპოლიტმა. გერმანემ. შევაკრევინე. წიგნი. ესე. ყაფლანისშვილის. მროველი-საგან. დაწერილი. იყო. წამკდარიყო და გავაკეთებინე. ქ'კს უნა.

სულ დავთარი შეიცავს ექვს რვეულს. რვეულების სათვალია ასომთავრულებით არის აღნიშნული. რვეულში რვა ფურცელია. მეოთხე რვეულს აკლია ერთი ფურცელი. აგრეთვე ერთი ფურცელი აკლია უკანასკნელ მექქვს რვეულს. ეს ნაკლი ყოფილა მროველი გერმანეს დროსაც, ვინაიდგან მის მიერ აღნიშნული ფურცლების სათვალაერ მხედრულის ასოებით.

ყველა ფურცლებზე სწორეა. სულ ნაჩვენებია და დღემდის დაცულია 46 ფურცელი. ისტორიული, სტატისტიკური და იურიდიული მნიშვნელობა ამ დავთრისა ეჭვს გარეშეა და ამიტომ საკიროდ ვრაცხთ მთლათ მოვიყვანოთ აქ ეს ნაშთი საქართველოს სიძველენისა. პირველი გვერდი დავთრის შესავალისა ძრიელ გადასულია და აქ ჩვენ გავარჩიეთ მხოლოთ რამდენიმე სიტყვები. სხვა შენიშვნებს ტექსტის შესახებ, თუ საკირო იქნება, სხოლიებში უჩევენებთ.

### დავთარი რეგისის სამწესოსაბჭოსა

ქრისტეს აქეო ჩლავ წელსა  
აპრილსა ერთსა თვით  
მკვდრეთით ალდგრძნესა  
უფლისა ჩვენისა იქსო  
ქრისტესა [ალიწერა  
მატიანე ესე].

ქართველთა მეფეთ მეფისა დიდისა გიორგისა და<sup>1)</sup> ძმისა მათისა იმერთა და კახთ მეფეთ მეფისა.. და ძმისა მათისა სრულიად სპარსეთის მოსამართლეთ უხუცესისა ლევანისა, აშა მეფეთა დედის ძმისწულმა და საქართველოს მოსამართლეთ უხუცესისა ძემან ორბელის ძემა ნიკოლაოზ მროველ ეპისკოპოზმა...

და ალვწერე ხელითა...  
გლეხი და მამული სადაც ვის...  
განწესებული რიგი და სალოცი ქირა...  
მლდელისა მათისა . . . . .

აწე ამას გევედრებით ყოველთა რომელნიცა იჯდეთ საყდარსა ამას ზედა რუსის ლვთაებისასა თქვენცა  
ესე რამეთუ არა რა სამე..\*) . . . . .

1) ეს სტრიქონი წითელის შელნით არის დაწერილი.

\*) აქ თავდება პირველი გადასული და გაფუჭებული გვერდი წელ ნაწერისა. დანარჩენი საქმაოდ კარგათ არის დაცული.

დიეს: ქრისტეს მცნებისათვეს: რომელი ბრძანებს კმა მაღალ მოციქულის პავლეს პირითა: ურთიერას სიმძიმე იტვირთეთ და სჯული იგი ქრისტესი აღასრულეთო:: ჩემ ცოდვილისაგან: რაც შეიძლებოდა. ან დამყალდა აშენებითა: ყმისა და მამულის შემატებითა და რაც ლთნ შემაძლებინა მისი მატიანე ბოლოს დამიწერია:<sup>1)</sup> და დღეის წალმა უფალმან განავოს: თქვენც ჩემი სიმძიმე იტვირთეთ ჩემ ცოდვილისათვის: თქვენის წმიდის წირვითა და ლოცვით ვიკაენიებოდე: უფლისა ლთისა ჩვენისაგან: ვედრებითა თქვენითა ვპოო ცხონება სულისა ჩვენისა: და სახიერმან ლთმა მოგმადლოსთ კეთილი მწყესობა: და სულიერი კეთილ ცხოვრება: ხოლო უკეთუ საონო იჩინოთ ჩემ მიერ განწესებული ესე გარიგება თქვენცა ესრეთ ყავთა: და უკეთუ არა გინდესთ თქვენ რომელი ინებოთ იგი ქენით: და მე უკანონო ვიყო:

ამასაც ვიხვეწები: ამ სამწყისოს დავთარს მეფის მოსაქმეს ნურავის აჩვენებთ: კოდის პურსა და საურზე ქვეყანას გარჯიან: და მე არ მიჯობს: მე დრამისთვის აეწერე: საყდარს მოსაელის ანგარიში არ დაეკარგოს: ლთის სიყვარულისათვის ამ სამწყისოს მატიანეს ნურას მეფის მოსაქმეს ნუ აჩვენებთ: თუ ქრისტე გწამსთ:<sup>2)</sup>)

ამას გარდა ამ საყდრის მამული და ყმა: სულ დამიწერია: თარხანი ვინ არის და თარხნობით რა სამსახური აძეს: და მო-

<sup>1)</sup> ეს ცალკე სია ნიკოლოზის შეძენილის ყმის და მამულებისა ჩვენამდის მიღწეულს წიგნში არ არის, აღბათ ბოლოს იყო დართული და დაიკარგა.

<sup>2)</sup> \*) აქედან სჩანს, რომ საქართველოში მღვდელ მთავრები თავიანთი ინტერესის დასაცელად საეკლესიო ყმების სიაჲ მეფეთ მოხელეებს უმაღვიდენ, რომ მათ კოდის პური და საური არ აეღოთ. ფეოდალურ წეს წყობილებაში ანტაგონიზმი ფეოდალებთა და მეფეთა შორის ყაველოვის არსებობდა. ეპისკოპოსები საქართველოში მუდმივ სკლილობდენ თავიანთი ყმები სახელმწიფო გადასახადიდან გაენთავისუფლებინათ: ჩვენამდის მრავალ სიგელ-გუჯარს მოუღწევია, რომლებიდანაც სჩანს რომ ეპისკოპოზებს გამოუთხვიათ თავისუფლება სახელმწიფო გადასახადისაგან ამა თუ იმა საეკკლესიო ყმებისა, იმ ღროს, როდესაც ჩვენი მატიანეა შედა-

ბეგრე ვინ არის და რა ბეგარა აძეს:<sup>3)</sup> და თქვენ რომელიც გინდონდესთ ვიცი იმას იქთ: და მე კი ნუ დამწყევთ: რაც მე შემიმატებია: ის როგორც გვინდოდა ისე დამიბეგრავს: და ნურც მოუშლით: და რაც თქვენ შეიმატოთ: ის როგორც გენებისთ: ისე გაარიგეთ: [წინა] მემკვიდრებისა ჩემს უწინდელის მროვლების გარიგება როგორც ყოფილა მე არ მომიშლია რა: ამას იქით თქვენ იცით...

### არადეგთს:

- ქ. იშხნელიშვილი ფირან. საწირავი აძეს:;
- ქ. იშხნელიშვილი ოვანე. საწირავი აძეს:.
- ქ. იშხნელიშვილი ნიკოლოზ. საწირავი აძეს:.
- ქ. იშხნელიშვილი დავით. საწირავი აძეს:.
- ქ. იშხნელიშვილი მერისელი. საწირავი აძეს:.
- ქ. ქუმბიაშვილი ზაზუა. საწირავი აძეს:.
- ქ. მაზანაშვილი გიორგი. საწირავი აძეს:.
- ქ. მუხაიძე ფირან. საწირავი აძეს:.
- ქ. მაისაძე ზაქარია:.
- ქ. თოლიძე ნიკოლოზ:.
- ქ. თოლიძე ნაღირა:.
- ქ. თოლიძე საბა:.
- ქ. ლევიძე მანველა:.

გვილი, რუისის სამწყსოსს ნუსხა, როგორც სჩანს, მეფის მოხელეებს არა ჰქონიათ, მაგრამ სტატისტიკური აღწერილობის საჭიროება კარგათ ჰქონდა შეგნებული ვასტანგ მეექვსეს და ეს იყო მიხეზი, რომ მან მოახდინა განკარგულება და აღა წერინა თითოეული საღროში ქართლისა. მეწინავე საღროშის ანუ საბარათიანოს აღწერილობამ მოაღწია ჩვენამდის, დაისტამბა და მალე გამოვა; ხოლო დანარჩენი საღროში აღწერილობანი ჯერ არ აღმოჩენილან.

<sup>3)</sup> სია თარხანთა და მობეგრეთა განცალკევებით არ მოიპოვება ჩვენამდის მოღწეულს წიგნში შესაძლებელია, რომ ამგვარი სიაც დართული ჰქონდა ბოლოს ჩვენს წიგნს, მაგრამ აღარ შენახულა.

- ქ. კიკოლიასშვილი პაატა:.
- ქ. გელიაშვილი გიორგი:..
- ქ. ტიტვინიძე პაატა:..
- ქ. ხუცისშვილი პაპუნა:..
- ქ. გუგულაშვილი ლექვია:..
- ქ. თადულაშვილი ავთანდილ:..
- ქ. ნამორაშვილი იორამ:..
- ქ. ბერიძე იორდანე:..
- ქ. ტიტვინიძე საბა:..
- ქ. ბერაძე თამაზა:..
- ქ. ოთიაშვილი ივანე:..
- ქ. სულიაშვილი ბერი:..
- ქ. ბერუქაშვილი ბერი:..
- ქ. კოკოლაშვილი პაპუნა:..
- ქ. მამასახლისი ოთარი:..
- ქ. გვგიტი გიორგი:..
- ქ. მირიანაშვილი ზურაბა:..
- ქ. მირიანაშვილი გოგია:..
- ქ. სალარიშვილი ივანა:..
- ქ. მეეცაძე პაპუნა:..
- ქ. როსაფაშვილი თევდორა:..
- ქ. მღდელი ათანასე:..
- ქ. როსაფაშვილი გიორგი:..
- ქ. მუჩაძე ლონენა:..

37 \*)

დრამას ბოგანო ნახევარ კოდსა: და სხვა სრულს კოდს  
იღებენ: ამათი სახუცო მარჩილი ოთხი და უზალთუნი:

### საბეჭდაშვენს:

- ქ. ძმაორაშვილი დემეტრე:..
- ქ. ძმაორაშვილი შალეა:..
- ქ. ჯავახაშვილი დემეტრე:..
- ქ. ჯავახაშვილი სეხნია:..

\*) სათვალავი კომლებისა დედანში ხუცური ასომთაფრულებით. არის  
ნაჩვენები.

- ქ. ჯავახაშვილი ზაქარია:.  
 ქ. ჯავახაშვილი დათუნა:  
 ქ. ელიჯანაშვილი გიორგი:.  
 ქ. მღდელი გამრიელ:.

8

დრამას ბოგანო ნახევარ კოდსა და სხვა მთელს კოდს  
იღებენ: ამათი სახუცო ეჭვის შაური არი:.

### სამებას:

- ქ. კალატოზიშვილი მიქელ: საწირავი აძეს:.  
 ქ. კალატოზიშვილი სოსია: საწირავი აძეს:.  
 ქ. კალატოზიშვილი არდაშველ: საწირავი აძეს:.  
 ქ. გივიტაშვილი ივანე:.  
 ქ. ბურვანაშვილი პაპუნა:.  
 ქ. ლაშიანი ბერი:.  
 ქ. ტაბატაძე ნანუა:.  
 ქ. გოგიაშვილი დათუნა:.  
 ქ. კუტიშვილი ბერი:.  
 ქ. ლვინიაშვილი ბერი:.  
 ქ. ბარტყიაშვილი ივანე:.  
 ქ. გვრიტიაშვილი ზაქარია:.  
 ქ. შათირიშვილი გიორგი:.  
 ქ. შავკაბისტოშვილი ბერი:.  
 ქ. ნადიაკვნევიშვილი ლთისია:.  
 ქ. კბილაშვილი გიორგი:.  
 ქ. ფცქიალაძე ნასყიდა:.

17

ლვინიაშვილის გარდა ყველა ნახევარ კოდს დრამას იღე-  
ბენ: და ლვინიაშვილი მთელს კოდს იღებს: ამათი სახუცო  
მარჩილი ერთი არის:.

### დირბს:

- ქ. ეგნატაშვილი მღდელი იესე: საწირავი აძეს:.  
 ქ. ეგნატაშვილი ლემეტრე: საწირავი აძეს:.

- ქ. ეგნატაშვილი ზაზა: საწირავი აძეს:.
- ქ. ხუცისშვილი გოდერძი: საწირავი აძეს:.
- ქ. დეკანოზი ბასილი: საწირავი აძეს:.
- ქ. გაბრიელიშვილი გაბრიელ: საწირავი აძეს:.
- ქ. გაბრიელიშვილი ხუცია: საწირავი აძეს:.
- ქ. გულიაშვილი დათუნა:.
- ქ. კვირიკაშვილი ივანე:.
- ქ. ბაჩურიშვილი თამაზა:.
- ქ. ბაჩურიშვილი იორდანე:.
- ქ. გელბახიანი ბერი:.
- ქ. გვარამული ბერი:.
- ქ. ხახანაშვილი პაპუნა:.
- ქ. ახალკაციშვილი დათუნა:.
- ქ. ოქროუშვილი ხახანა:.
- ქ. მეგრელი მამუკა:.
- ქ. გიორგაშვილი თამაზა:.
- ქ. სირაძე ბერი:.
- ქ. ბევანიშვილი ივანე:.
- ქ. ეფრემაშვილი ივანე:.
- ქ. სოზაშვილი პაატა:.
- ქ. ერაძე მამუკა:.
- ქ. ერაძე შიო:.
- ქ. ნიადაგიშვილი დემეტრე:.
- ქ. ნიადაგიშვილი იორამ:.
- ქ. ნიადაგიშვილი დათუნბა:.
- ქ. კირმაძე თანდილა:.
- ქ. ბადაშვილი პაპუნა:.
- ქ. ირემაშვილი ბერი:.
- ქ. გელუტაშვილი ლაზარე:.
- ქ. ქვრივისშვილი მახარა:.
- ქ. ძუძუნაშვილი პაპუნა:.
- ქ. გულიაშვილი ქიტია:.
- ქ. ნავროზაშვილი გიორგი:.

- ქ. მეჯოგიშვილი ბასილი:.
- ქ. მეჯოგიშვილი პატა:.
- ქ. მეზერიშვილი გიორგი:.
- ქ. ნინიაშვილი თამაზა:.
- ქ. ტატუნაშვილი ბერი:.
- ქ. ქურდამელაშვილი გიორგი:.
- ქ. ჯანუაშვილი სოსია.
- ქ. ჯანუაშვილი ივანე:.
- ქ. ნანუჩაშვილი ამირინდო:.
- ქ. ნანუჩაშვილი იმედა.
- ქ. ოქრომჭედელი დათუნა:.
- ქ. წერეთელი დათუნა:.
- ქ. ანანიაშვილი ბერი:.
- ქ. ანანიაშვილი თემურა:.
- ქ. გემიაშვილი მარიასახლისი:.

50

დრამას ბოგანო ნახევარ კოდსა:.. სხვა მთელს კოდს იღებენ:.. ამათი სახუცო: მარჩილი ხუთი არის:..

### ჭეშმო მგიმლეთს:

- ქ. ტატიშვილი ოთარი:.. საწირავი აძეს:..
- ქ. ტატიშვილი ჯარდან:.. საწირავი აძეს:..
- ქ. ტატიშვილი ონისიმე:.. საწირავი აძეს:.. და ცხენი:..
- ქ. გოგილაშვილი ივანე:..
- ქ. ვიგრიაშვილი ივანე:..
- ქ. გელიაშვილი ბერი:..
- ქ. ქიტუნაშვილი გელია:..
- ქ. ხარშილაძე ბერი:..
- ქ. გოგინაშვილი ბერი:..
- ქ. გარეყანაშვილი გელია:..
- ქ. დულარიძე საბა:..
- ქ. ოორდანაშვილი ბარნაბე:..

12

დრამას ბოგანო ნახევარ კოდსა: სხვა მთელს კოდს იღე-  
ბენ:. ამითი სახუცო აბაზი ხუთი:

### ზემო ძვიმლები:

- ქ. სახლთ უხუცესი ზურაბ: საწირავი აძეს:.
- ქ. ნაბიჭვარი ხოსია: საწირავი აძეს:.
- ქ. ტატიშვილი როსაბ: საწირავი აძეს:.
- ქ. ტატიშვილი სეხნია: საწირავი აძეს:.
- ქ. ინდულაშვილი ბერი:.
- ქ. მარკოზიშვილი ივანა:.
- ქ. მარკოზიშვილი ბერი:.
- ქ. ფერაშვილი ნასყიდა:.
- ქ. მახმადაშვილი გელია:.
- ქ. ლოლაძე გიორგი:.
- ქ. ლოლაძე სესია:.
- ქ. მახარობელიშვილი ბერი:.
- ქ. იაველაშვილი გოგია:.
- ქ. ლომაძე დათუნა:.
- ქ. ვარძელაშვილი სეხნია:.
- ქ. ხუცისშვილი ოთარი:.
- ქ. კაკაშვილი ბერი:.
- ქ. ჩუსტანიძე დათუნა:.
- ქ. დათაშვილი ბერი:.
- ქ. ბედიანიძე ოქრუა:.
- ქ. ფეხაძე: ლაზარე:.
- ქ. იოანეშვილი გელიტა:.
- ქ. რაბიდაშვილი გელია:.
- ქ. ჯანგირაშვილი მამუკა:.
- ქ. ჯავახი ბერი:.
- ქ. ვეფხიაშვილი გიორგი:.
- ქ. მიქელაშვილი მდდელი ივანე:.

ქ. ჩურტანიძე მღდელი გიორგია:

ქ. ჩურტნიძე მახარა:

29

ბოგანო ნახევარ კოდსა: და სხვა მთელს კოდს იღებენ::.

ამათი სახუცო მარჩილი ოთხი::.

### სხლითს:

ქ. ხუციშვილი გიორგია:

ქ. მეფარიძე დათუნა:

ქ. საყვარელა:

ქ. მაჭარაძე თამაზა:

ქ. მაჭარაძე მახარა:

ქ. ჯამბურაძე ბერუა:

ქ. მეფარიძე ოთია:

ქ. ხუციშვილი მღდელი გიორგია:

8

ამათი და მულნისისა სახუცო აბაზი ოთხი: და ღრამა ისე  
სხვასავითა:

### ფრინებს:

ქ. ხიმშიაშვილი მამუჯა: საწირავი აძეს:

ქ. გეარამული თამაზა:

ქ. გვარამული შიო:

ქ. გვარამული შერმაზა:

ქ. ძმათაშვილი დათუნა:

ქ. ძმათაშვილი ზუბია:

6

ღრამა ნახევარ კოდი კვამლზედა სძეს:. ამათი სახუცო:  
აბაზი ერთი:

### დგანს:

ქ. შალიკაშვილი გახტანგ: საწირავი აძეს::

ქ. შალიკაშვილი ოთარი: საწირავი აძეს::

- ქ. ყიფარდელი იასონ: საწირავი აძეს:.
- ქ. ყაფარდელი იესე: საწირავი აძეს:.
- ქ. ოქრომჭედლისშვილი როსაფ: საწირავი აძეს:.
- ქ. ოქრომჭედლისშვილი ლუარსაბ: საწირავი აძეს:.
- ქ. ოქრომჭედლისშვილი ათანასე: საწირავი აძეს:.
- ქ. ოლარიონისშვილი ავთანდილ: საწირავი აძეს:.
- ქ. ახალკაცი ნადირა:.
- ქ. მამაგულაშვილი ელია:.
- ქ: გეგელა:.
- ქ. მამუკელა:.
- ქ. ჯავარისაშვილი ნადირა:.
- ქ. ოჭიკაძე: თევდორა:.
- ქ. მეზვრე გიორგი:.
- ქ. მარქარაშვილი ხოსია:.
- ქ. ლომაურიძე: სებნია:.
- ქ. მეზვრიშვილი ნასყიდა:.
- ქ. მეზვრიშვილი დათუნი:.
- ქ. იორდანაშვილი ესტატე:.
- ქ. ბელაშვილი გიორგი:.
- ქ. ბელაშვილი მჭედელი:
- ქ. შალიკაშვილი გოგნია:.
- ქ. პაპიაშვილი სებნია:.
- ქ. გაბრიელაშვილი პაპუნა:.
- ქ. გაბრიელაშვილი ბეჭუა:.
- ქ. მეხატურიშვილი გიორგი:.
- ქ. მეხატურიშვილი ნასყიდა:.
- ქ. ივანაშვილი თამაზა:.
- ქ. ივანაშვილი ქრისტესია:.
- ქ. კოპაძე შერმაზან:.
- ქ. იღუაშვილი სებნია:.
- ქ. კობახიძე როინ:.
- ქ. პაპიაშვილი გიორგი:.
- ქ. პაპიაშვილი ბერიშ:

- ქ. დათუკაშვილი ბერი::
- ქ. დათუკაშვილი გიორგი::
- ქ. კობახიძე თევდორა::
- ქ. კობახიძე ბერი::
- ქ. ბეზარაშვილი პაპუნა::
- ქ. ბელაშვილი შალუტა::
- ქ. მახარაშვილი მახარა::
- ქ. ლულიური გივი::
- ქ. გაბიტაშვილი შალიკი::
- ქ. პაპიაშვილი ბერი::
- ქ. ბიჭიაშვილი შოშია::
- ქ. სუხია::
- ქ. ნოზაძე ზაქარია::
- ქ. შალიკიშვილი ბერი::
- ქ. ყაზამფორაშვილი ბერი::
- ქ. ბურნაძე ბეჭუა::
- ქ. მეხატურიშვილი სეხნია::
- ქ. რაზმაძე მღდელი დავით::
- ქ. გაგნიძე მღდელი დავით::

54

ბოგონა ნახევარ კოდსა: და სხვა მთელს კოდს იღებს:.  
იმათი სახუცო მარჩილი ხუთი::.

### აგნება:

- ქ. მაჭარაძე შიო::
- ქ. მაჭარაძე ციხელია::
- ქ. მაჭარაძე გიორგი::
- ქ. ნაღირ(ა)ძე პაპუნა::
- ქ. ომანიძე სეხნია::
- ქ. მეზვრე ბიძინა::
- ქ. საზანდარი დათუნა::
- ქ. მეზვრე ზუბია::
- ქ. მეზვრე დათუნა::

- ქ. მედინაძე სეხნია:.
- ქ. მაისურაძე სეხნია:.
- ქ. ბეგიაშვილი მღდელი ნიკოლოზ:.
- ქ. ბეგიაშვილი დათუნა:.
- ქ. სულიაშვილი ხოსია:.
- ქ. დათუაშვილი დათუნა:.
- ქ. ბრეგვაძე გიორგი:.
- ქ. სალარიძე ივანე:.
- ქ. სიქთურაშვილი ლაზარე:.
- ქ. სიქთურაშვილი მღდელი ნიკოლოზ:.
- ქ. კოზმანიშვილი ოთარი:.
- ქ. კოხაჯელი თევდორა:.
- ქ. კოზმანიშვილი ბერი:.
- ქ. კოხაჯელი ბერი:.
- ქ. ჩხერელაშვილი გია:.
- ქ. ჩხერელაშვილი პაპუნა:.
- ქ. ბერიკაშვილი ქიტია:.
- ქ. მონდობილაშვილი პაატა:.
- ქ. მონდობილაშვილი დათუნა:.
- ქ. ხოსიაშვილი ბერი:.
- ქ. ბერუაშვილი ივანე:.
- ქ. სულიაშვილი თამაზა:.
- ქ. ყუზაშვილი ბერი:.
- ქ. ზუმბულიძე მღდელი შიო:.
- ქ. სიქთურაშვილი გიორგი:.
- ქ. ბათხაძე გურგენა:.

35

ბოგანო ნახევარ კოდსა: და სხვა მთელს კოდს დრამას  
ღიებენ: ამათი საბუცო აბაზი ათი:.

### თეკნითი:

- ქ. იალანაშვილი შიო:.
- ქ. სხირტლაძე ნასყიდა:.

ქ. კობახიძე თამზა::.

3

ამათი ლრამა კვამლზე ათი კონა სარი სძეს::.

### ნულს:

ქ. ლომაძე ფარსადან: იმისი ძმისწული გოგია და სფრ-  
მონ<sup>1)</sup>: საწირავი აძეს::.

ქ. საყვარელიძე გიორგი: საწირავი აძეს::.

ქ. სუხიაშვილი სულხანა::.

ქ. მერაბაშვილი პაპუნა::.

ქ. ბახტაძე პაპუნა::.

ქ. ნინუაშვილი გოდერძი::.

ქ. შავაძე ბერი::.

ქ. დალაქიშვილი გიორგი::.

ქ. გოგლიძე ლთისია::.

ქ. ხახუაშვილი სეხნია::.

ქ. ნაცვალ ბერი::.

ქ. დემეტრეშვილი მლდელი დემეტრე::.

ქ. ბეჭიტა:-

ქ. ხოტვარაშვილი ღ-თისია::.

ქ. ჭავჭავაძე ბერი::.

ქ. ჭავჭავაძე კიდევ ბერი::.

ქ. კობალაძე დათუნა::.

ქ. კბილაშვილი ტატია::.

ქ. შავაძე შიო::.

ქ. როინაშვილი ბერი::.

ქ. მეტრისშვილი პაპუნა::.

ქ. გამგებელი ბეჭუა::.

ქ. მებოსტნე პაპა::.

ქ. მახარაშვილი დანა::.

ქ. ხატისკაცი თამაზა::.

ქ. დალაქი ბეჭუა::.

<sup>1)</sup> ეს სტრიქონი შემდევ სხვა ხელით არის მიმარებული.

- ქ. მეზვრე იორდანე:.  
ქ. იმერელი გიორგი:.  
ქ. შავაძე ბერი:.-

25

ბოგანო ნახევარ კოდსა: და სხვა მთელს კოდს დრამას  
იღებენ: ამათი სახუცო მარჩილი ოთხი:.

### დგერთეთს:.

- ქ. ნადირაშვილი შიო:.  
ქ. გვრიტაძე თამაზა:.  
ქ. გვრიტაძე დათუნა:.  
ქ. გვრიტაძე ბერი:.  
ქ. მესხი სეხნია:.  
ქ. ყვიუინაძე გიორგი:..  
ქ. ხიკაძე შალვა:..  
ქ. მახარებელი მლდელი:..  
ქ. ქიტიაშვილი პატა:..  
ქ. კოჭატიძე იმირნდო:..  
ქ. ქიტიაშვილი გიორგი:..  
ქ. ნადირაშვილი ხოსია:..  
ქ. ნაცვლიშვილი დარუნა:..  
ქ. ძამისაძე თამაზა:..  
ქ. უამიერაშვილი გიორგი:..  
ქ. უამიერაშვილი კიდევ გიორგი:..  
ქ. უამიერაშვილი შიო:..  
ქ. კიტაიშვილი მამუკა:..  
ქ. ხააძე ბერი:..  
ქ. ხააძე გიორგი:..  
ქ. შარაბიძე გოგია:..  
ქ. კაპანაძე ლაზარე:..  
ქ. კურტანიძე ბერი:..  
ქ. ჭიჭინაძე ბერი:..  
ქ. მეზვრე პატა:..

- ქ. მესხი თამაზა:.
- ქ. მესხი მახარა:.
- ქ. მჭედელი ღრთისია:.
- ქ. თანლილაშვილი გურგენა:.

29

ბოგანო ნახევარ კოდსა: და სხვა მთელს კოდს დრამას  
იღებენ: ამათი სახუცო ან გბოიანი ფური: ან კარი: ან ფასი აძეს:.

### ერქნეთს:

- ქ. პაპაშვილი დემეტრე:.
- ქ. პაპაშვილი პაპა:.
- ქ. პაპაშვილი ბერი:.
- ქ. ნინაშვილი გელია:..
- ქ. გაბრიელაშვილი გიორგი:.
- ქ. კუპრაშვილი შიო:.
- ქ. დოიჯაშვილი შახარა:.
- ქ. დოიჯაშვილი ბერი:.
- ქ. დოიჯაშვილი გიორგი:.
- ქ. დოიჯაშვილი შიო:..
- ქ. გოჩაშვილი შიო:..
- ქ. ზარიძე ბერი:..
- ქ. ოსაძე შიო:..
- ქ. ოსაძე ივანე:..
- ქ. ოსაძე ბერი:..
- ქ. დათაშვილი ბერი:..
- ქ. ჭავჭავაძე ბერი:..

18

ბოგანო ნახევარ კოდსა: და სხვა მთელს კოდს დრამას  
იღებენ: ამათი სახუცო აბაზი ექვსი:.

### თორმანთეფს:

- ქ. ელიაშვილი მახარა:..
- ქ. ელიაშვილი სუხანა:..

- ქ. ელიაშვილი ლაზარე:.
- ქ. ელიაშვილი თამაზა:.
- ქ. ელიაშვილი მლდელი შიო:.
- ქ. კიტრაძე თამაზა:.
- ქ. კიტრაძე ბერი:.
- ქ. კიტრაძე გიორგი:.
- ქ. კიტრაძე გელია:.
- ქ. კიტრაძე ზაქარია:.
- ქ. კიტრაძე ბერი:.
- ქ. კიტრაძე დათუა:.
- ქ. კიტრაძე შიო:.
- ქ. კიტრაძე თანდილა:.
- ქ. ელიაშვილი თამაზა:.
- ქ. ელიაშვილი მლდელი შიო:.
- ქ. ხახანაშვილი ბერი:.
- ქ. მექვაბიძე შიო:.
- ქ. ლონენაშვილი ივანე:.
- ქ. ლონენაშვილი პაპუნა:.
- ქ. ლონენაშვილი შიო:.
- ქ. კუპატაძე ბერი:.
- ქ. ცერცვაძე თამაზა:.
- ქ. გრიგალაშვილი შიო:.
- ქ. გრიგალაშვილი პეტრე:.
- ქ. ჯოხაძე ივანე:.
- ქ. კიტრაძე ბერი:.
- ქ. საზვერლიშვილი ივანე:.
- ქ. საზვერლიშვილი მამუკა:.
- ქ. რიკაძე ბასილა:.
- ქ. ხუციშვილი შიო:.
- ქ. ხუციშვილი პაატა:.
- ქ. ნანიტაშვილი სეხნია:.
- ქ. ჯოხაძე დათუნა:.
- ქ. ხუციშვილი მლდელი პავლე:.

ბოგანო ნახევარ კოდსა: და სხვა მთელს კოდს დრა-  
მას იღებენ:. ამათი სახუცო: აბაზი ტამეტი: აძეს:.

## მდგრადი:

- ქ. სამადანიშვილი სეხნია: საწირავი აძეს:.
- ქ. ჭიტაძე: ოვანე:.
- ქ. ჭიტაძე ბეჟუა:.
- ქ. თანდარაშვილი გიორგი:.
- ქ. თანდარაშვილი ბერი:.
- ქ. კაკონაშვილი შიო:.
- ქ. კაკონაშვილი ბერი:.
- ქ. ხოხიაშვილი იორდანე:.
- ქ. მამუკაშვილი თამა:.
- ქ. მამუკაშვილი დათუნა:.
- ქ. სუხიაშვილი კაცია:.
- ქ. სუხიაშვილი მამუკა:.
- ქ. მახუაშვილი სეხნია:.
- ქ. სუხიაშვილი ბერი:.
- ქ. ბუხაძე ბერი:.
- ქ. ბუხაძე ლაზარე:.
- ქ. შოშიტაშვილი თევდორა:.
- ქ. მახანაშვილი შიო:.
- ქ. მახანაშვილი თევდორა:.
- ქ. მახანაშვილი ბერი:.
- ქ. მახანაშვილი კიდევ ბერი:.
- ქ. მისელაშვილი შიო:.
- ქ. მცელი მამუკა:.
- ქ. ჩინჩალაძე შიო:.
- ქ. ჩინჩალაძე სუხია:.
- ქ. პაატიშვილი ბერი:.
- ქ. პაატიშვილი ოთარი:.
- ქ. ჯასტანიძე მღლელი პავლე:.

- ქ. ჯასტანიძე თამაზა::  
 ქ. ჯასტანიძე პეტრე::  
 ქ. მისელაშვილი თანდილა::.
- 31
- ბოგანო ნახევარ კოდსა: სხვა მთელს კოდს დრამას იღებს:  
 ამათი სახუცო: აბაზი ათი::.

### ბეჭმერა::

- ქ. ნებიერიძე ივანე::  
 ქ. ნებიერიძე პაპუნა::.  
 ქ. ნებიერიძე მლდელი ივანე::.  
 ქ. ნებიერიძე ივანე::.  
 ქ. ნებიერიძე შემაზა::.  
 ქ. გვიმრაძე ბერი::.  
 ქ. გვიმრაძე შიო::.  
 ქ. გვიმრაძე მლდელი ფილიმონ::.  
 ქ. გვიმრაძე ელიბა::.  
 ქ. გვიმრაძე ივანე::.  
 ქ. გვიმრაძე ხოსია::.  
 ქ. გახელაძე ბერი::.  
 ქ. კარაული თამაზა::.  
 ქ. კარაული ოთარი::.  
 ქ. კარაული შიო::.

15

ბოგანო ნახევარ კოდს ქერს იღებს: და სხვა მთელს კოდს  
 ქერსა:, ამათი სახუცო: აბაზი ოთხი::.

### წორბის::

- ქ. შალბელიქიშვილი გიორგი::.. საწირავი აძეს::.  
 ქ. შალბელიქიშვილი ლევან: საწირავი აძეს::.  
 ქ. ბათხაძე დათუნა::.  
 ქ. ბათხაძე ბერი::.  
 ქ. ბათხაძე ბერი მოურავი::.  
 ქ. მაისურაძე მასურა::.

- ქ. მაისურაძე ივანეს:.
- ქ. მაისურაძე გოდერძი:.
- ქ. შოშიაშვილი ვიორგი:.
- ქ. საყვარელაშვილი ბერი:.
- ქ. ხუციაშვილი ხახანა:.
- ქ. ხუციაშვილი პაპუნა:.
- ქ. წოწოლაშვილი გოგია:.
- ქ. წოწოლაშვილი ნასყილი:.
- ქ. წოწოლაშვილი ბერი:.
- ქ. ბოქოული:.
- ქ. რაჭველი თამაზა:.
- ქ. ფონჯაიძე ბერუა:.
- ქ. სამბახიძე ვიორგი:.
- ქ. ადუაშვილი შიო:.
- ქ. კობერიძე მამუკა:.
- ქ. გოგლიძე თამაზა:.
- ქ. ასანა:.
- ქ. საძაგელი:.
- ქ. ციცუხაშვილი ვიორგი:.
- ქ. კუტიშვილი პაპუნა:.
- ქ. შალიკი:.
- ქ. თაბუაშვილი სიღამო:.
- ქ. ზამბახიძე ბერი:.
- ქ. ადუაშვილი მლდელი დავით:.

30

ბოგანო ნახევარ კოდსა: და სხვა მთელს კოდს დრამას იღებენ:. ამათი სახუცო გამორჩეული კარი: ან კბოიანი ფური:.

### სრულნის:

- ქ. კობერიძე პაატა:.
- ქ. შავაშაძე ესტატე:.
- ქ. შავაშაძე სენია:.
- ქ. ტაბუცაძე ნასყილა:.

- ქ. ტაბუცაძე ივანე:..  
 ქ. ტაბუცაძე გოჩია:..  
 ქ. ტაბუცაძე გიორგი:..  
 ქ. სირაძე გიორგი:..  
 ქ. სირაძე დათუნა:..

ამათი დრომა ნახევარ კოდი ან პური ან ქერი აძეს:.

g.

### თეშეგვანს:

- ქ. ჩინჩალაძე სესნია: საწირავი აძეს:..  
 ქ. ცისკარაძე ქრისტესია:..  
 ქ. კაპანაძე გიორგი:..  
 ქ. ჩინჩალაძე პატა:..  
 ქ. ღებელი გიორგი:..  
 ქ. პეტრიაშვილი გიორგი:..  
 ქ. ჯაბნაშვილი დათუნა:..  
 ქ. ჯონიშვილი დათუნა:..  
 ქ. ომაძე ივანე:..  
 ქ. კელილაშვილი დათუნა:;  
 ქ. ჯავარაშვილი ივანე:..  
 ქ. გრძელიშვილი ოორდანე:..  
 ქ. გრძელიშვილი ბერი:..  
 ქ. ბეჭანაშვილი დათუნა:..  
 ქ. ბეჭანაშვილი ბერი:..  
 ქ. ლაყვაძე პატა:..  
 ქ. ჭიჭინაძე გიორგი:..  
 ქ. ფარქოსაძე ივანე:..  
 ქ. მამისიმელი გამგებელი:..  
 ქ. ფარქოსაძე ბერი:..  
 ქ. ბეჭანაშვილი ივანე:..  
 ქ. ბეჭანაშვილი ონდილა:..  
 ქ. ბეჭანაშვილი ბერი:..

- ქ. ბეჭანაშეილი გიორგი მღლელი:: 25  
 ქ. გეგელაშვილი ივანე მღლელი::  
 ბოგაინო ნახევარ კოდსა: სხვა მთელს კოდს პურს ილებენ:  
 ამათი სახუცო აბაზი ექვსი::.

### თურქია:

- ქ. ქოჩლაძე მამუკა::.  
 ქ. გაბრაშვილი ბერი::.  
 ქ. გაგნიძე თამაზა::.  
 ქ. გაგნიძე დათუნა::.  
 ქ. მინაგორაშვილი დათუნა::.  
 ქ. მანაგორაშვილი პატა::.  
 ქ. მინაგორაშვილი თემიროზა::.  
 ამათ დრამა არა სძესო:: ქ: ამათი სახუცო შაური ათი:: 7

### მაღარანი:

- ქ. ჭილლაძე ზაქარია::.  
 ქ. ჭილლაძე ბეჭუა::.  
 ქ. ჭილლაძე გიორგი::.  
 ქ. ჭილლაძე ბერუკა::.  
 ქ. დონაძე ხახუა::.  
 ქ. დონაძე პაატი::.  
 ქ. დონაძე ბერი::.  
 ქ. გივიტაშვილი ქუმსი::.  
 ქ. გივიტაშვილი გოდერძი::.  
 ქ. ჯიბორიშვილი თევდორა::.  
 ქ. გულიაშვილი დათუნა::.  
 ქ. გულიაშვილი მამუკა::.  
 ქ. ლუქუნიძე გიორგი::.  
 ქ. მეგრელი ბეჭან::.

- ქ. ბარბაქაძე ივანე:.  
 ქ. ბარბაქაძე პაპუნა:.  
 ქ. ორბელაძე ნასყიდა:.  
 ქ. მწყერაშვილი საძაგელა:.  
 ქ. მიქელიშვილი ბერი:.  
 ქ. გიასელი მამუკა:.  
 ქ. მემარნე დათუნა:.  
 ქ. ჩიტაშვილი მიქელა:.  
 ქ. ჩიტაშვილი სეხნია:.  
 ქ. ჭილლაძე ეზია:.  
 ქ. ჯეგაძე ზაქარია:.  
 ქ. ჯეგაძე მამაცა:.  
 ქ. იალანაშვილი იეანე:.  
 ქ. გოგოჭიანი მარკოზ:.
- 28
- ბოგანო ნახევარ კოდსა: და სხვა მთელს კოდს იღებენ:.  
 ამათ სახუცო აბაზი ხუთი:.

### ახალშენს:

- ქ. ჩუბინიშვილი ზურაბ: საჭირავი აძეს:.  
 ქ. ჩუბინიშვილი იესე საჭირავი აძეს:.  
 ქ. ობბაშვილი გიორგი:.  
 ქ. ხუციშვილი თევდორა:.  
 ქ. ხუციშვილი ბერი:.  
 ქ. ჯიბორიშვილი დათუნა:.  
 ქ. ჯიბორიშვილი გიორგი:.  
 ქ. ზუბიაშვილი ათანასე:.  
 ქ. კვესაძე გიორგი:.  
 ქ. უოუაშვილი რამაზა:.  
 ქ. მჭელიძე შერმაზან:.  
 ქ. ქიტიაშვილი დათუნა:.  
 ქ. ბიძინაშვილი გიორგი:.  
 ქ. ზუბიაშვილი ივანე:

- ქ. პაპუნაშვილი ბერია:
- ქ. შიოშვილი ბერია:
- ქ. მურვანაშვილი პატა:
- ქ. მესხი ზაქარია:
- ქ. მესხი ივანე:
- ქ. გოჩაშვილი დარუნა:
- ქ. მეუნაგრიშვილი ბერუა:

21

ბოგანო ნახევარ კოდსა: და სხეა მთელს კოდს იღებს: ამ ახალშენისა: და არამგამდს სახუცო აბაზი ათია: შეიღი აბაზი ახალშენზე გარიგდა. და სამი არამგამაზე,

### არამგამდს:

- ქ. სამსონაშვილი სუხა:
- ქ. დვილი გოგია:
- ქ. დვალი მამუკა:
- ქ. იობაშვილი ბერია:
- ქ. აჭარაძე გოჩა:

5

არამგამა და ახალშენი ერთი არის: ლრამაც ისე სძეს:.

### გუნდას უბანს:

- ქ. ბაინდურაშვილი მახარა:
- ქ. ბაინდურაშვილი შალეა:
- ქ. ბაინდურაშვილი თამაზა:
- ქ. თხელიძე გიორგი:
- ქ. თხელიძე თამაზა:
- ქ. თხილიძე თევდორა:
- ქ. ხახუტაშვილი გიორგი:
- ქ. ოქრუაძე ოქრუა:
- ქ. ოქრუაძე შემაზა:
- ქ. ოქრუაძე თამაზა:

- ქ. ოქრუაძე ბერი:..  
 ქ. ძმქთაშვილი ძმათა:..  
 ქ. ძმათაშვილი გიორგი:..  
 ქ. ძმათაშვილი მამუკა:..  
 ქ. ძმათაშვილი ბერი:..

15

ბოგანო ნახევარ კოდია: და სხვა მთელს კოდს იღებენ:  
 ამათი სახუცო აბაზი ოთხი:.

### თაღებას:

- ქ. ბურნაძე ზაზა: საწირავი აძეს:..  
 ქ. ბურნაძე ოთია: საწირავი აძეს:..  
 ქ. წერეთელი დავით: საწირავი აძეს:..  
 ქ. წერეთელი გიორგი: საწირავი აძეს:..  
 ქ. გამცემლიშვილი ოთია: საწირავი:.. აძეს:..  
 ქ. კოპაძე დათუნა:..  
 ქ. მამუკაშვილი დათუნა:..  
 ქ. ონოფრაშვილი ივანე:..  
 ქ. ბეჭიტაშვილი გიორგი:..  
 ქ. გოდერძაშვილი გიორგი:..  
 ქ. ოთიაშვილი თევდორა:..  
 ქ. ბეჭიტაშვილი პაპუნა:..  
 ქ. ბეგიაშვილი ივანე:..  
 ქ. ბეგიაშვილი დათუნა  
 ქ. ბეგიაშვილი თამაზა:..  
 ქ. ბეგიაშვილი ჩამაზა:..  
 ქ. ბეგიაშვილი ხოსია:..  
 ქ. ბეგიაშვილი ბერი:..  
 ქ. ბეგიაშვილი სილუმ მლდელი:..  
 ქ. ოთიაშვილი ზაზუა:..  
 ქ. ამილბარიშვილი თამაზა:..  
 ქ. სეწნიაშვილი ბერი:..  
 ქ. თანდილაშვილი ბერუკა:..

- ქ. ივანეშვილი მამუკა:.
- ქ. ივანეშვილი ზაქარია:.
- ქ. მუმლაძე მახარა:.
- ქ. ხიხაძე სეხნია:.
- ქ. ოქრო-მწედელი პაატა:.
- ქ. ტრანკაძე მანასა:.
- ქ. სამხარაძე ოთარი:.
- ქ. სამხარაძე თანდილა:.
- ქ. სამხარაძე ივანე:.
- ქ. ჩარექაშვილი დათუნა:.
- ქ. ლანჩავაშვილი დათუნა:.
- ქ. ჩებინაძე დათუნა:.
- ქ. კილაძე ოთია:.
- ქ. ოსი ოთია:.
- ქ. ოსი ლაზარე:.
- ქ. ლანჩავაშვილი დემეტრე:.
- ქ. ალვეგებაძე პაპუნა:.
- ქ. სუხანაშვილი ოთია:.
- ქ. ბასანიძე იქსე:.
- ქ. ბასანიძე ოთია:.
- ქ. ბასანიძე პაპუნა:.
- ქ. ჩუბინიძე მხირულა:.
- ქ. ჩუბინიძე დათუნა:..
- ქ. ჩუბინიძე ოთარი:.
- ქ. ჩუბინაძე ბერი:.
- ქ. გრიგოლაშვილი თამაზა:.
- ქ. იონჩაძე ათანასე:.
- ქ. მლდელი იოვანე:.
- ქ. მლდელი შიო:.

52

ბოგანო ნახევარ კოდა: და სხედ მთელს კოდს პურს  
იღებენ: ამათი სახუცო მარჩილი ხუთი აძენთ:.

## ლარისთავს:

ქ. გორგოშიანი პაატა: საწირავი აძეს:.

ქ. ჯარდან:..

ქ. კვირიაშვილი ივანე:..

ქ. ტაბატაძე ბერი:..

ქ. ტაბატაძე ძამა:..

ქ. ტაბატაძე ბერი:..

6

ნახევარ კოდს დრამას იღებენ: ამათი სახუცო და წიფლი-  
ნოსა ერთი არის: აბაზი სამი:.

## წიფლითს:

ქ. კავაძე ივანე:..

ქ. კავაძე პაპუნა:..

ქ. ნასრაძე ივანე:..

ქ. ნასრაძე პეტრე:..

ქ. ნასრაძე ივანე:..

ქ. ჩომახიძე პაპუნა:..

6

დრამას ნახევარ კოდს იღებენ ყველანი: ესე და ლარისთავი  
ერთი სახუცო არის:\*)

ქ. თავარშვალი.

(შემდეგი იქნება)

\*) მეი იხველს ვსთხოვთ შეასწოროს უმთავრესი შეცდომები, რომელ-  
ნიც რუსის აღწერის წინა წერმლში არის (ჩვენ ტფილისში არ ვიყავთ  
და უკანასკნელი კორექტურა არ გაგვიშინჯავს).

83.	სტრ.	ზემ.	ს წ ე რ ი ა:	უ ნ დ ა ი ყ თ ს:
26.		2--3	აშენებულია	განახლებულია
26		9	IV	VI
27		12	დედფლისა	დედფლისაც
29		5	რუსის	რუსის
30		15	თსა? ქ..	თ'რსა (თამარისა)
—		—		ქ'რ..
—		16	ჩვნის	ჩვენის
33		16	მებობასა	მეფობასა
34		8	ც'დკლო	ც'დკლი
36		21	ერელესასა	ერეკლესასა

## ქველი თაობა

თლა ჭავჭავაძე, როგორც შუბზიფსცი

(წერილი მეოთხე\*)

რაკი ილია ჭავჭავაძემ, როგორც წინა წერილში აღვნიშნეთ, ვერ დაინახა წოდებათა შორის განხეთქილების მიზეზი „თვით წოდებათა წყობაში და მის შინაგანს აჩსებაში“, ამისათვის მისი ცდა იყო მიმართული „წოდებრივ წყობილების“ გაუმჯობესებისაკენ და არა მის გაუქმებისაკენ და დარღვევისაკენ. ჩევნი ავტორი „საერთო“ (განურჩევლად წოდების) კეთილ-დღეობის ძიებაშია. მისის აზრით, „თავად-აზნაურობის ღლეგრძელობა, კეთილდღეობა, ბეღნიერება, სახელი და დიდება“ იმ ნიადაგზედ უნდა იყოს დამყარებული, „რომ თუ სხვანი კარგათ იქნებიან, მარტო მაშინ იგიც კარგათ იქნება“. მხოლოდ ავტორს აზრად არ მოსდის, რა რიგად შესაძლებელია ეგ საერთო კეთილ-დღეობა, როდესაც ერთი წოდების ინტერესი ასე თვალსაჩინოდ ეწინააღმდევება მეორე წოდების ინტერესებს. განა აშკარა არ არის, რომ რამდენადაც წელში მაგრდება მწარმოებელი, ხელით მომუშავე წოდება, იმდენად სუსტდება ის წოდება, რომელიც სხვისი ნამუშავრით და შრომით მდიდრდება და ძლიერდება. არა მომუშავე წოდება იშლენად მაგარია, რამდენადაც მკვიდრათ და შეურყევლად უჭირავს ხელში მწარ-

\*) იხ. „მოამბე“ №№ VI, VII და VIII.

მოებელი. ბატონ-ყმობის გაუქმებამ თვალსაჩინოდ დაგვანახეა, რომ ჩვენი მოწინავე წოდების კეთილ-დღეობა სხვა წოდებათა კეთილ-დღეობაზედ კი არ იყო აშენებული, არამედ დამონაერ-ბაზედ და დაჩაგვრაზედ. ასე რომ არ ყოფილიყო, ბატონ ყმო-ბის გაუქმების შეძლევ თავად-აზნაურობის სვე-ბედი უკულმა არ დატრიალდებოდა და სხვა წოდებასთან ერთად მასაც დაე-ტყობოდა სიცოცხლე და ცხოველ-მყოფელობა. ილია ჰავჭა-ვაძე სხვა აზრისაა. მისი იდეალი წოდებათა თანხმობაა. შთელი ერთ თავის სოციალურ აგებულებით (თუნდაც ეს სოციალური აგებულება უვარესია) მწყობრად უნდა მიისწრაფებოდეს წარ-მატებისაკენ და არამც და არამც არ დაშალოს ეს მწყობრობა და თანხმობა. წოდებრივი ბრძოლა უარ-ჰყოფილია არამც თუ ჩვენში, მთელს ევროპაშიაც.

„ქვეყანაზედ მარტო იმ ერს გაუძლია, ამბობს ავტორი, მარტო იმ ერს წარუმატნია თავი ათასევარ განსაცდელისაგან, მარტო იმ ერს წარუმატნია და გაძლიერებულა, რომელსაც თავს დროზე შეუტყვია და მიუგნია, რომ ერთის რომელისამე წოდების წინ წაწევა არათრის მაქნისია, თუ დანარჩენი ერიც არ წაწეულა, პირ-იქით, ერთის წოდების წინ წაწევას დანარ-ჩენის უკან დაწევა მოჰყოლიათ“.\*).

ასე რომ წარმატების შმოძრავ ძალად ბრძოლა და მოცი-ლეობა კი არ არის აღიარებული, არამედ მშეიღობა, წოდე-ბათა შორის თანხმობა და ერთობა. თუმცა ავტორი ამბობს, რომ „ერთის წოდების წინ წაწევის დანარჩენის უკან დაწევა მოჰყოლია“, მაგრამ აეიწყდება, რომ ყოველთვის ანგარიშში მისაღებია ის, თუ „ვინ“ რჩება უკან, რომელი წოდება. იმარ-ჯვებს, ავიწყდება აგრეთვე, რომ მსოფლიო ისტორიის მსვლე-ლობაში მწარმოებელი წოდების ფეხის წინ წადგმა ქვეყნის წარმატების მომენტად ჩაითვლებოდა და არა იმის უკან-დახე-ვისა. როცა ჩვენი ავტორი ზემოდ მოყვანილ სიტყვებსა სწერ-და, აშკარაა, კეთილი განხრახვა პქონდა და გარეგან შეხედუ-

ლებით მის სიტყვებს რადიკალური ელფერიც ედვა. თავად-აზნაურობას უჩიევდა, იზრუნველ თქვენის კეთილ-დღეობისათვის, მხოლოდ სხვანიც ნუ დაგავიწყდებათო. თქვენი ბედნიერება სხვის ბედნიერების საჭამით გაპზომეთო. ამას უჩიევდა ჩვენი ავტორი, რადგან არა სჯეროდა, რომ ჩვენი ჩამორჩენის უმთავრეს მიზეზს თვით ჩვენს „წოდებათა წყობაში, მის შინაგან არსებაში“ და აქედამ წარმომდგარ ეკონომიურ წინააღმდეგობაში უნდა ვეძებდეთ და არა იმაში, ვითომ ერთი წოდება შეიარაღებული ოკის „ავის გულით, ხარბის თვალით, გრძელი ხელით და ნამუსის ქულიც ახდილი“ ჰქონდეს. უბედურება ამ ფსიხოლოგიურ თვისებებში კი არ არის, არამედ სოციალურ პირობებში, რომელიც მიზეზალ ჩაითვლება ამგეარ ფსიხოლოგიურ თვისებების დაბალებისათვის.

ამრიგად წოდებრივ ურთიერთობას ჩვენი ავტორი ხელუხლებლად სტოვებს. ამ ურთიერთობის დარღვევის საჭიროება არა აქვს წამოყენებული, პირი-ქით, მომამავალი ჩვენი ცხოვრების ეკონომიური აგებულება წოდებათა თანხმობაზედ აქვს აგებული. მამული მემამულეს მჭიდროთ უნდა ეჭიროს ხელშიოდა არამც და არამც არ წაერთვასო.

„ვათქვათ ვისმეს მამულში უმამულო კაცს მოვასწარით, — არკვევს ავტორი თავის აზრს, — მამული მემამულეს წავართვით და უმამულოს მიეკუთ. მას მერმედაც ხომ ისევ იმ გაჭირვებას შევვახლის დროთა მდინარეობა!.. მაშინ რაღა ვქნათ? კიდევ წავართოთ? ეგრე რომ ეიაროთ, დღევანდველ ძეპამულეს ხაშ სულ ჩამოეჭომევა მამული და ახლა ის გაგვიხდება თავში საცემით. —\*)“

ავტორი პირდაპირ გვეუბნება, რომ არა სასურველია, რომ თანამედროვე მემამულემ დაჲკარგოს თავისი მამული, თუნდა ეს მამული მწარმოებელის, გლეხობის ხელში გადაღიოდეს. გაღატაკებული მემამულე თავში საცემი გაგვიხდებაო. ჩვენ კი გვვონია, რომ გაღატაკებულ ზემამულეს ორი გზა აქვს —

\*) ივერია 1877 წ. № 168.

ერთი სულ გადაკვარებისა, მეორე გზა — შრომა და წარმოება. შრომას ბადავს სიმღიღრეს, შრომით სცხოვრობს ხალხი. თუ ამ მეორე გზას დაადგა გალატაკებული მემამულე, თავში საცემი აღარ გავიხდება და საზოგადოების საკირო წევრიც შეიქმნება. ავტორს არ აქვს გამოსახული და ნათლად განსაზღვრული შრომაზედ დაფუძნებული და შრომით ავებული ხალხის ეკონომიკური წყობილება. ამიტომაც არის, რომ წარსულში და აწყობიაც, ცოტა არ იყოს, ამართლებს წოდებრივ წყობილებას და ექონომაგება ერთ წოდების ეკონომიკურ უპირატესობასაც. ეს იქიდამაც წარმოსდგა, სხვათა შორის, რომ ჩვენს ავტორს არ ჰქონდა ზედმიწევნით შევნებული თანამედროვე ეკონომიკურ ცხოვრების მოძრავი ხასიათი, არა ჰქონდა გათვალისწინებული მრეწველობის მომავალი როლი, მისი მნიშვნელობა პროფესიონალურ კლასების დაარსებაში და ხალხის სიმღიდრის მოძრაობაში. ჭავჭავაძეს ყურადღებას მარტო სოფელი იწვევდა. ამას გასამართლებელი საბუთიც ჰქონდა, რადგან ჩვენი ქვეყანა სოფლური ქვეყანაა, მხოლოდ ავტორს უნდა დაენახა, რომ სოფელთან ერთად იბადება და ისახება იმგვარი ეკონომიკური ნიაღავი, საიდამაც წარმოსდგება სრულებით ახალი და საქართველოში უცნობი ფაკტორი წარმატებისა და მოძრაობისა — ალებ-მიცემობის გაძლიერება, მრეწველობის აღორძინება, ფულის გაბატონება და ამის საშუალებით სოფლის ძველებურ მებატონის ხარისხის ჩამორთმევა და დაქვეითება. აი როგორა ჰქინის ავტორი ამ საგანს.

„ჩვენის გულითადის ფიქრით, ქვეყანა იმისია, ვისაც ერთ-ხელში ხმალი უჭირავს და მეორეში გუთანი. ხმალი იცავს გუთანს, ხოლო ვუთანი ასაზრდოებს ხმალს. გუთანს კი ერთი განსაკუთრებული მშვიდობიანი დანიშნულება აქვს: დედა-მიწის უხვი გული გადაგვიშალოს და იქიდან საზრდოება გვაწოდოს. გუთანი, ქართველებო, გუთანი! და ხმალი იყოს ფარი მისითავი და ბოლო აქ არის, დამიჯერეთო.“\*)

\*) „ივერია“ № 11 1881 წ.

ამას სწერდა ავტორი 1881 წელს. შემდეგის წლების ჩვენი ავტორის ნაწერების გადასინჯვამ დაგვანახვა, რომ ავტორს ამ საგანზედ შეხედულება არ შეეცვალა, თუმც ამას კერ ვიტყეოთ, ვითომ მრეწველობის და აღებ-მიცემობის საჭიროება არა ჰქონოდა გაგებული და გათვალისწინებული. ავტორის გონიერებაში უფრო ჩვენი ძველი ცხოვრების მისწრაფება ოლიბეჭდა, — მშვიდობიანობა, ის, რაც ასე სანატრელი იყო ძველ ლროში, და ამ მშვიდობიანობის მფარველობის ქვეშ სოფ. ლური შრომა, შრომა გაგონიერებული და ცოდნით გაღონიერებული. ამაში, ამ მოსაზრებაში გამოისახა ტიპიური თვისება ძველი თაობის წარმომადგენლისა. აქედამ, ამ „გუთინის“ თაყვანის ცემიდამ და „სოფლის“ მნიშვნელობის აღიარებიდამ აღმოცენდა ჩვენებური „ნაროღიკობა“, ის ერთვერი მიბაძვა რუსულ მოძრაობისა, რამელმაც ჩვენშიაც გამოჩეკა ეგრედ წოდებული „ტეტიათა მოტრუიალე გუნდი“. ყველა ამას ამ უმაღ სიტორიული ხასიათი მიეცა, რადგან სხვა ღრო დაგვიღება, სხვა ხალხი გამოიცა სამოქმედოთ და სხვა აზრი და მისწრაფებაც გამოიყოლია თან.

მხოლოდ უნდა ვსთქვათ, რომ ჩვენი სოფელი მართლაც და დიდის და განსაკუთრებულის ყურადღების ღირსია. ჭავჭავაძის ცალ-მხრივობა იმაშიკეთ არ არის, რომ აქცევდა ყურადღებას ქართულ სოფელს, არამედ იმაში, რომ მარტო სოფლისაკენ იყო მიმართული მისი გულის ყური. იმ ქვეყანაში, საღაც  $\frac{3}{4}$ -დი მცხოვრებთა რიცხვისა სოფლად სცხოვრობს და მეურნეობას მიზდევს, სოფელი უნდა იყოს შესწავლილი და გამოკვლეული, სოფლის ცხოვრება უნდა რყის გაუმჯობესებული, შესუმბუქებული, მხოლოდ თვით ამ ცხოვრების გამოფხილებისათვის საჭიროა სამრეწველო ცენტრების გაჩენა, საჭიროა სოფლის, და სამრეწველო ცენტრის ურთიერთობის ვამტკიცება, საჭიროა ქალაქის და სოფლის შუა შრომის განაწილება. და ის ჩვენი ავტორის ნაწერებში არა ცხელათ ამ არ-მხრივ ეკონომიურ ცხოვრების დაფინანსება-განპარტებას.

ილია ჭავჭავაძე, როგორც სოფლის მოსარჩევე, თავის გა-  
ზეთის „ივერიის“ საშუალებით თვალ-ყურს ადევნებდა სოფ-  
ლის ჭირ-ვარამს. ხვნა თესვა, მევენახეობა, სამეურნეო სწავლა-  
ცოდნა, სოფლის „ამხანაგობები“ დეპო-კასები, ჩატჩები და სოფ-  
ლის წურბელები, სამკითხველოები და სხვ.—აი ის საგანი, რის  
გარეშემოც დასტრიალებდა ჩვენი ავტორი და ეს ასეც უნდა  
ყოფილიყო. ვიმეორებთ, ავტორის დანაშაულობა ამაში არ  
არის. ძალიანაც რომ თანაუგრძნობდეთ ქალაქურ მრეწველობის  
გამოფხიზლებას, სოფლის მინებება და მიტოვება მავნებლად მი-  
გვაჩნია. ჩვენ არ ვეთანხმებით ერთგვარ სოციალურ მოძღვარებას,  
რომელიც გვაუწყებს სოფლის გადაგვარების და გაქალაქე-  
ბის საჭიროებას. სოფლის წარმოებას ყოველთვის თავისებური  
ხასიათი ექმნება და მისი ცვლილება ქალაქთან ვიწრო და მკვიდრ  
დაკავშირებაში გამოისახება და არა იმის გადაგვარებაში. სწო-  
რედ ამისათვის ბ—ნ. უორდანიას დაფასება ჩვენი ავტორის  
„სოფლურ შეხედულობისა“ უსაფუძვლო დაფასებად მიგვაჩნია,  
რადგან უორდანია „სოფლის გადასხვაფერებას“ „სოფელთა  
გაქალაქებაში“\*) ხელავდა და ეს გაქალაქება თანა მედროვე  
ეკონომიურ ცხოვრების უმთავრესს ძარღვად მიაჩნდა. ხოლო  
ჩვენი უთანხმოება<sup>ა</sup> ილია ჭავჭავაძესთან ამ კითხვებში გამოისა-  
ხება შემდეგში: ავტორი მარტო სოფლის ცხოვრებას. ადევ-  
ნებს თვალ-ყურს, ქალაქი თავის რთულის აგებულებით აქვს  
სრულებით მივიწყებული. თვით სოფლის ცხოვრების შესწავ-  
ლაში ჩვენი ავტორი უყურადღებოდ სტოვებს ძირითად ეკო-  
ნომიურ წინააღმდეგობას, რომელიც ჩაითვლება ჩვენ წოდე-  
ბათა ურთიერთობის დამახასიათებელ თვისებად. ჩვენი ავტორი.  
კმაყოფილდება ცხოვრების ცალ-მხრივი შესწავლით და მასთან  
ამ იმის მიერ შემოფარგლულ ცხოვრების ნაწილში არ დაასა-  
ხელა და არ აღნიშნა ის, რასაც ძველის დროიდაც ჰქონდა  
ჩაგდებული. მკვიდრი საძირკველი—არ დაასახელა ძირითადი  
წოდებრივი უთანხმოება.

\*) ქართული პრესსა, გვ. 56, უორდანია

და აი სწორებ ამითი აიხსნება, რომ ილია ქავჭავაძე ყოველთვის იყო და არის თავად-აზნაურთა ბანკების მოსარჩევედ. მართალია, ჩვენებურ ბანკებს საზოგადოებრივი ხასიათიც აქვს, წმინდა მოგებას ხშირად საზოგადოებრივ საქმეს ანდო-მებდნენ — სკოლა იყო ეგ საქმე, გაზრით თუ თეატრი — მართალია ისიც, რომ ჩვენს ღარიბ და უფერულ ცხოვრებას „ბანკის კრებები“ ცოტა არ იყოს აკოცხლებდნენ და აღელვებ-დნენ — ასე თუ ისე სწურთვნილნენ ჩვენს უნარს საჯაროდ ლაპა-რაკისას, ავარჯიშებდნენ ჩვენს „წარმომადგენელობას,“ ხოლო მიუხედავად ყველა მისა, ჩვენი სათავად-აზნაურო ბან-კები იყო და არის წოდებრივი დაწესებულება, რადგან უმთავრესი მისი აზრი — თავად-აზნაურობის ეკონომიკურ მდგო-მარეობის გაუმჯობესება და გამაგრება — ეწინაღმდეგება უმრავლესობის, ჩვენი მწარმოებელის ინტერესებს. რადგან მწარმოებელ და მემამულეს შორის ძირითადი განხეთქილებაა, ამისთვის ერთის რომელიმე კლასის გამაგრება მეორე მოპირდა-პირე კლასის დასუსტება იქნება. ხოლო, რადგან ჩვენ უნდა მივიღოთ მხედველობაში უმრავლესობის ინტერესი, ამისათვის უნდა ესთქვათ, რომ ყოველი დაწესებულება, ყოველი ზომა, რომელიც უმცირესობის ინტერესს ემსახურება, მავნებელ დაწე-სებულებად, მავნებელ ზომად უნდა მიგეაჩნდეს. ილია ქავჭავა-ძეს არასოდეს არა ჰქონდა გათვალისწინებული კითხვა ამ მხრიდან და ამითი აიხსნება, რომ „ბანკს“ შეალია მთელი თავისი ზნეობრივი და გონებრივი ძალა. ეს არ იყო საერო, საყოველოავონ საქმე და ძალიან სამწუხაროა, რომ ილია ქავჭავა-ძის კეუა, ცოდნა-გამოცდილება, მჭევრ-მეტყველება, მხნეობა „პატარა საქმეში“ დაიქსაქსა და შთაინთქა. ამოდენა სულიერი ძალა რომ მოხმარებოდა ჩვენს დავრდომილ ერს, ჩვენი ავტორის მომდევნო თავიბის ერთ ნაწილში აღარ დაიბადებოდა უიმედო წუხილი და სასოწარკვეთილება და ის შეთული, რომელიც ეხლა შეწყვეტილია ახალ და ძველ თაობის შორის, გამმული იქნებოდა, ჩვენი ძალ-ლონე გაერთიანებული, ჩვენი მოქმედე-ბა — შეთანხმებული. მოხდა სხვა წაირად. ალბად ასე იყო სა-

კირო. ალბად, ჩვენი წადილი დაგვიანებული წადილია და ჩვენი დაღვის უადგილოა. ასე სჯის ცხოვრება და ჩვენც ნუ ავ-ცილდებით ცხოვრების ნიადაგს...

მაგრამ ყველა ეს არა კმარა ჩვენი ავტორის დახასიათებლათ. დროთა მსვლელობაში ბევრი რამ დასწამეს ჭავჭავაძეს. კრიტიკის მოვალეობაა სიმართლე გამოიკვლიოს და ერთხელ და სამუდამოდ აღადგინოს ავტორის დაუმახინჯებელი შეხედულება სხვა-და-სხვა მწვავ სოციალურ კითხვებზე.

ჩვენ უკვე ვსთქვით, რომ ილია ჭავჭავაძის ეკონომიკრი მოძღვრება „უკიდურესობაზე“ არასოდეს არ მისულა, პირიქით, ჩვენს ავტორს ყოველთვის ჰქონდა დაცული ერთგვარი „ზომიერება“, რომელსაც არსებულ სოციალურ წყობილების გაუმჯობესება ჰქონდა მიზნად და არა მისი დარღვევა. რა საშუალებით, რა ნაირად შესაძლებელია გაუმჯობესება ამცხოვ-რებისა. ეკროპაში ამ კითხვამ დიდ ძალი დასები დაპატარა. პროგრესისტები, ლიბერალები, რადიკალები—ყველანი სცდი-ლობენ გააუმჯობესონ არსებული წყობილება. სოციალისტებისაგან ყველა ესენი იმითი განირჩევიან, რომ მაშინ, როდესაც სოციალისტების მოქმედება არსებულ წყობილების გაუქმდება-სხვენ მიისწრაფვის, ამათ უურთ, პირ-იქით, არსებული უთან-ხმოება. შეასუსტონ სხვა-და-სხვა რეფორმებით და მით უფრო გაამტკიცონ ეს გარეგნობით განახლებული წყობილება.

ილია ჭავჭავაძე,—ეკროპიული საზომით რომ დავაფასოთ მისი ნაწერები,—არსებულ ცხოვრების გაუმჯობესების მომხრე იყო, ხოლო იარაღი და საშუალება, რომელსაც ხმარობდა ამ ცხოვრების გასაუმჯობესებლად, იმგვარი იყო, როგორსაც ხმარობენ ლიბერალ-რადიკალები. ერთმა ნაწილმა ჩვენი საზოგადოებისამ, თავის წინამდლოლის ნ. უორდანიას მეოხებით, კონსევატორთა გუნდში ჩარიცხა ჩვენი ავტორი. მკითხველი დაინახავს ამ აზრის უსაფუძვლობას და აკვიატებულ მიდგო-მილ მსჯელობას.

საზოგადოებრივ შეწერლის დაფასება თუ გინდათ, გამოი-კვლიერ, რა თვალით, როგორ უყურებს კერძო-საკუთრების

პრინციპს. ერთნი აღიარებენ კერძო-საკუთრებას, როგორც  
ხელ-უხლებელ ინსტიტუტს, როგორც ღვთაებრივ დაწესებულ-  
ებას, რომლის გადასხვაფერება და შეცვლა შეუძლებელია და  
დიდი ცოდვაც არას. მეორენი ამტკიცებენ, რომ კერძო-საკუ-  
თრების ძირითადი პრინციპი შეურყეველი უნდა რჩებოდეს.  
ხოლო ამ პრინციპის შეცველა და შესწორება საჭირო,  
დროის და გარემოების მიხედვით. მესამენი ამბობენ, რომ  
კერძო საკუთრება ძირიან-ფესვიანად უნდა იყოს აღმო-  
ფხვრილი, რაღანაც არის მიზეზი კაცთა შორის უთანა-  
სწორობისა. პირველი შეხედულება თეოლოგიურ-კონსერ-  
ვატიული წინააღმდეგია უოველგვარ საზოგადოებრივ ცვლი-  
ლებისა. იგი ამართლებს მონობას და ბატონ-ყმობას, როგორც  
ღვთაებრივ დაწესებულებას. ტიპიური წარმომადგენელი ამ მი-  
მართულებისა, ფილარეთი ბატონ ყმობის განთავისუფლების წი-  
ნააღმდეგი იყო, რაღან, მისის რწმენით, ბატონ-ყმობა, რო-  
გორც ღვთაებრივი დაწესებულება, შეურყეველად სამუდამოდ  
უნდა დარჩენილიყო რუსეთში.\*). მეორე შეხედულება ლიბერალ-  
რალიკალური, რომელიც კერძო საკუთრების პრინციპის შეს-  
წორების და შეცველის საჭიროებას აღიარებს, ხელმძღვანე-  
ლობს საზოგადოებრივ ინტერესით. ასე ამ მოძღვრების მიმ-  
დევარნი ამართლებენ მთავრობას, როდესაც რომელიმე სახე  
ლმწიფოს ინტერესის მიხედვით (რკინის გზის გაყვანა, მაგა-  
ლითად,) კერძოსაკუთრებას ეხება და, ცოტა არ იყოს, არღვევს  
ამ უფლებას. ამგარადვე ამ შეხედულების მიმდევარნი (რაღი-  
კალბი) შემოსავალზედ გადასახადის მოშერენი არიან (про-  
грессивныи налогъ), რაიც აუქმებს, ასე თუ ისე, კერძო საკუ-  
თრების შეურყევლობას. მესამე მოძღვრების წარმომადგენე-  
ლნი (სოციალისტები) სარგებლობენ უოველგვარ რეფორმით  
ანუ თავისუფალ მოქმედებით ამ ინსტიტუტის გაუქმებისათვის.

\*) ფილარეტი „როზდაც“ და კაცის ცემასაც ამავე პრინციპით  
ამართლებდა. იხილე — ჯანშიევъ—Извѣ эпохи великихъ ре-  
формъ.

ილია ჭავჭავაძეს ამ სამ მიმართულებაში შუათანა მიმართულების ადგილი ეჭირა. ბატონ-ყმობის წინააღმდევები, გლეხ-კაცის მდგომარეობის გაუმჯობესების მომხრე, ჩვენი ავტორია არასოდეს არ გადასცილებია ზომიერებას და არ მისულა ძრითად ეკონომიკურ წინააღმდევობის აღიარებამდე.

„1864 წელს მოხდა ჩვენში ყმების განთავისუფლება, ვკათხულობთ ცნობილ „ცხოვრება და კანონში“ \*). მოისპონ ჩვენში ერთისაგან მეორის ადამიანის გაქელვის მიზეზი, კაცი კაცად აღიარეს... ერთს ჩამოაცალეს ის, რაც სამართლის შეურაცყფა იყო, მეორეს დაუბრუნეს ის, რაც უმართლოდ წარმეულ ჰქონდა“.

განთავისუფლებულ გლეხს ხელის შეწყობა სჭიროდა. იურიდიული თანასწორობა საკმარისი არ იყო გლეხკაცის ბედის გაუმჯობესებისათვის. ჩვენი პუბლიცისტი იკვლევს ახალი ცხოვრების ეკონომიკურ პირობებს, რათა ამ პირობებს შეუწყოს გლეხკაცის ცხოვრება. სიჭიროა გამოვიყვლით, სწერს ავტორი:

„რამდენმა კომლმა გლეხმა დააღწია ბატონ-ყმობის მოსპობამ,... რამდენმა გამოისყიდა „ნადელი“ და რამდენმა ვერა, რამდენი მამულ-დედული დაჰყიდა თავად-აზნაურობამა, რამდენი გადავიდა გაყიდული მამული გლეხის ხელში და რამდენი ჩაუვარდა სომხებსა, სად და რაოდენი სივიწროეება მიწისა, რამდენად უჭირს ჩვენს გლეხს თავისუფალს მიწაზედ გადასახლება და სად უფრო მოუხდება ეს გადასახლება და სხვანი და სხვანი. “\*\*)

თუ შეეძლო ინტელიგენციას გლეხისთვის დახმარება აღმოეჩინა, სწორედ, ამ კითხების გარკვევით უნდა დაეწყო. ავტორის აზრით, ის მამული, რომელიც მემამულეს ხელიდამ

\*) „ივერია“ 1877 წ.

\*\*) „ივერია“ № 2 1882 წ.

ეცლება, ვლეხვაც ხელში უნდა ჩაუდარდეს.\* ) ამისათვის იაფი კრედიტის დაარსებაა საჭირო გლეხისათვის:

„თუ მართლა სოფლის მამული ბევრი-ბევრი ხუთზედ  
მეტს სარგებელს არ იძლევა... და თუ ფული კი მის სასყიდ-  
ლად ხუთზედ მეტადაც ძლიერ იშოვება, მაში გლეხ-კაცმა, რომ-  
ლის გამამამუდანება ფრიად საჭიროა და სანატრელი, რო-  
გორ უნდა მიაწვდინოს ხელი მამულის სასყიდლად... უამისოდ  
გლეხი ხომ ფულის პატრონის მუქთა მუშად, მსახურად შეიქ-  
მნება საშეოლი-შვილოდ და ის, რაც ასე თუმნიან მამულის  
გამო ხუთს თუმანზედ მეტი გადახდება, ეგ ხომ იგივ ყმო-  
ბა იქნება, რომლისგანაც ძლიერიობით თავი უკვე დააღ-  
წია“. \*\*)

ამ სიტყვებს დლესაც ცოცხალი, თანამდროვე ინტერესი  
აქვს, რადგან ჩვენს ინტელიგენციას ხელიც არ გაუნძრევია  
და ასე თუ ისე არ დაპხმარებია გლეხს მამულის შეძენის საქ-  
მეში. არა ნაკლები თანამდროვე მნიშვნელობა აქვს ავტო-  
რისაგან აღძრულ გადასახლების კითხვას.

„საქართველოს გლეხობას... უფრო მომეტებულად უჭირს  
თანისუფალი მიწები და გადასახლება, ვიდრე რუსეთსას. რუ-  
სეთში ერთს კვადრ. მილ. საშუალო რიცხვით ცხოვრობს 500  
სულამზის. ჩვენში—1000 სულ... აღმოსავლეთ საქართველოში  
ერთს კვადრ. მილ. ითვლება 800 სული, დასავლეთისაში—  
1200—1300 სული... სამეგრელოში თითო კვადრატის ვერსა  
ზედ სცხოვრობს 1800 სული. ამ სიეიშროვეს ერთი ორად  
ხდის ის გარემოება, რომ ნახევარი სამეგრელო ტყესა და ჭაო-  
ბას უჭირავს, რის გამოც თითო გამოსაღებს კვადრატის ვერს-

\*) ავტორის მზრით, მემამულს უნდა შერჩეს მამული, ხოლო თუ  
მაინც და მაინც ეცლება ხელიდამ, გლეხის ხელში უნდა გადავიდეს.  
ჩვენ სხვანაირად გაყენებთ კითხვას. მამული არ უნდა შერჩეს ერთ. წოდე-  
ბას, ხოლო უცხოელების ხელში გადასვლას მასვე დარჩეს.

\*\*) „ივერია“ №144 1887 წ.

ზედ აქ 3600 სული მოდის. ეს ისეთი სივიწროვეა, რომელიც რუსთის არც ერთი კუთხეში არ გაგონილა... ამაზედ უფრო დიდი ჭირი ჩეგნის ქვეყანას ამ უძაბნელ არ ხდგა. ამაზედ უსაჭიროებს საჭმეს, ჩეგნი მწერლება და საზოგადოება გერ აღმნავს.“ \*)

ამ სტრიქონებში, საიდამაც გამოიყურება ძველი დროის კავკავაძე, შორს-მჭვრეტელი და ქვეყნის მოყვარე მწერალი, ჩეგნ ამოვიკითხეთ დღეს რაღაც საყვედურის მზგავსი — ისე უცვლელი დარჩა ის, რაც ამ თხუთმეტის წლის წინად ასე აშინებდა ჩეგნს ავტორს. საკვირველია, რომ არც ერთ კეთილ განზრახვის და ავტორის ნაყოფიერ აზრს არ გამოუჩნდა მიმდევარი, იმისთანა საქმის კაცები, რომელიც დღეს პრაკტიკულიდ გაახორციელებდნენ იმას, რაც წინად მხოლოდ აზრი და წადილი იყო. რად მოხდა ეს? კარგ აზრს მიმდევარი უნდა გამოსჩენოდა, თავისი ნაყოფი უნდა გამოელო. ან იქნება ამ ნაყოფის გამოლების დრო არ დაგვიღგა ჯერ-ჯერობით? თუ ეს ასეა, ახლო მომავალი პასუხს გაგვცემს ამაზედ.

ახლა ვიკითხოთ, რა აზრისა იყო ჩეგნი ავტორი კერძო-საკუთრებაზედ? როგორც ესთქვით, ამ საგნის განხილვაშ უნდა დაგვანახვოს აეტორის ნამდვილი მიმართულება. ხიზანთა კითხვის გარკვევაში აეტორი შეუწყვეტლივ ტრიალებს საკუთრების პრინციპის გარეშემო.

„საკუთრებას ორი ნაწილი შეადგენს, გვეუბნება ავტორი: ერთი პირადი, მეორე ზოგადი, რაღვანაც იგი არსებობს არა მარტო ცალკე კაცის სარგებლობისათვის, რომ ნაამაგი მისის შრომისა მასვე მოახმაროს, არამედ საზოგადოების სარგებლობისათვისაც, რომ შესაძლოთ და დღვეგრძელოდ ჰქმნას არსებობა თვით საზოგადოებისა.“ \*\*)

\*) „ივერია“ № 2 1882 წ.

\*\*) „ივერია“ 1877 № 168.

ასე რომ, ჭავჭავაძის აზრით, საკუთრებას აქვს მიზნად საზოგადოების სარგებლობა და არსებობაც კი. ხოლო ამას ემსახურება საკუთრება თავისის „ზოგადის“ ნაწილით. ამისათვის აფრორი ყოველთვის უსვამს ხაზს ამ საკუთრების ზოგაჯს მხარეს. ამითი აიხსნება ძველ ხიზნთა აღათის გამართლება აფრორისაგან, იმ აღათისა, რომელშიაც გამოსახულია ზოგადი მხარე საკუთრებისა.

„ხიზნობა სხვა არა არის რა, გარდა იმისა, რომ ერთგვარი სახეა მიწის ხმარებისა, გამდიერება საგუთრების ზოგადის ელემენტისა... რჯულს, კანონს, პირად საკუთრების ხელ-შეუხებლობაზედ აგებულს, (კითხულობთ სხვაგან) როგორდაც თვალში არ მოდის და ეხამუშება ვადა - დაუდებელი ხმარება სხვისა, ერთისა და იმავე ლალითა და მერე იმიტომ, რომ ხელ-შეუხებლობა პირადის საკუთრებისა — მართლა თუ ტუშილად — მერმისის ქვა-კუთხედათ ღლიარებულია და ყოველი, რაც ჰქონდავს და ჰქონდავს ამ ხელ-შეუხებლობას, კანონი ძნელად იშვნევს, ძნელად იწყნარებს. \*)

აშკარაა, ჩვენი ავტორი არა სთელის კერძო საკუთრებას შეურყეველ დაწესებულებად და, მისის აზრით, კანონი ხშირად ჰქონდავს საზოგადოებრივ მოთხოვნილებათ. დავუგდოთ ყურითვით ავტორს:

„მიღრეკილება ხიზნობისა, რომ ხმარება მიწისა საშვილიშვილოდ იყოს და ლალა. თუ გადასახადი ერთსა და იმავე ჭრეზედ იდგეს უცვლელად — ეს ისეთი იერიშია საკუთრების პირადს და კერძო ელემენტზედ მიტანილი, ეს ისეთი ნაღმია, რომ საკუთრების ხელ-შეუხებლობის მოძღვრებას ძირეულად არღვევს, მთელს რჯულიერებას საკუთრებისას ფერს უცვლის და ზოგადს ელემენტს მისას გზას უხსნის სამერმისოდ ცხოვრებაში აღგილის დასაჭერად... პატრონი ხიზნობის წესით ნება-მოკლებულია: 1) აჟყაროს ხიზნი უიმისოდ, რომ არ უზღოს.

\*) „ივერია“ № 170 1877.

ყველაფერი, რასაც ხიზანი მის მამულში სტოკებს და 2) მოუ-  
მატოს ღალა-გადასახადი. ამ სახით მამულის პატრონი ღონე-  
მიხლილია მოიხმაროს თავისი საკუთრება თვისის სურეილისა-  
მებრ და ეს რა არის, თუ არ შეიღება იმ მატაჭის გადა-  
დის, რომელსაც ჰირადს საკუთრებას ეძახან\*)“.

თუმცა ჩვენი ავტორისათვის ფრიად სიმპატიურია საკუთ-  
რების ზოგადი მხარე, ესე იგი, თუმცა მის თვალში საკუთრება  
ხელ-უხლებელი არ არის, პირ-იქით, ზოგიერთ პირობებში მისი  
უფლების შეკვეცაც არის საჭირო, ხოლო ამ კერძო საკუთრე-  
ბის უფლების შეზღუდვას, ავტორის შეხედულებით, აქვს აუცი-  
ლებელი საზღვარი, რომელსაც არც კანონი, არც ჩვეულება  
არ უნდა გადასცილდეს. ამითი აისხება, რომ ჩვენი ავტორი  
ასე თანაუგრძნობს ხიზნობის აღათს, სადაც, მიუხედავად საკუთ-  
რების უფლების შეკვეცისა, განსაზღრულია ამ შეკვეცის საზ-  
ღვარი. ამითი აისხება, რომ იქ, საცა დაცულია ზოგადი ხასიათი  
საკუთრებისა, ავტორის შეხედულებით, აღარ არის შრომის და  
საკუთრების წინააღმდევობა და განხორციელებულია სასურ-  
ველი ეკონომიური თანხმობა. ავტორი არა ხედავს, რომ ამ-  
გვარი საკუთრების უფლების შეზღუდვა მხოლოდ ერთი ნაბიჯია  
შრომის და საკუთრების წინააღმდევობის კითხვაში და სწო-  
რედ ამითი აისხნება მასი სიტყვები!

„იმგვარი შფლობელობა მიწისა, რომელსაც ჩვენ ხიზნო-  
ბას ვეძახით, არის უხელო მიწის და უმიწო ხელის ერთმანეთ-  
თან მორიგება ქვთილ-ნებული, ეკონომიურს ანგარიშჩედ აშე-  
ნებული“.\*\*)

აქ ლირს-შესანიშნავი სიტყვაა „კეთილ-ნებური“. ჩვენის  
აზრით, „კეთილ-ნებობაზედ“ ლაპარაკი მხოლოდ იმ შემთხვე-  
ვაში შეიძლება, როდესაც ორივე მხარე, ვინც ხელშეკრულო-

\*) „ივერია“ № 191. 1877 წ.

\*\*) «ივერია» № 176 1877 წ.

ბასა სდებს, თანაბარ და ერთგვარ პირობებში იმყოფება. წინააღმდეგ შემთხვევაში სუსტი მხარე ყოველთვის დაემორჩილება ლონიერ მხარის წინადადებას და მათ ხელშეკრულობას „კეთილ-ნებური“ ხასიათიც დაეკარგება. სწორედ ამ მოსაზრებიდამ გამოდიან მოპირდაპირენი ეგრედ წოდებულ ბურგუაზიულ ვითამ „შრომის თავისუფლების“ პრინციპისას—(liberté du travail). თავისუფლებაზედ და კეთილნებობაზედ შეუძლებელია ლაპარაკი იქ, საჭაც მუშა ხალხი—გლეხია იგი, ხიზანი თუ ქარხნის მწარმოებელი—იმულებულია დაემორჩილოს კანონის და ადათის წინადადებას, იმ კანონის და ადათის, რომელიც კუნომიურ უთანასწორობაზეა აგებული.

სიმართლე მოითხოვს აღნიშნოთ, რომ ილია ჭავჭავაძე თითქოს გრძნობდა ამ შეუთანხმობლობას. აქა-იქ ჩვენი აეტორი სცილდება „ბურგუაზიულ“ მოძღვრების საზღვარს, ხოლო სცილდება გაუბედავად, კრძალვით და ისევ საჩქაროდ უკან ბრუნდება.

„ცხოვრების წალმა-უკულმად მსვლელობამ საქმე ისე მოაწყო, გვეუბნება ავტორი, რომ მაჯის პატრიონს და გარჯის გამძლოლს მარტო იმოდენა მოუთალა მის მიერ შექმნილ ავლადიდებისაგან, რაც ძლივ-ძლიობით საკმარისია მარტო იმისათვის, რომ დღე-დღიურად თავი იკვებოს. ძნელად, ძალიან ძნელად გამოსარჩომი მაჯით მცხოვრებისა ამ ხაზს გადასცილდება; პირ-იქით, ხშირად დასცილდება კიდეც ხოლმე და მაშინ მუშა-კაცი ნახევარზედ მშიერია, თუ სულ ულუქმა-პუროდ არ არის დარჩენილი“ \*).

თუ ეს ასეა საზოგადოთ, ხიზანიც უკეთეს მდგომარეობაში არ უნდა ყოფილიყო, რადგან ისიც არის „მაჯის პატრიონი“ და „გარჯის გამძლოლი“ და ამ მაჯის საშუალებით იკვებავს თავს.

\*) „ივერია“ № 111. 1887. წ.

აქ აზრთა წინააღმდეგობა. აშეარაა და ამ წინააღმდეგობის დასაფარავად ავტორი აღარ უბრუნდება ეკონომიკურ ძირითად წინააღმდეგობის მაჩვენებელ კითხვებს.

რა დასკვნა უნდა გამოვიყვანოთ ყველა ზემო ნათქვამიდან, ამას შემდეგ წერილში დავინახავთ.

არჩილ ჯორჯაძე

# უცხოეთის მიმოხილვა

ოსმალეთის სომხების საქმე (მოკლე ისტორია). — მუშათა  
პარტია და ეროვნობა:

## I

ოსმალეთის სომხეთიდან კიდევ ცუდი ამბები ისმის. რო-  
როგორც სჩანს, ფანატიკოს მაჰმადინანები ერთხელ კიდევ შეს-  
დგომიან სომხეთი გაულეთის საქმეს და ევროპის სახელმწიფოე-  
ბის ეგრედ-წილებული „კონკურსი“ ერთხელ კიდევ ხდება  
მოწმე ამ მრავალ-ტანჯულ ერის აუწერელ უბედურებისა. არ  
იქნა და არ ეშველა სომხების საქმეს: ძლიერმა სახელმწიფო-  
ებმა ვერა მოუხერხეს რა სუსტ ოსმალეთს და მის მთავრობას,  
ვერ აიძულეს იგი არსებობის ადამიანური პირობები შეექმნა  
მცირე აზიის მა აღგილებში, სადაც სომხები სკხოვრობენ:

ძველ სომხეთის საუკეთესო ნაწილი (მდ. ეფრატის ზემო,  
ჭალა და ვანის ტბის ბასეინი) ოსმალეთს ეკუთვნის. ეს ბუნე-  
ბით მდიდარი ქვეყანა აყვავებული იქნებოდა, რომ აქ ოსმა-  
ლები არ იყვნენ გაბატონებული. თვით სომხები თავიანთ  
ბატონების გავლენის ქვეშ და უფრო კიდევ მათის შიშით ვერ  
ხმარობენ ამ ბუნებრივ სიმდიდრეს და უკიდურეს სილარიბეში  
სტაციონები. ან რომელი სომები შეუდგება აქ სიმდიდრის შეძე-  
ნას, როცა დარწმუნებულია, რომ ხვალ ეს სიმდიდრე რომელიმე  
მცარცველის ხელში გადავა. ამ ხვალინდელ დღის შიშით აი-  
ხსნება სხვათა შორის ის გარემოება, რომ სომხობა სტაციონებ

თავის საშობლოს და სხვა ქვეყნებში ესახლება. ამას კი მოჰყვა სომები ერისთვის მეტად არა სასურველი შედეგი: მათგან დატოვებულ ადგილს იპყრობენ მცირე იზის სხვა ტომების წარმომადგენელნი და, სარწმუნო მკაფიოდანთა სიტყვით, ეხლა თითქმის სრულებით არ მოიძებნება ოსმალეთის სომხეთში ისეთი ადგილი, სადაც სომხობა უკილობელ უმრავლესობას შეაღენდეს. თუ რა მნიშვნელობა აქვს ასეთ გარემოებას სომხთა ერის ცხოვრებაში, სჩანს იმ სიტყვიდანაც, რომელიც პანოტომ სთქვა საფრანგეთის პალატაში 1896 წელს:... არ არის ამ პროექტი არც ერთი ადგილი, სადაც ეს უბედური ხალხი უმრავლესობას შეაღენდეს და სადაც შეიძლებოდეს ისეთის ცენტრის შექმნა, რომ სომხებისათვის განსაზღვრული ავტონომია შემოვიდოთ. თუ ეხლაც სომხების საქმემ ისეთი უბედური მიმართულება მიიღო, თუ ევროპის სახელმწიფოებმა ეხლაც განაგრძეს თავისებური პოლიტიკა და ენერგიულის ზომებით არ გააჩერეს ოსმალეთის მთავრობა, სომხეთი გეოგრაფიული და ისტორიული სახელწოდება დარჩება: ისეთ პატარა ერს, როგორიც სომხობაა, არ შეუძლია ამდენის ატანა; სხვა ქვეყნებში გადასახლებას რომ თავი დაეანებოთ, მარტო უწყალო გაელეტა, ისეთი, როგორც წასულ საუკუნის ოთხმაცდა ათიან წლებში იყო, და ძალად გამაჰმადიანება მოუღებს მას ბოლოს.

მოვიგონოთ მოკლედ სომხეთა საქმის ისტორია. ოსმალეთის სომხები, საქართველოს სამეფოს დაცემისა და რუსეთის მთავრობის მიერ მოკემულ იმედების გაცრუების შემდეგ დიდხანს გაჩუმებულნი იყვნენ და ხმა ამოუღებლივ იტანდნენ მაჰმადიანთა შძიმე უღელს. მხოლოდ 1876-78-ში გააგონეს სომხებმა თავიანთი ხმა ევროპიელებს: დამარცხებით გაბოროტებული მაჰმადიანობა სხვათა შორის ქრისტიან სომხებზედაც იყრიდა ჯავრს; გარდა ამისა სომხები აალაპარაკა ბოლგარის განთავისუფლებამაც: ამითი მათაც მიეცათ პატარა იმედი უკეთესის ბედისა.

გამარჯვებული რუსეთი, რომლის საბოლოო მიზანი ისმა-  
ლეთში ტიღის ხანიდან ყველასათვის ცხადი იყო, სცდილობდა  
მცირე აზიაშიაც შეექმნა ისეთი პირობები, როგორიც ეკატე-  
რინე დიდმა შექმნა კუჩუკ-კაინარჯის ხელშეკრულებით ბალ-  
კანეთის ნახევარ კუნძულზე; როგორც ვიცით, ამ ხელშეკრულე-  
ბით რუსეთის მთავრობამ შეიძინა უფლება ჩარეოდა ოსმალეთის  
საქმეებში ყოველ იმ შემთხვევაში, როცა ამას ბალკანეთის  
რომელიმე ქრისტიან ხალხის შევიწროებული მდგომარეობა  
მოიხსოვდა. 1878-შიც რუსეთის მთავრობამ შეიტანა ერთი  
ახეთი (16) მუხლი სან-სტეფანოს ხელშეკრულებაში სომხების  
შესახებ. ამ მუხლში სხვათა შორის ნათქვამია, რომ ოსმა-  
ლეთი პირობას სდებს დაუყოვნებლივ შემოილოს საჭირო რე-  
ფორმები სომხეთში და უზრუნველ ჰყოს სომხები ქურთებისა  
და ჩერქეზებისაგან. ხელშეკრულების ამ მუხლის ძალით რუ-  
სეთს ყოველთვის შეეძლო ჩარეოდა მცირე აზიის საქმეებში  
და ეს ჩარევა ასე თუ ისე გამოეყენებინა.

ინგლისი მიხვდა ამ ხელშეკრულების ნაჩენებ მუხლის  
მთელ მნიშვნელობას, მიხვდა, რომ მითი რუსეთი დღეს არა  
ხვალ ხელთ იგდებს მთელ მცირე აზიას და ამიტომაც უცადა,  
არ დაენებებინა რუსეთისათვის უპირატესობრივი მდგომარეობა  
სომხეთში. ენერგიულ დიპლომატიის საშუალებით ინგლისმა-  
აიშულა რუსეთის მთავრობა, რომ „ოსმალეთის მთავრობა  
დაპირებოდა. სომხეთა მდგომარეობის გაუმჯობესებას არა  
მარტო რუსეთს, არამედ ინგლისაც“. გარდა ამისა ინგლისის  
მთავრობა შეეკრა ოსმალეთს საიდუმლო პირობით, რომლის  
ძალით ინგლისი უნდა დახმარებოდა ოსმალეთს მცირე აზიის  
ტერიტორიის დაცვაში, რისთვისაც ინგლისს ეთმობოდა კუნ-  
ძული კიბრი, და ოსმალეთს უნდა შემოედო რეფორმები მცირე  
აზიაში.

ამ გვარად სომხეთმა ერთბაშად იშოვნა ორი მფარველი —  
რუსეთი, რომელსაც სხვა განზრახვები ჰქონდა მცირე აზიაში,  
და ინგლისი, რომლის მიზანი იყო ამ განზრახვებისათვის ხელი  
შეეშალა. მაგრამ რადგანაც არც სან-სტეფანოს ხელშეკრულე-

ბაში და-არც კიბრის შეთანხმებაში არ იყო ნიჩვენები, თუ რა რეფორმები უნდა შემოელო ოსმალეთის მთავრობას სომხეთში, ამიტომ სომხებმა სკადეს ბერლინის კონგრესზე ეშოვათ ბეტი-გარანტია თავიანთ უზრუნველ ყოფისა, მათ გაგზავნეს ბერლინ-ში პატრიარქი ნერსესი, რომელმაც ოსმალეთის სომხების სახე-ლით მოითხოვა: 1) ქრისტიანი მმართველი, უფრო სომეხთა-განი, ამორჩეული ხუთის წლით ევროპის სახელმწიფოების თანხმობით, და მმართველთან საბჭო; 2) ყოველ საქშეს ქრის-ტიანსა და მაჰმადიანს შუა არჩევს სამ-წევრიანი სასამართლო, რომელსც ნიშნავს მმართველი; 3) სარწმუნოების თავისუფ-ლება; 4) წესიერების დასამყარებლად 4000 კაცის მილიცია სომხებისა (არც ერთი ქურთი არ უნდა ყოფილიყო ამ მილი-ციაში); 5) საერთაშორისო კომისია, ერთის წლით ამორჩეუ-ლი სახელმწიფოთაგან აღნიშნულ წესების სისრულეში მოყვა-ნის თვალყურის სადევნებლად; 6) საადვილ-მამულო გადასა-ხადი საათისთავო გადასახადის მაგიერ და სამართლის წესის შეცვლა.

როგორც პხედავს მკითხველი, სომხები თხოულობდნენ ერის არსებობის ისეთ პირობების შემოდებას, ურომლოთაც არც ერთ პატარა ერს ამ ქვეყნად ცხოვრების გარანტია არ აქვს. მიუხედავად ამისა ბერლინის კონგრესში არ მიიღო ნერსე-სის მიერ წარმოდგენილი მუხლები. სომხების მთელი ცდა გა-თავდა იმითი, რომ ბერლინის ტრაკტატში შეიტანეს მე-61 მუხლი: „ბრწყინვალე პორტა პირობას სდებს განახორციელოს დაუგვიანებლად გაუმჯობესობანი და რეფორმები, რომელთაც თხოულობს ადგილობრივი საჭიროებანი სომხების მიერ დასახ-ლებულ პროექტიებში და უზრუნველ ჰყოს ისინი ჩერქეზები-სა და ქურთებისაგან. ყველა იმ ზომებს, რომელნიც მიღებუ-ლი იქნება ამ მხრივ, პორტა შეატყობინებს სახელმწიფოებს, რომელნიც თვალ-ყურს უგდებენ მათ (ზომების). განხორ-ციელებას“.

სან-სტეფანოს ხელ-შეკრულობა (რუსთა და ოსმალეთს შეა) მოისპო და სომხეთს რუსეთის მფარველობის მაგიერ მთელი

ევროპის მფარველობა ხვდა წილად. გარ უა ამისა კიბრის საი-  
ლუმლო ხელშეკრულობაც დაჩინა, ასე რომ ბერლინის ტრაკ-  
ტატის შემდეგ სომხებისათვის საჭირო რეფორმები ფორმალუ-  
რად უზრუნველ ყოფილი იყო და ტანჯულ ერს უკეთესის  
ცხოვრების იმედი მიეცა. „დაუბრუნდით ოქვენს ქვეყანას სომ-  
ხებოთ, ამბობდა პატრიარქი-ნერსესი კონსტანტინეპოლში და-  
ბრუნებისას, სომხეთში აღარ იქნება მეტი დევნა-შევიწროება  
და თვითნებობა, გარდა იმ გაუმჯობესობათა, რომელიც შე-  
მოლებული იქნება“. მას შემდეგ 23 წელიწადი გავიდა და  
სომხეთა მდგომარეობა კი არ გაუმჯობესდა, ბევრად უფრო  
ცუდი შეიქნა, ვიდრე ბერლინის ტრაკტატამდე იყო. რუს-  
ოსმალთა ომიანობის შემდეგ გადმოსახლებული ჩერქეზები და  
სხვა მაჰმადიანები სომხებზე იყრიდნენ რუსების ჯავას, ოსმა-  
ლეთის მთავრობა და ჯარი გულგრილად შესკერდნენ მათ  
მხეცურ მოქმედებას და ხშირად ხელსაც უწყობდნენ მათ. თა-  
თრები ცეცხლს გვიკიდებენ და გველეტენ, —სწერდნენ ვანის  
სომხები ევროპის წარმომადგენლებს 1889-ში, ყველგან შიში და  
ძრწოლა მეფობს, ნუ თუ ესეთი დანაშაულობაა სომხობა? მო-  
გვეხმარეთ.“

ყველაზედ უწინ ინგლისმა გაიგონა დევნილთა ხმა და  
ბევრი ეცადა შეეგონებინა ან აეძულებინა ოსმალეთის მთავ-  
რობა შემოელო სომხეთში საჭირო რეფორმები. ინგლისს  
ეშინოდა, რომ გაჭირვებულ სომხებს რუსეთისავის არ მიე-  
მართნათ დახმარებისათვის, რომ რუსეთს არ ესარგებლნა სომ-  
ხების საქმით თავის. მიზნების მისახწევად. „თუ რეფორმები  
არ შემოგილიათ, ეუბნებოდა ინგლისის წარმომადგენელი ოს-  
მალეთის მთავრობას, პორტა აუცილებლად ისეთსავე მდგო-  
მარეობაში ჩავარდება, როგორშიაც იყო ბოლგარის არეულო-  
ბის დროს. რუსეთი ჩაერევა საქმეში და სახელმწიფოს ახალი  
განაწილება მოელისა. ოსმალეთი ან არაფერ პასუხს იძლეოდა,  
ან პირდებოდა, მალე შევასრულებ ყველაფერს და საგანგებო  
კომისიებს ნიშნავდა. სომხეთა მდგომარეობა კი თან და თან  
უარსდებოდა და აი რატომ.

სომხობამ გილეიძა, შეიგნო თავსი ვინაობა და მოინდობა ამ ვინაობის დაცვა და შენახვა. ამ გაღვიძებაში უმთავრესი წილი თვით ევროპიელებს უდევთ. განსაკუთრებით, ბერლინის ტრაქტატის ავტორებს. ამ დღიდან სომხობა ევროპას შესჩერებოდა და მხოლოდ მისგან მოელოდა შეელის; სომები, რომელსაც ერთ დროს ოსმალეთი წყნარ და მშვიდ ქვეშე-რდომად იკნობდა, ეხლა „რეველიუციონერი“ შეიქნა. უმო-ქმედი, პასიური მთავრობა ოსმალეთისა, რომელსაც ყველა-ფერს statusquo ურჩევნით, როგორიც უნდა იყოს იგი, მეტად ბრაზობდა, რომ სომხებმა თავი წამოყვეს და გამუდმებულის საჩივრებით მას „მოსვენებას“ არ აძლევდნენ. მთავრობამ რე-პრესესალიებს უმატა. გაღვიძებულ და გაჭირვებულ სომხობამ თავის მხრიց მართლა რეველიუციონურ საშუალებათ მიმართ, იმ იმედით, რომ შავმადიანთა სიმკაცრით აღშფოთებული ეროვ-ნის საზოგადოება ღვთის ანაბარა არ მიატოვებდა მის მართალ საქმეს და ბოლოს იხსნიდა მას აუტანელ მდგომარეობიდან. ით ამ გარემოებათა შედეგი იყო ის საშინელი აშშები, რომე-ლიც 1891 იდან 1896-მდე გოხდა. ამ საშინელებათა აღწერა მეტად მეგვაჩნია, რადგან იგი ყველასავან ცნობილია. ვიტ-ყვით მხოლოდ, რომ ნაჩვენებ წლებში სომხობამ და სომებთა საქმემ საშინელი, შეიძლება, ვერ შესავაებელი ზარალი ნა-ხეს. დიდი წილი პასუხის გებისა ამ საქმეში ეჭება იმ უანგა-რო, მაგრამ შორს ვერ გამჭვრეტ, რევოლიუციონერებს, რო-მელნიც მეტად აჩქარდნენ, საქმე დაღუპეს და ამით მტრის ვული გაახარეს.... რათ არ უშეველა სომხებს ევროპამ?

## II

„სომებთა გაელეტის საშინელებამ ევროპა გააფითრა“ - ა სთქვა პარლამენტში სოლსბერიმ. მაგრამ ევროპას მაინც თითქმის ხელი არ გაუნდრევია ამ საშინელების თავიდან ასაცი-ლებლად. სხვა სახელმწიფოებზე უფრო რუსეთი და ინგლისი იყენენ დაინტერესებულნი სომხების საქმეში, სხვაგვე უფრო

ამათ შეეძლოთ დახმარება აღმოჩენათ დევნილ ხალხისათვის, მაგრამ სომხების უბედურებაც ის იყო, რომ ამ ორ სახელმწიფოს ინტერესების შეთანხმება, მათი თანხელით მოქმედება ყოვლად შეუძლებელი იყო და არის. რუსეთისა და ინგლისის მოცილეობის ისტორიას და მიზეზებს ჩვენ სხვა დროს გავაცნობთ „მოამბის“ პკითხველებს. ჩვენ აქ ამ საკითხს იმდენად შევეხებით, რამდენაუ ეს საჭიროა რუსეთისა და ინგლისის პოლიტიკის ახსნისათვის ოსმალეთის სომხეთში.

დიდი ხანია ინგლისის დიპლომატია არ აშორებს თვალს ტიგრისა და ეფრატის სათავეებს, ჩადგან იცის, რომ რუსეთს უნდა ამ სათავეების ხელში ჩაგდება. „ვისაც მდინარის სათავე ეკუთვნის, მისია მოელი მდინარეც და მდინარის ჭალაც.“ თუ რუსეთი ფეხს მოიმარებს ტიგრისა და ეურატის სათავეებში, რუსეთისავე იქნება იმ მდინარეების ჭალაც, რომელიც იწყება სომხეთის მთებიდან სპარსეთის ყურემდე. არც ძნელია რუსეთისათვის. ამ მიზნის მიღწევა. არზრუმი, პირველი და უმთავრესი კარი ამ ქვეყნისა, ახლოს არის რუსეთის საზღვრიდან. „აქ, ამ ადგილასო, — ამბობს ერთი ინგლისელი პოლკოვნიკი, — გაივლის კავკასიიდან მომავალი გზები და ის გზებიც, რომელიც მიღიან მცირე აზიაში, სირიისაკენ და სპარსეთის ყურესაკენ. ეს უმოკლესი გზაა რუსეთისათვის ხმელთა შეა ზღვის ნაპირზე მისასელელად“. ამიტომაც იყო, რომ წინ-დახელულმა ინგლისის მთავრობამ კუნძული კიბრი იგდო ხელთ მცირე აზიის ნაპირების თვალ-ყურის საღვნებლად.

შეს შემდეგ, რაც პოლგარის სამთავრო დაბრუდა და ამით რუსეთს ბალკანეთის კზა მოექრა, იგი სკდილობს მცირე აზიის გზით დაუახლოებელს თან-და-თან კონსტანტინეპოლის. თან-და-თან ვამბობთ ჩვენ, რადგან რუსეთს აჩქარება არ შეუძლია: იგი ლარიბი ქვეყნაა და ყოველ ახალ-ქვეყნის შემოერთება კი ერთობ ძვირად სჯდება. ამიტომაც არის, რომ რუსეთის მთავრობა პირდაპირ არ სკდილობს თვის განზრავების განხორციელებას, იგი ცრონა და გარემოებას უკდის და, როცა ეს დრო დადგება, იგი ისარგებლებს სულ უბრალო არეულო-

ბით მეზობელ ქვეყნის საქმეში ჩასარევად და თავის განზრახვის განსახორციელებლად.

თუ ოსმალეთის სომხების მდგომარეობა გაუმჯობესდა და სომხობა შეურიგდა ოსმალეთის მთავრობას, ან, კიდევ უკეთესი, თუ სომხეთი სრულებით განთავისუფლდა და დამოუკიდებელი (ან ნახევრად დამოკიდებული) სამთავრო გახდა, რუსეთის განზრახვებს დიდი შეფერხება მიეღის — მაშინ სომხეთი რუსეთისათვის მეორე ბოლგარია შეიქნება. თავისუფალი და დამოუკიდებელი სომხეთი არ არის სასურველი რუსეთისათვის. მეორე მხრივაც — სომხეთის ერთი ნაწილი რუსეთის ტერიტორიას ეკუთვნის.

აი რატომ იყო რუსეთის მთავრობა. ასეთი მომხრე ისმალეთისა სომებთა არეულობის დროს. უკანასკნელ რუს-ისმალეთა ომიანობის დროს, როცა რუსეთი სლავიანთა „განსათავისუფლებლად“ მიღიოდა კონსტანტინეპოლისაკენ, ინგლისმა ფლოტი დაძრა და იხსნა ისმალეთი დაცემისაგან. 15-17 წელს შემდეგ კი რუსეთმა გადააფარა თავის კალთა ისმალეთს ინგლისის შუქარისაგან დასაცემლად.

სწორედ იმიტომ, რისთვისაც არ უნდა რუსეთს თავისუფალი და კმაყოფილი სომხეთი, ინგლისი დიდი მომხრეა სომხეთა ემანსიპაციისა. მაგრამ, რადგან ეს შეუძლებელი ხდება სომხების რაოდენობის სიმცირისა და მათის დასახლების მაჩეზით (როგორც წინეთაც აღვნიშნეთ, გადასახლებისა და გაულეტის მიზეზით, ნამდევილ სომხური ტერიტორია ეხლა აღარ არსებობს), ინგლისი მაცადინია საჭირო რეფორმები შემოაღბინოს ისმალეთის მთავრობას სომხეთში. ამიტომაც იყო, რომ ინგლისი სხვაზე მეტის ენერგიათა და სიმტკიცით იცავდა სომხებს.

საყურადღებოა გერმანიის პოლიტიკა კონსტანტინეპოლიში. გერმანიაც, რუსეთსავით და კიდევ უფროც, ექომაგებოდა ისმალეთს სომხების არეულობის დროს. ეს ქომაგობა ძლიერისა სუსტის დაჩაგრერის დროს იმდენად ცხადი და აშკარა იყო, რომ პატიოსანი ნაწილი ყოველ საზოგადოებისა მით აღმფო-

თებული იყო და ზიზღს აკხადებდა. გერმანიისა და რუსეთი-საგან ოსმალეთის შხარის დაჭრა ინტერესების ერთ - გვარობით როდი აიხსნება. ვილჰელმ მეორის მთავრობა სულილობს ეკონომიურად (და არა პოლიტიკურად) ხელთ იგდოს ოსმალეთი და განსაკუთრებით ბუნებით მდიდარი მცირე აზია. გერმანიის ათეის საჭიროა სხვადა-სხვა კონცესიები და ხელსაყრელი სავაჭრო ხელშეკრულებანი! და ხსენებულ ქომიგობით კიდეც აღწევს თავის მიზანს. მისთვის საუკეთესო პირობაა ოსმალეთის მცირე აზიაში ბატონობა. რუსეთის აქ გაბატონება მეტად საზარალო იქნება გერმანიის ეკონომიურ ინტერესებისათვის და ამიტომაც იგი ისეთივე წინააღმდეგია აქ რუსეთის პოლიტიკისა, როგორც ინგლისი.

საფრანგეთი? საფრანგეთი რომ თავისუფალი იყოს, ესე იგი ფრანკფურტის ხელშეკრულობა რომ სულს არ უწუხებდეს და ამ ხელ შეკრულობით გამოწვეული რუსეთთან კავშირი ფეხებს არ უბორკავდეს, მისი პოლიტიკა და მოქმედება სომეხთა საქმეში თვალსაჩინო და მადლიანიც იქნებოდა. როგორც წინა მიმოხილვაშიაც ნათქვამი გვქონდა, საფრანგეთის ერთ როგორც ტრადიციით, ისე პოლიტიკურ და მატერიალურ ინტერესების მიხედვითაც აღმოსავლეთში მცირე ერების დამცველი იყო და ეხლაც არის, რასაკირველია, იმდენათ, რამდენადაც ცკიციურია მისი პოლიტიკი დღეს! ამიტომ მთელი ერთ საფრანგეთისა აღშფოთებული იყო იმ საშინელ ამბებით, რომელიც ოსმალეთის სომხეთში ხდებოდა, და ითხოვდა თავის მთავრობისაგან ენერგიულ ზომებს სომხების სასარგებლოდ. მთავრობა კი ვერ მოქმედობდა, რადგან რუსეთთან კავშირის ერთიდებოდა. საფრანგეთის ვერც ერთი მთავრობა ვერ გაძედავს ჯერ ამ კავშირს გადაუდგეს: საფრანგეთი განცალკევებული დარჩება სამთა-კავშირის წინაშე. და თუ ამ კავშირს არ გადაუდგა, ისე ოსმალეთში მისი მოქმედება ისევე უფერული და უინიციატივო იქნება, როგორც ოთხმოც-და-ათიან წლებში. ფრანგ-რუსთა კავშირმა ერთი ძლიერი დამხმარე მოაკლო სომხობას. საკვირველია თანამდროვე ევროპის პოლიტიკის მიმდი-

ნარეობა და დახლართვა. აბა რომელი სომები მოიფიქრებდა სამოციან და სამოც-და-ათიან წლებში, რომ ბისმარკის პოლიტიკა, პრუსიის გამარჯვება და გერმანიის ახალ იმპერიის შექმნა ასეთ ცუდ სამსახურს გაუწევდა მის სამშობლოს.

თუ ხმები გამართლდა და ისევ ასტყუდა სომხების საქმე; ისევ ის განმეორდება, რაც 91—96 წწ. იყო, რადგან დღეს იგივე პოლიტიკური პირობებია იმ განსხვავებით, რომ ინგლისს ხელთ აქვს ისეთი მძიმე საქმე, როგორიც სამხრეთ-აფრიკის ომიანობაა, და მაშასადამე წინანდელზე ნაკლებ დახმარების აღმოჩენა შეუძლია სომხებისათვის. სომხობის გულ-შემატკივარი და მის ინტერესების ნამდვილი დამცეცლი ყოველ ღონეს იღონებს, თუ, რასაკირველია, გავლენა და ძალა აქვს, ებლა ეს საქმე არ აღძრას. მართალია, გაჭირვება ცუდი ჭკუის მასწავლებელია, მაგრამ როცა წამდვილი განსაცდელი მოველის, ისევ გაჭირვებული ცხოვრება უნდა ირჩიო მომარჯვებულ დრომდე.

ჭრონიკის დასასრულ მოვიყვანთ ზოგიერთების საგულისხმიეროდ და ჩასაფიქრებლად ავსტრიელ მუშათა პარტიის განსაკუთრებულ კომისიის აზრს ეროვნულ კითხვაზე („რუსეთ ველომოს ჭი“, № 255). წარსულ წელს ბრიუნში მუშათა პარტიამ მიანდო განსაკუთრებულ კომისიას შეემუშავებინა ეროვნული კითხვა მუშების შეხელულებით. კომისიამ შეასრულა მინდობილობა და თავისდაზრი გამოაქვეყნა პარტიის გაზეთის საშუალებით.

„კომისიის აზრით, ერთად ერთი გზა, რომელიც გამოიყვანს ავსტრია-უნგრეთს მის ეხლანდელ გაჭირვებულ მდგრადეობიდან, არის სრული დემოკრატიზაცია ავსტრიის წყობილებისა, რაც შეიძლება მოხდეს მხოლოდ საყოველთაო პირდაპირი და ფარულ საარჩევანო წესის შემოღებით და ავსტრიის ყველა ერებისათვის სრულის თანასწორობისა და თავისუფლების მინიჭებით. ეს საზოგადო პროგრამა შეიცავს შემდეგ მუხლებს: 1) ავსტრია უნდა გადაკეთდეს. დემოკრატიულ

სწორ-უფლებიან ეროვნულ სახელმწიფოების კავშირად. 2) ეხლანდელ ისტორიულ სამეფო ტერიტორიების მაგიერ ავსტრია უნდა დაიყოს ნამდვილ ეროვნულ ავტონომიურ ტერიტორიებად, რომელთა მართვა და კანონმდებლობა უნდა რქვნეს ადგილობრივ ეროვნულ პალატების ხელში (აქაც, რასაკეირველია, ზემოდ ნაჩვენები საარჩევნო წესი უნდა მოქმედებდეს). 3) ერთისა და იმავე ერის ყველა ტერიტორიები შეადგენენ საერთო ეროვნულ კავშირს, რომელთა კომპეტენციას დაექვემდებარება საერთო ეროვნული კითხვები და საქმეები. 4) იმ ერების უფლებანი, რომელიც ტერიტორიაში უმცირესობას შეადგენენ (როცა სხვა-და-სხვა ერის წარმომადგენელნი ერთად სცხოვრებენ), უნდა განისაზღვროს განსაკუთრებულის კანონით, რომელიც პარლამენტშა უნდა შეიმუშაოს. 5) აჩც ერთს არ უნდა ეკუთვნოდეს პირველობა სახელმწიფოში. ამით, რასაკეირველია, ისპონა სახელმწიფო ენაც. პარლამენტი აირჩევს ენას, რომლის საშუალებით ცენტრალური მთავრობა დამოკიდებულებას იქონიებს ცალკე ოლქებთან.... სახელმწიფოს არ შეუძლია მარტო ხიტების ძალით არსებობაო, ამბობს კომისია. სახელმწიფო, რომელსაც არ სწამს თავისი მორალური ძალა, თავისავე თავს ღუპავს, თუნდა სამხედრო ძალაც ჰქონდეს. ისტორიულ ტერიტორიების ეროვნულ ტერიტორიებად შეცვლა მით უფრო საჭიროა, რომ ისტორიულ ტერიტორიებად დაპყოფა არის ეროვნულ შევიწროებისა და მონობის პრინციპის განხორციელება, და მით უფრო ადვილად განსახორციელებელია, რომ ავსტრიის ყოველ ისტორიულ ტერიტორიაზე სცხოვრობს უუფლებო და შევიწროებული ერი. სახელმწიფოს ეხლანდელ განაწილებით უკმაყოფილონი არიან არა მარტო იტალიელები ტიროლში, რუსინები გალიციაში და სლოვენები შტირიაში, არამედ გერმანელებიც ჩეხიაში, პოლონელები სილეზიაში და ჩეხები მორავიაში".

ყველაზედ უფრო აღსანიშნავი, ხსენებულ გაზეთის კორესპონდენტის არ იყოს, აქ ის არის, რომ მუშათა პარტია, რომელიც აქამდე გაძახოდა—ეროვნობა ბურგუას მოგო.

ნილი ზღაპარია მუშების მოსატყუებლადაო, დღეს იძულებულია, ცხოვრების სინამდვილის გავლენის ქვეშ, აღიაროს ეროვნულ პრინცაპის სამართლიანობა და ეროვნულ ნიადაგს დაადგეს თავის მოქმედებაში. ავსტრია-პუნგრეთის მონარქია საუკეთესო სკოლის წარმოადგენს ამ მხრივ მუშებისათვის და მიტომაც არის, რომ აქ პირველად შეიგნეს ეროვნობის კანონიერება. წინეთ თუ სხვას გაიძახოდნენ, ეს აისწნება ერთის მხრივ მუშათა პარტიის თეორეტიკოსების გავლენით და მეორეს მხრივ იმ გარემოებით, რომ არ არჩევდნენ ერთმანერთში ეროვნობას, რომელიც თავის თავს იფარავს და იცავს და იმ ეროვნობას, რომელიც სხვაზეც მიდის იქრიშით ჩასაყლაპავალ. რამდენათ პირველი ეროვნობა სამართლიანი და პროგრესიულია, იმდენათ მეორე უსამართლო და რეაქციონურია. ავსტრიის მუშებმა ეს შეიგნეს და, იმედია, სხვაგანაც ეგევე მოხდება.

*La vérité est en marche და მას ვერვინ გააჩირებს.*

